

100-19

0-51

ISSN 0182-500 X

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# ბავშვთათმობი



7

---

1987



# გნათობი



საქართველოს მწერთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წილი 63-ე

№ 7

ივლისი, 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა კ რ ს ი

### პროზა, პოეზია

ოთარ ჩხეიძე — ძველი ბილივი. მოთხრობა	3
ოთარ ზელიძე — ლექსები	12
ფრიდონ ხალვაში — ჩემი და ზენი. რომანი. ვაგრძელება	15
თეიმურაზ ჯანაშვილი — ლექსები	51
მამკალა ვინაუვილი — ლექსები	53
ელა გომიანაძე — ლექსები	56
ქარლო კობახიძე — ორი მოთხრობა	58
ირაკლი არაბული — ლექსები	74
გიორგი ვიგაური — ლექსები	76
ზაზა მინაშვილი — ლექსები	78
ალენ ფრანგი — დიდი მოწიქი. რომანი. ფრანგულიდან თარგმნეს არაგლი და ვივი ბაიბეკოვებმა	80

### 70 — დიდი ოქტომბერი — 70

მიხეილ ჯინეხვალიანი — კომუნისტური პარტია — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულის ჩამოღებელი და ორგანიზატორი	100
--	-----

### ქრიტიკა, პუბლიცისტიკა

მანანა გვებაძე — რამდენი გვებაძე	110
როსტომ ჩხეიძე — სივრცის რეზონანსი	117
ზაზა სინაბულიძე — „...თქვენს სხვა მსოფლიოში დავმდებარ...“	124
ნათელა ინაუვილი — ისტორიის პოეტური მიმართება	129

### 150 — ილია ჭავჭავაძე — 150

ფალავა მარკოზაშვილი — ილია ჭავჭავაძის მარჯვენა ხელი	142
ოლგა ვიგინიანი — ცოდვისა და ვაფლის საკითხი „ოთარაანთ მკრივი“	147

(იხ. მეორე გვერდი)



**შეხვედრის კონტენტის**

სხვათა მხარეებში — სინგორის ტოპონიმები მხარეების „აღწერა სახეობის საქართველოსა“ და ატლასების მიხედვით . . . . .	149
ჯამალ სხეობები — თამარის მამიდა რუსეთში . . . . .	155

**შემაჯავნი, მონათესაები**

რ. მ. რიქაძე, ბ. კახიანიანი და მ. ცხეკაძეს მონათესაები. დასასრული გერმანულიდან თარგმანა ნაირა გელაშვილი . . . . .	162
--	-----

---

შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ავალიანი, მ. ბერიანიანი, ალ. გო-  
მიანიანი, ბ. დონაიანიანი, კ. კალაძე, მ. ლასურიანი, მ. ლიბანიანი,  
ე. მარანიანი, ლ. მრულიანიანი, ბ. ნატონიანიანი, რ. პატარიანი, ჯ. ჩა-  
რკვიანიანი, ნ. წულეიანიანი, თ. შილაძე, ბ. ხარანიანიანი (პ/მგ. შილაძე),  
რ. ჯანანიანიანი, ბ. ჯიბანიანიანი.

---

## ძველი ბილიკი

მოთხრობა

ხილის ყურესთან შეიკადა. მაშინაც აქ იცდიდნენ. იცდიდნენ და იცდიდნენ. მანქანას უნდა გამოეცლო, სატვირთო მანქანასა. შესხდებოდნენ და გააყვებოდნენ. თავიანთი სოფლისა იქნებოდა, ჰო კარგი, სხვა სოფლისა იქნებოდა და ისიც არაფერი, დანარჩენს ფეხით გადაირბენდნენ, გადაირბენდნენ ბილიკბილიკა. იცდიდნენ და იცდიდნენ. ახლა მანქანები ირეოდა, ბუზივით ირეოდა, ნაირფერი და ნაირჭიშისაი. ავტობუსებიც იქვე ჩერდებოდა. გაემართათ საჩრდილობელიცა. გაზონებიც მოეწყოთ. ჩაედგათ მერხებიცა. ენება, ჩამოჭდებოდა, ენება, იღგებოდა, — როგორც ენება. გაზიანი წყლების ავტომატიც მოეტანათ, ენება, ჩაიგრილებდა ყვლსა. თუმცა არცაო, მოშლილიყო თუ ისევე მიეგლოთ და ეგლო. ესეც არაფერიო. მაშინ ფეხზე უნდა მდგარიყო. და იღგა...

ლები, ბოსტნები, ვენახები, საძოვრები. ქალაქი პატარა იყო, მუცელი დიდი ჰქონდა, ის ბალ-ვენახები, ის საძოვრები, თუ სახნავ-სათესი უყორავედა მუცელსა. ახლა ქალაქი აქეთაც გადმოსულა, თვითონვე გადაუძოვია ყველაფერი, მთებს მიბჯენია. მთები ისეა, რო არაფერი მოსჩანს, — არც ბაღებიო, არც ვენახებიო, საძოვრებიც არა. მანქანები ბევრია, ბევრი, ირევა მანქანები. ხალხიც ირევა. მოგროვდებიან და წაეღენ. მოგროვდებიან და წაეღენ, გააყვებიან ცალ-ცალადაცა და ჯგუფ-ჯგუფადაც, — ავტობუსებიც ჰო იქვე ჩერდება. აი ამისი ავტობუსიცა... ოღონდ არაო... ივლის ფეხითა.

იღგნენ. ერთი გაქუცული მურყანიც იღგა საჩრდილობლადა. ეფარებოდნენ. ქვებიც ეყარა, რიყისაი, ბრტყელი ქვები, შეეძლოთ რო ჩამომსხდარიყვნენ.

ფეხითა. ფეხით იარეს. იცადეს, იცადეს და მეტი ლოდინიც აღარ შეიძლებოდა, შემოალამდებოდათ. ეს იმან ივარაუდა. დროაო. თუ მომსვლელია, ჰო წამოგვეწვეაო, თუ არაო და მგზავრის დგომა, ცდომაიო, დგომას სიარული სჯობიანო. იმან ივარაუდა. ანდაზებიც იმანვე თქვა. შემოლამებისა არაფერი უთქვამს. ამასაც ერჩივნა, რო ევლოთ, ერჩივნა, არც რო აქამდისაც არ შეიკდილა, ოღონდ ის დაჰხვდა, იქ დაჰხვდა ისა, იქ გადაეყარნენ ერთმანეთსა. იცდიდა ისა. ამანაც შეიკადა.

ის არა ჯდებოდა. ეჩქარებოდა.

ესეც არაო.

უკან რიყე გახლდა, მერე მდინარეი, მერე ქალაქი, პატარა ქალაქი. წინ: ბა-

გადაეყარნენ მოულოდნელადა. იმასაც შერცხვა, ამასაც შერცხვა. აგვისტოს პირველი დღეები გახლდა. პირველი დღეები. უკვე ბრუნდებოდნენ. ჩაჭრილიყვნენ თუ სასურველი ნიშანი ვერ მიეღოთ, ეს სულერთია რაღა თქმა უნდა, — ბრუნდებოდნენ. და შერცხვათ. მაშინ ეს დიდი სირცხვილი გახლდა. შეიცვალა საზომებიცა სირცხვილისა, გარემოება რო შეიცვალა. შერცხვათ ერთისიტყვითა: სალამიც გაუჭირდათ, სხვა რამის თქმაცა, ველარც რო თვალი გაუსწორეს ერთმანეთსა, იცდიდნენ ისე, იცდიდნენ, იცდიდნენ. და თითქოს რო ცამ ჩაპყლაა ყველაფერიო, ცამა თუ მიწამა, აღარც სად მანქანაო, აღარც სად მგზავრი აღარ გამოჩნდა. შერჩნენ ეს ორნი, თითქოს გაბუტულნი, ვიდრე რო ის ანდაზა არ ამოსცდა ბაგესა, თავისთავადა, თავისთავადა. გზამაც ისევე აიყოლია. თავისთავადა.

ახლაც ისევე აიყოლია.

ოლონდ ის არ იყო, ის გზა აღარ იყო. გაჭრილიყო ფართო ქუჩაი. გაჭრილიყო. გაჭიმულიყო თავისი მიღალი და თითქმის ერთნაირი შენობებითა, თავისი ავტობუსებითა, ტროლეიბუსებითა, ტაქსებითა. აქ ფეხით არავინ არ დადიოდა. არც ამას უვლია ქალაქში ფეხითა. ეს გზა უვლია, ოლონდ ქალაქში არა. ქალაქში ემძიმა, ეშორა ქალაქში, ეუბერხულა კიდევაცა. ქალაქს გავცდებიო. ტროლეიბუსს გაჰყვა, ავტობუსს არა, ავტობუსმა არ გადაამადინოსო. ვერც რო ტროლეიბუსმა დააყენა კვალზედა, ვერა, ვერ დააყენა ქალაქი მოთავდა, გზა მაინც ვერ ეცნო, — ცა ეცნო, მთები ეცნო, — აიხედავდა ეცნობოდა, დაიხედავდა, არ ეცნობოდა არაფერი. ის გზა უხვევდა, იხლართებოდა, ადიოდა, ჩადიოდა, ეს ღარში გახლდა გამოყვანილი. გაბმულიყო მავთულხლართები, მავთულლობები, აქეთაცაო, იქითაცაო, რო ვერ გადასცდებოდი გზასა. გაესწორებინათ. გაესწორებინათ ყველაფერი. ღარში გამოეყვანათ ხეხილიცა. მწკრივი. მწკრივი.

მწკრივი. მწკრივიში ჩამდგარიყო ყველაფერი, მწკრივიშია და რდგშია. ვერ გადაუხვევდა. ვერც მოინიშნებდა თუ სად გადაუხვიეს.

გადაუხვიეს.

გზა ირიბდებოდა და ბილიცი მოკლევ სჭრიდა ბილიცი ერთიგნათ. წინ უყელებდნენ, მანქანაც რო გამოჩენილიყო. და ისედაცა, ნახევრდებოდა გზაი თითქმისა თუ ლამისა, ნახევრდებოდა ბილიციბილიცა. ბილიციბით ერთიგნათ. და ეგრეც დადიოდნენ. იმან არ ინება. იკარგებოდა ბილიციბი. ბალებში იკარგებოდა. ბუჩქნარებში იკარგებოდა ყანებში იკარგებოდა. მერე ამოვიდოდა გზაშარაზედა, უკებ ამოვიდოდა ანთუ გაჰყვებოდა მცირე ხნობითა, ანთუ გადასჭრიდა და ჩაიკარგებოდა ისევე, გაიხლართებოდა ჭეჭილებშია, ყანებშია, ნაწვერლებშია, ხნულებშია, დროს მიხედვითა, გაზაფხული გახლდა, ზაფხული იყო, შემოდგომა იყო თუ ზამთარიო, — ზამთარიო, მაშინ თოვლში რო გაიბმებოდნენ, რო გამწკრივდებოდნენ და მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ლამიან მგლები გამწკრივდებოდნენ. დაუნახნია მთვარიან ლამეში, ტუბერა რო იყო. იმან არ ინება. მანქანა უნდოდა. შეჩერდებოდა. მიაყურადებდა. დაადგებოდა ისევ გზაშარასა ესეც მისდევდა ის მიდიოდა. მისდევდა ესა. მზე მიღლა იყო, ოლონდ შორს იყო, უკვე შორს იყო. შორდებოდა და შორდებოდა.

მერე მაინც გადაუხვიეს.

ოლონდ ეს მერე.

ეგება იქამდის აღარც გასდევდა მავთულხლართები. ეგება. მაინც ჩაეფუფქა ხალისი. შეიცადა. ავტობუსს გაჰყვებო. გაჰყვა. აედევნა მავთულხლართებიცა, აქეთაცა, იქეთაცა, აედევნა და აედევნა ჭადრებიც აედევნა, ეს ვითომ რაო, ქარსაცავი ზოლიაო, ჩარიგებული ისევ ისევე, როგორც რო ხეხილი, შეკრეტილი თუ შემოკვერცხილი ერთნაირადა, თანზომიერადა და იცავდნენ დისერტაციებსა, ხეხილსას პო ხეხილისადა, ქარსაცავისას ქარსაცა-

ვისადა; ერთნი რო წიწვოვანს ამჯობინებდნენ, მეორენი ფოთლოვანსა, ჭიშხებსაც არჩევდნენ, ამჯობინებდნენ ერთმეორესა, დაობდნენ მანძილზეცა, დაშორიშორების მანძილზე ცხადია, და იცავდნენ, იცავდნენ, იცავდნენ დისერტიკებსა. იცავდნენ და დაცავენ, ხან ერთს ამჯობინებენ, ხან მეორესა, ერთმანეთის საწინააღმდეგოსა. ეს ამას არც უკვირს, მხოლოდ ის უკვირს თუ რა იქნა ის ბილიკები, რა იქნა, სად იყო, სად გადიოდა, საიდან საითა, რა იქნა ველები, სახნავ-სათესები, ის ჭირნახული რა იქნა, რა იქნა, ის ბაღები, ის ვენახები, ის ოლეები, ის ჭალები, მთები, მთები და მინც რა იქნა, რო აღარაფერი აღარ მოსჩანს ერთფეროვანი მწკრივების გარდა, მომამბერებელი რიგების გარდა, რა იქნა, რა იქნა?.. ჩერდება ავტობუსი, დროდადრო ჩერდება. იქ თითქოს წყდება მავთულხლართიცა, ანთუ კუთხეები იკვრის, ანთუ გზას გზა უერთდება, შარავზას ვიწრო გზაი, გზაი სოფლისა, ისევე გაბმული მავთულხლართებითა, ბადეებითა, რკინის ბადეებითა, გაბმული, შეღობილი საგულდაგულოდა. ისევეც შემოერთების სოფელსა ირგვლივ. რკინის ღობეში ჩამქდარა სოფელი. ზღაპრისა არ იყოს, მაღლა ფრინველი ვერ გადაიფრენს, ძირს ჭიანჭველა ვერსად გაძვრებაო. იქით მწკრივებია, ისევე გაწყლილი თვალმოუწვდენადა, ხეხილის მწკრივები რაღა თქმა უნდა, თვალმოუწვდენი. და შეუხებელი. ეს ვიწრო გზაღა დარჩენია სოფელსა. ესეც არ უკვირს, არა, ასეთი არაფერი უკვირს, მხოლოდ ის უკვირს თუ რატომ ვეღარ მოუზარებია, სად გადიოდა ის ბილიკები, სად გადიოდა, საიდან საითა?.. ბევრი იყო და ვერც გაიხსენებს, დასერილიყო, დარაბტულიყო მთელი მიდამო ბილიკებითა, მაგრამ ის ერთი, ის ერთი მანძილზე.. ბევრი ბევრია, ის ერთი მანძილზე ბევრი არ არის, ერთი ერთია და იქ გადაუხვიეს, — ბოლოს მანძილზე გადაუხვიეს.

ეს გზაც ვინ უწყის თუ საით გადი-

ოდა, მერე ვინ იცის თუ საით უქნეს პირი, — მოსანიშნებელს რაღა არაფერი გადარჩენილა: აღარც მუხნარის, სადარის კოშკებიო, აღარც ეკლესია, უფრო აღარე გვერანებული სოფლისა, აღარც სასაფლაოი, ამობრუნებული საფლავის ქვეებითა, დაღწილი ჭვრებითა, აღარც ის თელაი, მაღალი, მაღალი, ჭადარივითა, მართოდმართოდა ტრიალ მინდორზედა, სულ რო ირწეოდა და სულ რო ყვავი იჭდა კენწეროზედა, იჭდა და ირწეოდა. აღარაფერი გადარჩენილა.. ირწეოდა და აიფხორა, აიფხორა და წამოიყრანტალა. წამოიყრანტალა და ჩაჰკეცა ფრთები. აჰყვა ისე იმა რწევასა ის... ის უცებ შეჩერდა ელდაცემულივითა, ელდაც რო გახლდათ ის ყვავის ყრანტალი, ოღონდ იმან უფრო შეაშინა, მზე რო უკვე დაქანებულიყო, — მზეზე ირწეოდა ყვავი, მზეზე აიფხორა, ჩაიკეცა მზეზედა. დაულამდებოდან, შარავზით უთუოდ დაულამდებოდან და მიეცა ბილიკსა, მიეცა, მიეცა, მართლაც რო მიეცა, მიჰქროდა თითქოსაო, მიაპობდა ნიავესა თუ ნიავე ეხვეოდა ქამანდივითა თითქოსაო, და წყვეტდა ქამანდებსა ნიავისასა, წყვეტდა და წყვეტდა. გაშლოდა კულულეები, მზრებზედ რო ეყარა, გაშლოდა, სხივოდა, ბურბურებდა, ბურბურებდა მზეზედა და ლივლივებდა, ნიავე ლივლივებდა. მისდევდა ესეცა... ფეხდაფეხ მისდევდა, თითქოს უნდა დაიჭიროსო. მაგრამ არაო რაღა თქმა უნდა: იმას უნდოდა მზიურ შინ მიესწრო, ეს არ უნდა ჩამორჩენოდა, რაბან რო შეჰხვდა, რაბან რო თან ახლდა, თორემ ისე, ღამიან ერჩივნა, შერცხვენილი რო ბრუნდებოდა. ღამიან ერჩივნა. ღამეს სირცხვილის დაფარავც შეეძლო, დღეს — არა, მზეს — არა, მერე აგვისტოს მზესა, ღამეც რო კაშკაშებდა აგვისტოსი, მარიობის თვისა, კაშკაშებდა.

ჯერ არა.

ჯერ ჰო ყვავს ჩასცდა მზეი, ჩასცდა, დაგორდა ლიხზედა, დაგორდა.

შარავზე ავიდნენ. ივლიდნენ ასე, ერთხანს ივლიდნენ, მერე ისევე ბილიკი

მოსჭრიდა იქამდის მოითქვა სული. ნელა იარა. სულიც მოითქვა, იმედიც გაიმხნევა, — ეგება გამოჩნდეს, ეგება ხმა მოისმასო. არსაიღამ ხმა სული მაინც მოითქვა. მერე ისევ მიეცა ბილიცა, ოლონდ ისე ველარ მიეცა. დაიღობლა. ეს ჭროლევა მეტი გახლდა, ეს დაღლაც მეტი მოუვიდა. აღარც ქამანდებოთ, აღარც ბრაილით, აღარც ლივილივით. დაცივიდა კულულები მხრებზედა. წელი წელანაც ისე მიჰქონდა თითქოს ისარიაო. წელით ვერაო, ვერ შეეცხოვბოდა, ისევ კულულებითა, — ოლონდ ნიავეც თითქოს ჩაშრაო. დღე უერთდებოდა საღამოსა, უერთდებოდა თუ ეთქვიფებოდა, ეთქვიფებოდა თუ ერწყმოდა, ერწყმოდა თუ უნივთდებოდა და იყო მღუმარება შენივთებისა. და იყო შიში შენივთებისა. ამიტომაც თუ მიდიოდა, ისევ მიდიოდა, მიდიოდა და მიდიოდა, მიჰყავდა შიშსა, ძალა რო აღარ შერჩენოდა. ის მიდიოდა. ეს მისდევდა ისევ ისევე, ბილიცის წესისადა. ესმოდა თუ სუნთქავდა თუ როგორ მოუხშირდა, როგორ აერია, როგორ გაუმტანარდა, თითქოს ლამის რო შეუწყდა კიდევცაო. ატყობდა თუ როგორ მოხივდებოდა, როგორ დაქანულდა და მაინც როგორ მიუყარებლდა, თეთნულდიო, იტყოდა, უშბაათ, იტყოდი, ბრუტსამძელას აღარც იტყოდი. ასე ახლოს ახლდა, ასე იშორებდა თვალითა. მერეც ასევე, ხელი რო ჩაჰკიდა. თვითონვე ჩაჰკიდა თუ ამან შეაშველა, მაშინაც ვერ მიჰხვდა, მაშინვე ვერ მიჰხვდა, როცა რო მიჰხვდა, მიდიოდნენ ხელჩაკიდებულნი, მიდიოდნენ ბილიცზე, ერთის სამყოფ ბილიცზე ორნი მიდიოდნენ. მაინც ამაყად შეავლებდა თვალსა. უნდოდა, რო გაეშვა ხელი. მაგრამ აღარა ნებდებოდა ხელი, აღარაფერი აღარ ნებდებოდა, აღარაფერი, თვალების გარდა და უდგა თვალებში ელვა შეუვალობისა. მერეცა, მერეცა, ისევ რო გაუშალა კულულები ნიავესა, მერეცა, ამას რო ელაშენებოდა კულულები სახეზედა, მერეცა, მერეცა, გაიყრიდა კულულებსა და თვალს შეავლე-

ბდა ისე იმგვარადა, თითქოს გასტყორცნიდა ცხრამთას იქითაო. ეს შეიძლება რო იქაც გახლდა, ცხრამთას იქითა, რო დაიღალა და რო მიეშველა ეგება რო მართლაც ცხრამთას იქიდანაცა. მიეშველა. მიჰყავდა. მიჰყავდა და თითქოს რო შორდებოდა სოფელი. უკვე მოსჩანდა. დაიძრა ისიცა, ოლონდ თითქოს რო შესაგებებლად როდიო, თითქოს რო გაქცევა უნდო.

აი, აი...

აქ უნდა ჩავიღეს. წარწერილა ამისი სოფლის სახელი, წაუწერიათ, ისე ვერაფრით ვერ მიჰხვდებოდა. წარწერილა თუ გაშვერილა, გზას მიუთითებს, ისევე შეკრულსა რკინის ბადეებითა.

გაუჩერეს.

ჩავიდა.

აქედან ფეხით ივლის. დიდი მანძილი აღარ დარჩენილა.

აქ საღლა იყო...

ჭუკრილა იყო. ლიკლიკებდა, კრიკლებდა, კრულებდა, მოჭუკრიკლებდა. კუნელი ადგა, გადმოხრილი ქოლგასავითა, მოჩრდილება შეიძლებოდა, ქარის ამოლება შეიძლებოდა მუხლებიდანა, გაგრილება შეიძლებოდა გახურებული გულისა. თუმცა რო ჩრდილი აღარც ენებათ, მზე ჩავარდნილიყო. შესვენება უნდოდათ. ამას არც ისე, ანთუ სულაც არა, ოლონდ ის მოწყდა ისე უეცრადა, ხელიდან გაუვარდა თითქოსაო, ანთუ ეითომ რა თითქოსაო, მართლაც გაუვარდა, დაეშვა ისე მოწყვეტითა, კბოდეზე დაეშვა, ველარც რო მიატანა ჭუკრილა ამდისა. და ველარც ამან მიუტანა წყალი. მუჭით მიჰქონდა და ეღვრებოდა იქამდისა. ამან გააღიმა, ისა ცხადია, რო ეღვრებოდა, რო მაინც მიჰქონდა და მაინც ეღვრებოდა. გააღიმა. უკარება შუქი მაინც არ ამორთმევია თვალთაგან, არ ამორთმევია, არც მერე, ხელი რო გამოართვა, სველსველი ხელი, შუბლზე რო გადაისვა ამისი ხელი, თვითონ გადაისვა. ეს მისდევდა ისე, ხელი ამისი, სველი ხელი, მისდევდა ისე, თითქოს...ო, არა, არა, არ ივარგებს აქ შედარება.

არ ივარგებს. დაე ასე იყოს, — მისდევდა, მიჰყვებოდა ნებისადა, ხოლო რო შებნა ხელი, რო შეაშრა ცხადია, ეს მაინც ამან მოიფიქრა, გაიქცა, კიდევ ჩაისველა ხელები წყალშია, ჩააღბო, ჩააცივა, მოუტრებინა და გაუშვირა. ეს მაინც მოიფიქრა. ამას არ ახსოვს თუ რა სახით წარუდგა, ანთუ როგორ დაახსომდებოდა, — როგორ გაუშვირა, როგორ შეპყურებდა, არ ახსოვს ცხადია, რო ვერც დაინახავდა თავის თავსა, ოღონდ აღბათ რო სასაცილო გახლდა, აღბათ რო, აღბათა, იმას რო აუტყდა სიცილი, გულიანი სიცილი, უკარება შექი რო გაუქრა ერთბაშადა, ისე გულიანი, ისე წრფელი, ისე უშუალო, აუტყდა, და ისედაც გამოართვა ორივე ხელი ორივე ხელითა, ორივე ერთად მიიღო შუბლზედა და ისე ერთადვე ჩამოიკურა ქვეით-ქვევითა, ისევე, ისევე, იმავე ატეხილი სიცილითა. ჩამოიკურა. არც რო ჩამოჰყვა ის სიგრილე თუ სისველე, შეაშრა ერთბაშადა, შეაშრა, გაფიცხდა ხელები. უნდა ისევე გაქცეულიყო. ველარ გაიქცა. ველარც დაიძრა. ველარც რო მოსწყვიტა ხელები. აღარც ის იცინოდა. თითქოს ეს სულაც დაეფიქებოდა. ცას შესტკეროდა გაოცებული: ის იყო რო მზე ჩააცილეს, დღე იდგა ისევა და აციფებულ იყვნენ უკვე ვარსკვლავნიცა, — დღე იდგა თუ ღამე მოსულიყო?.. ცას შესტკეროდა გაოცებული. ეს უშლიდა, ეს რო დასჩერებოდა, ეს უშლიდა თითქოს რო უნდა გადაეწია თავი, თითქოს რო ამასაც უნდა შეეშვა ხელი, მაგრამ ვერაო, ვერ შეეშვა, ვერ მოეცილებინა, და ცურავდა ლოყები, ანთებული ლოყები, ცურავდა, ცურავდა, გაფიცხებულ ხელებში ცურავდა.

აქ საღდაც იყო...

ნელნელა ჩაუყვა მავთულხლართებასა.

ვერ ივარაუდა.

შებრუნდა.

აყვა და ჩაყვა, ჯერ რო აქეთაო, მეორე იქითა.

აყვა და ჩაყვა, აყვა და ჩაყვა.

ვერა, ვერ ივარაუდა, ვერ მიიტანა გუმანი. გამბულიყო მწკრივები, ვაშლი საი თვალმოუწყდენადა, მწკრივები, მწკრივები, საიდანაც რო გაჰხედავდი, ისე და ისევე ნირუშლეღადა. ამას მაინც ეცვალა ნირი. უცებ მოაწყდა ერთი ქოფაკი, მყისვე რამდენიმე მოაწყდა მავთულხლართებსა, აქეთაცა, იქითაცა, ზევითაცა, ქვევითაცა, მოაწყდა, მოაწყდნენ. მოაწყდნენ და გადმოველებოდნენ ზევიდანა, ანთუ მართლაო, ანთუ ლამისაო, პატრონები რო არ წამოსწეოდნენ. ამასაც შეუძახეს, იმათაც შეუძახეს, გააშორეს რო ყვეფითა, ყაყყავითა, ამისიც გაიგეს, ხილისათვის რო ეტანებოდა ღობეებსა, გაიგეს, დაუჯერეს, გაირეკეს ძაღლები. გაირეკეს... უცხო ძაღლები. საიდლანდაც რო მოეწვიათ პატრონებიანადა თუ მწვრთნელებიანადა, რო არ მოეპარა ხილი არავისა, ოღონდ რომ მართლაც მთელს სოფელს რო ეპარა, დღე და ღამ რო ეპარა, ვერ მოიპარავდა იმდენს მაინცა, რამდენიც რო ისინი უჯდებოდათ. ვერ მოიპარავდა ვერასდიდებითა. მაშინ ვერ მიმხვდარიყვნენ, თვალხუჭულა რო წყვეტდნენ ყველაფერსათუ თვალხუჭულა რო დაითანხმებდნენ ხოლმე. მერეღა მიხვდნენ. მერე აღარ მოუწევიათ. რალაც ჯარიმები თუ რალაც ასეთები მაინც გადააბდეინეს. თუმცა ეს უკვე სხვა თავშისაცემია. აქ მხოლოდ ის ითქმის, ჯერ მაინც რო ვერ მიმხვდარიყვნენ, რო მოაწყდნენ, რო მოუგერიეს, რო ვერ ივარაუდა, რო განაგრძო, გზა რო განაგრძო, აქ მხოლოდ ეს ითქმის.

ვერ ივარაუდა.

ვერ მიიტანა გუმანი, ვერა.

მისანიშნებელი აღარაფერი გადაჩენილიყო.

იწვნენ იქავე, იმავე კბოდნე ჭუკრი-ალასთანა, გულაღმა იწვნენ. იმან წაიტირა, ცოტა წაიტირა, ამან ვერაფრით ვერა სცა ნუგეში. თვითონვე გაჩუმიდა, ისა ცხადია. კვალი ცრემლისა ბზინავდა ისე, თითქოს ვარსკვლავი დასჯდომიო. იწვნენ. იწვა. აღარა ჩქარობდა,

ლამე რო ჩამოდგა და ისევ დღესა ჰგავდა, უმზეო დღესა. აღარა ჩქარობდა. აღარც აღარაფერი აწინებდა. აღარაფერი. მოჰხდა, რაც უნდა მომხდარიყო. მოჰხდა უშიშრად, უბრალოდა, უშუალოდა, თითქოს ვერც გაიგეს თუ როგორ რა მოჰხდაო. როგორაო. რანაირადაო. რაც მოჰხდა, მიჰხვდნენ, მერელა მიჰხვდნენ და იმან იმიტომაც წამოიტირა. ცოტა წამოიტირა. გამოიტირა. მერე იწვნენ. იწვნენ. რაც მოჰხდა, მოჰხდა, ის თუ იმდენი არაფერიო, ის აფიქრებდა თუ რა მოჰყვებოდა, ის აფიქრებდა, ცას შეჰყურებდა და ის აფიქრებდა, აფიქრებდა და ვერ აფიქრებდა, ისევ ვარსკვლავებს ითვლიდა უაზროდა, ითვლიდა და ითვლიდა. დუმდა. მდუმარედა. არც ის ამბობდა არაფერსა. მერე ის წამოდგა. ხელი გაუწოდა და წამოაყენა ესეცა. ჩანთებიც იმან წამოჰკრიფა, თავისიცა, ამისიცა. თვითონვე მიჰქონდა. ამისთვისაც ჩაეკიდა ხელი. ესეც მიჰყავდა თითქოსაო. თითქოსაო და მართლაც რო მიჰყავდა, ფეხი რო ებმოდა, რაღაც რო ბორკავდა თუ უკან ეწეოდა ფეხი. ისევ ის შეჩერდა და შეაჩერა ესეცა. გზაჯვარედინზე იდგნენ. ერთ მხარეს იმას უნდა გაეხვია, მეორე მხარეს ამასა, ეს ჩვეულბრიფა, მაგრამ ახლათ...

იმან იკითხა, რო შეაჩერა სწორედ ეს იკითხა:

„ახლა?...“

„ჰა?...“

ამანაც იკითხა.

„ბარემ წამოვიდეთ?...“

მერე ეს იკითხა.

„ჰა?...“

იგივე აღმოჰხდა ამასა.

„თუ?...“

შეფიქრიანდა და ისე იკითხა.

„ჰა?...“

იგივე აღმოჰხდა ამასა.

„...ხვალ თქვენები მოვლენ ჩვენთან?...“

„ჰო...“

იგივე აღმოჰხდა თუ ამგვარად აღმოჰხდა, ვერ გაარკვევდი, რო აღარა

ჰგავდა აღარც კითხვას, თანხმობასაც რო არა ჰგავდა. მალე შეინკრაღაცას დაემგვანა: რო მიაჩნდათ თუ არა, რომ შეტრიალდა, რო ვაიქცა თუ გაუყვა ცეკვითა, — ხსნას დაემგვანა, ასე მოეჩვენა, ასე მოელანდა თუ გამოეყვითა ასე ცხადლიფა. მანამდე მოეხვია, აკოცა, გამოემშვიდობა მხურვალედა, ის არაფერიო, ეს იყო, რაც იყო, ხსნა იყო ესა, ეს შვება გახლდა, რო მიჰხვდა, რო უნდა გაქცეულიყო, რო მიჰხვდა, რო ველარ იბოგინებდა სოფელშია, ვერა, ვერა, ვერ იბოგინებდა; თუ დარჩებოდა, სულ დარჩებოდა, სულა, სულა, სამუდამოდა. ოჯახი დაზიდავდა, ჩიბამდა ოჯახი, წაუჯავდა, წაღუნავდა ნაადრევად, მიწაში ჩაუკრავდა თავსა, ცხვირს ჩააყოფინებდა და ჩაუკრავდა, ჩაუკრავდა და ჩაუკრავდა. ჩამოუვლიდა ბრიგადირი და — ჰეჰეი, ჩქარა სამუშაოდაო. მერე უნდა ეთვალა შრომადღეები, მერე უნდა ეთვალა, რა დამაკლესო, მერე უნდა ეჩხუბა, ეყავყავა სალაყბოზედა, მერე უნდა ეცა თავშია, როგორ გამოეკვებო ცოლშვილიო, მერე უნდა ეპარა... მერე... მერე... და მერე ავარდა ბოლი თუ კორიანტელი აირია, ამორიყდა, აირია, აირია ყველაფერი და ჩაიკარგა იმა ბორიყშია, ჩაიკარგა, ვადაიკარგა. ვადაიკარგა.

ვადაიკარგა.

დახუჭა თვალები და ვადაითვალა ხუთი ათეული.

შეჩერდა, თორემ მეტიც გამოუვიდოდა, რაც რო ეს ღრუბელი აღარ დაენახა, თავისი სოფლის ღრუბელი.

მიდიოდა, მიდიოდა, მისცურავდა ღრუბელი. იწეწებოდა და მისცურავდა ხუთი ათეულიცა კმაროდა.

ვადაიკარგა.

თუმცა ეს მხოლოდ აქედანაო, რო შესცქეროდა სულ სხვა ღრუბელსა, თორემ დაკარგვით არ დაკარგულა რაღაცა თქმა უნდა: ისწავლა, იღვაწა, სახელი მოიხვეჭა, შემოიარა ლამის მსოფლიოთ აგერ ამ თავისი „დიპლომატიითა“, აგერ ახლაც რო მიაქანავებს, იქაც რო იფარა, მავთულხლართებთანა, ქო-



ფაქტები რო კინალამ გადმოეჭრნენ, — ლამის მსოფლიოთი, მთელი თუ არა ნახევარი ჰო ნამდვილად, ესეცა კმაროდა, ანთუ მეტიც გახლდა იმა დღის მერე, იმა ლამისა თუ იმა დაუღამებელი დღის მერე. ესეცა კმაროდა. სახელი გაეთქვა თავის დარგშია, ლათინურად რო ენას მოიტებ და ამიტომაც არ ვიმეორებ თუ რა დარგია, არც საჭიროა, აქ მთავარი რო მხოლოდ ისაა, სახელი რო გაეთქვა და იწვევდნენ ყველგანა, ყველა კონგრესზედა თუ კონფერენციაზე თუ სიმპოზიუმზე თუ კოლოქვიუმზე თუ რაც რო ერქმოდა, იწვევდნენ და იწვევდნენ, კომისიებშიც ჩართავდნენ ყველგანა, საგანგებო მრჩეველებშიც ჩართავდნენ, ჩართავდნენ, იწვევდნენ და მოეწვიათ ახლა თბილისშიცა, იქაც რო ჩამაგრებულყო ერთი ამისი ნამოწაფარი, ჩამაგრებულყო ისე იმგვარადა, ჩამაგრებულყო თუ მომაგრებულყო, უკვე კონგრესი რო მოეხმო თავისთანა, მსოფლიო კონგრესი, მოეხმო, მოეწვია, და მოეწვია მასწავლებელიცა რაღა თქმა უნდა, ჩრდილოეთიდან მოეწვია და ელო „დიპლომატში“ მოხსენებაი, მთავარი მოხსენებაი, პლენარულ სხდომაზე რო უნდა წაეკითხა რამ გადაკარგა, — რა სათქმელია. ეს ღრუბელიც იმდენი არაფერი. ღრუბელი ყველგანაა. ღრუბელი ღრუბელია თუ არა და აჰა, აჰა, აგერ ეს ღრუბელი და აგერა ის გზაჯვარედინიცა..

ის გზაჯვარედინი...

ძლივს ივარაუდა.

მაინც ივარაუდა. ყოჩაღ!... მაშინ ეზოები გაშლილი გახლდა, ეზოები არც რო ეთქმოდა, მთელი სოფელი რო გადაშლილიყო, გადახსნილიყო, გადაღლილიყო. ფართო შეუკები ჩაუღიოდა. ანთუ შეუკები არც გეკითხებოდა, გადასჭრიდი სოფელსა, როგორ რო გენება, საითაც გენება, გადასჭრიდი, მოიმოკლებდი ახლა რო ველარ მოიმოკლებდი. შემოეღობათ, გადაეღობათ, შემოერტყათ მაღალი კედლები, სქელი კედლები, რკინისა თუ რკინაბეტონისა, გზებიც შიგნით მოეყოლებინათ, შეუკები-

ცა, რუებიცა, ამოეცოთ და მოეყოლე ბინათ თეთათვიანთვისა, რკინისა შეშეკები დაეტანებინათ, დაედღეს: თითქმის ცხრა-ცხრაკლიტული. ძირს ჰიანჭველა ვერ გაქვრებოდა, მაღლა ფრინველი ვერ გადაჰბედავდაო. გული მოეწურა. მხრებიც მოეწურა. ანთუ ჯერ მხრები მოეწურა, მერეღა გული, ძლივს რო გაეგია შეხუთულ შეუკებშია. კერძო ერქვათ და გადახსნილიყვნენ, კოლექტივი მოუტანეს და შეღობილიყვნენ, შეეკტილიყვნენ, არც რო არავის დანახვა უნდოდათ, არც რო ხმის გაგონება უნდოდათ არავისი. შეღობილიყვნენ. ძლივს გაეგია და ძლივსაც იცნო იცნო. იქ უნდა გაეხვია... ის აქეთ წაივიდა, ეს იქითა. იცნო. ამის კარს მაინც არ ედებოდა ცხრაკლიტული, კარსა, ჰიშკარსა. დედა ყველაფერს ატყობინებდა. ეს ეკითხებოდა მოიკითხებდა. ატყობინებდა ისიცა, ნატრულობდა ამასაცა ცხადია, ევედრებოდა ჩამოდიო, ერთხელ მაინც დაგინახოო, დაგინახოო, რაც რო მახსოვხარო, როგორც რო მახსოვხარო, ეს ვისი რა სურათებია, რო მიგზავნიო, შენი თუ არის, შენ აღარა ხარო, სხვისი თუ არის, მე რად მინდაო, ანთუ რაც არის თუ როგორიცა. ხარო, ოღონდ ჩამოდიო, ოღონდ ჩამოდიო. რკინის ჰიშკარზე არაფერსა სწერდა, არც ბეტონის ლობეებზედა, არც ცხრაკლიტულზე რაღა თქმა უნდა, ოღონდ მაინც გამოეკტილიყო, მოეჩვენა, რო გამოეკტილიყო. მოეჩვენა. ცუდად ენიშნა. ჯერ გული შეუქანდა, თვალი აუჭრელდა და მერეღა ენიშნა ცუდადა. მუხლიც მოეჭრა. ჩამოჯდა დიდი ლოდი ეგდო, ვინ უწყის თუ როდიმდელი, ნიშანი იმისა, რო აქ ამათი კარმიდამო გახლდა. ამითი იცნო. ამითიც იცნობდა. ჰიშკარიც ეს იყო, ლობეც ეს იყო, მეტი არც არაფერი უნდოდა, თუმცა სხვებს რო მიედგათ ლობეები თუ კედლები მკვიდრი, ესეც ისევე გამოჰედლილიყო, გამოჰედლილიყო ძველი სახლი, ჩამოცვენილი კრამიტებითა. ჯდომაც გაუჭირდა. ადგომაც გაუჭირდა. სუნთქვაც გაუჭირ-



და დაძახებაც გაუჭირდა, ანთუ ვერც გაბედა, შიშობდა, არავინ მიპასუხებდა. ეგება წამიერად ბინდიც გადაეკრა. რო დაეწმინდა ალბათ რო ბინდი, ხელი დაინახა, ჭიქა გაარჩია, ვიღაცა აწვდიდა წყალსა არც ჩამოურთმევია თუ ვერც ჩამოართმევდა, ისევე მოსვა, იმის ხელიდანა ცოტა მოეფონა.

მოეფონა.

ცოტა.

ცოტა.

მერე ყველაფერი ისე ესმოდა, თითქოს ამას არც შეეხებოდა. ვანიცადა და შორჩა, მერე სიტყვები ცვივოდა უბრალოდა, ვითომც რომ სხვისი ამბავი არისო. ის ქალი უყვებოდა, ვინც რომ მიაწოდა წყალი, დედა რომ გარდასცვლოდა, იმას უყვებოდა, რომ გაეპატიოსნებინათ წესისადა და რიგისადა, იმას უყვებოდა, რომ უშლიდნენ წესებსა და ვერ მოეშლევიანებინათ, იმას უყვებოდა, რომ ამისთვის ვერ შეეტყობინებინად და, რომ წუხდა სოფელი, იმას უყვებოდა. სასაფლაოზეც ის წაუძღვა, სანთელ-საკმელიც იმან გაიყოლა, მცირე რამ ნუზლიცა, ზედაშეცა, ჭიქა რომ წაექცია შეიღსა. მანქანაც იმან მიასწავლა, შინ გაჩერება რომ აღარ ინება, გზაც იმანვე გაუთავაზა და იმანვე დაამედა, საფლავსაც მივხედავთ, სახლკარსაც მივხედავთ, ნურაფრის დარდინუ გექნებაო. ნუ გექნებაო. და არცა ჰქონდა, გამომშრალიყო, გამოფიტულიყო, გამოფულურილიყო. იქ კიდევ ჰო, იმ ჯერ კიდევ შეუმშრალ სამარესთანა, მერე მინც სულ აღარაფერი გაეგებოდა, აღარაფერი. იღო მანქანაში. იღო. იღო. მანქანა მიჰქროდა იმავე ლობებში, რკინის ლობებში, მავთულხლართებში. ამას აღარც ეს აწუხებდა. აღარც ბილიკებს მოინიშნებდა. ჰო ველარც მოინიშნა, ზევრსაც რომ ცდილიყო, გადაშლილიყო რომ ყველაფერი, გადაშლილიყო, გარდასულიყო, გამქრალიყო ტრიალი ველები ზედ წამომსხდარი სოფლებითა, ბალ-ვენახები რომ გარს მოჰხვეოდა, თავისი, საკუთარი ბალ-ვენახები, დიდი, დიდრონი კა-

კლებითა, ლამის ზეცამდის რომ აზიდულიყვნენ, გადაშლილიყო, ჩაქმულიყო. მიჰქროდა. მიჰქროდა. ღდა რის ჩანჩადა-რა თუ რისგან იყო, ცოტა რამ ღონე მოიკრიფა თუ როგორ რა იყო, ცოტა რამ აზრიც მოიგროვა და მიჰხვდა, რომ ის იყო, ის იყო ის ქალი, ის გოგო იყო, გზაჯვარედინზე რომ მიატოვა. არ ეცნო თითქოსა, მაგრამ უთუოდ ის იქნებოდა არ ეცნო თუ არც გაჰხსენებია, აღარ გახსენებია თავის კართანა, თორემ იცნობდა, რომ გაჰხსენებოდა. იცნობდა. იცნობდა. თუნდაც ვერ ეცნო, ის იქნებოდა. გამოიცვლებოდა. ესეც ჰო ვერ ეცნო თავის დედასა, ვისია ეს სურათები, რომ მიგზავნიო. ვერ ეცნო. უძვირდა. ის იყო, ის იყო, ის იყო უთუოდ. და უცებ ისე აუჩოჩქოლდა გული, ისე იმგვარადა, სული შეუგუბდა და ხრიალი დაიწყო. მძლოლი მიჰხვდა, რომ საავადმყოფოში უნდა მიეყვანა. და მერე იწვა საავადმყოფოში. გადაბრუნებულიყო კედლისაკენა და ისე იწვა. თუ რომ უნდა გადაბრუნებულიყო, თვალს არ უსწორებდა არავისა, ექიმი გახლდა, ექთანა გახლდა, ანთუ ვინც გახლდა, თვალს არ უსწორებდა. გადაბრუნდებოდა ისევე იქითა, კედლისაკენა და სდიოდა ცრემლი, უხმოდა სდიოდა. სდიოდა. სდიოდა. დედას ცოცხალს რომ ვერ ჩამოუსწრო... გზაჯვარედინზე რომ მიატოვა... მიატოვა... და რომ თანაუგრძნო ისე იმგვარადა, ვითომც არაფერი არც მომხდარაო. რა დრო გასულა... რა იარები მოშუშებულა.. მოშუშებულა?.. ვინ იცის, ვინ უწყის თუ რა გამოიარა, რა გადაიტანა, ან ეს რად დაუჯდა, რომ მიეწოდებინა წყალი, ზედაშე რომ მიეტანა, სანთელი რომ აენთო, ვინ უწყის რად დაუჯდა?.. ვინ იცის, ვინ უწყის თუ რას განიცდიდა, სასთუმალთან რომ უჯდა მომაკვდავსა... ანთუ მანამდე, თუნდაც იმ ღამესა, თუნდაც იმ დღესა, რომ ელოდა და რომ შეიტყო.....?.. ვინ იცის?.. ვინ უწყის?.. თვითონ ჰო იცის.. და არაფერი არ აგრძნობინა, არაფერი, ვითომც რომ უცხო ვინმე ყოფილიყოს, საიდანღაც შემო-

ხეტებელი, პირველად რო შეველოს თვალი; ვითომც რომ არაფერიც არ მომხდარაიყოს კბოდებოდა, შუკრიალასთანა, კუნელი რომ წამოხრილიყო, ვარსკვლავები რომ დაჰხვეოდა ფუტკარივითა, ვითომც რომ არაფერი მომხდარაიყოს, ანთუ ისევე აღმოფხვრილიყოს, როგორც ის კბოდეი, ის შუკრიალაი, ის კუნელი თავს დახვეული ვარსკვლავებითა... ის ბილიკი... ის ბილიკები... ისევე... ისევე... როგორ თანაუგრძნო?! ეგება ელოდა, თვითონ მიცნოსო?... ეგება?... ამას აღარაფერი გაეგებოდა, აღარაფერი, ელდა რომ ეცა ამოწყვეტილ კარმიდამოსთანა, მერე ჰო აღარ გაეგებოდა, მისდევდა სულით ხორგაყრილი, იღვა ისევე სულით ხორგაყრილი, ისევე წაუქცია ზედაშეცა. სანთელი ჰო იმან აანთო!.. მაინც აანთო, სანთელი აანთო. და სდიოდა ცრემლი, ვიდრე მოიკრებდა ძალონესა.

ვიდრე მოიკრებდა.

მოიკრება და წამოდგა.

კონგრესმაც ჩაიარა. წარმატებით ჩაიარა. ამან ვერ მიუსწრო პლენარულ სხდომასა, ვერც სასექციო შეკრებებს მიუსწრო. მოხსენება „დიპლომატი“ ჩარჩა. ვერ ამოიღო. ვერ წაიკითხა. ვერ განიცადა ტაშის სიხარული თანამემამულეთა შორისა, ეს ვერა, თორემ მოხსენება კიდევ გამოადგებოდა. სხვაგანაც მიიწვედნენ. უკვე მიეწვიათ. აქ მაინც გამორჩა ექსკურსიებიცა, საზეიმო შეხვედრებიცა, ესაა, ესაა, რომ გააცილეს მაინცა, ზემოთ გააცილეს, რომ გააცილეს სხვებიცა, დელეგატები იმა კონგრესისა: ასეც, აქამც, დროატარებინეს, ლამის თან გადაჰყენენ და გააცილეს, რომ უმაღვე სხვები მიეღოთ, სხვა კონგრესებისა თუ სიმპოზიუმების მონაწილენი, სხვადასხვა მოლაპარაკებისა თუ სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მონაწილენი, რომ თან გადაჰყოლოდნენ იმთაცა, რომ საყვედუ-

რიც მიეღოთ თუ ვინმეს რაიმე ეწყინებოდა, ანთუ კექი აეშლებოდნენ ეწყინებოდნენ თეზის ფხა გაეჩხირებოდნენ ეწყინებოდნენ ელოთ საყვედური თუ მეტი არა, ხოლო მოგება სხვაგან წასულიყო. გააცილეს ერთისიტყვითა, ზემოთ გააცილეს. მანამდე შეჰხვდა. ჰო შეჰხვდა. შეჰხვდა...

თვითონვე ეახლა.

ეახლა იმ დღესა, რომ უნდა გამოეწერათ საავადმყოფოდანა. კალათი მიართვა. ვაზის ფოთლები ეფარა ტუბილისკვერსა, ქაღებსა და ნაზუქებსა. მცირეზე ბოდიშით, რომ შემავგვიანდა, ამაზეც ბოდიშით.

— თქვენა?!

გაიკვირვა ამანა, ძალიან, ძალიან გაიკვირვა, ისე თავიც რომ არ აუწყებია, ხელს რომ დაჰყურებდა კალათის ყურზედა, ხელსა, ნაცნობსა, უკვე ნაცნობსა, წყალს რომ აწვდიდა ლოდზე ჩაეცილსა.

— მე!!!

გაიკვირვა იმანაცა, უფრო ძალიან გაიკვირვა, რა უკვირს ასეო.

— ოოოოო... როგორ ვტყუივარ!!!!.

წარმოსთქვა კაცმა, ისე წარმოსთქვა, ისე ამაღლებულადა, ზეაწვითა ისე, რომ უფრო გაოცდა ქალი, თვალეზიც გაუღიღდა, თითქოს რომ პირიც დაალოო.

— თქვენ...

ისევე განაგრძო კაცმა, ცხადია, იმავე ხმაზედა, თან რომ ეტყობოდა, ვრცელი რამ სიტყვა უნდა მოადვენოსო.

— მე არა...

ქალი გონს მოეგო:

— მე არა, — გაიმეორა ქალმა, — მე თქვენებიანთ რძალი გახლავართ. იმ შემოდგომით მომიყვანეს, თქვენ... თქვენ რომ წაბრძანებულყავით...

მერე ჰო გააცილეს. ავიდა, ავიდა თვითმფრინავი. სხვა თვითმფრინავი დატრიალებდა თბილისის თავზედა, დატრიალებდა, დასაქლომს ექებდა.

ოთარ ჭელიძე

### ბავშვებს დავურიგებ ნატურისთვალს

ღამის მეზობირში გადაშეების  
ქაში ანდამატის მამაგნიტებს  
და თუ ამალამაც გადაერჩები,  
პეშვით ამოხვეტავ მარგალიტებს.

ზღაპრულ საგანძურთა მამიებლად  
ვინც ამ სამწუხროში გაჩენილა  
მისთვის წამიერი წაძინებაც  
ჯვარცმის მავიერი სასჯელია.

ბნელში ბალღობიდან ვემაღები  
ხედრს და ყიამეთის გამღვიძებელ  
ფეთქვით მამრუებენ ყერიმაღები,  
სანამ სისხლძარღვები გამიძლებენ.

ულრმეს კუნაპეტში ვიყანგები  
და ჩემს ტკივილებად აკრისტალებს

ღამის ოკეანე ნიქარებით —  
განა მარგალიტებს — ნატურისთვალებს.

ბოლოს ამოვევინთავ დაქანცული,  
ვიდრე გამოკრთება სილაყვარდე,  
მაგრამ უმდიდრესი საგანძური  
ხელში მიორთქლდება რიყრაყამდე.

განძი — თვალწვედნი სიღრმეების  
ყრმული ხილვებივით გამიქრება,  
ვისაც მამერებდა სიბერემღის  
ქამთა სიავეზე დაფიქრება.

რადგან უიღბლობა ბალღობიდან  
მღვრეე მორევებში მატრიალებს,  
როცა გამიმართლებს, გაუღიმა  
ბავშვებს დავურიგებ ნატურისთვალებს.

### ძველი გრიმიორი

ძველი გრიმიორი იჯდა  
ჩრდილში, რჩეულ მწერლებთან,  
ლეო ქიაჩელი დინჯად  
ნაგრამს უღლეგრძელებდა.

თბილისს, ჭოჯოხეთურ სიცხეს  
ადრე გამოქცეული  
სიტყვის ჭადოქრებმა იძმეს  
მგოსნის მამა სნეული.

თანამეცხედრესთან ერთად,  
წმინდა, როგორც ღვთის ელჩი,

ენთო ბერიკაცი თეთრად  
შემოდგომის ქვიშხეთში.

მჩატე იმერული დოქით  
მაჭრის დასახმა უჭირდა,  
ვისაც საბრჩობელას თოკი  
ფრჩხილით გადაუჭრია.

ბოლოს გაქცევიდა ჭვარცმას  
გრიმიორი ენაშუე,  
ვისაც სიჭაბუკე დარჩა  
სცენის მიღმა სცენაზე.



ახლა ჩრდილიანში დინჯად,  
სიტყვის გაუგრძელებლად,  
ტველი გრიმიორი იჭდა  
სახელგანთქმულ მწერლებთან.

მათგან განშორების დარდით  
ღამეს კლავდა ღეთის ელჩი,

დღისით აცოცლებდა ნარდის  
ამღერება „ბიჭებში“.

და ვინც უწილადა სისხლი  
სამძოს რჩეულ მწერალთა,  
ბოლო შემოდგომა მისი  
ქართლის ციდან ცრემლავდა.

### კათარზისი

ყველა ჭავრიანი კაცის  
სიმწრის სიკვდილამდე ზიდვა  
აღრე დაებედა ყმაწვილს  
და ამ უძნელესი გზიდან  
ველარ გადაუხვევს აწი,  
რადგან საუკუნე ზრდიდა,  
მამინაცვალევით მკაცრი,  
ცრემლის უზარმაზარ ზვირთად,  
რომლის ყოველივე წვეთი  
ყველას მწუხარებას იტევს —  
ვისაც გასწყრომია ღმერთი

და ვინც გამწარდება კიდევ,  
ოდეს გარდაიწყვეტს იმედს,  
რითაც საწუთროში ძლებდა,  
სანამ გასწირავდა ბედი;  
მაგრამ საგუბარი ცრემლთა,  
ალბათ, გადაანგრევს კიდეს,  
რათა დედამიწას წარყვნილს  
იგი განზანვიდეს, ვიდრე  
ჟამთა სიივესთან ერთად,  
ცაში აგვეფანტავდეს ფერფლად  
გრგვიწვა ატომური წარღვნის.

### ნაყარალარი ბიკარევის ნათქვამი

ბალადა

„...როგორმე ზამთარს თუ ვაღაფურჩი...“  
გალაკტიონი

I

უნდა მოვეკალი ყაჩაღს,  
მაგრამ დასახარჯი ტყვია,  
რომლის იარაღშიც დარჩა —  
მოწმე საბაღურის ტყეა.

სროლა დავასწარი უმაღ,  
აღარ დავაჯადე გარჯა,  
მოკლე კარაბინის ლულამ  
ყაჩაღს გაუხვრიტა მაჯა.

დავანებებინე თავი  
ძმათა, უპოვართა ძარცვას...  
ბოლოს ორივენი, აი,  
ერთად ჩავცქერივართ ნაცარს.

სანამ ნაფუძარში ჩაგვეფლავს  
სწორ და ნაყარალარ კაცებს —  
განუკითხოობა ჟამთა  
ნაცარქექიებდა გვაქცევს.

II

იმ და ამქვეყნიურ ამბებს  
მობუც კერისთან ვყვებით  
და ვნთქავთ ვალიდოლის აბებს  
განზე მოქცეული ყბებით.

წამით წათვლემისას გეტაცებს  
ზღაპრის გაღვივებულ ღადარს;  
თავზე ყაჩაღევით დამცემს,  
როგორ გადავურჩეთ ზამთარს?

ორი წარმავალი ბატონ  
დროის მდინარეებს შევცვლით,  
როცა მომავალი სამტროდ  
აწმყოს ემუქრება ცეცხლით?

— აჰა! — შევაჩერებ ხელში  
შეშის დასაჩეხად ნაჯახს, ვნულო  
სჯობდა — საბადურის ლევემთქვე  
აღრე მოვეკალი ყაჩაღს.

## ტაკულა

ძმათა არდასანდობად  
ჰკუა ტყვიასავით გვიჭრის,  
გვიკვირს გზაზე დახვდომა  
ვიღაც ბერბიჭანთ ბიჭის,

როცა გვჭირს უარყოფა  
ყველა ჰეშმარიტი ნიჭის —  
გვემარჯვება გაყოფა,  
ოღონდ გამრავლება გვიჭირს.

## გამადიდებელი შუშით...

გამადიდებელი შუშით  
გინდა ჩაახედო ყველა —  
ჯერ არ დაბერებულ სულში,  
რო არ ჩაგცხრობია ღელვა,

შენი ბალადების წიგნიც  
იგლეჯს ლიდერინის მუნდირს,  
რადგან გარეკანის შიგნით  
ეწვის ანაბეჭდი ქურდის.

რო არ აგლეწია გლახად  
სახე გატანჯული ბერის,  
როცა შეღეწილი დაგხვდა  
კარი საკუთარი კერის.

კბილებჩამოყრილმა ცინგით,  
გერმა გაფიცრული ტუნდრის  
თუ ვერ წაიყოლა იგი,  
ეგებ დამარცხებას უღრის?..

და რაც აგაცალა გუშინ  
ქურდმა, უჭომაგო პოეტს, —  
ველარც გამქვირვალე შუშა,  
ველარც ნატერისთვალე ჰპოვებს.

კარს კი არაფერი უშავს,  
ხვალვე გამოუცვლი საკეტს,  
გამადიდებელი შუშაც  
შენთვის გადიქცევა სარკედ...

მაგრამ აგტკივდება წამით  
ყველა დაკარგული ნივით,  
როგორც ბალღობაში წალღით  
ფრჩხილთან გადაჭრილი თითი.

და შიგ ჩაიხედავ, სადაც  
ბნელი ჯადოსნური წრეა;  
ალარ გადაგიდებს ვადას  
ბედის გარდუვალე წერა.

ველარ გაგეცლება უცებ  
მათზე სინანული ღარიბს,  
ჰმუნვა ნაიარალ შუბლზე  
უფრო გაგიღრმავებს ღარებს

წყენა ჩაბარდება წარსულს,  
როცა აღმოჩნდება წამსვე  
კაცის თავისქალღებასხმულ  
ძველი კრიალოსნის ძაფზე.

ველარ დაიბრუნებ საათს,  
რომლის ისრინა მინით  
მამის უკანასკნელ წამთა  
წივის გაწყვეტილი სიმით.

ვინდა გაიხსენებს — ელვას  
როგორ იგუბებდი სულში,  
სადაც ახედებდი ყველას  
გამადიდებელი შუშით.

## ჩემი და შენი

რომანი

ხალითის მუხვილე რვეული

მეხიზონე

ჩემო გულო, ვწუხვარ, მეხათრება, რომ ასე ჩაგფალი რვეულებში და რომ, აა, აღარ გეშვები. ამ ოკეანეში, შენი-ანის თვით მონატრებაც კი დიდი ხე-გეშია, ხოლო თუ გვერდით გყავს კაი კაცი, ვისაც გულს გაანდობ და სიტყ-ვას გაუზიარებ, მაშინ, რაღა სათქმე-ლია. ბედნიერი ხარ. ასეთი კაცი ჩემ-თვის შენ ხარ, ეს შენც კარგად იცი. ჩემო გულო. არ გამიჭაგრდე, შენი ჭი-რიმე.

რაც მართალი მართალია, ხანდახან, მარტო, აქ შუა ოკეანეში კი არა, სა-ერთოდ, ყველგან, სიკვდილზეც ვფიქ-რობ. არა, გემის დაღუპვის, ან საერ-თოდ ზღვის სულაც არ მეშინია. აქ, ამ სტიქიაში ყოფნის გამო კი არა, უბრა-ლოდ, ისე, ჩვეულებრივად, ვფიქრობ ხანდახან სიკვდილზე. ხანდახან სიკვდი-ლთანაც პირისპირ ლაპარაკი, გულახდი-ლი საუბარი მომინდებოდა. სიკვდილიც მეგობარი მგონია. აბა რაა, გულო, სი-კვდილიც მეგობარია კაცისა, იმიტომ, რომ ის აუცილებელია. ამიტომ სიკვ-დილს უნდა მივეფეროთ.

სიკვდილს უნდა მივეუგლოთ ხანდახან რაღაც, ჩვენი არსობის მცირე ნაჭერი საღეჭ-საცოხნად და თავის შესაქცე-ვად, რომ ცოტათი გვაცალოს. ჰო, ჰო, სიკვდილი უნდა გრძნობდეს, რომ ჩვენ ხშირად მასზე ვფიქრობთ, რომ მას ვა-ფასებთ. კი არ გვეშინია, ვაფასებთ და ანგარიშს ვუწევთ. კარგად ვხვდებით, ზოგჯერ მხარს რომ გავგვკრავს, მაგრამ ისე ვიქცევით, ვითომ სულ არაფერიც არ მომხდარა. აბა ახლა მაგას თუ თავი დაუღუნე და ზურგი შეაქციე, არაფრად ჩააგდე და გაქცევა განიზრახე, მაშინ გათავებული ხარ. რა, ვერ დაგეწევა? ან სიარული, ან ფრენა, ან ცურვა გაუ-ჭირდება თუ? ვალმოხდილს, ოჯახიანს რომ წამოგეწიოს საღმე, კი, ბატონო, ჩაბარდები, წაყვები, რაღას იზამ, აბა?! თუმცა ჩემსავით უშვილძირომ რა ქნას.

დღეს სიცოცხლის ამბავი უნდა გით-ხრა, გულო, ძალიან მაგარი სიცოცხ-ლის ამბავი.

ბოცო-მეჭიბონე ალბათ შენც გაგი-გონია იცი, როგორ დაუკრავდა ჭიბო-ნზე? თითებით ზედ ჭიბონის დედნებს დაადნებოდა, თვალი აემღვრეოდა ხმა-თა დაბწნილ გრეხილებს აღმა აუყვე-ბოდა, საღდაც სხვაგან, თითქოსდა თა-

ვისივე მელოდიით აგებულ სამყაროში გადასახლებობდა, იქ ცოცხლობდა, იქ ნებიერობდა. იქ თავის საყვარელ სინათლეებს უდიდობდა. სიმალეებს, სახეებს ესაუბრებოდა.

განა დაიღალა, განა მოზებურდა? არა, სამოცი წელიწადი აზუზუნა ჭიბონი, იქნია წალდი, თობი და ცელი, ყანა-ბაღჩაში თხარა, ხნა მიწა, ზვინი ჩალა, აბულულა თივა, კაფა ნეკერი, ტეზა კვირბილი, კონა ძმერხლი და ლეშხი, არჩია, ფშენა და აფქვია სიმინდი, მწყემსა და წველა საქონელი იალადებზე, იარა ზაფხულში მთად, ზამთარში ბარად, იზრომა, იჯაფა, იტანჯა. ლოცვა-წყევლაც ხშირად მოუშველებია სიხარულის და მწუხარების მოვლა-დასათრგუნად.

თექვსმეტი წლისამ ჭიბონში პირველად ჩაბერა სული და ჭიბონს თავის გულისნადები ათქმევინა, ჭიბონით ბედისწერას თუ მთელ სამყაროს გაესაუბრა, ყველას და ყველაფერს თავი გააცნო, თავი დაამახსოვრა, თავი შეაყვარა, თავისი გააგონა და თავისი არწმუნა, ადამიანებს გული გაუხალისა, სული აღუმადლა, წარსულისაყენ მიაბედა და მომავალი დაანახა. ირგვლივ თესა და აფრქვია სიკეთე, სილამაზე, ნდობა-ერთგულება, ვაჟაყობა, გატანა, სიყვარული.

მორჩილი, მაგრამ ბეჭტართო და მაჯაღონიერი ბიჭი, მკვირცხლი, მოუსვენარი, ოდნავ თითქოს სევდიანი, ტუნწლიმილა, უკარება მოგეჩვენებოდა, მაგრამ ჭიბონს რომ აახშიანებდა, ბოცოს თვალებიც ალაპარაკდებოდნენ, მაშინ ღიმილიც თვალის უბეებიდან ნაყადულებად სახეზე ჩამოედვრებოდა, მთელ ოდას გაავსებდა, ჭიბონის ტკბილ მელოდიის ხმებთან ერთად. გარეთ გიჭრებოდა ლანჭერის ღვარივით, ქვეყანას გადაევლებოდა. ვერავეინ გადაურჩებოდა, ვერავეინ გაუმკლავდებოდა იმ ღიმილის ძალას, მისი გულიდან და გუდიდან რომ ლერწმის წყვილ ღეროში მონარნარ-მორაკრაკე ხმების დელგმად მოედინებოდა.

პირველად რომ ჭეხნაში წიყვანეს ქორწილის მეჭიბონედ, კრ... გამ... დამეს იგონებენ ახლაც. მაშინ ხეჩქეჩქეუ ზე-მოაჭარელ ქალებს ჯერ ისევ ჩადრები ებურათ სახეებზე. სალხინოდ მამაკაცებთან ერთად ოთახში ქალებს არ შეეძლოთ ყოფნა. ბოცო ცალკე, ქალების ოთახში. შეიბატიყეს, მოალხინეთ!

მეჭიბონესა და მედოლეს ქალები პირახდილნი დახვდებოდნენ. ეს დასაშვები იყო, თუკი მუსიკოსი მარტო ეწვეოდა ქალთა საზოგადოებას. ბოცომ ქალებისათვის განდაგანა ისეთი გატაცებით დაუკრა, თვით ქოჩახელა გეგონებოდა. ერთმა გოგომ თავი ველარ შეიკავა და წრეში გამოიჭრა, თავად მეჭიბონეს მიუცეცვა-მოუცეცვა. ვესილემ თავზე მოხვეული იაზმა-ჩადრი შემოიძრო და, ცეკვისას, საღდაც სივრცეში დამუჭული ისროლა. დამუჭული ჭრელი ბოლქვი მოკლულ ხოხობივით მეჭიბონის გულაზე შემორჩა. ბოცო თან უკრავდა, თანაც ნაწინავებჩამომსილი ქალიშვილის თმების ნისლეებს ეთამაშებოდა. ბოცოც, ჭიბონით იღლიაში, საცეკვაოდ ვავიდა. დანარჩენი ქალები უჯან, კედლებისაკენ მიიწურნენ, რათა მოცეკვავე ქალ-ვაყისათვის მეტი ალაგი დაეთმოთ. იყნოსა ჩადრისაგან ვესილეს თმების სურნელი. გახურდა ჭიბონი, დაიჩქა მეჭიბონე. მღელვარებამ, სილამაზემ, სიყვარულის აღმურმა, რაც მართალი მართალია, გააცამტვერა ყოველგვარი რიდი თუ კრძალვა-მორცხეობა.

ცხრამეტი წლისა, ბოცო მამა ვახდა. მერე — ექვსი გოგო, ხუთი ბიჭი! აპა, ძიავ, თერთმეტი შვილი, და, სამოცდაერთი წლისას ვესილე გამოეცალა. კი, ბატონო, შვილები გაიხარდნენ, ზოგიც დაოჯახდა, მაგრამ ბოცო თითქოს მაინც მარტოდმარტო დარჩა.

ასე, გულშელონებული, თვალდაბინდული, დადუმებული, უჭიბონოდ. უღიმილოდ, უკვე თხუთმეტი წელიწადი დაიარებოდა სოფლის ბილიყებზე და ხმას არავის სცემდა. შეხვდებოდნენ, თავისქნევით მიესალმებოდა და უსიტ-



ყოფილ გაეცლებოდა ებრალებოდნათ ბო-  
ცო და ბოცოსაც ებრალებოდა სოფე-  
ლი, რომ ასე მოიწყინა, თავისი ჭიბო-  
ნით ვეღარავინ გაამხიარულა. ეგონა,  
მთელი ქვეყანა სასაფლაოდ იქცაო.  
შეეცოდა ბოცოს ხალხი და, ერთ-ორ-  
ჯერ ჭიბონის დაკვრაც გადაწყვიტა, მა-  
გრამ შვილი, ასლანი, რომელიც საგზა-  
ოში ბრიგადირად იყო, გაუჭავრდა მა-  
მას, დედაჩემის სიკვდილის მერე, შენ  
ჭიბონს ვეღარ დაუკრავ, სირცხვილიაო.  
ასლანს რძალი, თუნთულიც, შეუერთ-  
და. ამათ სხვა შვილებიც აყენენ. ჭიბო-  
ნი სკივრში ჩაუკეტეს. უმცროსი შვი-  
ლი, ჯემალი, მესხეთში გადასახლდა,  
თორემ ის აქ რომ ჰყოლოდა, გაუგებ-  
და, ჭიბონსაც არ დაუმალავდა. ის სხვა  
ბიჭია.

სულმთლად დაღონდა და დაიჩაგრა  
ბოცო. აქამდე გამართული, ახლა ერ-  
თობ მოიხარა, ლოყები ჩაულრმავდა,  
თვალეზსაც ძველი სიკაშკაშე აღარ დას-  
თამაშებდა. ვითომ რაო, ვესილეს სიკ-  
ვდილი შვილებს უფრო ეწვიო? ვერა,  
ვერ მოუწონებია ბოცოს ვესილეს სა-  
მუდამო განმორება, მაგრამ ისიც აგონ-  
დებოდა, ვესილე ბოლო წუთებში რომ  
ბოცოს ეხვეწებოდა: — ჭოვ, ბოცოვ,  
შენ უქალოდ ვერ გაძლებ. იცოცხლე  
და შეიყვია ქალი. მე იქ არ მეწყინება,  
მეიყვია, ჰო... მაგრამ ეს სიტყვები მა-  
რტო ბოცომ გაიგონა. რა ქნას ახლა?

ერთ დღეს კი უცნაური ამბავი მოხ-  
და. დანდალოდან მეჭიბონე ბოცოსთან  
ცხენოსანი კაცი გამოგვზავნათ. ჯალა-  
ბაშვილი ლომანა, ოთხმოცი წლის კა-  
ცი, ბოცოს სიყრმის მეგობარი, ავიდ  
გამხდარაიყო. მთელი თვენახევარი კედ-  
ლისკენ გადაბრუნებული, გაჩუმებული  
წევს ბერიკაცი, ვერაფერმა უშველა,  
ვერაფერმა მოახდდა ექიმო კი არ მიი-  
კარა, ოთხმოცი წელიწადია ექიმო არ  
ვიცი და ახლაც არ მინდა, ექიმო მომ-  
კლავსო. ბოლოს კი, დილაზე, როგორ-  
ღაც მნახველებსიკენ პირი უჭნია და  
უთქვამს: — ხალხო, გინდებიან, მიშ-  
ველოთნა? ბოცოი მომიყვით მაშინ.  
ჭიბონი წამელიღვეი-თქვა უთხარით. მისი  
ჭიბონი მომარჩენს. ჰო, ასეა ეს... ბო-

ცოს ჭიბონი მეწამლემა მე მარტო, სხვა  
აფერი. — და ლომანა ისევე გადობრ-  
ნებულია კუთხისკენ.

იმ დღეს ბოცო მარტო იყო შინ. ბა-  
ღნები — შვილიშვილები სკოლაში,  
დიდები — სამუშაოდ. ჰოდა, თავად  
მარტო იყო შინ.

ცხენოსანი ეზოში შემოჩახუნდა.  
ცხენის ფეხისხმა ძალიან ესიამოვნა  
ბოცოს, რაღაც შორეული წარსულისა  
გაახსენდა, და გარეთ გაიხედა ვერ იც-  
ნო მოსული, მაგრამ, შამობრძანდი  
ძიავ, შინაო, კი გასძახა.

— მადლობელი ვართ, ბოცოვ, ძა-  
ლიან მადლობელი ვართ, მარა გვეჩ-  
ქარება ერთი რამენა გითხრათ და...

— მოი, მემრე და მითხარი! — გაჭავ-  
რდა ოდნავ ბოცო.

სტუმარი აივანზე ამოვიდა. ცხენი  
შენისი — შორჩილი იყო, ავშარა შეგ-  
დებული, დაუმძელი ადგილიდან ფეხს  
არ იძვრიდა. იდგა და თავდახრილი წეს-  
ტოების ფრუტუნით პატრონს უცდიდა.

ბოცომ დაბეჭითებით შეათვალიერა  
მოსული. თვალები ხელით მოისრისა  
და ისევე შეხედა.

— ჭოვ, რაცხა ვერნა გიცნა, ისე გავს.  
— დაბნეულად შეეხმინა სტუმარს.

— დანდალოდან, ლომანა ჯალაბაშვი-  
ლმა გამომგზავნა შენთან, ბოცო-მეჭი-  
ბონევე. ავით არი ლომანაი, ძალიან  
ავით არი და შენი ჭიბონი ითხოვა, ბო-  
ცო ბატონო.

— რაიო? ჭიბონმა რანდა ქნას მემ-  
რე, ა? ჭიბონი დოხტურია თუ: — გუ-  
ლში შეებრაღა მეგობარი კაცი ბოცოს.  
თანაც ესიამოვნა, რომ მისი ჭიბონი  
ადამიანმა სამკურნალოდ, სამშველად,  
ტკივილის დასაამებლად ითხოვა. კი,  
ახლა ეს ჩემმა ასლანმა თავისი ყურით  
გაიგონოსო, ფიქრობდა იმ წუთას ბო-  
ცო.

— სადღაა ჭიბონი, ძიავ! — გააქნია  
თავი უღმობლად ბოცომ, — სადაა, ძი-  
ავ, ჭიბონი... რაც ქალი დეიხარჯა, ჩე-  
მი ვესილეი რაც რომ გამომეცალა, ჭი-  
ბონიც ვათავდა. მერე ამ სახლში ჭი-  
ბონის ხმა აღარავის გუუგონია. აბა,  
ამფერია, ძიავ საქმე და...



საქ. ასრ. კ. მარ...  
საქ. სახ. რესპ...  
ბიბლიოთეკა



— ძალიან გონჯაა ლომანაი და შენი დაკრული ჭიბონი ინატრა და... რანდა ვქნათ, არ ვიცი... იმფრათ ითხოვა, რომ გეგონება ამ ჭიბონმანა გადაარჩინოს კაცი. შენ, ბოცო, მოვიგონა და მაშინ ცოტაც აეტირა. მოვიდეს ერთი აქა ბოცოი, ამ თავთან დამიჭედეს და დიმიკრას მისებურადო.

ბოცოს თითები აუკანკალდა. თითები ისე აუთამაშდა, გეგონებოდა ჭიბონზე რალაც ძვირფას მელოდისა უკრავსო...

ბევრი აღარ უფიქრია. შევიდა სექვიან ოთახში და სექვის ბოლოსში, კედელთან მიდგმულ ძველებურ სკივრს მიადგა. მიეძალა, მაგრამ სახურავი ვერ აღო. ერთი მაგრად შეიკურთხა, მუშტიც დაჰკრა სკივრის სახურავს და აქაურობას გაეცალა. მეორე ოთახში ძველი კამოდის კარი გამოაღო, იქ ვესილეს დანატოვარი ნივთები ეგულებოდა და ეგონა გასაღებიც იქ დევსო.

იქ, ხიჭა-აუჭებში არეული ჭიბისდანის ერთი პატარა ქარქაში გამოაცალკევა უყურა, უყურა და უკანვე ჩადო. იცნო, — ვესილე წელზე თან ატარებდა მუდამ. ახლა კი ჩაქიდანა (ასე ეძახოდა ბოცო ჭიბისდანას) ვილაცას ამოედრო შიგნიდან და ცარიელი ქარქაში დაეტოვებინა. ბევრი ეძებდა, მაგრამ გასაღებს ვერ მიაგნო. ბოლოს ისევ ისე, ჩაქიდანის ქარქაში ამოიღო, ხელით გააქანა, გადმოაპირქვევა და შიგნიდან გასაღები გამოვარდა. უმალვე ხელი დასტაცა სკივრის გასაღებს და მეორე ოთახისაკენ გაქანდა. სიხარულმა ბავშვივით აიტაცა ბოცო.

გახსნა სკივრი და სიღრმიდან ჭიბონის დაჩუტული გულა სასოებით ამოაძრო. გაუსინჯა ჩასაბერი მასრა, მთელი გულა შეათვალღერა, ლერწმის წყვილი კალამი საგანგებოდ შეამოწმა, დედნებს რომ ეძახის, იმ ნახერცებში სული ჩაბერა, ქვემოდან მოდგმულ, მოხვეწილ რქას, ქარახსას რომ ეძახიან ჩვენში, ფაქიზად ჩახედა, ცოცხის ბწყალი შიგვე დახვდა, ამოიღო, წვერი გაუჩაჩა ბწყარს, ოდნავ მოლუნა და ისე აზიზად ჩაუძვირინა ქარახსას კუნჭულში, რათა ხმა მჭახე არ გამოსულიყო,

სისადავე, ეშხი, სიმწიფე მინიჭებოდა ხმას.

ერეკენული

ჰოდა, სიხარულით შეტყუებულმა მოცო. კარგა შეტრიალდა უნდოდა, მაგრამ ირგვლივ მიმოიხედა შიშით, არაფერ მიუყურებდესო და განზრახული გადაიფიქრა.

— ჰაით, წვევლით აბა, — გამოუცხადა სტუმარს და, რალაცნაირად, საოცარი სისწრაფით წასასვლელად გაემზადა. აიგნიდან კიბეზე დაეშვა, მსუბუქად, ლალად ჩაირბინა საფეხურები. ეზოში შეჩერდა, ჩაფიქრდა, ცხენი ისევ ისე ფრუტუნებდა და გაუნძირებლად, პატრონის მოლოდინში, იდგა.

ბოცო სტუმარს მიუბრუნდა:

— ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, — შენ ჩემზე ახალი ხარ, უთხარი ამ ცხენს, მე შემიჭდინოს.

— კი, აბა რას ვიქ, ბოცო ძიავ. თვითონ შეგაჯენ და წაგიძღვები, ავშარას მე დეკავებ.

— რაფერ თუ შენ დეიკავებ. მე რა, დედოფალი ხომ არ ვარ?! ავშარასაც დეკავებ და ცხენიც კარქათ დემემორჩილება, შენ დელიყანლი ხარ, ჩეირბინე, ასე, ყანა-ყანა, ღელემდი, გადი გაღმა, მეც ამასობაში ლომანასთან გამოვალ, ხიდიდან მოვიარ.

არც ცხენზე შეჭდომისას მოიხმარა ბოცომ ის დანდალოელი, არც ავშარა დააჭერინა დაწირებლი ჭიბონის გულა უბეში შეინახა, კოხტად, მსუბუქად შეყო ფეხი უზანგში, ტანი შნოიანად აზიდა მალა, ფეხი უნაგირს გადააგლო და მეორე უზანგში ისე გაჰყო, გეგონებოდა გაჩენის დღიდან ცხენოსნობსო. ახლა უკვე, იქ, მალა, უნაგირზე კოხტად შემჭდარს, თავდაც მოეწონა თავისთავი, მოკლე უღვაშებზე ცერა თითი დინჯად გადაისვა, წვერებიანი ნიკაპიც ხელისგულით შეიჩიჩქნა და ცხენს ქუსლი ჰკრა, დაიძარიო.

დანდალოში, თამარის ხილთან, ქვის თალიან ხილთან, შეაყენა ცხენი ბოცომ. დაფიქრდა, ახალ ხილზე ჩასულიყო თუ ამ ძველზე მოესინჯა ცხენის გადაყვანა.

ეს ხიდი აგერ რვაასი წელიწადია ასე წელმაგრად გამართული დგას მდინა-

რზე. კენჭიც არ ჩამოტეხია, არ გაბზარულა არსად. ნატეხი ქვით ისე აუგიათ იმ დალოცვილ წინაპრებს, გეგონება ერთი ხელის მოსმით გამოჭრა და დააყენაო. რა ღონე, რა ჭკუა, რა შეძლება ჰქონდათ მაინც ამ ჩვენებურ ძველებს, ა? — ფიქრობდა თავისთვის ბოცო და გულს კმაყოფილების თუ სიამაყის ტრუანტელი ეველებოდა ახსოვს, ამ ხიდზე რამდენ მეჭორწილეს თანხლებია თავისი ჭიბონით. ჭიბონს უკრავდა და, ისე, უკანსვლით მიუძღვებოდა ამ ხიდზე მეჭორწილეთ, გამოღმიდან — გაღმისაკენ, გაღმიდან — გამოღმისაკენ.

უჭიბონოდ კი, მაშინ, ქორწილი ქორწილად არ ჩათვლებოდა. კარგი მეჭიბონე ქორწილის სიმდიდრე და მშვენება იყო ყოველთვის. ყველას უნდოდა თავის გამოსაჩენად სწორედ ბოცო-მეჭიბონე ჰყოლოდა ქორწილში, ქორწილის ღონე და ხარისხი იმით იზომებოდა, თუ ვინ იყო მეჭიბონე.

უცებ, საიდანაც, შავი, გრძელბეწვებიანი ძალღი გამომდგრა და ღრენით შეუტია ცხენს. ცხენი ძალს მოუბრუნდა, მაგრამ ისე ფიცხად შეუყუყუა ვაჟებულმა ძალღმა, ეს მშვიდი, დინჯი ბედაური, ერთობ შეფორიაქდა. წელ-წელს, უკან-უკან ხიდისკენ დაიხია ფეხების ბაკუნით. ხიდი კი ზედ, წყლისპირის კლდეზე იდგა და ბოცოს გადავარდნის შეეშინდა. მოქაჩა ავშარაღვირი, ძალს დაემუჭრა, ცხენს კი ხალისიანად შეუძახა. მაგრამ ვერაფერი გააწყო და ძირს ჩამოხტა, თორემ შეიძლებოდა მართლაც გადაჩეხილიყო. გამწარებული მოზრდილ ქვას დასწვდა და ძალს მოუღერა ძალღიც ამ მუქარაზე თითქოს უფრო გაჭაგრდა, კისერზე სულ აებუჭგა ბალანი და თვლებიც დაუწითლდა. ისე გადაარევით იყვფა-იღრიალა, ბოცო შეშინდა, დასტურ სხვისი ცხენი არ დამიფრთხოს და ხრამში არ გადამივდოსო. მეორე ქვას დაწვდა და უპატრონო ძალს ესროლა, ესროლა ისე, დაუმინებლად, მაგრამ შეატყო ქვა მიზანს მოხვდა.

ძალღი საცოდავად აწყმუფვლა. გე-

გონებოდა ატირდაო, ისე გამბულად აყვირდა. კოჭლობით შარაზე ავარდა, მერე ისევე წყლისპირისაკენ წავიდა და ღრენით ბუჩქებში გაუჩინარდა.

— ღმერთმა არ გახეიროს შენ, ვინცხა ხარ, ძალღი რომ მომიკალი არ გახეიროს ღმერთმა, ვინცხა ხარ შენ! — მოისმა შარაგზიდან ქალის წყევლა.

ორ ძროხას, ხბოებს, ათიოდე თხას და დატვირთულ სახედარს ასე, შუახელა ქალი მოუყვებოდა. ეტყობოდა საზაფხულო იალაღებისაკენ მიდენიდა საქონელს.

ბოცომ ავშარა მოქაჩა და ცხენი შარაგზაზე აიყვანა. ქალი თვალებით ბუჩქებში მიმალულ ძალღს დაეძებდა და უცნობს გამეტებით წყევლიდა:

— რა დაგემართა, ქალო, რა მექნა აბა! გადავვარდნილიყავი თუ რა მექნა?!

— მაგის იმედით მარტვაი მივალ თაში. ეგ ჩემი მცველიც იყო და მეგზურიც. რა ვქნა ახლა მე, ა? რა ვქნა, ერთი მითხარი.

ქალი მწარედ ატირდა. ცრემლები დაბალუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე.

— მეტი ვინ მყავს, მეტი არავინ მყავს. ესეც მომიკლეს... რა ვქნა ახლა მე.

ბოცოს გული შეეკუმშა. ძალიან შეებრაღა ქალი. გული დაეწვა, რომ ეტყობა, ძალღი მართლაც მაგრად დაკოდა, შესაძლოა სასიკვდილოდაც. არა, ასე არ უნდოდა, მაგრამ უნებურად ასე გამოუვიდა. ვინ ხარ ქალო, სად მიდიხარ, მითხარი, სად მოგნახო და სხვა უფრო უკეთეს ძალღს მოგიყვან. მაპატიე ახლა... ასე არ მინდოდა, რაღა გიყო ახლა მე? უცებ ბოცომ უბეში ჩაიყო ხელი და ჭიბონი ამოაძრო.

ცხენი ტელეფონის ბოძს მიიბა და ჭიბონში სული ჩაბერა. მალე მდინარის ჩხრიალში შორეული ტყბილი, ნაცნობი მელოდია მოედო იჭაურობას. ქალი შედგა და ბოცოსკენ მობრუნდა, რამდენიმე ნაბიჯზე მეჭიბონეს მიუახლოვდა კიდევ.

— აა, ბოცო-მეჭიბონე ყოფილხარ? კეთილ კაცს გეძახიან, მარა ავი და ოხე-

რი ყოფილხარ. — ქალმა იაზმის ქვე-  
შიდან დიდრონი, შავი, სველი თვალები  
შემოანათა ბოცოს და ბოცო ელდანაჯ-  
რავივით გაშეშდა.

— გიცანი, ჰო, გიცანი, ვარდო ხარ  
შენ. აბულქეთელი?!

ქალი შედგა, ახლა უკვე სახეგალიმე-  
ბულმა გამოხედა ბოცოს:

— ჰო, კარქა მახსოვს, მე ვიყავი იმ  
ქორწილში მეჭიბონეთ... — უთხრა ბო-  
ცომ. ქალი ისევ ატირდა.

— მემრე, შარშანწინ, ზამთარში დე-  
ვივსეთ, ბოცო. თოვლის შვავმა სახლი  
წიელო. მე უბედური, მარტვაი მე უბე-  
დური, გადავრჩი. რათ მინდოდა ამფე-  
რი სიცოცხლე, ღმერთო!

ბოცომ ჭიბონი ისევ უბეში ჩაასვენა,  
თავი ჩაღუნა მწუხარედ, თვალი მიმა-  
ვალ ვარდოს გააყოლა.

ასე იდგა ჩაფიქრებული კარგახანს,  
მერე აჩქარებით ცხენზე შეჭდა და ისევ  
თამარის ხიდისაკენ დაძრა.

— ჰა, აბუ, ცხენო. გააბიჯე ფეხი, ჰო,  
რას ფიქმანობ. გააბიჯე! თამარდედოფ-  
ლის მთელი ცხენოსნები აქ ვადარბე-  
ნილან, შენ რა გემართება, შე ბლაც-  
ვო. აბა, გააბიჯე, ჰოვ!

ცხენი მართლაც ერთხანს შეყოვნდა,  
ხიღს ახედა, წინ, ძირსაც დაიხედა, და-  
იფრუტუნა და, ერთგვარი შიშით, ზო-  
მიერი, მოზომილი ნაბიჯით დაიძრა.  
ბოცოს თვალეზში გარდასულ ქამთა  
მიმქრალი ცისარტყელები ისევ აკიფ-  
დნენ. ის უნაგირზე კი აღარ იჭდა, უზან-  
გებზე იდგა და თამარის ძველი ხიდი-  
დან რაღაცნაირი, ყოვლისმომცველი  
იერით მთელ ქვეყნიერებას გადასცემ-  
როდა.

ცხენის პატრონი ლომანას ეზოში,  
ნალიის ბოძზე მიყრდნობილი ელოდე-  
ბოდა მეჭიბონემ რომ შეიგვიანა, ძა-  
ლიან შეწუხდა, მაგრამ რაღა უნდა  
ელონა, იდგა და ელოდებოდა ლომა-  
ნას უკვე გამოუცხადა, რომ მალე მე-  
ჭიბონე ბოცო აქ იქნებოდა. ავადმ-  
ყოფს ამისათვის თითქოს ყურადღებაც  
არ მიუქცევია. იგი არც შერხეულა.  
ისევ ისე იწვა, — კედლისაკენ მიბრუ-  
ნებული, გაჩუმებული, დავრდომილი.

შინაურები ფაციფუტოდნენ. ქალებს  
ოთახი მიელაგებინათ ფრ, ჩუქვფრჩაქოშ-  
ვებულნი, დაღვრემანდნენ: „მეჭიბონე  
მგლოვიარენი, კარებთან ჩამწყრივებუ-  
ლი იდგნენ. ისინი ბოცოს ისე ელოდ-  
ნენ, როგორც საქვეყნოდ ცნობილ  
ექიმ-მკურნალს. ხოლო ბოცოს, ცხენ-  
ზე რომ იჭდა, აქამდე თვალში სულ  
განაწყენებული ვარდოს სახე უტრია-  
ლებდა. წუხდა ძალიან, რომ ამ ქვრივ-  
ობოლ ქალს ნამდვილად აწყენინა. ამ-  
დენი წელია ჭიბონი ხელში არ აუღია,  
ახლა კი, როცა ძველი მეგობრის დავ-  
რდომილი გულის სალხენ-სარჩინად  
მოდიოდა, გზაზე მეორე ადამიანს გუ-  
ლი ატკინა. აი, ეს ამბავი ჩიჯნოდა ბო-  
ცოს და არ ასვენებდა. საწყალ ქვრივ-  
ობოლ ქალზე ფიქრი აწუხებდა.

მართლაც, რა ლამაზი ქორწილი ჰქო-  
ნდა ვარდოს! ახსოვს, კარგად ახსოვს  
ბოცოს ის ქორწილი. ბოცო იმ დღეს  
ბიჭის მაყარში იყო მეჭიბონედ. ამი-  
ტომ იგი სიძის სახლში ელოდა დედო-  
ფალს და, მექორწილენი რომ შემოვი-  
დნენ, იგი ჭიბონაყივლებული მიეგება  
მათ. ჩვეულებრივად, „გადაბეველი ზო-  
რუმით“ მიეგება ახალმოსულთ. „გადა-  
ხვეული ზორუმით“ ერთგვარად მარშის  
მაგივრობასაც ასრულებს მექორწილე-  
თა სვლის დროს. შემდეგ, ბოცო დე-  
დოფლის ოთახში შეიწვიეს. ეს ნეფე-  
დედოფლისადმი განსაკუთრებული პა-  
ტივით, თორემ წესით, ახალმოსულ დე-  
დოფალთან, მხოლოდ ქალის მხრიდან  
მოყოლილი მემუსიკე უნდა ყოფილი-  
ყო. მაშინ დაინახა ვარდო-დედოფალი  
ბოცომ, გვერდით რომ ნეფე ედგა. მა-  
ღალი, ბუხრისქუდიანი, შემფოთებულ-  
თვალეზიანი, გრძელცხვირა, დიდხელე-  
ბა, რიხა.

მაგრამ, როცა ნარანრა განდაგანა  
ააფერა ბოცომ, მედოლეს ანიშნა, ნუ  
დაუკრავო, რადგანაც მეჭიბონეს არ  
უნდოდა დოლის ხმას, კომბლებს  
რომ დაუშენდნენ, გადაეფარა ჭი-  
ბონის ნაზი, აწყობილი, რბილი  
ჰანგები. მეჭიბონეს გულით სურდა,  
მხოლოდ მის მიერ დაკრული ტბილი  
ხმები გაშლილიყო ნეფე-დედოფლის

თავზე და მათთვის სიხარული და ნეტარება ეჩუქებინა. ახსოვს ბოცოს, როგორი მადლიერი და ბედნიერი თვალუბით იცქირებოდა ვარდო. უხდებოდა, საქორწილო, კიდებბმოცინცილებული, მოხატული ლეჩაქი.

ნეფე-დედოფალი ერთმანეთს უხდებოდნენ.

მაშინ, ახსოვს ბოცოს, რიზამ გაბედა, — პირველი გამოვიდა საცეკვაოდ და დედოფალიც გამოიწვია.

გულით და სულით მოაღზინა ქორწილი იმ ღამეს ბოცომ. არცერთი შაური არ აუღია. ღარიბი იყო რიზას ოჯახი და ბოცომ იმ ღამეს გასამრჩელო არ აიღო. უთხრა, არაო, ალალი იყოს ჭიბონი თქვენთვის, იხარეთ, იმრავლეთო.

ახლა კი, რაი. გასულ ზამთარს ზეავს წაუღია მთელი სახლი, დაუესია ოჯახი. ეზოში შემოსულ ბოცოს მიეგებნენ, ხელი შეაშველეს, მაგრამ მეჭიბონემ ახლო არავინ მიიყარა და ცხენიდან თავისით, დაუხმარებლად ჩამოხტა.

ჭიბონი უბეში ეღო, მაგრამ ქარახსა გარედან გადმოკიდებულყო. ბოცო კარებში შედგა და მწოლარე ავადმყოფს, ასე, შორიახლო ცქერა დაუწყო. მოჩანდა ლომანას ჭაღარიანი თავი მხოლოდ, უძრავად რომ იღო ბალიშზე.

ბოცოს ხმა არ ამოუღია. საწოლთან ფეხაკრფით მივიდა, ჯორკოზე ჩამოჯდა და ჭიბონიც მოიძარჯვა. მას კარგად ესმოდა ლომანას ღრმა, მძიმე, მიუძღურებული კვნესიანი სუნთქვა.

ავადმყოფისავენ მიშვერილმა ჭიბონმა თითქოს ენა ამოიდგა, ჯერ საჭირო და ამ წუთას მისაფერებელი მოტივის ძებნისას, ბოცომ, უბრალო, საწყისი, მოსაძებნი მელოდოები გადმოლვარა.

უცებ საბანი შეირხა და ლომანამ ნელა გადმობრუნება იწყო.

მერე, ნელა, სულ ნელა თვალის გახელა სცადა. კი, კი კიდევაც აახილა თვალი. ჯერ ჭერს შეაკერდა, გეგონებოდა იქ დაეძებს ჭიბონის ხმებს, მათ დაჭერას ცდილობსო. მერე თვალი ძირს დაუშვა, სივრცეში გააშტერა მზე-

რა და იქ, მალე, შენიშნა და იცნო ბოცო-მეჭიბონე. უმაღლე ჩაიღიმოდა ავადმყოფმა და თვალშიც სინათლე მოემატა. მალე გაძვალტყავებული, მისუსტებული, უფერული ხელებიც ამოძრო სიბნიდან, ჯერ გულზე დაიწყო, მერე კი ჰაერში რამდენიმეჯერ ასავსავა და ბოლოს ორივე ხელი მეჭიბონისაკენ გაიშვია.

შინაურები, სუყველანი ავადმყოფის შორიახლო შეიკრიბნენ და გაოცებულნი უყურებდნენ მოხუცის ამ მოულოდნელ გამოცოცხლებას და სახეზე გამოხატულ ალტაცებას.

ბოცომ დამცხრალი ჭიბონი მუხლებზე დაიფინა და გამარჯვებულ, კმაყოფილი ღიმილით, ახლა უკვე ავადმყოფთან სამუსაიფოდ მოეწყო.

ლომანამ, ამდენი ხნის მღუმარების შემდეგ, მოულოდნელედ ენა ამოიდგა, სიტყვა წარმოთქვა. იგი თითქოს მორჩა, სიცოცხლისაკენ მობრუნდა.

— გახსოვს, ლომანავ?..

— თო! მახსოვს, აბა არ მახსოვს?! — ჩაიფლიკვინა ავადმყოფმა და ცრემლები საბანქვეშ ჩამალა.

შემდეგ თვალები ისევ გამოაჩინა, ბოცოს შეხედა, ჩაახველა, ყელი ჩაისწორა და უთხრა:

— ერთი ის დღეუკარი, ის...

მხოლოდ ბოცო მიხვდა თუ რისი მოსმენა სურდა ლომანას. ჩაბერა და აახუზუნა ჭიბონი ნაღვლიანად, რალაც შორეული, მხოლოდ დაკარგული წარსულის მოგონების სევდას რომ გიღვიძებს და სევდას თვითონვე რომ არჩენს, იმ ხიბლით აუღერდა ძველი მოტივი.

ლომანა ლოგინში წამოჯდა, ბალიშიც თავისი ხელით ზურგსუკან ამოსწია ოდნავ და ასე, ზურგმიდებული, სიხარულით და ნეტარებით განათებული, გაკმედილი, მთლად სმენად ქცეულიყო.

შინდაბრუნებულ ბოცოს შვილი და რძალი ეზოში გამოეგებნენ. გალანძღეს, ჭიბონი ჩამოართვეს და, ვინ იცის, სად დაუმალეს.

— თლათ გადელდა სიბერეში... რა-  
ლა დროის შენი ჭიბონია?! თავს გვეჭრი  
შვილებს და ესაა. — საყვედურობდა  
ასლანი.

ბოცოს ხმა არ ამოუღია. ვალახულ  
ბავშვივით, მორჩილი, თავჩალუნული  
შვიდა ოღაში.

ავგისტო რომ დადგა და სოფელი  
შუამთობაზე გაიკრიფა, ბოცოს კვლავ  
დარდი შემოაწვა, ჭიბონი მოენატრა. იქ,  
მალა, შუამთობისაკენ ეძახოდა სუ-  
ლი, მიწა, ჩვევა, ეძახოდა მოგონება,  
ეძახოდა წასული ყმაწვილობის სიზმ-  
რები და სიციხადენი. შინ რომ მარტო  
დარჩა, იხელთა დრო და კვლავ თავის  
ჭიბონის ძებნას შეუდგა.

ექვსი წლის შვილიშვილი, ახალგაღ-  
ვიძებული ბექა აედევნა დიდ ბაბას და  
სულ კითხვებით არ ასვენებდა:

— რას ეძებ, ბაბუ, ა? მოთხარი და მე  
მოგვხმარები, მე ვიცი, ჰო, ვიცი მე.

— ააფერს არ ვეძებ, შვილო. ისე,  
რაცხა, რა ვიცი აბა. — დაუძალა ბა-  
ბუამ საიდუმლო ბადიშს.

ბექა ეშმაკი და ჭკვიანი იყო.

უცებ, დერეფანში, კედელზე მიყუ-  
დებულ კიბეზე აცოცდა ბექა. იქ, თა-  
ვანში, აძვრა და იცუნტულა ერთხანს.  
ბოცომ ჩუმად ყური მიუგდო, იქნება  
მართლაც რამე იცისო ბავშვმა.

თავანში ბიჭს რაღაცა წაექცა.

ეს მოხალული თუთუნის შესანახი  
ქოთანის იყო. ბოცომ ხმით იცნო თავ-  
ვისი ძველი ქოთანის დიდი ხანია იქ  
თუთუნს აღარ ყრიდა. ბექამ კიბეზე  
ჭიბონის დარტული გუდა ჩამოაპწია-  
ლა. ბოცო სიხარულით შეეგება, ჭი-  
ბონი გამოართვა და კარებისაკენ გაი-  
წია, რომ იქ, სინათლეზე კარგად გაე-  
სინჯა, რა დღეში იყო სევდის საყვა-  
რელი მეგობარი.

მზურვალე მზე ხანძარივით გიზგი-  
ზებდა მწვერვალების ზემოთ. ყველგან  
შუქი მოფენილიყო და გასუსული, გა-  
ნათებული ქვეყანა თითქოს ბოცოს შე-  
ჰყურებდა, შეთხოვდა, გამოდი, დამა-  
ბიჭე ფეხი გულმკერდზე, ვადაშიარე  
გაბედულად, ჩაბერე სული შენს ჭიბონს  
და, ამ სინათლესთან ერთად, ეგ მაყო-

ცხლებელი ხმებიც თავზე გადაქაფრ-  
ქიყო.

გადამაფრ-  
ქიყო.

იქით, მთებისაკენ მტრუქქსმსმსკომ.  
ხეობებში მიმავალი დაკლავილი გზე-  
ბი მოჩანდა ელვისმაგვარად, სივრცეში  
შეტყროცნილი.

ის გზაა სწორედ გოდერძის ძველი  
იაილებსკენ რომ მოდის. იქ, გზაზე  
საწყლად მიმავალი ვარდო მოეჩვენა.  
გული ეტკინა, რომ ქალს ძალღი დაუ-  
კოდა და დაუკარგა. გულმა მოსთხოვა  
— წადი, მონახე ვარდო, მიეხმარე რა-  
მე, ძალღი მიგვარე, თორემ რა უნდა  
ქნას მარტოხელა ქალმა მთაში.

უზოში გავიდა ბოცო. თავისთავი მო-  
სინჯა, მხრები შეათამაშა, ცალი ხელით  
მუხლებიც მოისრისა, რამდენიმე ნაბი-  
ჯი წინ-უკან გადადგა.

— ბაბული! — შემოუძახა ბექას, —  
ნენეს უთხარი, ბაბული ავადმყოფთან  
წევდა, ხვალ ჩამოვა-თქვა. ჰო?

ბიჭი შინ შეტრიალდა, თითქოს ახ-  
ლავე უნდა გადაეცა ვინმესთვის ბაბუ-  
ას დანაბარები.

ბოცოს უკან აღარ მოუხედავს. შე-  
ჩვეულ და ძველისძველ გზას რაღაც  
გამოუცნობი ახალი ვანზრახვით დაად-  
გა არა, უბრალოდ, სიცოცხლემ დაუ-  
ძახა, გულმა და სულმა დაუძახა, წარ-  
სულმა და მომავალმა ერთად დაუძა-  
ხეს; თავადაც მიჰყვა, დანებდა, დაემო-  
რჩილა. სხვანაირად არ შეეძლო. წას-  
ვლის წინ, ჭიბონში ჩაბერა და ისე,  
მოგუდულად, დაბალ ხმაზე, დაუკრა  
თან დაადილინა:

წყალს ნაფოტი ჩამოქონდა  
ალვის ხას ჩამონათალი...

დაღამებულზე სახლში ერთი ჩოჩ-  
ქოლი და ყვირილ-ძახილი ატყდა. ას-  
ლანი და თუნთული, ბავშვები და მე-  
ზობლები ბოცოს კითხულობდნენ, მო-  
ხუც მეჭიბონეს დაეძებდნენ, მაგრამ  
ბერიკაცი აღარსად ჩანდა.

გოდერძზე, მწვეანე ტბიდან მომავალ  
ბილიკებსა და კორდებზე ხალხი მოფე-  
ნილიყო. ყველანი აქეთ, ბექობისაკენ  
მიიჩქაროდნენ, სადაც ჭიბონი უკრავდა.

აქ ნამდვილი შუამთობის სერიოზულობაა.

შუაგულში ბოცო-მეჭიბონე ჩამდგარიყო და მთელი გზებით აეგნესებდა და ხელებში ათამაშებდა გულზე ატოტებულ ჭიბონს. მოცეკვავეს მოცეკვავე ცვლიდა.

ერთი ცეკვა რომ ჩათავდებოდა, ბოცო რაიმე სასიმღეროს დაუკრავდა და თანაც თავადვე დაამღერებდა.

მთელი შუამთობა აქ, ბოცოს გარშემო იკრებებოდა. ბოცოც, თითქოს არ იღლებოდა, ისევე ჭეკობას დაბრუნებოდა, ისე გატაცებით უკრავდა, რაღაც დაკარგული, ხელიდან გაშვებული უცოცხლდებოდა ვითომ, თითქოს პირველად თუ უკანასკნელად იყო აქ, ამ საყვარელ ალაგებზე, ამ საყვარელ ადამიანებთან. ბერიკაცი სულ გამოცვლილი და გასხვავებული იყო. მთელი დღე ლუქმა არ ეჭამა, მაგრამ ყოველ შეპატივებზე უარს ამბობდა.

შებინდებულზე აქა-იქ მამხალეები აინთო. მამხალეები ერთმანეთისაყენ დაიძრა და მთის შვე სხეულზე წითელი ცეცხლები ასიარულდნენ. ბოლოს ეს ერთმანეთს წინწყლები ერთად შეირყა, ერთ მთლიან ცეცხლად გადაიქცა, ერთ კოცონად ავიზგიზდა. იქაურობა წითლად გადაანათა.

ახლა უკვე, ღამის შუამთობა გრძელდებოდა, უფრო ხშირად და ლაღად, ვიდრე დღისით.

ბარიდან საბარგო მანქანა ამოგრიოლდა, სინათლის ორი ყვეთელი სვეტი ესროლა და ბნელი სივრცე გაბურღა. მიბრუნდა-ამობრუნდა და ხალხის ჭგუფს მიაშვირა თავისი მძლავრი სინათლეები. უმრავლესობა მანქანისაკენ მობრუნდა. მანქანა გაჩერდა. ძარადან ასლანი გადმოხტა. იგი პირდაპირ მოსერიტ ხალხისაკენ გაემართა, გარღვია წრე და მეჭიბონეს მიადგა. ჭიბონი ხელიდან გამოგლიჯა და წრის გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ მას აღშფოთებულნი გოგო-ბიჭები გადაელობნენ.

— ეე, ეი! სად მიგაქვს ჭიბონი. ახლავე დაუბრუნე ჭიბონი ბოცოს, თვარა გლენებ ყურისძირში, შე ბლაცყო! —

შეუძახა ერთმა ბიჭმა და ასლანს ხელები მოხვია, რათა ასე შეეკრა. ასლანმა იდაყვები გააქნია, ბიჭი ჩამოიცილა, ვილაყვები კიდევ გვერდზე მიაყენა და ტიალზე გავიდა.

ხალხის მხარდაჭერა რომ იგრძნო, ერთხანს გაოგნებული და ოდნავ დაბნეული ბოცო უმალ გამოერკვა, ძლა მოიკრიბა, ამოძრავდა, თავდაცვით გაჭავრებით ასლანისაკენ დაიძრა. ასლანს კი უკვე ხელშეორედ გზა გადაუღობეს.

— შეჩერდი-მეთქი, გებნევი, თქვენ ვინ გკითხავს! — შეუბღერა ბრბოს.

— შენ ვინ გკითხავს, რატომ გვართმევ ჭიბონს. ეს ბოცოა, ჩვენი ბოცო!

— თქვენი ბოცოა, ჩემი მამაა, იცით თქვენ?! — უფრო განრისხდა ასლანი.

— მამა თუ ვარ, დამიჭერო უნდა! — ბოლოს გაბედა გაჭავრება ბოცომ, — მეც სიცოცხლის შვილი ვარ! სიცოცხლე მინდა, ხალხში მინდა. შენ შვილი ხარ, მარა მკლავ მე! ხალხთ! მიშველეთ, მაგას უნდა ახლავე მოგვედო, მე სიცოცხლე მინდა, მაკალე! მომეცი-მეთქი, ჭიბონი, მომეცი, დამიბრუნე. მაგი ჩემი სულია, იცი შენ?!

— ამდენი შვილები გყავს, ბაღიშები, დასახლებულები, გათხოვილები, შენ, — ბერი, ამდგარხარ და დეეთრევი, სასირცხოვ, შენ! რა გიხარია, რომ ჭიბონს უკრავ.

— ყოლისფერი მიხარია. ჰო, ჰო, მიხარია! — ჩაიკრუსუნა ბოცომ.

— ნუ ლანძღავ ჩვენს ბოცოს!.. თითქმის ერთხმად შეუძახა ბრბომ ასლანს. გამოგლიჯეს ჭიბონი და ბოცოს დაუბრუნეს.

ბოცო კი უნებურად წრის გარეთ აღმოჩნდა. იქ ბნელოდა და ბინდში, წუთით მარტოობა რომ იგრძნო, სული დაითქვა, გული მოიბრუნა, ძალა და ჭკუა მოიკრიბა. გულდადახვია და უბეში ჩაიტენა, თანაც ნელ-ნელა იქაურობას გაცილდა.

იაილის ბოლოში რომ განცალკევებით ქობი იდგა, იქითკენ მიდიოდა ბოცო. ჰქონდა რაღაც გადაწყვეტილება გულში, მაგრამ, თითქოს, არც თავს უმხელდა. მიდიოდა ძალიან ნელა და



სამოცდაათ წელიწადზე მეტხანს ნამუშევარი გული ისევ ანცობდა, რალაციით აღელვებული, დაძაბვით სცემდა. გულის ბაგა-ბუვი კარგად, გამორჩეულად ესმოდა მეჭობონეს. ეგონა საცაა გული გასკდებოდა, მაგრამ თავისი გულის იმედი ყოველთვის ჰქონდა, თავის გულს მუდამ ენდობოდა.

როგორ იქცევა ახლა, უწესოდ, უჩვეულოდ, უვარგისად, სამარცხვინოდ, ნუთუ გულისას, სულისას რომ არ აყვები და თავს ძალით დაიბორკავ და თავს დაიბერებ ძალით, ესაა უფრო ვარგებული რამ? — ეკამათებოდა თავის თავს ბოცო. რა ვქნა ახლა მე? დავბრუნდე შინ, ჩავწვე, ვავჩუმდე და სიკვდილს ვუცადო? რატომ გამაჩინა აბა ღმერთმა ამფერი? თუ არ ვიყავ საჭირო, რაი, ველარ მომიდრეკდა აქამდე კისერს? ღმერთს ჩემი უხატრებოდა, ან ჩემი ეშინოდა თუ რაი ნეტაი? მომიკვდა დედაბერი, ძიავ, რა ვქნა ახლა, რამდენხანს ვიტყვი? ე, მომიკვდა, ამიტომ მეც მოვკვდე? მე ჩემი სიცოცხლით ჩემგან წასულ დედაბერს უფრო არ გამოვადგები? ჩემში რომ სიცოცხლე ბურბულებს ისევ, ამას რა ვუყო? მე ჩემი სიცოცხლით უფრო რაცხათ ვინცხას გამოვადგები, ვიდრე სიკვდილით. არც თავს მოვიკლავ ჩემი საკუთარი სიკვდილის მოსვლამდე. რატომ, თვარა, კი, რატომ? თავის მოკვლა განა ბუნების და ღმერთის წინააღმდეგ წასვლა არაა? შენი სიკვდილი აგერ, თარიხე უდევს. შენახული, კარგად მოვლილი და ელოდება შენთვის გამოყოფილი დროის დადგომას. მანამდე, ალბათ, საჭირო ხარ შენ, ჰოდა, იყავი, აკეთე ის, რაც შენია, რაც შეგიძლია, რითაც მეორე შენისთანას დაეხმარები, წინ წაიყვან, ხელს გაუწყობ, გაამაგრებ, აამაღლებ, გაახარებ და ამ სიხარულით ამდენ წყენას და ამდენ მწუხარებებს გაუადვილებ. რა უნდა ახლა ამ საცოდავ და საწყალ ვარდოს ჩემთან? ან მე რატომ დავეძებ მას? ალბათ მე დამავალა გამჩენმა, მიხედვით. გული უხდა გავუკეთო და ჩემივე მიყენებული ტყვილი მოვურჩინო.

კაი, ძიავ, დამცინონ და, რა ვქნა მე, დამცინონ. ხანი ვაგეფუტეფუტეფოს ხანი ღიღი, იყოს, რა ვქნა მე.

გული მთხოვს, წაი, ბოცოვ, წაი, ნახე ვარდო, მალამო-სიტყვა მოუტეზე, მშიერი სული მისი დაანაურე, დაამშვიდე, დააიმდე. ხომ გინდა მადლი ქნა? ნახე ვარდო, ეს იქნება მადლი! ვარდო სარძევეში დახედა, რძეს ასხამდა მარლაგადაფარებულ კაპქანში.

დამფრთხალმა და შიშვემსკდარმა ქალმა ქვეშიდან გამოხედა მოსულს, თუნგი ააცილა კარდლის პირს და რძე იატაკზე გადმოივლარა.

ქათათა თეთრი ნისლი ქონის წინ შეჩერებულიყო და ნელა, სულ ნელა ქანაობდა, გეგონებოდა ტყეთა, მთათა, ველთა ელჩად ეს ნისლი მოსულიყო აქ, რომ ბოცოსა და ვარდოს შეხვედრას დასწრებოდა, მათი მოესმინა. ბოცო შედგა, რაცხა შიშისნაირი თუ მორცხვობისთანა გაუფაჟუნდა გულში და სხეული მთლად მოებურძგლ-მოეთენთა. ყირყიტომი ნერწყვიც გაუშრა, გაფშეკილი ენით ნუნებში სისველეს ეძებდა, რათა ყელი ჩაეღბო და იქიდან როგორმე სიტყვა ამოეთრია; იგი სიტყვა, ხიდივით რომ გაიდებოდა მასა და ვარდოს შუა, მერე კი, იცოდა, ეს ხიდი კაი ხანს გაძლებდა. ჰოდა, ივლიდა, ზედ, იქით-აქეთ.

ვარდომ დაღვრილი რძის მოსამშრალეზლად ძველი, დაკონკალი ფეშტემალი მოიტანა და, იქით, ძველ ქვაბში მოწურა.

ქალი ისე უბრალოდ, მშვიდად, გულგრილად იქცეოდა, თითქოს ბოცოს აქ მოსვლას თავიდანვე ელოდა.

— მეგონა ჩემ ძალს მომიყვანდი. — თავისთვის მოულოდნელად ჩაილაპარაკა მან.

— რანე გითხრა იცი? — გამოცოცხლდა ბოცო. — შენი ძალი შენა ვიყო, ვარდოვ, ჰა, ესნა გითხრა... შენა მოგიარო და დაგკავონა.

ამას კი აღარ მოელოდა ქერივი. შეიშვეშნა და სახეც ოდნავ შეუფაყლდა. თავი ჩალუნა, პასუხი არ გაუცია, რალაც უქანურად ეუცხოვა ბოცოსგან

ასეთი განცხადება. თანაც შენი ძალი უნდა ვიყო. ეს კი, გამოუტყდა თავისთავს, — მოეწონა, კინალამ ჩაელი-მილა ქალს, მაგრამ თავი შეიკავა და წელანდელი მსუბუქი მწუხარება უფრო მკვიდრად მოიფერა სახეზე. ბოცო დაიბნა, აზრებს თავი ველარ მოუყარა, გადაწყვეტილება ველარ მიიღო და თითქმის შეურიგდა ფიქრს, რომ ახლაც სამუდამოდ აქედან წავა.

— ამ შუალამზე ეზოში ხომ არ იქნები. მოი შინ, ბოცო-მეჭიბონევე. ბოლოს და ბოლოს, კაცი არ მყავს, მარა სამუსაფირო (სასტუმრო) კი მაქ... მობრძანდი, პო, მობრძანდი, ბოცო-მეჭიბონევე.

სიტყვა ბოცოს სიტყვა „მეჭიბონე“ იმიტომ მიაყოლა, ფიქრობდა თავისთვის ბერიკაცი, რომ ვითომ შე ბოცოს, კი არ მეპატოყება შინ, არამედ მეჭიბონეს. მაგრამ მაინც ეს იამოვნა ვარდოსაგან ამ ვითარებაში ამნაირი გულკეთილობა.

მთის სალამური სიცივე და ნისლი გარეთ დარჩა, მაგრამ ფარდალალა ყოშლაში, სადაც შუაცეცხლზე კვარი ბეუტავდა მხოლოდ, ვარეთასავით ციოდა. იქ ორი ღერი შეშა შენიშნა სტუმარმა. აღარ დამჯდარა. ნაჯახს ხელი სტაცა, ისევე ეზოში გავარდა და მალე მკლავზე დახოხოლავებული დაპობილი შეშა შემოიტანა. ცეცხლი მოანთო და პირმობრუნებულ, გულმომბალ, შემორიგებულ ვარდოსთან ერთად, ცეცხლაპირს, გულიანი მუსაიფი გაჩაღდა.

ქალმა ყავრებისაგან მოჭედილ, მრგვალად გამოხერხილ ტაბლაზე ცივი ჭადი, ყურუთი და ჩლეჩილი დააწყობა. ბოცო სუფრისაკენ მიბრუნდა. იქით ჭორკოზე, ვარდო ჩამოჯდა, კედლები ყოველ განძრევაზე ფრთხილად ჭრიალებდნენ. გეგონებოდა ქოსსაც სიამოვნებდა მათი ერთად ყოფნა, — სულს ითქვამდა, ფიცარი ფიცარს ეჩურჩულებოდა თითქოს.

• • •

იმ დამეს, ცეცხლაპირას, ძველ ნაბაღზე ჩაძინებული ბოცო სიზმარმა ჭერ

შორეულ სიყმაწვილეში წაიფუნა, მერე კვლავ უკან, ქოხში დააბრუნა და თავისთავზე აცქერინა. მეჭიბონე სიზმარში ხელდავდა თავისთავს, როგორ ეძინა აქ, ვარდოს ყოშლაში. ხელდავდა, როგორ წამოდგა ზეზე გამთენიას, როგორ გამოდენა ახორიდან საქონელი. როგორ აკიდა სახედარს ვარდოს ბარგი და როგორ გაუდგნენ გზას გოდერძიდან იქით, რატომღაც, მესხეთისაკენ. უცებ, იმავე სიზმრის პირველივე წუთებში, ბოცო და ვარდო, მთელი თავისი ქარაფნით, იმ ახალდაფუძნებულ სოფელში აღმოჩნდნენ, სადაც ბოცოს უმცროსი ვაჟი, ჭემალი გადმოსახლდა. ეს ამბავი ცოტა კი ეხამუშა ბოცოს, ძილში შეიშმუშნა და კინალამ გამოეღვიძა, მაგრამ არა, სიზმარი გაგრძელდა.

აი, სოფელი უცნობი, მაგრამ მაინც რატომღაც ძალიან ნაცნობი და ახლობელი. აი, იქ დგას ჭემალის ოდაც. ჭერ სოფელს სძინავს, განაბულია ყველაფერი. მარტო ერთი ძალიან ყფის სადღაც, ამ ყფის ხმა ეცნო ბოცოს. აი, მოიბრძინა ძაღლმა, ფეხებსა და მუხლებზე შეყნოსა მოსულს. ეს ხომ ის ძაღლია, შინიდან რომ ჭემალს გამოყვა მესხეთში. ბოცომ განაპირაზე ძველი სახლის ნანგრევი მონახა. დახოხობილი, ხავსიანი და ბალახმოკიდებული ქვები ზვინებდნენ ყვარა. იქ მიიყვანა ვარდო, მთელი ამაღა. ვარდო ხმას არ იღებდა, იგი თითქოს მთლად მინდობოდა მეჭიბონეს.

ბოცომ ნანგრევებიდან ერთი მოგროძო ქვის ზოდი ამოიღო ძლივს. ტიალზე გაიტანა და ძველ ნაფუძარზე საგულდაგულოდ დაასვენა. ამ ქვას მეორე მოუტოლა, მეორეს — მესამე და თვალწინ მალე ქვის მკვიდრი კედელი წამოიშართა.

კედელს კედელი ამოუდგა და ისე ადვილად დაამთავრა სახლი, ბოცოს გაუკვირდა. თანაც ბედნიერი და ამაყი შესცქეროდა ვარდოს კმაყოფილ სახეს. ბარგი შინ შეზიდა, დააწყობა, საქონელი საბალახოზე გაუშვა და, ძველი სახლის ნანგრევი ქვებისაგან თავისი ხელით აშენებულ ახალ სახლში ბო-



ყო ცქვიტად შევიდა. პირველი ისა ჰქნა, რომ კუთხეში, ახალ ბუხარში ცეცხლი დანათო. პატარა ალი ნელა, მაგრამ მძლავრად მოეკიდა შეშას და მალე ბუხარმა გიზგიზი დაიწყო. ახლა უკვე ნათლად გამოინასკვა ვარდოს სახეზე კმაყოფილების ღიმილი. ბოცომ უბიდან დაჭლურკული ჭიბონის გულა ამოიძრო და დიდი მოწადინებით ჩაბერა სული. ჩაბერა სული, მაგრამ ჭიბონს ხმა ვერ გააღებინა. ეცადა, ეცადა, თითებიც ბევრი ათამაშა ლერწმის წყვილ თვლებამოჭრილ ღეროზე, მაგრამ ამაოდ. შეწუხდა ძალიან ბოცო, უფრო იმან შეაწუხა, რომ მას ახლა ბედნიერი ვარდო შესცქეროდა.

არ ვიცი ვინმეს, ოდესმე თავის საკუთარი სიკვდილი თუ დასინჯებია. ბოცოს კი ნამდვილად დაესინჯრა თავისი საკუთარი სიკვდილი. იმ ახალაგებულ სახლში, სულჩანაბერ, დამუნჯებული ჭიბონით ხელში, მარტოხელა, ქვრივი, საწყალი ქალის, ვარდოს თვალწინ, ასე უშვილ-უძირო, ასე უმოწყალოდ ამ ქვეყნიდან სამუდამოდ მიდიოდა მეჭიბონე. იგი თავად გრძნობდა რა უღმობელად ბორკავდა, ცელავდა და ძირს ცემდა რაღაც უხილავი ძალა. თავადაც თვალებზე ცრემლის მოწოლას გრძნობდა, ტიროდა და ამაოდ ასავსავებდა ხელებს. ჭიბონი კი მკერდზე ესვენა. ამ დროს კარებს ახალი სოფლის მოსახლეები მოასკდნენ. იწვა და ესმოდა ბოცოს მოსულთა ჩოჩქოლი, ხმაური, ლაპარაკი. იცნო და გამოარჩია მათში ჭეშმალის ხმა. ოდნავ მოლულული თვალით კიდევ ხედავდა შვილის უფერულ სილუეტს, კარებში რომ გაჩრილიყო ყველაზე წინ და მომავლად მამას გამტერებული შეპყურებდა.

— ბაბუ, ბაბუ! — გაიგონა ბოცომ ბავშვის შეძახილი, მაგრამ ვერ გაარჩია, რომელი იყო. ისე კი კარგად იგრძნო, ბადიში მოვარდა, მკერდზე შეატა მოხუცს, სულჩანაბერილი ჭიბონი გადმოიღო, თავის პატარა გულმკერდზე მიიხუტა, მკლავები შემოუჭირა და ჭიბონიც ახმინადა. მერე ერთხანს უც-

ნური სიჩუმე გამეფდა ირგვლივ. ამ დროს კი უნდოდა ბოცოქს ერთად დერი სიტყვა მიეცა გაეგონებინა. ჩაღმისათვის, შვილისათვის, არ ვარ მკვლარიო, მაგრამ, რამდენიც არ ეცადა, ხმა მაინც ვერ გაიღო. უფრო ვარდო ეცოდებოდა, რომ ასე მარტო ტოვებდა, მაგრამ ძალა აღარაფრისა იყო და თანდათან ბედისწერას მორჩილდებოდა.

ირგვლივ ჩურჩულებდნენ, საღ უნდა დასაფლავდეს ჭეშმალის მამა, ბოცომეჭიბონეო. ყველა თავისას გაიძახოდა. ამ ამბავმა იქ მყოფთა ცხარე კამათი და სიტყვათა შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ბერიკაცი თავის სამკვიდროში, იქ, თავისავე სოფელში უნდა დაიკრძალოსო, გაიძახოდა ზოგი. ზოგიც ამბობდა, ამ ახალმოსახლე სოფელში ეს პირველი სიკვდილია, ამაზე მაღლიანი ვინ იქნება. შავი თუ ჩაწვება ამ მიწაში, ჩვენი ფესვიც სამუდამოდ ჩაირგვება აქო. ეს სიტყვა კიდევაც მოეწონა ბოცოს. მოგვკვდი და მოვეკვდიო, მაგრამ თუ ამ სიკვდილითაც ვილაცას გამოვადგები, ჯანაბას ჩემი თავიო.

ამ დროს, მშობელს ჭეშმალის წაადგა თავს და ბოცომ გაიგონა შვილის ნათქვამი!

— რა ვქნა, მეზობლებო, ასე მომექცა ბედი, რომ პირველი გლოვატირილი ჩემს ოჯახს ერგო. განგების ნებას წინ არ აღვუდგები, პირველი საფლავიც ამ დაცარიელებულ ძველ მიწაზე მე უნდა გავტრა და შიგ მშობელი მამა ჩაეაწვინო.

გაიგონა ბოცომ ეს სიტყვები, გაეხარდა, ოდნავ მხარი შეარხია, ამოიგვენება და ნელ-ნელა თვალის გაახილა. ქოხში ცეცხლი მიქრალიყო, მუგუზლებს აბლი გადაფარებოდა.

სარკმელში დიდი, ახალმონათებული მზე ბრღლეილებდა. ვარდო გარეთ ვილაცას ელაპარაკებოდა. ბოცომ თავისი უფროსი შვილის, ასლანის ხმა იცნო და, ოდნავ თავდამოცხვებული, თანაც იღუმალი კმაყოფილებით განათებული, ფეხზე წამოდგა.

**დღიურიდან: 198... თებერვალი**

გულში მადლობის გრძნობა ნაყოფივით მიმწიფდება. მინდა ხალხით ვნახო და ბოცო-მეჭიბონისათვის მადლობა ვუთხრა, თუმცა სიზმარი მოთხრობასავით გაგრძელება. ბოცმანი კი არ ჩანს. კუნძულები ორივე მხრიდან უცხო ჭარბივით შემოგვესივნენ. გემი ნელა, სულ ნელა ცურავს მსოფლიოს ამ ყველაზე გადატვირთულ საზღვაო ტრასაზე. მთლად გათენებული ჭერ არაა. ბინდბუნდში, სივრცე სინათლეებითაა მიმოხაზული. ცაზე კი ახალი მთვარე ჰკიდია. აი, წინ, ეტყობა, სინგაპურია.

მალაქის გრძელი სრუტე ჰა, საცა დასრულდება.

შენელებული სვლით შედის ჩვენი ხომალდი სინგაპურის ყურეში, სადაც, მგონი, ასამდე გემი დგას რეიდზე. აი, გემს კატერი აედევნა და მალე ჩაშვებულ ტრაპზე ენერგიულად ამობის ლოცმანი. მას კისერზე ჩამოკიდებული რადიოტელეფონი აქეთ-იქით უკორწიალებს, გემს მთლიანად თავის გამგებლობაში იბარებს. იძლევა მოკლე განკარგულებებს კოორდინატების მინიშნებებით, რათა ხომალდი მიჩნეულ ალაგას მიიყვანოს და სარეიდოდ ლუზები ჩააშვებინოს. მე თვალი ქალაქისაკენ მიმირბის, შევნიშნე: ნაპირს მოწყდა და სიღრმისაკენ მოემართება ჭრელ-ჭრულა ბაირალებით მორთული ლამაზი იახტა. იგი კობტად, რაღაცნაირი სიკეკლუცითა და თითქოს ეშხიანი მიხვრა-მოხვრით გვიახლოვდება. დიახ, დიახ, მგონი, იგი პირდაპირ ჩვენკენ მოიწევს, რა არის ეს? ვინ არიან ამ უცნაურად აჭრელებულ იახტაზე? მინდა შევეკითხო ვილაცას, მაგრამ ჩემთვის არავის სცალია. ყველაზე უკეთესად, ალბათ, ლოცმანმა იცის იმ იახტის ამბავი. ჩვენი კაპიტანი შალვა ლოცმანს გვერდით ამოსდგომია და ნერვიული დეღვით შესცქერის, თუ როგორ ეპყრობა ეს სინგაპურელი მის მშობლიურ გემს. უკვე გარკვევით გა-

ისმა საღებზე ჯაჭვთა ხრიალი. ხომალდის სვლა მკვეთრად ნელდება. ახლა უკვე თითქმის თავისუფლდება ლოცმანი. მისი მოვალეობა აღსრულებულად ჩაითვლება. იგი შვებით იღიმება. შალვას ვანიშნებ, კითხეთ იმ იახტის შესახებ-მეთქი. იახტა კი თანდათან ახლოვდება. ეტყობა, პირდაპირ ჩვენკენ მოემართება. თანდათან ძლიერდება მუსიკის ხმები. ნიავე მხიარულად ათამაშებს მრავალი ფერის აღმებს, აღმა-დაღმა აჭიმულ-დაჭიმულ ბაწრებზე რომ ასხმულან. იახტაზე თანდათან გარკვევით ვხედავ ქალებს, მხოლოდ ქალებს. მშვენიერი გოგონები, მინიკაბებში გამოწყობილნი, ხორხოციტ, ხელის ქნევით, თითქოს შორიდან გვესაუბრებიან.

— ესენი ჩვენი სინგაპურელი ლამაზანები არიან, — სიამოვნებით უნმარტავს ლოცმანი კაპიტანს. — იახტა მათია, თავად რთავენ და თითქმის ზედვე ცხოვრობენ. უცხოური გემი რომ შემოვა, შეხვდებიან, ზედ გემზეც ადიან. არაფერი აინტერესებთ, გარდა კარგი ბიჭებისა. გაიცნობენ, ერთხანს იქ დარჩებიან, დროს გაატარებენ, იმხიარულებენ, ოკეანეებში ხანგრძლივი ცურვით დალილ, ხმელეთს მოწყვეტილ მეზღვაურებს გაამხიარულებენ, სიყვარულით გააბედნიერებენ, თავადაც ასალებს აიღებენ და კმაყოფილნი ნაპირს დაუბრუნდებიან.

შალვა, შევატყვე, ოდნავ დაიბნა. რა ქნას, როგორ მოიქცეს? თუ მართლაც ეს უცნაური იახტა გემს მოადგა და გადარეული სინგაპურელი ქალები გემზე ამოცივდნენ, მაშინ? იგი ჩქარობდა. უნდოდა ლოცმანი მალე წასულიყო, რომ ტრაპი მალა ამოეწია და ჩვენი, საბჭოთა ხომალდი ამ საშიშ ამორძალთა თავდასხმისაგან დროზე ეხსნა.

იახტა კი, მართლაც, ახლა უკვე ნელა, მაგრამ თანდათან გვიახლოვდება და მათი ყრიაბული, კისკისი თუ მუსიკის ხმები, აკლებით თუ არა, დაყრობით ნამდვილად გვემუჭრება. ჩვენ ერთმანეთისა თითქმის აღარ გვესმის. მეზღვაურები გემბანებზე გამოეფინენ.

ისინი ხელებს უქნევენ იახტაზე ქალი-  
შვილებს. ლამაზმანები კი შორიდან  
კოცნას გვიგზავნიან, ხელებით, მიმი-  
კით გვიჩვენებენ, რომ მალე ამოვალთ  
გემზე და თქვენი ვიქნებითო.

ამასობაში ლოცმანი გვეშვიდობე-  
ბა, აი, ტრაპზე ეშვება. კაპიტანი ჩქარობს,  
ნერვიულობს. როგორც კი  
ლოცმანი თავის კატერზე გადადის,  
ანიშნებს, ტრაპი ამოსწიეთო.

მაგრამ, ხდება უცნაური რამ: მოახ-  
ლოებელი იახტიდან ქალები, შეხედა-  
ვენ თუ არა „მხატვარს“ კორპუსზე და  
გამოიცინობენ სადაურობას მისას, ვატ-  
ყობ, განაბულ-ნიჩრწამხდარნი ერთმა-  
ნეთს გადახედავენ. იახტა მარცხნივ  
უხვევს და გაჩუმებული, დამცხრალი,  
სხვა გემისაკენ მიემართება.

კაპიტანი შვებით ამოისუნთქავს და  
ლალი კმაყოფილებით შიგა ტრაპზე  
ამობის — გადავრჩით! — თითქმის  
ჩურჩულით მეუბნება იგი.

შალვა დიდიძე მანიშნებს, მალა  
ხილურზე წამოყვებითო, იქიდან, მალ-  
ლიდან, მთელი სინგაპურის უბე ხე-  
ლისგულივით მოსჩანს. გვერდით, ნელ-  
ნელა ჩაგვიარა იაპონურმა დიდი ზო-  
მის ტანკერმა.

სინგაპურელ ქალთა იახტა ახლა  
იაპონელებს მიუბრუნდა. ტრაპი ისევ  
სელისას ეშვება. იახტა გემს უახლოე-  
დება და თანაბარი სისწრაფით მიცუ-  
რავს. აი, ტრაპს გაუტოლდა კიდეც,  
ერთი ქალიშვილი იახტიდან კობტად  
გადავიდა იაპონელთა ტრაპზე, უმალ-  
ვე, მალა, გემბანისაკენ აცოცდა. ორ-  
მა მეზღვაურმა ხელი შეაშველეს და  
ასე, ხელში აყვანილი, მიყავთ მალა,  
დანარჩენი გოგონებიც, კისკისითა და  
ხმაურით გადაცივიდნენ ტრაპზე და  
გემზე ასვლას ცდილობენ. კიდეც აღი-  
ან.

ჩვენი მეზღვაურები კენტ-კენტად  
მობრუნდნენ და გულდაწყვეტილები  
თავთავის საქმეებზე გაიფანტნენ.

— მაგენი ძვირადღირებულები არი-  
ან. ჩვენი კაცი ვერ გადაიხდის მაგდენს.  
ჰოდა, ისედაც, ხომ იცით, ჩვენს გემზე,

მაგნიორ ქალებს ვინ ამოგაშვებინებს.

— მიხსნის კაპიტანი. ეგრეთვე უწოდებენ.

— კი, ვასაგებია, ეგრეთვე უწოდებენ  
ამასობაში, გემიდან ჩვენს მოზრდილ  
მაშველ ნავს წყალზე უშვებენ.

ქალაქი სინგაპურია ლეგენდით ასე  
ყოფილა: თურმე ერთი ინდოელი ვა-  
ჭარი, უძველეს დროში, ნავით ამ ნა-  
პირს მოადგა. ამ კუნძულზე რაც პირ-  
ველი დაინახა, ეს ლომი ყოფილა.  
„სინგ-ვაპურა!“ — შეჰყვირა თურმე,  
ე. ი. ლომის ადგილიო. ასეც დაურქმე-  
ვით შემდეგ, სინგაპურია.

ახლა ეს ქალაქი სახელმწიფოა. ძი-  
რითადად მალაზიელები ცხოვრობენ,  
მაგრამ ბევრია ჩინელიც. ჩინური წა-  
რწერები, რეკლამები, ჩინური გაზეთე-  
ბი, მრავლად გვხვდება.

აგერ კი, უნივერსალი „მოსკოვი“  
ზურგზე აწერიათ პატარა ბიჭებს. ისი-  
ნი მკვირცხლად ჩამოგვეგებნენ ნავში-  
სადგომის კიბეზე, ხელი წაგვაველეს და  
სადაც გვეპატიუებინა.

მართალია, ფეხს ვაბიჯებ სინგაპუ-  
რის მიწას (მიწა კი არა, ასფალტს), მა-  
გრამ წუთით მაინც თითქოს ისევ გემ-  
ზე ვარ. იწყება ახალ, უცხო ნავსად-  
გურში ხალხის გამგების ფაციფუცი.

ცხელი, დახუთული ქალაქი ჩვენში  
შემოვიდა თუ ჩვენ მასში შევედით?  
ღიახ, ჩვენ შევედით და მისი ჰავა თი-  
თქოს საბანივით გადავიფარეთ სხეულ-  
ზე. გვერდით მყავს პირმოპარსული,  
თმადავარცხნილი, თეთრ პერანგზე  
ჭრელი ჰალსტუხით მრეშ პიჯაკში გა-  
მოწყობილი, ჩემი მორჩილი ტანის კა-  
პიტანი. იგი ოდნავ დაწინაურდა, მე  
უკან მივყვები. უნდა მოენახოთ საზღ-  
ვაო სამსახურის საბჭოთა წარმომად-  
გენლობა. მისამართი გვაქვს, მაგრამ მო-  
სასვლელი გზა არ ვიცით.

— გავიაროთ ცოტა, ვინმეს ვკით-  
ხავთ, ამასობაში ქალაქსაც გავეცხოებით.  
დრო ქე გვაქვს, რა გვენაღვლება, —  
კმაყოფილებით და უცაბედი აღერსით  
შემობრუნდა ჩემკენ შალვა-კაპიტანი.  
ხელსაც მკიდებს მკლავში და ისე მივ-  
ყევარ. ეს გულგახსნა, ეს სითბო, მო-  
სიყვარულება უსაზღვროდ მსიაბოვე-



ნებს და, მიმავალი, გვერდიდან, წუთით, ვათვალისწინებ თვით შალვას, თითქოს მივეყრას მისი ხასიათ-განწყობილების მოულოდნელი გამოცეკვა. მე მგონი, იგი კარგად გრძნობს, მე რომ გოაცეხული შევეცქერი, მაგრამ არ იმჩნევს, ისევე წინანდებურად, ლაღად მიარღვევს თბილ, ნოტიოს ჰაერს და უცნობი ქუჩის რეკლამებით აფერადებულ სივრცეს.

ჭერ ისევე ზღვისპირს მივეყვებით. ვხედავ, ზღვიდან ტროტუარზე ამომავალ კიბეებს პირდაპირ ცხვირით მოადგება უცნაურად მოხმარებულ ბიჭებით სავსე ნაღი. ძრავა გამოირთო თუ არა, წვეილ-წვეილად ბოლო საფეხურზე ხტებიან და კიბეზე ამორბიან. მეჩვენება, რომ ამ ბიჭებს, ძალიან ხმაძალდა და ბოხი ხმით რომ ლაპარაკობენ, თითქოს ძალიან გრძელი ფეხები აქვთ და გამორჩეულად მალეუბი არიან.

ზარხარებენ და, ვატყობ, არავის ყურადღებას არ აქცევენ.

შალვა ნაბიჯს ანელებს. ამ ახალ-გამოცხადებულებსავე იყურება და ყურში მიჩურჩულებს: — ა, ესენი ამერიკელები არიან.

— განებივრებული და შეფერებული ბავშვები! — გამოიღვებს თავში, მაგრამ არაფერს ვამბობ.

ჩვენი ბიჭები უკან, შორიანლო მოგვეყვებიან. მათ ცარიელი ხელჩანთები და სავსე, ფრთხილი, მოღალეული თვალები მოაქვთ, ამერიკელებს კი — სავსე ჩანთები, კმაყოფილი, ქედმაღლური მზერა და ანგარიშმიუცემელი ხმაური.

ხალითი თავის ჯგუფს გამოეყო და ჩვენ მოგვიახლოვდა. როგორც სჩვევია, ყურებამდე იღიმება და ორივეს გვეუბნება:

— პატივცემულებო, მე აქ ბევრი არაფერი მაქვს სანახავი. ვყოფილვარ აქა და ვიცი... ბიჭებს მალაზია აინტერესებთ, ჰოდა, პირდაპირ წავალთ. ა?

— ჰო, წადით, ბოცმან, წადით! — სანახევროდ მბრძანებლურად პასუხობს კაპიტანი შალვა. მერე მე გადმომხედავს და, — მოდი ჩვენც შევი-

ხედოთ ერთი, რა ჯანაბა ყოფილა მაგონის/მალაზიაში.

„მაგონის მალაზიაში“ რაქმე... ვინ აღწერს, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ამერიკელებიც სწორედ მალაზია „მოსიკოვში“ შემოხორბოცდნენ. მგონი, იმათ ეგონათ ეს ჩვენი, საბჭოური მალაზია იქნებოდა. აბა, რა ვიცი, ვხედავ, არაფერს ყიდულობენ. ჩვენებს კი ძალიან ბეჯითად ათვალისწინებენ. დიახ, ვხედავ, როგორ გაფაციცებით გვაყვირდებიან.

საქონელს კი ზედაც არ უყურებენ, ჩვენს ბიჭებს შესცქერაან.

ერთმა, მალაშა და ახმახმა ბიჭმა დაინახა, რომ მე შეენიშნე მათი გამუდმებული ცქერა. ოდნავ თითქოს იუხერხულა, თავად თვალი მოგვეყვირტა და სულ სხვა მხარეს გაიხედა.

ხალითი და მისი ჯგუფი ღინსებიან დახლს მიესია. ვადმოიღეს. ვაშალეს, მოიზომეს, იარლიყები გაუსიჩქეს და, ბოლოს, შიშით, ფასებიც ამოიკითხეს. ღინსები, ეტყობა ამერიკულია, ფასითაც ეტყობა, ვერ მოერგო ჩვენებურთა ჯიბეებს. გაჩაღდა ვაჭრობა.

მე ვხედავ, ამერიკელი ბიჭები რომ ქვეშქვეშ იღიმებიან და ზოგი ხმაძალდა ხეიხეინებს. ის ერთი კი, მალალი, განზე დგას მყუდროდ, ხმას არ იღებს. ჩვენზე თვალმორიდებულა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ისიც ჩვენივე დაეკავებულა.

მახსოვს, ერთი ფულბრაიტი ჰყავდათ ამერიკელებს მთავრობაში. ეს კაცი საგარეო საქმეთა კომისიას მეთაურობდა დიდხანს, რამდენიმე პრეზიდენტის ხელში. კარგი აზრები ჰქონდა იმ საწყალ ფულბრაიტს, თანამდებობაც არა უშავს, გვარიანი იყო, მაგრამ ვინ უსმენდა მის აზრებსა და წინადადებებს. ჰოდა, მახსოვს, სადღაც, სიმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ბებერი ფულბრაიტი ჩამოსცილდა თუ არა დიდ სამსახურს, დაწერა წიგნი.

აი, ეს წიგნი ჩვენშიც ითარგმნა. მეც წავიკითხე. ერთგან იგი წერს, ამერიკელები, განსაკუთრებით ახალგაზრდა ამერიკელები, უცხოეთში თავხედუ-

რად, გამოძწევად იქცევიანო. ის დაბრძენებული ბერიკაცი, ფულბრაიტი, კიდევ სხვა რალაცებშიც სასტიკად აკრიტიკებს თანამემამულეებს.

ჰოდა, ახლა, აქ სინგაპურში, უნივერსიტეტი „მოსკოვში“ მაგონდება ის შენიშვნები ყოფილი სენატორისა.

მაგონდება, მაგრამ რა მერე?!

— პრივეტი! — რალაცნაირი ჩაბოხებული და გამოძერწილ, გამოჭედოლად გვესალმება ის ერთი, მაღალი სმერიკელი ახალგაზრდა ვერ იტყვი თითქოს იგი ქერა იყოს, ან შეგვგრემანი. რალაც ისეთია, საშუალო. ახლო მოვიდა ახლა უფრო აშკარა გახდა მისი უპირატესობა სიმადლეში. რუსულადვე გააგრძელა:

— ამხანაგო, უბერხელი ხომ არაა, ცოტა რომ გავისაუბროთ? მე კოლუმბიის უნივერსიტეტის რუსულ ფაკულტეტზე ვსწავლობ. ახლა, არდადეგებზე, საცურაოდ წავედი. ხომ იცით, საჭიროა ცოტა რალაცა გამოვიმუშაო. მივხვდი, საბჭოთა ადამიანები ხართ. მინდა მოვსინჯო, შევძლებ თუ არა რუსულად საუბარს. ნუ გამეციხავთ...

„ამხანაგებო“, ამ სიტყვას, მართლაც წარამარა ხმარობს. ამით ეტყობა, ნამდვილ საბჭოთა ენაზე გველაპარაკება. ჩვენ ნელ-ნელა მაღაზიიდან გარეთ გასვლას ვიწყებთ. ამერიკელიც აგვედევნა.

— მე ჯონის მეძახიან, — გვარად ჰემსონი... მე უბრალოდ მინდა თავი გამოვცადო. შევძლებ თუ არა ნამდვილ რუსებთან ნორმალურად, რუსულად ლაპარაკს.

შალვამ პირი დაალო რალაცის სათქმელად, მაგრამ ჯონი კვლავ სიტყვას უჭრის.

— არა, ვიცი, თქვენ იქნებ არა ხართ ნამდვილი რუსები, მაგრამ ხომ რუსეთელები ხართ? ჩემზე უკეთესად ხომ იცით რუსული?

ჩვენ უკვე გვეჩქარება, შალვა დელავს. ამას ხედავს ჯონიც. მე ვანიშნებ შალვას, უბერხელია ახლა ამ ბიჭის ასე მიტოვება და გაქცევა-მეთქი. ისიც მეთანხმება და სამივენი ნელა მივყვე-

ბით გზას. მაგრამ საიღო მეგლიერთ, მგონი, არცერთმა არ უცხოვდუნულ!

შალვა გვერდში ამხტუნუნებდა და ცდილობს მეტი ელაპარაკოს, რომ ამერიკელ სტუდენტს ერთგვარად, საჭირო ჯერსი ჩაუტაროს და თავიც მალე გაითავისუფლოს, რომ საქმეს მიხედოს. მაგრამ ეს ჩვენი ჯონი სულაც არ ფიქრობს ჩამოცილებას. იგი თანდათან გვიშინაურდება და, უნდა ითქვას, თანდათან გვიახლოვდება ყოველ შემთხვევაში, თანდათან სასიამოვნო გამოდის მასთან საუბარი.

— ოჯახი მყავს, პატარა ოჯახია. ადრე დაქორწინდი. გოგონა მყავს, რვა წლისა. ბოსტონში ცხოვრობენ. იცით რა, ამხანაგებო, მოდი თუ გაცვალთ მისამართები, თუ თქვენ რომელიმეს გყავთ ჩემი გოგონას ტოლი გოგონა, მივაწერინოთ პატარებს ერთმანეთისათვის წერილები. მოდი, იცნობდნენ ჩვენი შვილები ერთმანეთს პატარაობიდან. იქნებ, მერე, როცა გაიზრდებიან, კიდევ ესტუმრონ ერთმანეთს. ვინ იცის, ბოლოს და ბოლოს, ხომ დადგება უკეთესი დროება. აბა, ერთი მოთხარით, რას გავს ეს ჩვენი დღევანდელი ურთიერთობა? განა ეს შეეფერება ჩვენი ხალხების ხასიათს და ცივილიზაციის დონეს მსოფლიოში? ჩვენ, უბრალო მაშვარაღნი, იქნება უკეთ შევთანხმდეთ, ჩვენი არაა ზღვა და ხმელეთი?

გაშალა და გაშალა აზრები ჯონიმ, დაფინა და დაფინა ენები. ჩემი შალიკო, მგონი, ცოტათი იხნევა. რა ქნას, აღარ იცის. აყვეს ჯონის გამოწვევას თუ პასუხიც არ გასცეს და ამით აიცილოს ყოველგვარი გაუგებრობა. თუ ნეტა ჩემზე დატოვა მთელი სიტყვიერი ვალის გასტუმრება?

— იცით, რა გითხრა, ამხანაგო ჯონი? — შედგა შალვა და ისე, ძალიან სერიოზული კატეგორიულობით, ეუბნება ამერიკელს, — თავი დავანებოთ ახლა ამ მაღალ-მაღალ საგნებზე მაღალფარდოვანულ მსჯელობებს. მაგნიორ პრობლემებს ჰყავს პატრონი ჩვენთან

და, მგონი, თქვენთანაც და როგორმე ისინი მოუვლიან.

— არა, რატომ, ამხანაგო: რატომ ჩვენ, უბრალონი, არ ჩავერიოთ? რატომ ჩვენ არა ვთქვათ? ვანა ყოველ ჩვენგანს არ შეეხება ეს? აი, მე გულწრფელად გეტყვი, მინდა თქვენთან კარგად ვიყო. მიყვარს რუსეთის კულტურა. ლიტერატურა. მინდა ჩემი პატარა ოჯახით რამდენიმე წლით ვიცხოვრო საბჭოთა ქალაქში.

მე სახეზე ალბათ შეწუხება მეხატება. ვუხერხულობ და ჯონის ვეუზნები.

— მისტერი ჯონი!...

— არა, ამხანაგო, არ მინდა ეგ „მისტერი“. გთხოვთ მომმართოთ თქვენებურად — „ამხანაგო“. ეს მე ძალიან მომწონს. მე იქ, უნივერსიტეტშიც, ასე მიემართავ ხოლმე ლექტორებს და თანატოლებსაც. და, იცით? დავერგე ეს.

— ჰო, ამხანაგო ჯონი! — ვიცვლი ტონს — სამწუხაროდ, თქვენი გოგონას ტოლი მე არავინა მყავს. მაგრამ მისამართს მოგცემ. თქვენიც მომაწოდეთ. მოვნახვებ ახლობლებში თქვენი გოგონასათვის სამეგობროს და მოვაწერინებ წერილს:

— ა, ვოტ, ტავარიში! ვოტ ეტო პანიშია! — შესძახებს და მხიარულდება ჯონი.

— ჯონი, ვის მიეცით ხმა ამ ბოლო არჩევნებში?

— არც ერთს, ამხანაგო. არც ერთ კანდიდატს არ მივეცი ხმა. დიახ, ასე ვკუთვნი მათ. ორივე გვატყუებდა. მე თქვენ იმიტომ არ გეუბნებით, რომ საბჭოელები ხართ. მე გეუბნებით ნამდვილს. ყველაფერი კარგს გპირდებიან, როცა არჩევა უნდათ, აირჩევ და მერე — არაფერი. ყველაფერი ავიწყდებათ. ხალხმა რა ჰქნას. ხალხმა რა უნდა ჰქნას... იცით? საერთოდ, არც კი წავედი არჩევნებზე. ასე ვკუთვნიოდა მათ.

— მერე რა, ის მაინც აირჩიეს.

— მე გული მშვიდად მაქვს. მე პირადად არ ამირჩევია, ჩემი თავის წინაშე მართალი ვარ. ეს ვიცი. ეს დიდი რამეა, ამხანაგო.

ვხედავ, წინ, ტროტუარზე ჩვენი ხონა მოდის. პირდაპირ ჩვენკენ მოდის. ჩაუცვამს ჩითის ჭრელი მინიჭურჭელი თეთრი მუხლები უჩანს, წელს მოარხევს, თმები ქარში უთამაშებს ხოლმე და, მოდის ჩვენკენ, მაგრამ, რა ხდება, — სულ არ გვიყურებს ჩვენ. კაბიტანი და მე, ჰამპოლიტი, პირდაპირ ჰა, უნდა შევეჩებოთ. ის კი ჩვენ სულაც არ გვამჩნევს, მამაძაღლი უყურე შენ, რა ყოფილა ეს ზინა, აა?! ვიპმე, რა ლამაზია ეს ოხერი, კაცო! ეს ვინ ყოფილა ზინა, ეს რა შესანიშნავი ყოფილა ზინა! უცებ ჩემს საკუთარ თავსაც ვეღარ ვცნობ. შალვას და ამ ჩვენს ამერიკელს ხომ სულ მოვცილდი თითქოს. ამ მამაძაღლს, ამ ზინას მე ახლა ვუჩვენებ სეირს. რას დაეხეტება ასე მართო უცხო ქალაქში, აა? ვინ გამოუშვა, ვის ჰკითხა. რატომ გემიდან მართო ჩამოვიდა?

ქალიშვილი, აი, უკვე შემოგვხვდა, ჩაგვიარა, არც შემოგვხვდა, ჩითის ჭრელ კაბაში გამოკოჭილი თემოები გამომწვევად მოგვიქნია და ჩაიარა.

ვიცინი ჩემთვის და ვიტუქსავ თავს. მიკვირს, რატომ მაინცდამაინც ზინას მივამსგავსე ეს სინგაპურელი გოგო? რატომ გამახსენდა მაინცდამაინც ზინა და რატომ ამეკვიტა ახლა მასზე ფიქრი?

საოცარი მსგავსება იყო მართლაც. საიდან გაჩნდა ამ სინგაპურის ჭურღმულში მაინცდამაინც ზინას ტყუპისცალი თუ ასლი? რას შეება ახლა ნეტავ ზინა გემზე, მართო? ნეტა თუ ჩაიწერა ვინმემ იგი ჭგუფში და თუ გაიყვანეს ნაპირზე? საყოდავი ზინა! თენგოს შემდეგ, თენგოს გამო...

თავდაც დადანაშაულებულია, ვახიცდის არა მართო კანარებზე თენგოს დარჩენას, არამედ ბევრ სხვა რამესაც. მის მიმართ რაღაცნაირად, უღმობლად, უყურადღებობა გამეფდა. ეს კი ქალისთვის სასწავლივით აუტანელია. ბოლოს და ბოლოს ქალია, გემზე ერთადერთი ქალია, ისიც ასეთი ახალგაზრდა.

მივატოვეთ, სულ მივატოვეთ. საწყლად, უპატრონოდ, გაუგებრობით მო-



ცულ გაურკვევლობაში მივატოვეთ.

ზინა, ჩვენი გემის ასული და ასე უცნაურად დაობლებულ-დაქვრივებულ-ლი. აბა რა ვუწოდო ახლა მის მარტობას?

მეც, აი, ახლა უცნაურად, საგრძნობლად მკებნს და მჭინჭრავს იმაზე ფიქრობ, რომ ვერ გამოვიჩინე ქალისადმი საჭირო გულისხმიერება.

ეს, დიხაბაც იყო ჩემგან საჭირო. მერე რა, გვიანი არც ახლაა? — ვსაკენი ჩემთვის.

უბის წიგნაკის ფურცელზე მისამართს ვწერ და ჯონის ვუწვდი, ის კი თავის მხრივ საეიზიტო ბარათს მაძლევს. შალვა ოდნავ იშმუშნება და თითქოს თვალებით კიდევ მიჭავრდება, რა საჭიროაო, მაგრამ რალა დროსია, — აბა ბავი უკვე მოხდა.

ძალიან კარგი ვქენი, — ჩემთვის ვამბობ. შალვა კი შემომჩივის: — ბიჭო რა ვუყოთ ამ კაცს, ჩვენი საზღვაო სააგენტო არ ვინახულოთ?

— რომელ ენაზე ლაპარაკობთ? — კითხულობს გაბადრული ჯონი.

— ქართულია, ამხანაგო! — კმაყოფილი და რალაცნაირად ნასიამოვნები უხსნის შალვა.

— კოლუმბიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხშირად ვკითხულობ რუსულ ჟურნალებს. ვიცი, ქართულიც არის იქ ხოლმე, თარგმნილზე მოგახსენებთ, ბევრი რამ მომისმენია ამ ხალხზე, მაგრამ მთელ სიცოცხლეში თვითონ პირველად ვხვდები ქართველს.

მანქანების კვალით შეზავებული სინგაპურული მტკერი სულს გვიხუთავს. ქალაქის შუაგულსკენ სიცხე უფრო მძიმდება და ძველი, ვიწრო ჩინური ქუჩებიდან მომჭროლავი მძალე სუნი დალილობას უფრო აუტანელს ხდის. მოსახვევში კაფეა, ჯონი შევიპატიყეთ ყავაზე. ვსვამთ გაციებულ მუავე წყალს და ყავასაც ვაყოლებთ. ფულს მე ვიხდი. ჯონიც ჯიბიდან იღებს თავისი წილის ვადასახდელად. ვადახდილიაო, ეუბნება შალვა.

— ჩვენი გემი აი, ხედავთ, თქვენს გვერდით დგას. დღეს, საღამოს რვაზე

გეპატიყებით. მობრძანდით ჩვენთან. — ნაჩქარევად გვეუბნება ჩინური მადლობით ეპირდებით დამიგეუშვებენებში. შალვა, ეტყობა, ერთგვარად თავშეკვეებულია მასთან ურთიერთობაში. იგი ფართოდ შლის ხელებს, უნდა გადახვევით დაგვეშვიდობოს, მაგრამ ჩემი კაპიტანი მარჯვენას გაუწოდებს მხოლოდ და ამით აგრძნობინებს, რომ გადახვევა ზედმეტიაო. უსაზღვროდ ფართო და ზეიმური ღიმილი ოდნავ მოელრუბლა ჯონის. არ იმჩნევს წყენას, თავადაც დიდ, ნიჩაბივით ფართო ხელს იშვერს ჩვენკენ.

მისი გულუბრყვილო ღიმილი, ის სტიქიური მიპატიყებაც, ეს მოუშხადებელი და რალაცისმთქმელი მხურვალე გამომშვიდობება გულს ხვდება, რალაც სიღრმისეულ, უფრო დიდსა და საჭირო რამეს განადიდებს, ვიდრე ორი-სამი კაცის შეხვედრა-განშორებაა.

ჯონი, ეს ტიპიური ამერიკელი მატროსიც, ვგრძნობ, ხვდება ამას და მისი აზრით, ამ შემთხვევით შეხვედრაში თავისი ქვეყნის კეთილგონიერი წარმომადგენლის როლს კისრულობს, მე კი გულში მელიძება, — იმ ხელისუფალთა წახდენილს ვითომ ერთი მეზღვაური გამოაკეთებს? თუმცა განზრახვა მაინც მისაღებია; ასეთი ვაგება მილიონთა კუთვნილ ძალად რომ იქცეს, შესაძლოა ბევრი რამ მშვიდობიანი სიყეთისაკენ მობრუნდეს.

ჯონი შორიდან ხელისქნევით გვემშვიდობება და მაქის საათზე განმეორებით მიგვითითებს, საღამოს მოსვლა არ დაგვიწყდეთო.

მინდა კაპიტან შალვას ვკითხო რალაც, მაგრამ იგი მკვეთრად პირდაპირ წინ მიემართება. ჯონიც მოპირდაპირე მხარეს მიამიჭებს, თავისიანებს უახლოვდება.

ვიწრო ქუჩით მიმავალნი უცებ ბაზარში აღმოვჩნდით. საოცრად ჭრელი, მრავალფეროვანი ბაზარი, მგონი სულ ჩინელებითაა სავსე. ამ ქალაქ-სახელმწიფოს სოფლის მეურნეობა სულაც არ ვაჩნია, აქ კი უამრავი პროდუქტია. საიდან? თურმე მახლობელი მა-

ლაზიის კუნძულებიდან გლუხებს მთელი ავლადიდება აქ, სინგაპურის ბაზრებში შემოაქვთ. ძლივს გადავიარეთ ბაზარი და მეორე მხარეს, მგონი, ძველ ნაწილში შევედით.

ახლა კი მთლად დავიკარგეთო, ჩაბუზღუნა შალვამ. ხმელი ჭილოფისკუდიანი ბიჭი ჩერდება, გვათვალთვლებს. ეტყობა, ხედება, უცხონი ვართ და, თანაც, რომ დავიბენით. შალვა უხსნის, თუ რა გვინდა ბიჭი მიგვიძღვება, თანაც მხიარულად გვიყვება ამ ძველი რაიონის ლაბირინთებზე. ამ შალაზიელი ბიჭის ინგლისურს მიახლოებით კაპიტანიც ხედება და ნაწილს კიდევ მითარგმნის. ბიჭი მიგვიძღვება და განუწყვეტლად რაღაცას გვესაუბრება. გაუჩერებლად ლაპარაკობს და ძალიან სიამოვნებს, მე ვფიქრობ, უსაზღვროდ სიამოვნებს, რომ იპოვა ასეთი ხალხი, როგორც ჩვენა ვართ, გვატარებს, გვიხსნის, გვიჩვენებს, გვიქვებს, გვიამბობს, გვიღებს, ალტაცებაში მოვყავართ და ამით ბედნიერდება. აქეთ-იქით ატრიალებს თავს, ხან ერთს შეგვხედავს, ხან მეორეს. ეძებს ჩვენს სახეებზე კმაყოფილების ნიშანს და, როგორც კი რწმუნდება, რომ რაღაცით გვასიამოვნა, თავდაც ალტაცებას ვერ შალავს.

აი, შეგვიძღვა შენობაში. სახლი მაღალია თუ დაბალი, ვერ ვაიგებ. რაღაც უცნაურად მრგვალია, უცნაურად დაკბიულია, მიხვეულ-მოხვეული აივნებით თუ სართულებით, არ ვიცი. ფასადი აღარ ჩანს. შიგა ვართ. ვრილა ლიფტთან მივყევართ, ღილაკს აჭერს ხელს, ხელი შავია, ფრჩხილი — თეთრი. ჭეხაურად ჩამოცურდა ლიფტი, ვაიხსნა კარი, შიგ შევდივართ. ვფიქრობ, ახლა ლიფტი აგვიტაცებს ზევით და ნუთუ ბიჭს მადლობა მაინც არ უნდა ვუთხრათ? მოვბრუნდი. ვხედავ თავადაც შიგ შემოსულა, ისევ ისე გვიღიმის. ჩვენს სახეებზე კმაყოფილებას დაეძებს. უხარია. ისე უხარია, ვითომ ეს ლიფტი თვითონ გამოიგონა!

არ ვიცი, რომელიღაც სართულზე კარი გაიღო. გავდივართ. ტალანის შუაგულში მწვანეხავსიან ქვებზე ულა-

მაზეცი შადრევნები იფრქვევა. დგას სიგარეტისა და კიდევ ყაყის სუნე. მის რუსულად ლაპარაკობს. — რუსი მეზღვაურები, ალბათ, კაპიტნები არიან, შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოდან.

ბიჭი სკამებზე გვსვამს. შალვას ვეკითხები, ხომ არ გადავუხადოთ ფულით-მეთქი. მაგრამ ბიჭი თავისდაკერით გაუჩინარდა.

საკონსულოში შევიარეთ. ჩვენებურ ძველახალ გახეთებს გადავხედეთ და კმაყოფილები ნაპირზე ვბრუნდებით. ნაპირიდან შალვამ ჩვენი გემის მამშველი ნავი გამოიძახა. ამათი კატერიით კი წაიღოდით, მაგრამ ძვირი ჯდებათ.

სწორედ ამ დროს ნაპირს ქრიაშულით მოადგა ქალაქიდან დაბრუნებული კიდევ ერთი ჩვენი ჯგუფი. უფროსი თანამშემწე, ჯიმი, მოუძღვება ჯგუფს. საერთოდ, ვიდრე კაპიტანი არ ჩანს, იგი კაპიტნობს ყოველთვის. ასეა ყველგან. ხოლო კაპიტანს რომ დაინახავს, იმავე წუთას თავის ტყავში შეძვრება. თავისი დამოუკიდებლობის ღირსებას კი ოსტატურად ინარჩუნებს. ახლა ასე ხდება. აგერაა დიმა ოსოვიც და... შორიხლო ამათ მოყვება ზინა. პირდაპირ ვადასარევი, — ზინას მგონი, ზუსტად ისეთივე ჩითის კაბა აცვია, დღეს რომ სინგაპურელ ქალიშვილს ეცვა, რომელიც ასე უსაშველოდ ვავდა ჩვენს ზინას. და რაღაცა მიხარია თითქოს. მაგრამ რა მიხარია ვერ გამიჩრევი. კაცო, მართლა ზინა ხომ არ იყო ის გოგო დღეს? არა, არა, შეუძლებელია. პო, რა მიხარია ნეტავ? ახლა ამ ჩვენი ჯიმის გამიჩენა, ან ოსოვის მოსვლა რა სიხარული უნდა იყოს, — ვმსჯელობ ჩემთვის და მსიამოვნებს რომ ზინას, როგორც კი ჩვენ დავგინახა, აშკარად კმაყოფილება დაეტყო. ჯიმი საქმიანად იქიჩრება ბოლაზის მრეშ ბურუსებში და, ეტყობა თვალთ ჩვენი გემიდან მომავალ ნავს დაეძებს. არც კითხულობს ნავი გამოიძახა თუ არა კაპიტანმა. რა მოხდა, უნდა გამოეძახა. აბა, როგორ, რატომ იკითხოს. ოსოვი უკან იყურება და, ჩვენს დასანახავად, ზინას შესა-



ხვედრად ორიოდ ნაბიჯს დგამს, ხელსაც შეაშველებს გოგოს და ჩვენამდე ასე მოყავს. ნავის მოსვლას საათი დასპირდა. ამასობაში ბინდდება კიდევ ბურუსი ეშვება გემებზე, ზღვაზე, ქარი მატულობს და მობიბინე ზვირთები თანდათან ზოშრდებიან, მალღდებიან, თანაც უფრო ძლიერად ეხეთქებიან ერთმანეთსაც, ნაპირებსაც, გემებსაც.

შალვა ჩემად საყვედურობს ჯიბის, რატომ წამოდი გემიდან, როცა მე არა ვარ, ხომ იცი, შენ უნდა იყოო. ჯიბი არც ახლა პასუხობს, მერე, დავგვიანებით ეუბნება, ხალითი იქაა, გემს რა უჭირსო. ამით მგონი იმისათვის უკბინა კაპიტანს, ხალითს ხომ ჩემზე წინ აყენებ და აფასებო.

ნავში ზინა კაპიტანის გვერდით აღმოჩნდა. მე — სულ უკანა ძელსკამზე ვეწყობი. რყევა ისე ძლიერია, შფოთიანი ქალი თავს მოაბრუნებს და მე შემომძკერის, მგონი შევლას ჩემგან ელის. ასე თუ ისე, თითქოს მაინც ჩემთან უფროა შეჩვეული. გვერდით საბუქსირე კატარა მიჩობს და მის მიერ აგორებული ზვირთები ჩვენს ნავს გადაყირავებით ეშუქრება.

ზინას ხელით ვეშველები. გატრუნულია, შიშით მგონი გრძობს, — მე ვიქერ, თორემ წამიც და შიგ მღელვარე ზღვაში გადაიქრება.

მარცხენა ხელი ნავის კიდზე დავტოვე, ამ ხელს ჩაბლაქუბულია ზინაც. მეჩვენება რომ მას ამდენ ხელში მაინც ჩემი ხელი აურჩევია საშველად თუ სანდო იმედად და მიცვირს თუ რად მსიამოვნებს ყოველივე ეს.

„მხატვარი“ მშობელ სახლივით გველოდება. ზვირთების ბულულებში ჩვენი ნავი ხან აქეთ, ხან იქით ტორტმონობს. გემთან მისულთ ტრაპიც ჩამოგვაშველეს, მაგრამ ნავით აბლო მიდგომა შირს. გემის კორპუსს ვეჭახებით. ბაგირის ვევირ გვესროლეს, მაგრამ ვერაფრით ვიყენებთ. გაწვალბებულნი, დაბეჭილები ავხოხლით ტრაპზე.

„მხატვარი“ მალე კურსზე გადის. რას იფიქრებს ჯონი? რაც უნდა იფიქ-

როს, მაგასთან სტუმრობის გამო ხომ არ დავაყენებდით ამხელარ გემს სინგაპურის რეიდზეო, თქვა კაპიტანმა.

აი, ჩემს სახლში, ჩემს გემში ვარ. აქედან რომ დავუფრებ, სინგაპური უფრო კეთილი და მიმზიდველია. წარმომიდგენია, რა სიხარულს და კმაყოფილებას იწვევს შორეული ნაოსნობის მუზღვაურისათვის, თვეობით ცურვის შემდეგ, ასეთ მშვიდ, სტუმართმოყვარე და მდიდრულ ქალაქში მოსვლა, ვასეირნება.

მიწის მონატრებით, მშვირ ხომალდებით, მოვალთ, მოგადგებით, მეკრდებს, ნაიარევს, შენთან დავიამებთ, ჰრელო სინგაპური! მამულს თუ ვემღერით ნატერამოგონებით, შევალდ შენი გრილი ბაღი დავატარე, წავალთ, ბოჩისფერი შენი გოგოების სულის დამდაგველი კოცნა გავატარებ.

#### დღიურიდან: 186... თებერვალი

„მხატვარი“ ისევ თავის სიცოცხლით ცოცხლობს, მთელი მისი ორგანიზმი სუნთქავს, ცახცახებს, თითქოს ძარღვებში სისხლი თქეშებად გაურბის. ეს ორგანიზმი ძლიერია და სანდო.

რას ფიქრობს ნეტავ ახლა ჯონი ჰეგსონი? გაჯავრებულია, ნაწყენი თუ გაოცებული? უნდა მივწერო, დიახ, უნდა მივწერო წერილი ამერიკაში. აი, მისამართი ხომ მაქვს ჯიბეში. ჯობია, კი, ჯობია მივწერო ბარათი, ავუხსნა მთელი ამ დღის ვითარება.

საწვავი და შეკვეთილი ზეთი მოუტანიათ, პროდუქტიც მიუღიათ. აბა რალაზე უნდა გავჩერებულიყავით სინგაპურში, მითუმეტეს, ამოდენა გზა გველის წინ და მით უფრო ახლა მსოფლიოში ასე ძვირდება საწვავი.

მაგონდება მისი უცნაური დამზავრება, მისი მოფერება და გულწრფელობა, თვალის უქებში ოფლის ბუსუსები, მისი კეთილი, ალალი სურვილები და პატიყება დიახ, შესაძლოა, ჩვენ ბევრ რამეს საინტერესოს ვიტყოდით, იქ, მის კაიუტაში.

ვანაობ, ძალიან ვანაობ.

ფიქრი ფიქრს ცვლის, მოგონება მოგონებას, აზრი აზრს, დასკვნა დასკვნას. ილუმინატორში ვიცქირები. უკან დარჩა ქალაქი-სახელმწიფო.

მისი მრავალმილიონიანი ჩირაღდნები თანდათან ერთად იქუმშება და აი, ერთ დიდ მნათობად ქცეული ნელნელა შორეთში ჩადის. ვიცი, ახლა კაპიტანი თავისთან შეგვეყრის. იქნება მოკლე თათბირი. მერე, — ვახშამი. მერე, ვინც თავისუფალია, დაწყვილდებიან ჰადრაჟის დაფებთან.

როცა სადღაც, მთის ძირას მიდგმულ ფაცხაში დასაძინებლად ეშვადები, არ გრძნობ იმ სამყაროს, გარედან რომ გაყრავს, მაგრამ როცა შენი სამყოფელი სახლი მოძრაობს დედამიწის უცნობ, შორეულ სარტყელებში, მაშინ გონება მოუსვენარია, ფიქრები უნებურად გარეთ გარბიან.

ახლა, ალბათ, ინდოეთის ოკეანე მთავრდება და წყნარი იწყება რაღაც მართლა სიწყნარეა გარეთ.

თუმცა რა ჯანაბად მინდა ამ ოკეანეებზე, მატერიკებზე, ამ მსოფლიო პრობლემებზე ამდენი ტვინის ტყულება, როცა საკუთარ ოჯახზე ხეირიანად ვერ მიფიქრია? არაად, ვისთან ვისაუბრო საკუთარ ოჯახზე? თვით თავისთავთანაც კი აღარ მინდა გავიხსენო ყველაფერი. მხოლოდ მე ვიცი, რატომ გამოვექციე ცოლს. განა ღირს რამედ ის კონფლიქტი, რამეს ნიშნავს, ან არ შეიძლებოდა თავიდან აცილება? კი, კი შეიძლებოდა, მაგრამ ნაილემ არ ისურვა. ყველაფერი საწყობი ბაზებიდან იმპორტული საქონლის გამოტანას ეხებოდა. მხოლოდ ამის მიზეზით მოხდა ყოველივე. მომიტანე, მომიტანე ქალი ვარ, მეუბნებოდა. ერთ-ორხელ გავწორე თავი, მაგრამ მერე ვერ ავიტანე, გული ამერია, ველარ წავედი. თანაც გადავწყვიტე, არ წავალ-მეთქი. არ მინდა, არც ჩავიცვამ და არც იქ წავალ, რა საცოდაობა და რა თავის შერცხვენაა მართლაც. მიადგები ტუჭყიან ტიშკარს, დგას იქ ყარაული, რომელსაც, ალბათ, გროშებს აძლევენ ისინი, ვინც იმპორტულ საქონელს ზედმეტ ფასე-

ბში ყიდიან. აქ რთული და მწელი საშუაოა. ფული ბევრი უგროვდებათ, ეს მართალია, მაგრამ მაინც მეტოდება ეს საწყალი. იმ ბაზაში, სადაც ნაილე მაგზავნიდა ხშირად, მუშაობდა გაყვილებული, და, რაღაცნაირად, დაფანგული, ფეხებგამოგრებილი კაცუნა, სახელად ოქრო. მამამ დაარქვა. რა იცოდა მშობელმა მაინცდამაინც საწყობში იმუშავებდა მისი შვილი, თანაც ასეთი უშნო გაიზრდებოდა. სხვათაშორის, ოქროს გული მართლაც ოქროსი ჰქონდა. მივიდოდი, შემომჩივლებდა:

— რა გიყო, ძამა, მაგ ზომა აქანა არ მინახავს, თვარა ვინ რაქუდძალი დავგიშლიდა.

მაგრამ ჯერ ოქრომდე შესვლა არ გინდოდა? ყარაული (მისი სახელიც დავიმახსოვრე, — ალიოსმანი), ჯერ დინჯად გამომეითხაედა ვინ ვარ, რა მინდა. მეც ამიხსნიდა, აქ საწყობია და გარეშეთა შესვლა არ შეიძლება. აქ თავად რაიზა დააყენეს თუ ყველაი გაუშვა-გამოუშვა. ყარაულს აყვედრიდნენ, რაა კაცო, ორი კაცის სახელი გქვია, შენ კი ნახევარიც არა ხარო. ნახევარიც თუ არა ვარ, გაჩვენებთო და ალიოსმანი ჯავრს ჩემზე იყრიდა. არ შემისვენებდა და გათავდა.

დავაძრობდი ათასნაირ წითელ წიგნაკებს, ამის თუ იმის წვერობისას, მაგრამ ალიოსმანი შიგ არც ჩახედავდა, მეტყობდა:

— კი, ძიავ, ამ წიგნაკებს შევეუშვებ, შენ კი — ვერა.

ოქრო იმიტომ მეცოდებოდა, რომ მთელი გასავალ-შემოსავალი მისი ხელით ტრიალებდა. აღებულ თანხებს ეტყობოდა, თვითონ უნაწილებდა, ვინცა ერგებოდა. მალაზიებს გაუგზავნილი საქონლის საფასური ეგზავნებოდათ.

მაგრამ ჩაფიქრდები და გული შეტყინება.

ბოლოსდაბოლოს, დედამიწაზე უდიდესი ვართ. საკუთარი ხეირიანი ნივთავ-პერანგიც არა გვაქვს. ეს ხომ დასამალი არაა, არა გვაქვს! მე კი, გადავწყვიტე, არ მინდა სხვისი. გლახა იყოს და ჩვენებურს ჩავიცვამ. ნაილემ,

არაო, მომიტანე იმპორტული, თორემ ქალობას არ ვიზამო. შენ ბლაცვი ხარ, უბადრუკი, არაყაცი, — გამლანძღა და განა ერთხელ? გიზო ისმენს, გიზო გიყვდება ავდექი, ვუთხარი, არ წავალ იქა აბა, გაწყობს? იყავი, არ გაწყობს? წადი, სადაც გინდა-მეთქი. სადაც გინდა იქ თვითონ წათერიეო, მომახალა. მე შვილი მყავს და შვილთან ვიქნები, შვილი არ გამაგდებს, ვერც მთავრობა გამაგდებს აქედან. შენ კი წეთერიე, სადაც გინდაო.

მაგრამ ეს ამბავი ჩვენი ბინიდან გარეთ არ გასულა. ჩხუბი, კამათი, კონფლიქტი, შეთანხმება შინაურობაშივე ჩაეღუქეთ. ავდექი და შევეხვეწე სანაოსნოს: გამიშვიო, მამულშავეთ ისეთ გემზე, რომელიც ყველაზე შორეულ, ყველაზე ხანგრძლივ რეისებში მიდის.

ნუთუ გკონიათ ცოლზე გაჯერებული ვაიქეცი შინიდან? გინდა ეგონოთ, მერე რა მე ხომ თავად, მე ხომ კარგად ვიცი რამაც წამომიყვანა. აი, ვაკვირდები მაშინდელ ჩემს ქეცევას და ვერავეთარი დასკვნა ვერ გამომაქვს. მინდოდა წასვლა და წავედი ზოგჯერ გული იმოდენაა, მინდა დედამიწა მთლიანად ჩავიხუტო. მე ჩემი სოფლის, ჩემი რაიონის, ჩემი რესპუბლიკის, ჩემი ქვეყნის და ჩემი დედამიწის შვილი ვარ. წავედი, რომ ყველასთან ვიყო. ნაილე, ნუ გეწყინება, შორსა ვარ, მაგრამ შენატრები. ასეთი მონატრებისთვის ღირდა აქ წამოსვლა. ეს ხომ სიყვარულია? ჰო, გიზო საშუალოს ამთავრებს, ამ ზაფხულს მისაღები უნდა ჩაბაროს უმაღლესში.

ავესტოში თუ ვერ ჩავესწარი და ვერ მივეხმარე, არ შეპატრება, ცოდვია. შვილია. ვწუხვარ.

\* \* \*

საღამოს თათბირი კაპიტნის კაიუტის დიდ დარბაზში იმართება. მეთაურთა მთელი შემადგენლობა ესწრება.

გარეთ ჩამონელებულია და ამიტომ შინა განათება სიმყუდროვეს აშუქებს თითქოს. სიწყინარე ჩამოვარდა.

— სინგაპურის ჩვენს სააგენტოს გე-

ნერალური რუკები არა აქვს. საცხილად კი ძვირი იყო, ამდენი საბარჯი ვალუტა ჩვენ არ გავგზავნივით. სპირო ისევ ჩვენი ძველი რუკებით ვიხელმძღვანელოთ. — აცხადებს შალვა დიდიძე.

კაპიტანი დავალებებს ანაწილებს. საბოლოოდ კი ასახელებს იმ ოთხ ნავსადგურს, სადაც უნდა შევიდეს ჩვენი მადანშვიდი, რათა მთელი ტვირთი ოთხად გაყოს — გაანაწილოს და დაიცალოს. შემდეგ, როგორც ითქვა, ხომალდი გამწესდება ავსტრალიის ნაპირებისაკენ წასასვლელად. იქ გველოდება ბრიტანული ფრახტის შესრულება. მაგრამ ავსტრალიის სახელდობრ რომელ პორტში შევალთ, ჭერ ცნობილი არ არის.

შემდეგ, საწვავს იაპონიის რომელიმე ნავსადგურში მდგომ ჩვენს რომელიმე გემს დავესესხებით. ხოლო თუ ამ გზით საწვავის შოვნა არ მოხერხდება, „მხატვარი“ კურსს აიღებს ვლადივოსტოკისაკენ. ეს ვარიანტი, რაღა თქმა უნდა, უარესია, რადგანაც ავსტრალიაში ჩასვლა განსაზღვრულია თვრამეტი მარტით. თუ თვრამეტი მარტს, დღის თორმეტ საათზე დანიშნულ ნავსადგურში გემი ვერ შევიდა, ფრახტი უქმდება, შეთანხმება და ორმხრივი ვალდებულება ძალას კარგავს. ეს კი აურაცხელ ზარალს გამოიწვევს.

— რატომ არ გვიძებლენ ნავსადგურს ეგ ოხრები ა? — ყვირის არკადი ფერადე, — თუმცა მე ყველაფერი ფეხებზე მკიდია. თუ ვლადივოსტოკში შევედი, დაეკრავ ფეხს და წავალ შინ. ასე მარჩიელობით თვალახვეული ცურვა მე არ შემიძლია. რაა ეს ბოლოს და ბოლოს. წელან რუკებზე თქვით. თუ რუკა არ იყო, რას მოდიოდით ამხელა ოკეანეებში, თქვე დალოცვილებო! ანდა, გეყიდათ ლას-პალმასში. ხომ იცოდით, რა გზაც გელოდათ.

— ჭერ ერთი, არავინ იცოდა მაშინ ავსტრალია. — თავაუწევლად, ჭავრიანად პასუხობს შალვა.

— იაპონია?! ეს ხომ იცოდით, თქვენ იაპონიის ჟენძულებზე შესასვლელადაც

არა გაქვთ სათანადო რუკები. თან გე-  
შინიათ და კანკალებთ ყოველ სრუტე-  
ში თუ კუნძულთან ჩავლისას. მე ვიყო,  
სულ არ მინდა რუკა, ხელის გულივით  
ვიცი, სულ ზეპირად ვიცი...

შალვა დიდიძე, დგება, დროზე ად-  
რე ამთავრებს თათბირს, გვერდით ჩა-  
მივლის, მხარზე დამკრავს ხელს, წამო-  
დი ვახშამზეო. ხალხი ნელ-ნელა იშ-  
ლება და ბუზღუნით მიდის.

სამეთაურო სასადილო გამოყოფი-  
ლია საერთოსაგან. მხარეულს ხაჯა-  
პურები გამოუცხვია. ზინამ ჩამოგვი-  
რიგა ზინა ჩამრგვალებული მოძეჩვე-  
ნა. წინათ უფრო კაფანდარა იყო თი-  
თქოს. ახლა ოდნავ წამოსუქებული,  
შესქელებული მეჩვენება. იგი თითქოს  
უფრო დადინჯებულა. უცნაური სიფა-  
ქიზით გვემსახურება. პირველი ორი  
ხაჯაპური ჩვენთან, კაპიტანთან და ჩე-  
მთან, მოაქვს.

ვაჩნევ, მოწყენილია, თვალბეში სე-  
ვდის ჩრდილები ჩადგომია. ახლა, რო-  
ცა იგი ნამდვილად თენგოს შეყვარე-  
ბულად, საცოლედ თუ ცოლად დამტ-  
კიდდა, ყველამ პირი შეაქცია ჰოდა,  
ახლა, როცა ყველამ პირი შეაქცია, მე  
იგი მეცოდება. საწყალი ზინა. მინდა,  
ძალიან მინდა, გავამხნევო, გული მო-  
ვეულებო, დავაიმედო, დახმარების ხელი  
გავეუწოდო.

### დღიურიდან: 198... თებერვალი

აი, ახლა უკვე ჩრდილოეთის განე-  
დებზე ვართ.

გარეთ შესამჩნევად აცივდა. მარტი  
კარს მოგვადგა ზამთარს ჭერ კიდევ  
საკმაო ძალა და სიმკაცრე გააჩნია.

ეტყობა რომელიღაც ტაიფუნის ნა-  
ძალით ზღვა შფოთავს. გემი მა-  
გრად ირყევა. სატვირთო ნაკვეთს  
ზემოდან უზარმაზარი ტალღები ევ-  
ლება. ტალღები რომ შეასკდე-  
ბიან გემს და ბანიდან უკან, ზღვაში  
გადაიღვრებიან, ლითონის ამ ვეუბერ-  
თელა მინდორზე ჭერ ისევ კარგახანს  
თეთრი ქაფის მურგვები დახეტილო-  
ბენ.

დღი ხნის მიჩუმებული ნივთები!

ბოთლები, ჭურჭლები, წიგნები თუ სხვა  
ათასნაირი რაღაცეები კვლავ აბმურ-  
და, ამომრავდა. ზოგი თაროდან ცვივა,  
ზოგი მაგიდიდან ვარდება ძირს. რამ-  
დენი ხნის წინათ დაკარგული დანა, სა-  
წოლის ქვეშიდან გამომჭვრალა და კა-  
იუტის მეორე კედლისავე მიცოცავს,  
მერე კვლავ უკან ბრუნდება და იატა-  
კის შუაგულში ვიჭერ.

ნისლიან სივრცეში, სადღაც, ჩვენმა  
ბიჭებმა ტალღებში მოთამაშე ნავი შე-  
ნიშნეს. კაპიტანს მოახსენეს, რომ ეტ-  
ყობა მეთევზეები რაღაც გასაჭირში  
არიან. ხომ არ იქნება საჭირო რაიმე  
დახმარების გაწევაო? კაპიტანი შალვა  
კაიუტაში მირიყავს, ამოდით ხილურ-  
ზეო. სწრაფად ავრბივარ ვიწრო კიბე-  
ებზე და გრიგალისებურ ქარში ძლივს  
ვალბე კაპიტნის ხილურზე გასასვლელ  
კარს.

დაბალ ნისლებში, ჩვენგან მარჯვნივ,  
კარგად მოშორებულზე მოსჩანს ნავი.  
ალბათ მოტორიანი ნავია. პატარა ძრავ-  
ა ფუზფუხებს, ზვირთებს ებრძვის. იგი  
ტალღებში ხან ჩაიმალება, ხან გამოჩ-  
ნდება ეტყობა, ნელა, მაგრამ მაინც  
გაჭირვებით მიცურავს თავისი კურსით  
და არავითარ სიგნალს არ იძლევა.

ზემოთ, მართვის პულტთან, უკვე  
ელექტროლუმები ჩაურთავთ. ეტყო-  
ბა, შესცივებიან. კი, საკმაოდ ცივა.  
შალვა შტურმანთა ვიწრო სამყოფელი-  
დან სამართავ განყოფილებაში გამო-  
ვიდა, მესაქვს ჩაუარა და ზღვას გახე-  
და. ნავი უკვე უკან რჩება. ნავი ეტ-  
ყობა, თავისი გზით მიდის. ნავში არა-  
ვინ ჩანს. ცუდი რამ მოხდა, ეტყობა.  
შველას რაღა აზრი აქვს. ნავი ბედის-  
ანაბარადაა. კაპიტანი ხელს ჩაიქნევს  
და რაღაცის თქმას აბრუნებს. ამ დროს  
იგი შენიშნავს, ლელვასა და ქარიშხალ-  
ში გემბანზე ბოცმანი მიცოცავს. ხა-  
ლითს თავზე ტომარა წამოუხურავს და,  
მიდის ბანზე გადაგორებული რკინის  
კასრის უკან შესაგორებლად.

კაპიტანი მიერთონს მივარდება და  
სწრაფად უბრძანებს ხალითს უკან და-  
ბრუნდეს. საყვედურობს, როგორ გა-  
ბედა ბოცმანმა ასეთ ამინდში ღია გემ-

ბანზე გასვლა. ხალითი ჭვალოს ქვეშედან აღმა იყურება და ხელით გვიჩვენებს, არაფერია, კასრს უკან მოვაგორებ, თორემ შეიძლება სულ გადავარდესო. კაპიტანი იმეორებს თავის მოთხოვნას და ბოცმანიც ემორჩილება. შტორმი მძლავრობს. რადისტს რადიოგრაფია შემოაქვს.

პირველი იაპონური ნავსადგური, ტოიამა, ითხოვს დავუდასტუროთ, რომ ჩვენს გემზე არავითარი ინფექციური ავადმყოფობა არაა.

### დღიურიდან: 198... თებერვალი

ახლგაზრდა ქალაქი ტოიამა. ახალი ნავსადგური ბუნებრივ ყურეში. ირგვლივ მთაგორები. გორაკებზე, ფერდობებზე შეფენილია სოფლები, ფერდობებზე ვხედავ ტერასებს. ტერასებზე, ეტყობა, ხეხილის ბაღებია. ტერასთა შუა დარჩენილ მიწის ზოლში რაღაცეები მოყავთ, მიწა მართლაც რად ფასობს აქ, ვატყობ. იაპონელის შრომა სულ სხვანაირია. შრომაა მისი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერი შინაარსი და აზრი. მერე, ყოველ მონაკვეთში, ყოველ დეტალში — სიზუსტე, საზრიანობა, სინაღდე, ერთგულება, ოსტატობა, არავითარი სიყალბე.

ცივი ქარი უბერავს, გემი რეიდზე დავაყენეთ.

მალე მოგვიახლოვდა კატერი. თოვლმაც ბარდნა დაიწყო, სულ ჩვენებურად ბარდნის. მაგრამ აქ მანაც შეჩვენება, თითქო ფანტელები დახატულია, ფონი — ეს რუხი არემარეა. კი, კი, უცხო და ლამაზი სურათია. ტრაპი ჩავუშვით. ამოდიან ოთხნი. ღიმილითა და ხმაურით გვესალმებიან.

ერთი სანიტარული აგენტია. ჭანჭრთელობის ანკეტებს სინჯავს, ერთიც ლოცმანი. გემი უნდა შეიყვანოს და დააყენოს იმ ნავსაყუდელზე, სადაც უნდა გადმოიტვირთოს. ყველანი ინგლისურად ლაპარაკობენ, ერთი, ყველაზე უმცროსი, შელაბული პორტფელი

რომ უჭირავს ხელში, ფაციფუცობს, ცდილობს უფროსთა განკარგულებები არ გამოტოვოს, ყურადღებით და შედმიწვენით შეასრულოს.

ის სამნი კარანტინის ხალხი ყოფილა. ლოცმანი უმაღვე თავის საქმეს შეუდგა.

ბოლოსდაბოლოს, მართალია, გემი ნაპირზე არის მიმდგარი, ჩვენ ჩასვლა ჭერ არ შეგვიძლია. საჭიროა თავის მისადგომზე დადგე. კვლავ რაზრახით ამოძვრა ღუზა. ზომალდი ნელა დაიძრა.

მგონი ვაცცივდი. ვატყობ თავი წამომტკივებია. ტროპიკებიდან უცებ ზამთარში შემოსვლამ გამკრა ეშვი ალბათ, გამკაწრა. ყელში ვგრძნობ რალაც არასასიამოვნოს, ყლაპვა ოდნავ მიჭირს. სახსრები მიმსუსტებია თითქოს, მგონი, სიცხეც მაქვს. არ შეშინია. ვიცი ეს ერთი ღამის ამბავია. გამიყვლის, მაგრამ მანაც საწყენია, პირველად აქ, იაპონიაში ვარ და ვერ გავალ გარეთ, ფეხს მის მიწაზე ვერ დავაბოჩებ. ყოველ შემთხვევაში, ჭერჭერობით. ვატყობ ეს ასეა.

დღეს თებერვლის ბოლო დღეა. ზამთარი ძალეს ძაბავს, რომ თავისი შეძლება ერთხელ კიდევ გვიჩვენოს.

კაპიტანი შალვა ისე დაკავებულა, ჩემთვის არ სცალია. ოდნავ სიცხიანი რომ ვარ, ამაზე ჭერ არავის ვეუბნები, ისედაც ყველანი დაკავებულნი არიან.

ახალ ნავსადგურში შესვლისა და იქიდან გასვლის დროს მეტი შფოთია გემზე. ხოლო აქ, ამ დროს, ყველაზე მეტი საბუშაო ბოცმანს აყისრია. მაგრამ შიგა ტრაპზე ჩარბუნისას ხალითი წამით შემომხედავს და თვალით რალაცას მანიშნებს. ეს ნიშანი მე უფრო ასე გავიგე, რა ვქნა, არ მცალია, თორემ შევჩერდებოდი და, იქნებ, კიდევ ვისაუბრებდითო. წამით შედგა, კვლავ შემომხედა. რალაც არ მოეწონეარ თითქოს. ალბათ მატყობს, უხასიათო და დაღონებული რომ ვარ. რომ არ მოცდეს, მე თვითონვე ვანიშნებ, ჩაიარე, საქმეს მიხედე, ყველაფერი რიგზეა

მეთქი. თავის დაქნევით მეთანხმება და მირბის.

მოსაფალტებულ ნაპირზე, სადაც ჩვენი გემი მთელი სიგრძით მიადგა, ტოიამელი მუშები მოთეთრო ბრუნებებს შლიან. ზედ ბრუნებზე შეგორდება ორი სატვირთო თვითმცლელი, რომელთა ძარბშიც, აგრეთვე, ღია ფერის ბრუნებებია ჩაგებული, ხოლო ნაწიბურები გარეთ გადმოფენილია. ისევ ტვირთზე გადასახურავად.

თვითმცლელი რომ თავის ალაგას გააჩერა, მძლოლი, დაძარღველ-კისრიანი, ხმელი, მხრებში ოდნავ მოხრილი, ოდნავაც ლოყებჩაცვენილი, ოდნავ შეხნიერებული, იაბონელი შამაკაცი, გემისკენ მობრუნდება, და აკვირდება გემბანებს და საჩქმელშიც გაფაციცებით იყურება.

ჩემი კაიუტის საჩქმელ-ილუმინატორი სწორედ პირდაპირაა. ვიცი, შემწინწნავს ახლა იგი, მინდა მივეფარო, უკან დავიხიო, მაგრამ ველარ ვახერხებ და ჩემი თვალები მის თვალებს ხვდება. ძველ ნაცნობივით მიღიმის, ხელის აქნევით მესალმება და, მგონი, კიდევ რაღაცას მუუბნება, მაგრამ არცერთი სიტყვა ჩემამდე არ აღწევს.

ცოტა ხანში მძლოლი ტრაპზე ამოცოცდა. ვხედავ, ჩემს ილუმინატორს აკვირდება. იმახსოვრებს — მერე, შიგნიდან ჩემთან როგორ შემოვიდეს. ამა-სობაში, მუშები, ტექნიკას გამართვენ და გადატვირთვაც დაიწყება, ჩანს, რა წესრიგით, რა ყაირათიანად მუშაობენ. ბრუნები მანქანის ქვეშ, ასფალტზე რომაა, ვხვდები, იმას ნიშნავს, დატვირთვის მერე, გადაცვენილი მცირე მტვერიც კი არ დაკარგონ, ხოლო მანქანებში ჩაგებული ქსოვილი ისე ბოხნასავით შეკოჭავს მთელ ტვირთს, ვზაზე, ქარში, ალბათ ერთი ნამცეციც კი ძირს არ ჩაეარდება.

აი, დაკაუნებაც! სწრაფად ვაღებ კარს და ის წელანდელი, კისერდაძარღვეული, მხრებში ოდნავ მოხრილი, ლოყებჩაცვენილი, ხმელი მძლოლი შე-

მომიღიმებს, თანაც რუსულად შესალმება.

— დობრი დენ! — მუუბნებს, ამოვინებს, რა თქმა უნდა, ჩემთვის გასაგებ ენაზე რომ დამელაპარაკა.

პატივს თითქოს არც უგდებს ყურს, შემოაბიჯა და, ისე, ნაგულისხმევ შემოპატიყებისათვის მადლობის თქმასთან ერთად, სკაშზე ჯდება.

— შე ვიცნობ რუსეთს. მე ვიყავი და ვიმუშავე ციმბირში. მე ტყვედ ჩავეარდი, მაშინ, კვანტუნის არმია რომ დაიშალა. ჰო, აბა, მაშინ, იქ ცოტა რუსული ვისწავლე. ჰო, აბა, ასეთი აზრებია. არა, არა ვარ გაჯავრებული არავისზე. ჩვენი ბრალი იყო. რა ვქნათ, მოსახდენი მოხდა, ჰო, აბა, ასეა საქმე. არ უნდა გვწყინდეს ღღეს ერთმანეთისაგან. მე მინდა ჩემს სიცოცხლეში შევრიგდეთ, ვენდოთ ერთმანეთს. ხომ ვიწვალე, ხომ მაწვალეს იქ. ტყვე ხომ წარმოგიდგენია, ტყვე, რა ღღეში იქნებოდა, მაგრამ არ ვარ არავისზე გაჯავრებული. ჰო, აბა, არ ვარ გაჯავრებული. მე მიყვარს იქაურობა, მე ძალიან მინდა იქ მოვიდე ერთხელ კიდევ, ვნახო ის ჩემი ნაყოფი ალაგები, ჩემი ნაწვალები ალაგები. მინდა, მაგრამ ვის ეტყვი, ვის მი-ახვედრებ, ვინ მოვისმენს. ჰო, აბა, ახლა რომ იქ წამოვიდე, მოვალ უკვე არა ისე, ძველებურად, როგორც მტერი, არამედ, როგორც მეგობარი. ჰო, აბა, რას ვიძუშავებდი! რა მინდვრები, რა ტყეები, რა მიწები! დაუღვეველო, გაუთავებელი, ამოუწურავი. ჩვენ, აქა, ვიჩიქნებით ერთ ალაგას, გასაქანი არა გვაქვს, სამუშაო არ გვეყოფნის. ხე და ქვაც აღარა გვაქვს, წარმოიდგინეთ, ჰო, აბა...

ჩაფიქრდება, სულს დაითქვამს, ჯერ ფეხებზე, მერე ხელებზე დაიხედავს, თითქოს თავის ძაღლონეს, შეძლებას, უნარს ისინჯავს, ამოწმებს.

არც სახელს მუუბნება, არც გვარს, არც ჩემსას კითხულობს. ეჩქარება, ნერვიულობს. ამნარი კითხვებისათვის დროის დახარჯვა ენანება. ცალი თვალით საჩქმელ-ილუმინატორიდან გარეთ იტყირება ზედვს, უკვე ტვირთ-



ვენ. მალე ძარა გაივსება. აჰ, უკვე გავსილიცაა წამოდგება, ხელებს იფშენის.

— მაპატიეთ. ჰო, აბა, რა ვქნა, გული მტკივა. ერთად ეთქვი, გული მოვიფხანე. არ ვარ მე გლახა კაცი. იაპონელი არაა გლახა კაცი. ჰო, აბა, ეს უნდა იცოდეთ. მუშაობა, მუშაობა, მუშაობა, ჰო, აბა ესაა ჩვენი არსებობის აზრი.

კარისაკენ იწევს, ჩერდება ისევ.

— საღამოს მოვალ, შეიძლება? შინდა გელაპარაკო. შინიდანაც წამოვიყვან ცოლ-შვილს. უნდათ, აინტერესებთ. ჰო, აბა, მოვალ. შეიძლება თუ არა?

— კი, მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, — ვებატიყები. მიდის. მიღობის, მემადლიერება.

ლოგინში ვწვები. ვერა, გარეთ ვერ გავალ. ნამდვილად წამიხდა საქმე, — ავად ვარ. კაპიტანი შალვა მირეკავს მაღლიდან, ამოდიო. ვეუბნები, ჩაქუჩე, სიციხემ ამიწია-მეთქი. მესმის არკადის როხრობი. ეტყობა, ერთად არიან.

— რა დაგემართათ? — შეკითხება ჩვეული მოკრძალებით.

— მგონი გავცივდი.

— ოო, ახლავე წამალს ჩამოგიტან ისეთს, რომ...

მესმის ფეხისხმა გარედან. კარი იღება, კაპიტანი შემოდის, არკადიცი შემოყვია. ხელში უჭირავს რაღაც წამალი. ჭრელ, მშვენიერ კოლოფში შეფუთული. ამათია, შეიდი ათასი იენი ღირსო.

შეცვბი. ის კი იცინის.

— ნუ გეშინია, გემის სანიტარული მომსახურების სახსრებიდანაა გადახდილი. მარტო ერთი ტაბლეტი კმარა. სიციხეს მოხსნის და კარგად გახდები.

საღამოს გეშე ამოდის თვითმკლელის მძლოლი. ახლა უკვე კარგადაა გამოწყობილი. თან მოყვია მეუღლე და უმცროსი, როგორც გამიცხადა, მეშვიდე შვილი, ვაჟი, ათი-თორმეტი წლისა.

ვერც საღამოს მოვიჩინე თავი. წამომდგარი ვარ და შინაურულად ჩაცმული. ის, კაპიტან შალვას მოტანილი ტაბლეტი არ მიმიღია. რა ვიცი. ამას

წინათ, საღდაც წავიკითხე, აჰ, ამ ქვეყანაში, წამლების ფალსიფიკაცია... მრმხდარა, მთელი ფირმა... ~~მრმხდარა~~ გულანძღეს და მილიონები დაადეს ჯარიმად.

ეს ჩემი იაპონელი შოფერი, ყოფილი ტყვე, ახლა დიდი ოჯახის მამა, კეთილი გულის კაცი, თანაც მშვიდობისმოყვარე, ჩამისახლდა აგერ და აღარ მცილდება.

ბოდიშს ვუხედი რომ ასე ავადმყოფი დავხვდი. წუხილი გამოთქვა და ჩემი განცხადება უთარგმნა ცოლს, რომელიც იღიმება და მეჩხერი კბილების გაძოჩენით ერთგვარ სინათლეს იფენს სახეზე.

სახე კი, ეტყობა, ნაღვლიანი და ნატანჯია.

ძლივსძლივობით ვდგები და წამოღებულ წიგნებში იაპონურად დასტამბულებს ვარჩევ, ვუჩვენებ, მერე, ზოგიერთი თავდაც აირჩიეს. რასაც ირჩევენ, ვჩუქნი.

— ნახეთ ტოიამა? — მეკითხება ქალი ქმრის პირით.

— ვერა, ვერ ვნახე. აი, რა ვქნა, ავად შევიქენი და გარეთ ვერ გავდივარ.

ქალი თავში იცემს ხელს და ქმარს რაღაცაზე ეჩხუბება. შოფერი მეუბნება, ქალი მიგაჟრდება, ავადმყოფი რატომ შეგაწუხებთო.

ვიძახებ ბიჭკოს, რომელიც ყველაზე აქტიურია და ენერგიული, სტუმართმოყვარე, გამგებიც. ვეუბნები, მიხედეთ სტუმარს-მეთქი. ბიჭიკო ქუთაისური მარიფათებით დატრიალდა. პატარა წაუინგლისურა კიდევაც. პატარა ბიჭი აყვია, ცოტათი ილაპარაკეს. ელექტრიკოსი მეუბნება, შეგვიძლია მალე კინოფილმი გავუშვათ კლუბში, რას იტყვით, რომ მივიწვიოთ ფილმზეო. რა სურათია, ვეკითხები. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. თავს ვუქრავ.

იაპონელს ვეუბნები, კინოფილმს ხომ არ ნახავთ-მეთქი. მითანხმდება. მაღლობასაც ამბობს.

— თქვენ ქართველები ხართ? — ნაჩქარევად კითხულობს.



— კი, ვართ, — ვპასუხობ.

— ჰო, აბა, ეს მივხვდი. თავიდაც. ახლაც ამიტომ მოვედი, ველაპარაკო მინდა ძველი ამბები, ციმბირის ამბები.

ბიჭიკო ნერვიულობს, კინოში ვიგვიანებთო. წამოკვივდნენ სტუმრები, წასასვლელად გამწესდნენ. ოჯახის შამა არ მემშვიდობება, მოვალ, უნდა ვილაპარაკოო.

• • •

იაპონიის ოთხივე ნავსადგურში მშვიდობიანად მოვილიეთ საქმე.

ხაჩინოხე, ნაღდი იაპონური ქალაქი, ჩამოჩა ხსოვნაში. კაიხანს მოგვიწია დგომა რეიდზე. კამბუზში ჩხუბი მოხდა ამოვარდა მზარეული მამია. მე და კაიტიანს გვაგინა, თქვენი ლიბერალიზმის ბრალია, მუზღვაურები თავზე დამაჯდნენო. ერთი-ორი ქუნდა ჩამოწეროთ, გააგლოთ და ჰქუას ისწავლიანო. ითხოვენ შაინცდამაინც (ქათმის დღეს) ქათმის ბარკალს. კაცო, რა გქნა, ერთ ქათამს ორი ბარკალი აქვს, იმას თქვენთვის ვინაზავ, ესენი კი მეჩხუბებიან.

მამიას ვუთხარი, ხვალ მთელი დღით ხაჩინოხეში ისეირნე, შენი დღეა, ჩვენ კი ქათმის დღეს მოვუვლით გეშუე-ქეთქი. შეგვირიგდა. თან მივთხოვე, ძალიან გთხოვ, მე ფრთა და კისერი მარგუნე, ბარკალი — ბიჭებს-მეთქი. მე ხნიერი ვარ, ახლა ბარკალი იმათ მოსწონთ, ნუ დაამადლი ბარკალს-მეთქი. ამაზეც ვაჭყარდა. ამ ბარკალით აძიდდეთო, მაგრამ ხვალინდელი ხაჩინოხე გაახსენდა და მოლბა.

უქქერი, გეგონება თეატრში დეკორაციებს უყურებდე. პატარა სახლებზე მიმაგრებულია დიდრონი სარეკლამო ფარები. იეროგლიფები უხდებია. ტროტუარებზე მოკლე-მოკლე ნაბიჯებით დაკუნცულ-დაბაჟუნობენ ხმელხმელი იაპონელი ქალები და კაცები. ზოგნი კომონოშიც არიან. ძველები მაინც ძველს არ ეშვებიან.

ახლა კი საკატაში ვართ. მე და კაპიტანმა ქალაქის ფოსტიდან ტოკიოში, ჩვენს საზღვაო წარმომადგენელს დავეურეკეთ, საწვავზე ვკითხეთ. ჰოსოში-

მადან მოდის „ბორჯომი“, ახლაც შევატყობინებ, რათა თავისი საწვავი გადმოგისხას, ხოლო თავად ვლადივოსტოკში წავიდესო. დამირეკეთ კვლავ ათ წუთშიო. დავეურეკეთ. არაფერი გამოდისო, გვითხრა წარმომადგენელმა საწვავი არც იმას აქვსო. დაიცლებით თუ არა, გაემართეთ ვლადივოსტოკისაკენ, იქ „ბორჯომს“ რადიოგრაჰით რიგი აქვს დაკავებული, მაგრამ თავის რიგს თქვენ დაგითმობსო. ეს ვითომ დიდი შეღავათია? კაიტიანი შალვა გადაარეულია, ნერვიულობს და სულ დედას იგინება. ვუუბნები, ეგ გინებები შეინახეთ, ვლადივოსტოკში დაგვჭირდება. ასე ვატყობ-მეთქი.

საკატა გულზე მეფინება, მეფერება კიდევ თითქოს. პოლონელმა ჰენრიხოვიჩმა ხაჩინოხეში ნაყიდი ველოსიპედი გადმოათრია და ქალაქში წამოიღო, რაღაც ნაწილი აკლია და უხდა ვიშოვოო. მივადექით ერთ ძველ ქუჩაზე პატარა სახელოსნოს. ჩაყვითლებული ბერიკაცი ხლაფორთობდა რაღაცეებს. მივახვედრეთ გაჭირვება, დაფაცურდა, იქვე, კედლის იქილად ბავშვების ჭრიამული ისმოდა. უბედურად ციოდა შიგ, სუნიც იდგა მძიმე, ორივე ხელის თითები მაჩვენა, ამდენი ბავშვი მყავსო, თურმე ის მეორე ნაწილი საცხოვრებელია.

სალამოსათვის მარგანეცი სულ ამოფხიკეს ტრიუმებიდან, ღამით ღუზა ავწიეთ და ვლადივოსტოკისაკენ ავიღეთ გეზი.

დილით, ფოსტას ვიღებ, წერილებით და ქართული გაზეთებით. არკადი გემიდან ეწერება, მიდის.

კურსი სასწრაფოდ ავსტრალიისაკენ აიღო. კაიტიანი შალვა ახლა უკვე დამოუკიდებელია, თავისუფალი, თავისას მინდობილი. კმაყოფილი. ცივი ქარა-შორები უკან რჩება. რაღაც უხილავი შორეული მოლოდინით ვართ შეპყრობილი ყველანი.

**დღიურიდან: 198... მარტი**

როცა გემი რეისის კურსზე ოკეანეში გადის, ცხოვრება თითქოს იცვლება.

ყველა და ყველაფერი თავის ადგილს იკავებს. ზომალდსაც თითქოს უფრო სიამოვნებს, რომ ამდენ სრუტეებსა და ნახსადგურებში ყაყანისა და ჭახირის შემდეგ, ძლივს სულდათქმულად გაწევა გაშლილ, უკიდვგანო წყლის მინდორზე და მთელი მოწადინებით, წინ, მანძილის დასაპყრობად მიემართება.

წყნარი, ოდნავ ღრუბლიანი ამინდია. კარები და ილუმინატორის სარკველები ტრაქტუნობენ, ნივთებმა, სადღაც-სადღაც, თავთავის ალაგას დაწყობილ-დალაგებულებმა, ახლა თითქოს სული ჩაიდგეს, დაიწყეს ცოცვა, რაყენი, წკრიალი, სრიალი. წინ, დიდ გემბანზე, თითქოს აღარავინ ჩანს, აქამდე კი ხალითის ბიჭები გახურებულები, გაუჩერებლად მუშაობდნენ, ყველაფერი მიალაგ-მოალაგეს, გასინჯეს, გასწორეს, გაწმინდეს, გაასუფთავეს, შოკოქეს-ნიკოქეს, მიახე-მოახევის, მიჭედ-მოჭედეს. ტრიუმფებში ბალასტად წყალი შეუშვეს, გემი ზომიერად ჩაწეა ზღვაში და დინჯად, მძიმედ, კმაყოფილებით მიცურავს.

შემდეგ, ეკვატორისაყენ, ტროპიკებში, ტრიუმფს კვლავ კარგად გამორეცხვენ და ახალ ბალასტს ჩაასხამენ. ავსტრალიაში ჩასვლისას ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს. მარცვლის ჩასაყრელად ტრიუმფები მაქსიმალურად უნდა დასუფთავდეს. შეამოწმებენ, თუ არ მოეწონათ, ფრაბტს გავეიუქმებენ. ეს კი საშინელი სასჯელია ჩვენთვის.

მაგრამ ჯერ... ქარმა ოდნავ იმატა. დიდ გემბანზე ბოცმანი გასულა. ხალითი მაინც ვერ ისვენებს. ყველანი კაიუტებში არიან, ან სამანქანოში, ის კი, ბოცმანი, იქ გასულა, ღიაზე დახეტილობს. საქმეს რა გამოკლებს გემზე. ხოლო საქმე, ყოველთვის, ბოცმანის და მისი ბრიგადის ვასაყეთებელია. მახსოვს, მამაჩემიც ასეთი იყო. ყველანი რომ ვახშამზე შევიკრიბებოდით, ბუხართან დადგმულ ტაბლის გარშემო, ყველაფერი რომ მიწვნარდებოდა, შელაშქებულზე, ის, ბერიკაცი, მაინც ეზო-ქარში დაფაქტობდა, თოხს, წალდს, ცულს, ფიწალს, ფოცხს, ცოცხს მია-

ლაგებდა, ახორის კარებს მოსინჯავდა, საქათმესთანაც მივიდოდა, შეათვლიერებდა, ხეხილსაც ტოტებზე ხელს მოუსვამდა, ნუ გეშინიათ, აქა ვარო, და, მე-რე, ძლივსღლივობით, შინ შემოალწევდა. ბავშვები ვერ ვითმენდით, შამის მოსვლამდე ვიწყებდით ჭამას, დედა კი იჯდა წყნარად, ლუქმას არ ჩაიდებდა, უცდიდა.

ქვემო სართულში ჩავდივარ, გემის შემოვლა ყოფა-ცხოვრების გაცხობა, ბიჭებთან ერთად და ცალ-ცალკე საუბარი, განწყობილებისა და მდგომარეობის გაგება-გაანალიზება, ყველაფერი ეს ჩემი საქმეა. კი, იაპონიიდან ნორმალურად მოვდივართ, მაგრამ... მაგონდება უსიამო რამეებიც.

კაიუტები ზოგი კარიბაა, დაღლილი მეზღვაურები დაეკარლიან, ძინავთ, ისვენებენ. ზოგს ღვიძავს, ამხანაგი შემოუყვანია, კანარებზე ნაყიდი მავნიტოფონი მოუშვია და თან კარტს თამაშობს. ორი კურსანტი ბიჭიც გვყავს, პრაქტიკაზე წამოყვანილი. ერთი მათგანი, ზაალი, ხალითის ბრიგადაშია, მეორე, სოსო, უფროს მექანიკოს მირიან გლასთანაა, სამანქანო განყოფილებაში. აქამდე, ეს ბიჭები ხეირიანად არც შემომჩნევია. არიან, მუშაობენ, ალბათ, მაგრამ ვინ არიან, როგორ არიან, რას წარმოადგენენ, არ ვიცი. ისინი, იქ, ბოლო მეცხრამეტე კაიუტაში ერთად მოთავსდნენ. სამანქანოდან ამომავალი გლასი მხვდება, მესალმება, მაგრამ ისე შემომხვდა, ვატყობ, ვიღაცაზე გაჯავრებულია. კაპიტანთან სულ რაღაცა დავა აქვს, შეხლა-შემოხლა, კამათი. შეუთახხმებლობა. კაპიტანს ეჩქარება, უნდა გემმა სიჩქარე მოუმატოს, „სტარმეზი“ (ასე ვეძახით უფროს მექანიკოსს) კი ამის წინააღმდეგია. მაღალი, გამხდარი, ფერ-წასული, თითქოს მთელი ღამის ნაბუშეარი მიდის ახლა თავის კაიუტისაკენ. მე ვიცი, სამანქანოში მხოლოდ კურსზე გასვლისას ჩავიდა. ვიცი, იგი ვერც მე მიტანს. „პამპოლიტი“ საქმიანობას არაფრად თვლის. რაღაცებში მართალიცაა, მაზე ღიად თუ მალუ-



ლა თვისება. სადამდე მიდის ადამიანი. სადამდე მიდის ფულის მოგების ინტერესი. სადამდე მიდის თავისუფლების იქაური გაგება? „შეგნებული აუცილებლობა“, — ვისენებ სადღაც წაკითხულს თავისუფლებაზე. დიახ, თავისუფლებას მოხმარება უნდა.

მე უფლება მაქვს ჩამოვართვა ახლა ეს თურნალები და ამ ბიჭებს კარგი საყვედურებიც ჩამოვურიგო, სათანადო დავთრებში ჩაწერა-ფიქსირებით. მაგრამ ვერ ვიზამ ამას, ვერ ვიზამ.

ზია გაძვრა. ზაქრო ფეხზე დგას და რალაცეებს როხროხებს. თურხალები ზემო საწოლზე შემოვყარე და გარეთ გამოვდივარ. აღარ ვიწყებ ტვიხის მუცეტას და ათას ჭკუისდამრიგებლურ, გარანდულ სიტყვათა ჩამორიგებას. არ დაიქცევა ორი ტიტველი ქალის დანახვით ქვეყანა. ანდა მთელი თვეობით ხმელეთს მოწყვეტილმა ბიჭებმა თუ შიშველი ქალის სურათი ბალიშქვეშ ამოიდეს, რა მოუვა ამით ამხელა სახელმწიფოს, რა დააკლებდა ვითომ, ა? არც ბიჭი შეიცვლის ამით ზნეს, ჩვევას ან იდეოლოგიას.

ამიტომ იყო ჩვენი ძველები, აქარაში, ძალიან ნადრევად დაქორწინებდნენ შვილს.

მახსოვს, მეზობელი მყავდა, ბლამე, ენვერი ერქვა მის ბიჭს. წყია, თხელი ყმაწვილი იყო. მამის გამონაცვალის, დანაკერები ბლუხა ეცვა და შიგ ხმელხმელი მხრები ამოზნექოდა. რომ იტყვიან, სულ ბლანა იყო.

ერთად ვთამაშობდით ძროხის ბლანისგან დაგორგალებულ-დაქმშული ბურთით, ვთამაშობდით ფეხშიშველები ტალახში. სულ დაგალული გვქონდა ქუსლები, ცერის თითები დაჭეჯვილი. ერთი ბიჭი ჰყავდა მამამისს და, ყველაფერი მომესწროსო, ამიტომ შვილი ადრე დაასახლა. დაქორწინებას ჩვენში დასახლებას ეტყვიან. არ ვიცი, იქნებ ასეცაა.

ამ წელიწადს კაი თუთუნი მოიწია ენვერის მამამ. იმ ზამთარს დაჭრა, გაყიდა, ცოტა ფარას მოუყარა თავი. ბიჭს კოსტუმ-შარვალი, ფეხსაცმელი,

ბოხობი უყიდა და ქორწილიც დაიწინა. იმ დღეებში ენვერს ვეღარც ვხვდავდი ვერსად. მგონი ტოლებში ვაქტიურება რცხვენოდა, ერიდებოდა. სათანაშოდ, რალა თქმა უნდა, რალას იკადრებდა გამოსვლას. — კაცი იყო უკვე, ქალი მოყავდა, ძიავ!

ჰო, ფეხსაცმელი უყიდა ბაბამ-მეთქი, ვთქვი. ის ფეხსაცმელი „აზიაციები“ იყო. ქორწილის წინა დღეს, როგორღაც თვალი მოვკარი, ენვერი ახალში გამოწყობილი, გამოწყობილი ძლივს დაბიჯებდა ეზოში. ვატყობდი, საშინლად უჭერდა „აზიაციები“, მაგრამ მაშინ ასე იყო, უნდა გაგეძლო, მერე მოგერგებოდა. და, უცებ, მომჩვენა, რომ ეს ჩემი ენვერი ერთ დღეში დაკაცდა, დასერიოხულდა, გაიზარდა, ამაღლდა.

მაშინ ჩვენში სასმელი ჭერ ისევ ცოდვად ითვლებოდა. დამპყრობელთა დანერგვით რელიგიამ ეს ერთი „სიკეთეც“ მოგვიტანა, რადგანაც ეს ადამიანებზე დაღეს ზომ ძალიან გამოგვაღდა. და, მახსოვს, იმ ენვერის ქორწილზე ხალხი მაინც მთელი ღამე ქეიფობდა, კი არ ქეიფობდა, დღევანდელი გაგებით, სერიოზობდა. ესე იგი, ერთობოდა. დროს ატარებდა, გათენებამდე ვაუჩერებლად უკრავდა მეჭიბოზე და სკდებოდა დოლი. ცეკვა-სიმღერა ხან აქეთ იგრილებდა, ხან იქით. ენვერი კი, ჩემზე ორი მტკაველით ამაღლებული (ეს უპირატესობა ბოხობის დამსახურება გახლდათ), დინჯად, მამაკაცურად, თავდაჯერებულად, სერიოზულად დაბიჯებდა. წარმოიდგინეთ, აღარც ერიდებ-ეკრძალებოდა, როგორც წინა დღეებში. ხოლო ქორწილის შემდეგ ხომ სულ გამოიცვალა ენვერი. ის „აზიაციების“ კრატუნით, დიდობით, გვერდით ჩამივლიდა, მე კი ისევ თითდაჭეჯვილი ძროხის ბლანის ბურთს ვაგორავებდი.

ეს ამბავი ახლა გამახსენდა. რატომ?

სამანქანოში, მეორე მექანიკოსი, ჯანო გეგი ჩასვლისთანავე დავიხახუენაური, აუხსნელი გრძნობა გეუფ-



ლება კაცს ოჯახის სივრცეზე მიმავალი ხომალდის თანამედროვე სამანქანო განყოფილებაში ყოფნისას. ეს უფრო მოძრავი, მოსიარულე ქარხანაა. ძრავები. დანადგარები. აგრეგატები, ხოლო თბოელექტროსადგური ისეთი სიმძლავრისაა, ერთ მომცრო ქალაქს გაანათებს. ყველაფერი შეთანხმებულად, შეწყობილად გუგუნებს, ზუზუნებს, ხანზარებს, ტალღებიც რომ ხანდახან გემს შეატორტმანებენ ხოლმე, სამანქანოში მყოფს ვსაძივნებს, ეს მანქანათა მუშაობის რიტმზე შერწყმული რხევა.

მაგრამ შენ იკითხე რა დღეში არიან მექანიკოსები და მოტორისტები, ჩვენი „ტექნიკის ბიჭები“, როგორც მათ გეშე ვეძახით.

ჯანო, ხარბივით, დაზვასა თუ ხელსაწყობიან რკინის მაგიდასთანაა და გატხოველებით მუშაობს. შუბლზე ოფლი გადმოსდის. როცა დამინახა, ჩამოშლილი მეჩხერი თმა ხელით ზევით აიწია და შუბლიც მურით გაისვარა, მოღლილი, ოღნავ შფოთიანი თვალები წრფელმა ღიმილმა უფრო გადაუხათა და, ვატყობ, ჩემი გამოჩენით ერთგვარად ნასიამოვნებიცაა.

— ისეთი მდგომარეობაა, — შეუბნება, — შეიძლება გაჩერება და მანქანის შეკეთება ღია ზღვაში მოგვიწიოს.

— რაშია საქმე? — ელდა მეცა.

— როგორ აგისნათ ახლა. ვაგვიტყდა მანქანის ნაწილი, მარაგში ისეთი არა გვაქვს. უბრალოა, მაგრამ აუცილებელი, ჰოდა, ვჩარხავ, ვჯახირობ, მინდა გამოვიყვანო რამენაირად ისეთი, რომ მოერგოს, თორემ კაპიტანი გადაიარევა.

— გლასმა იცის?

— იცის და ბრძანა გავაჩეროთო. მე ვუთხარი, არ შეიძლება, უნდა ვცადოთ, როგორმე სვლისას გამოვუცვალოთ-შეთქი. ახლა რომ გემი გვაჩეროთ, ფრახტი ჩაგვეშლება. ეს ჩვენი დაღუბვაა, ვიცო. ჰოდა, რა ვქნა, ვწვალობ.

— გლასმა იცის, რომ წვალობ?

— არა, არ იცის, მიჯავრდება, თავი დაანებეთ.

— აბა როგორ მივდივართ ახლა ნაწილი გაფუჭებულია?

— რაც გაფუჭებულია, ის არც მუშაობს, იმის სიმძლავრე გემს აკლია, ამიტომ ნორმალური სიჩქარით ვერც მივდივართ, თუ გავაკეთე და ავაშუშავე, სისწრაფეც მოიმატებს.

ვგრძნობ, ჩემი საუბარი ხელს უშლის ჯანოს. სასწრაფოდ ვტოვებ და ზემოთ ამოვდივარ. კიჩოზე ილია ქილმანი ჩაცუცქულა კაპრონის ბაგირების ნახვევთან და ანკესებს აწესრიგებს, რალაც ძაფებს ახვევს. ეშხადება, ალბათ, თბილ განედებში წაითევზავებს. თუმცა, ვიცი, საგანგებო რამ თუ არ მოხდა, აესტრალიის ნაპირებამდე არც არსად შესვლა იქნება, არც შეჩერდება. მაგრამ ჯანომ თუ ვერ გააკეთა ის რალაც ჯანაბა ნაწილია, მაშინ ალბათ... ამაზე კი შიშით აღარც ვფიქრობ. ქილმანი ხალითის ბრიგადაშია. ესენი მთელი ღამე მუშაობდნენ, წესით კი ახლა უნდა ისვენებდნენ.

— რატომ არ ისვენებ? — ვეკითხები ილიას.

— თავისთავს ვებრავ დროს, ამხანაგო გულო, — წითურ ლოყებზე კრძალვისა თუ რალაცნაირი მოჩიჩილების ფერისცვალებამ გადაურბინა და სახე ხან შეუწითლდა, ხან შეუთეთრდა. ილია ძალიან ნამუსიანი ბიჭი გამოდგა. მითბრეს, ებრაელიაო. თუმცა არ გავს ამ მოკირკიტე, საქმეში მუდამ ჩაძირულ და ძალიან მეცადინე ხალხს. ეს უფრო ლალი, თავისუფალი, მაგრამ ოღნავ ზანტი თუ ზარმაცაც მეჩვენა თავიდან. მაგრამ ჩემს თვალში ილია თანდათან გამომჭობინდა, მკვირცხლი, დამჭერი, მოკრძალებული და საქმისმცოდნე გახდა.

ჩემად, საღლაც სიღრმეში, კიდევ მიკვირს, ისეთი მშვენიერი ქართველია, რომ ქვეყნის სიყვარულში ტოლს არ დაგიდებს. ქართველი ებრაელი სხვას არა ჰგავს. იქაც რომ წავიდნენ, აჭაურ საქმეს აკეთებენ. ამბობენ, რუსთაველის ძეგლს დგამენო.

ელიმანის აქ ყოფნა, უბრალოდ, იმიტომაც მიყვიროს, რომ ეს ხალხი ნაკლებად წავა ასეთ ნაკლებშემოსავლიან, მძიმე და რისიკან საქმეზე.

— აი ნახავთ, ამხანაგო გულო, რა თევზები დავიჭირო, მოგართმევთ, მოგართმევთ. — მხიარულად შპირდება ილია.

— კარგი, კაცო, ისე შპირდები, ვითომ თევზი კალათაში გიწყვიდა.

— არა, უფროსო, აი, ნახავთ.

მეორე დღე ღამდება. ზამთრის ნატამალიც არ იგრძნობა. მოწმენდილია და ჩამავალი მზე, უფრო თითქოს დიდო, თანაც უფრო კაშკაშა წითელი მზე, იქით, ჩინეთის მხრიდან ზღვის უსაზღვროებას კიდევ უფრო დიადს, კიდევ უფრო ძლიერსა და ლამაზს ხდის. გეგონება, წყალი კი არა, თვალწინ ოქრომოსხმული ველებიათ. ოკეანის ზედაპირი ზანტად ზომიშმებს, იყვლება, ლივლივებს, მის ზედაპირზე მიმავალი ხომალდი, თითქოს ადგილზე დგას. და ამ გიგანტური სულდგმულის სუნთქვაზე თავადაც ირხევა.

მგონია კონტინენტიდან წამოყოლილი ფრინველები სულ თან გვედევნებ, თან მოგვეყვებიან. ჭერ მხოლოდ თოლიები და სხვა მომცრო ფრთოსნები არიან. ალბატროსები ჭერ არ ჩაიან. ბიჭები მეუბნებიან, ალბატროსები სამხრეთ ნახევარსფეროში ბლომად იქნებიანო. შპირდებიან კიდევ, დავიჭერთ და ფიტულს ვაგვიკეთებთო. ამას უფრო ბიჭიკო შპირდება და სხვა ათასნაირ მომავლის ჭერ არმომხდარ თავგადასავლებს წინასწარ მიყვება. მეც ვუსმენ და თანზომობის ნიშნად თავს ვუქნევ. ალბატროსის ფიტულისთვისაც წინასწარ მადლობას ვუხდო, მაგრამ ჩემთვის კი ათასჯერ ვამბობ, არა! არავითარ შემთხვევაში ალბატროსს არ მოვაცვლევიანებ. მიყვარს ალბატროსი. მძლავრი, უწყინარი, რომანტიკული ფრთოსანი, ის ხომ ლექსთა ლირიკული გმირიცაა. არა, ალბატროსი ჭერ არასოდეს მინახავს, მაგრამ იგი მაინც წარმოდგენილი მყავს. იგი სიყრმიდან ჩემი მეგობარია, თითქოს ახლა იმიტომაც

მივდივარ მის სამფლობელოებში, რომ ამ უძველეს, ამ შორეულ ფრინველს გავეცნო. მეჩქარება, მეჩქარებო ალბატროსის ნახვა. მგონია, ისიც მიცნობს. მეუბნებიან, მისი ფრთები სამ მეტრამდე იშლებაო. თუნდაც რომ წავიღო, სად შევიწინაბავ ფიტულს? ჩემი ოთახის სიგანე ამაზე მეტი არცაა. არა, ალბატროსო, არ გილაღატებ. იფრინე, იფრინე უსაზღვროებათა სტიქიონებზე, გვიჩვენე მაგალითი ბრძოლისა, გაძლებინს.

კაპიტანი შალვა თავის ხიდურზეა. ძირის ბანიდან ლიფტით ავდივარ ზემოთ, მინდა შალვას ჭანო გეგის განცხადებული ამბავი მოვახსენო. სწორედ ამ დროს შიგა ტრაპით ზევით ნელა ამოდის გლასი. ლიფტიდან გამოსული წინ აღარ ვუსწრებ, წინ მას ვუშვებ. „სტარმენი“ პირდაპირ მიადგა კაპიტანს და ეუბნება, გემი შესაკეთებელია, უნდა გავაჩეროთო. შალვა შეტორტმანდა და თავი ჩაღუნა. ვატყობ, ძალიან ეწყინა ასეთი განცხადება.

— გაჩერება ახლა? ეს თავის დაღუპვაა, მირიან დავილოვიჩი. მე ზუსტად გამოვიანგარიშე გზის სიგრძე და ჩვენი სვლის სიჩქარე, მეფრახტის დათქმულ დროზე ისედაც ვიგვიანებთ.

— რა ვქნა მერე, მანქანებს მე მწყობრიდან მთლიანად ვერ გამოვიყვან. გაჩერება და რაციით ამ რაიონში მყოფი ჩვენი სხვა გემის მონახვა-გამოძახებაა საქირო. თუ ვინმე აღმოვაჩინებ, უნდა ვთხოვოთ ის ნაწილი გვაესხოს. ვატყობ ვითარება იძაბება. მეც ახლო ვდგავარ, მაგრამ საუბარში არ ვერვი.

აღარც იმას ვამბობ, ჭანო გეგი რა ლაცას აკეთებს და ვაცალოთ, იქნება გამოუვლედეს-შეთქი.

გვერდით შემოხედვა და, დაბარებულ ივით, ჭანო გეგის გამოჩენა ერთად იყო, ჭერ მე მავლებს თვალს და, ვატყობ, საქმე კარგადაა.

— მირიან დავილოვიჩი, ნაწილი, ორიგინალის ზუსტი ასლი, გამოჩარხულია, თუ ნებას მომცემთ, ჩაგაყენებ და სრულ სიმძლავრეზე გადავიყვან.





— ხომ გითხარი, თავი დაანებებ-მეთქი ასე ხელით ნაჭახირეც დეტალზე როგორ ინდობა! — აენტო მირიანი. იმის მაგიერ, რომ გახარებოდა, ეწყინა და კიდეც გაჭავრდა.

მაგრამ კაპიტანი შალვა უცებ გასწორდა წელში და ჯანოს შეაქჸერდა. მეორე მექანიკოსმა იცის კაპიტანისა და „სტარმეხის“ ურთიერთდამოკიდებულება, ამიტომ ტაქტიანად მოიქცა, თავიდანვე კაპიტანს რომ არ მოახსენა ეს ყველაფერი.

პირდაპირ თავისი სამსახურის უფროსს უთხრა ჯერ. საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, კაპიტანზეა.

— მე ჩავდივარ სამანქანოში და ყველაფერს ვაჩერებ... — მკვეთრი ტონით წარმოთქვა გლასმა და წასასვლელად წაიწია.

— კატეგორიულად გეუბნებით, — მეორე მექანიკოსმა დეტალი შეცვალოს ცურვის პროცესში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლაცე რაციას ვუბრძანებ, სანაოსნოს ხელმძღვანელობას და უკავშირდეს, პასუხის მიღებამდე ვივლით ასე!

„სტარმეხი“ ამას არ მოელოდა. აღარ გაჩერდა. უკმაყოფილო ბუზღუნით დაეშვა შიგა ტრაპზე.

— ამხანაგო მეორე მექანიკოსო, ახლაცე ჩადით სამანქანო განყოფილებაში და თქვენი პირადი პასუხისმგებლობით, დეტალი გამოცვალებეთ! — სრული ოფიციალური ფორმით და რიგით უბრძანებს კაპიტანი შალვა. ჯანო გეგის ისე უხარია, შემობრუნებისას თვალის ჩაკერასაც მიბედავს, როგორც ტოლი ტოლს. მეც თვალის ჩაკერით ვპასუხობ და ღიმილით მივაცილებ.

ეს ბიჭი, ჯანო გეგი, როგორც თვითონვე მითხრა ინდოეთის ოკეანეში ცურვისას, ზეველი ყოფილა. ზევი ერთი ციკქნა მთის სოფელია კინტრიშის ხეობაში, სადაც მალა, მთებსა და ხეობებში შემალული. ჩვენში მთებს რომ აცარიელებდნენ, ვითომდა ცენტრებთან ხალხის მისაახლოებლად, მაშინ ზეველებიც ძალით ბარში ჩამოათრიეს. დაცხა, დაიხუთა ბარში მთიელი. მო-

აკლდა კალმახი, ნალები, კამკამა წვირო. და ნელ-ნელა ისევ უკან გაიბრუნნენ...  
 ჰოდა, ვიმეორებ, ეს სოფელია ხალხი განწირულად, მოწყვეტილად, ცხოვრებისათვის ვითომდა შეუფერებლად მი-აჩნიათ. მაგრამ ისე ლამაზი, ისე მყუდრო და ისე ტპილნაყოფიანი მიწა აქვს ამ სოფელს, ხალხი ვერ ელევა.

მამამისი, მეველუდი, მართლაც დიდი უსტაა თურმე. სოფლის სული და გული. ყველაფერი რომ ხელიდან გამოუვა ისეთია. ერთ დღეს დამიმართხელა ჯანო გეგიმ და მომიყვა მთისა და ბარისა. ერთი სიტყვით, თავი გაძაცხო. დღეს კი, თავი მომაწონა...

მამაჩემმამო, მითხრა მაშინ ჯანომ, ომის მერე, სოფელში თავისი ხელით, წისქვილივით პატარა ელსადგური ჩადგა დღეში და თვითონვე ამუშავა სადგური და სინათლით აავსო მეზობელთა სახლები.

შვიდი ძმა შევეგროვდით პატარა ფაცხაში და ასე გავიქეც-გამოვიქეციეთო. ბაბას აღარ შეუძლია. ჩვენ, ბიჭები კი გავიფანტეთ და სოფელს გაუჭირდაო. აქ ჯანომ ბერიკაცოვით ამოიხენეშა და დაუმატა, — სოფელს და მიწას ჩვენში ძალიან უჭირს. რა გვეპირს, რა გვეძარება, ვერ გამოვიდა.

— ახლა საქმე კარვად წავა, ალბათ, აგროსამრეწველო კომპლექსი... ათასი მაგარი ექსპერიმენტი...

ჯანომ თავი ჩაღუნა, არ უნდოდა შემდგებოდა, მაგრამ, ეტყობოდა, ამეებს დიდი ნდობით არ უყურებდა.

— ჰო, ჰო, ახლა ისეთი რეფორმები მიდის ზევით, სოფელი მაგრად უნდა მომძლავრდეს. — ვეუბნები მე.

— რეფორმა ქვემოდან ჯობიაო, ბაბაი იტყვის და მე მგონი მართალიცაა. — დინჯად დაასკენა ჯანომ. არა, არა, — მაშინაც მომაწონა თავი ამ ბიჭმა. მართალი თქვა, მეც მომეტბუნა სოფელზე მაშინ ჯანოს მიერ გამოთქმული, ტყვილიანი შენიშვნები.

კი, კი, — რეფორმა მართლაც ძირიდან, ქვემოდან აჯობებს. ვთქვათ, მიწასთან კაცის ურთიერთობა რომ შეიკვალოს? ბოლოს ხომ მაინც მიმაგრება



ხდება მუშახელისა ნაკვეთზე. ე. ი. მიწაზე? მე მგონი, მუშახელი კი არა, მიწა უნდა მიამაგრო მუშახელზე. ვთქვათ, რამდენი მუშახელი ჰყავს სოფელს? ამდენი. რამდენი აქვს მიწა? ამდენი, აიღე ეს მიწა, გაყავი მუშახელის რაოდენობაზე და მიუზომე. უთხარი გლეხს, ოჯახს მუშახელი მოაკლდება, მისი წილი მიწაც მოაკლდება. ჰო, იმ ჩვენს მთიანში, ლელელურდნიან მცირე მიწიანში, რაღაც ამნაირი რამე უნდა გავბედოთ, თვარა გლეხი სოფლიდან გავეპარება.

დაუდგინე რა დათესოს, რა მოიყვანოს, რა მოგყიდოს.

სარჩოს აიღებს, დანარჩენს სად წაიღებს, — საზოგადოებას, ქვეყანას ჩააბარებს, ხომ?

გეფიცებით, აი, მაშინ ეს უსაქმურები აღარ იქნებიან, აღმა-დაღმა რომ დახეტიალობენ და ყალთაბანდობენ, ესენი აღარ იქნებიან. შშობელი, მიწა და საქმე აღარსად გაუშვებს ასეთებს.

მიხარია, რომ ჯანო გევიზე ფიქრმა, სხვა ფიქრები, სათქმელი თუ არსათქმელი თავისთავთან მაინც გამაშხელინა.

თავისთავს კი ვუმბელ, მაგრამ ვინცაა მიწათა უფროსი, ვითომ იმას ვეტყვი ამეებს? ვნახოთ იქნება ზღვამ უფრო გაბედული და პირდაპირი დამაბრუნოს ხმელეთზე.

ღამე თანდათან ეშხში შედის. აი, სამხრეთი უფრო სინამდვილედ იქცა. ცა ისევ მოწმენდილია, მაგრამ გარეთ ქარი მძლავრობს. ბანზე გავდივარ და ზეცას შევცქერი. ვარსკვლავები აქ თითქოს სხვანაირი არიან. ჯგრო-ჯგროდ, გეგონება მტყენებდა ჰკილია. საღღაც, პორიზონტს იქით, გაესებულმა მთვარემაც ამოჰყო თავი. მალე მთლიანად ამოგორდა, მსუქანი, ყვითელი, დიდი მთვარე, შევყურებ ზეცას და მიხარია, ასე მგონია, აქ ზეცაში უფრო ბევრი ნაცნობი მყავს, ვიდრე ძირს, დედამიწაზე.

ხილურზე ავდივართ. კაპიტანი საშტურმანო ჯიბურში რუკებს ჩაჰკირკიტებს. მაინტერესებს რაზე მუშაობს,

შევივარ და მეც რუკებს დავცქერი. ქვეშედან გამომხედა შარტყმანმა მთხოვა, ახლოს მივიდე. *გეგლეხი მთხოვა*

— აი, ნახეთ, რა დღეში ვართ, — მაჩვენებს სქელი წითელი ხაზით ჩაგლებულ ჩვენს გასასვლელ გზას. ჯერ ხაზი ეკვატორამდეც არაა ჩასული. იქ, ეკვატორის მიდამოებში, სადაც საფანტივით ყრია კუნძულები, გაჩხერილია კაპიტანი, ხაზი ქვემოთ ველარ მიყავს. ვხედავ ალაგ-ალაგ წითელი წინწყლებით რუკაზე ტებილხაზოვანი წრებია გაკეთებული.

— აი, ეს რიფებია. წყალქვეშა კლდეები. წინათ ამ რაიონში გადიოდა გემთა სამიმოსვლო მთავარი ტრასა, ბოლო წლებში წყალქვეშა ვულკანებმა სულ შეცვალეს წყალქვეშა რელიეფი ამ მიდამოებში. — მიხსნის კაპიტანი შალვა უფრო ვიხრები და მეც, ჩემი მხრით, ვაკვირდები რუკას, მინდა რაიმეთი დავეხმარო კაპიტანს.

— არადა, გვერდით რომ გავუხვიოთ, შემოვუვართ, დროში ვიწვიოთ... წითელ ფანქარს გვერდით ავდებს სასოწარკვეთილი შალვა და თითებს „იმტერევს“.

მერე, გაიხედ-გამოიხედა, კარი მიხურა და მეუბნება:

— ნახე, როგორ მოიმატა სიჩქარემ? დამპალი „სტარმეხი“, მაგისი რომ დამეჯერებინა, ახლა საღღაც კორეის გვერდით ვიყურყუტებდით ღია ზღვაში. რა ყოჩაღია ეს ჯანო, ა? გააკეთა, ძაო, დაგვხატა ბიჭმა პირდაპირ. ბატონო გულო, მერე, როცა დავმშვიდდებოთ, ტვირთის მიღებას დავიწყებთ და სხვა, გამახსენეთ მეორე ტექნიკოსზე. საგანგებოდ აღვნიშნოთ, მაღლობა ვუთხრათ. ფორმა გამოვნახოთ, ეს თქვენ მოიფიქრეთ. თქვენი ვალიცაა.

— კარგი, კი, ბატონო. — მეც მესიამოვნა.

— ამას მე მოვუვლი, — ისევ რუკას მიუბრუნდა. — მოვნახავ გასაძრომებს. რაღაცა იქნება, მაქვს იმედი, დროზე ჩავაღწევთ. ჰო, დღეს დაზუსტდა, დანიშნულების ადგილია — სიდნეი! მეშინოდა უფრო სამხრეთის ნავ-

სადგური არ ყოფილიყო. ისე გაურკვეველი ცნობები მოდიოდა ვეჭვობდი, ახლა კი დაზუსტდა.

ხალითმა პირდაპირ თავი მომანატრა, სად დაიქარგა ეს კაცი? იაბონიასა და ვლადივოსტოკში ისეთი სამუშაო დააწვა, პირდაპირ აუწერელი. დღე-ღამე ზომ გემბანიდან ვერ შემოდიოდა. ბოცმანი, საერთოდ, ვატყობ, გემის სული და გულია, მეტი რა ვთქვა.

არ მეძინება, მოდი ჩავალ ხალითთან. ჭერ ყურს მივუვადებ, თუ სძინავს, წამოვალ, არ შევაწუხებ.

ქარი ღრიჭედაა. ვალებ, დამუხლული, ბარგს ალაგებს, რალაც-რალაც პატარ-პატარა ნაყიდებს აქეთ-იქით მალავს. ერთი იაფფასიანი მაგნიტოფონი ჩაურთავს. ვილაცა ხმააზღეჩილი მღერის. ხალითს ძველი, ორმოციანი წლების ტანგოები უყვარს.

ეს მაგნიტოფონი კანარებზე იყიდა. მაშინ, მახსოვს, მითხრა, იაბონურიათ. მაგრამ იაბონიაში ეს უფრო ძვირია. ასეცაა.

— ოოო! — გაგრძელებულად გაშომძახის და მოკლე სავარძელში ეშვება. — დაილაღე? გეძინება?

— აჰ, აჰ! ჩემი ძილი გავონილა, ბატონო გულო? რავე გეკადრება. იყავი, შენი ჭირიმე, ვილაპარაკოთ. აჰ, ბალანა არ მიტირის და ცოლი არ მელიოდება. ახლა ეს ათი დღე, შედარებით, იოლი იქნება ჩემთვის და ჩემი ბიჭებისათვის, მერე, ტროპიკებში ერთს კარგად გავრეცხავთ ტრიუმფს და... იცოცხლე. — მერე, წარბს იჩიჩქნის, უღვაშებს თითებით ივარცხნის და ჩაფიქრებით ამბობს:

— აი, ზინას საქმე არ მომწონს, ბატონო გულო. ეს გოგო ნაღდად ფეხმძიმედაა. თანაც მგონი უკვე საკმაო ხანია. არ ვიცი რას ვიზამთ. მაგას ამბავი მოუვა სადღაც შუა გზაში, ოკეანეში... რომ ვეჭვობდი, მართლდება.

— ხედავ შენ! — ანთებული ვპასუხობ მე. — ფეხმძიმობა ხაბაზისაგან, რალა თქმა უნდა. ეს უკვე ახალი დანაშაულია.

— ჰო, ალბათ. აბა, როგორ ძველდება, იცით, მეცოდება ორევე, ცოცხალი ძალიან უყვარდათ ერთმანეთს. ახლა შენთვის ყველაფერი არ მითქვამს. თავიდანაც, ჭერ ხმელეთზეც ვიცოდი, რომ აეთოს ზინა უყვარდა. არანაკლებ უყვარდა ზღვაც, რა ექნა არ იცოდა. რომელი დაეთმო. — მიყვება ხალითი.

ახლა, ა, ასეთი რამ გვეჭირს. იმის გაპარვა უნდა იჩივლო კაცმა თუ ეს, აქ დარჩენილის და ამ დღეში ჩავარდნილისა? არა, ძიავ, ეს ამბავი ჩვენ ყველას ბოლოს ერთად დაგვაწუხება. აი, ნახეთ.

ჩემი წინანდელი წუხილი ახლა ორკეცი შეიქნა. ხალითი გამოცდილია, ზღვაზეც და ხმელეთზეც. აღარ ვერევი, ვიმედოვნებ, ისევე თავად შიავნებს ყველასათვის გამოსადეგ საერთო გამოსავალს. მაგრამ რა გამოსავალზე შეიძლება კაცმა იფიქრო. გეშუე ერთი ქალი გყავს, ისიც თურმე მალე იშობიარებს. მერე? — ვინ დაეხმაროს?

სულ თვალწინ მიდგას ზინა. მეცოდება, დიახ, მეცოდება. ახლავე მინდა ჩავიდე მასთან, მივეფერო, გავაძაგრო, გავამხნევე, მაგრამ ახლა ჩემი ჩასვლა, თუ ვინმემ თვალს მომჭრა, უსათუოდ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს.

სარკმელზე ქარი წრიბინებს, გემიც მოულოდნელად ძლიერად ირყევა. ილუმინატორებზე კი არა, ქარი ოკეანის ზედაპირსაც, ეტყობა, ისე ებრძვის, ახალწამოქოჩრილი ზვირთების ქუხილი უკვე კაიუტაში შემოდის. რა კარგი დარი იყო, ვფიქრობ, რამ გადარია ასე უცებ ზღვა?

— აქ ისეთი უბედური რაიონია... — ამბობს ხალითი, — აქ ტაიფუნების ზონაა. ან ჩავლილი ტაიფუნის ნარჩენებს შეეჩხებები, ან მოახლოებულის გამოგზავნილი ელჩები დაგზვდებიან და გაგაფრთხილებენ. — ილუმინატორში იყურება და, როგორც ჩვენებური გლეხკაცი, ყანიდან რომ ცაში ერთი შეხედვით მთელი დღის ამინდს მიხვდება, ისევე, ხალითი ტაიფუნის მოახლოებას, მგონი, ყნოსვით გრძნობს. ეჭმედებით. მე სხვა რამეზე ვადა-

ვდივარ. მაგრამ ხალითი ისევ ბრუნდება წელანდელ ამბავთან.

— თუ ასე უყვარდა ქალი მაგ ოხერს, რას მირბოდა? — ჩაველაპარაკე ჩემთვის, ხალითი თავს ჩაჰკიდებს.

— ეჰ, ჩემო გულო, რა იცი, რა მოხდა. არა, არა, მაგი სულ არ შეადარდებს. მე ამ გაჭირვებულ ზინაზე ფიქრმა გადაშრიოს უნდა.

იქნებ ამასობაში რომელიმე პორტს მივადგეთო, იშვინდებს თავს ბოცმანი.

— არა, თუ უყვარდა... იმას ვამბობ, ასე ქალის დატოვება? განა ეს საქმეა? — ვამბობ. — კაი, ქვეყანასაც შეიცვლი კაცი, მაგრამ სიყვარულს რას უშვები?

— ეჰ, სიყვარული, ჩემო გულო, ბევრი მინახავს, მაგრამ ერთი მაინც იმფერი იყო, ვერც ეს მიეტოლება იმას. სულ ამ სიყვარულის გაყოფამ და ცალკალკეობამ არ დამიშაშრა გული?

— რა იყო, ჩემო ხალით, ამნაირი? — დავინტერესდი, — ბოთლის ჩამოღებას ცდილობს, ვაჩერებ. ეს ცდა კი მისი ნიშანია, გრძელი რაღაცის მოყოლა სურს.

თუ ძილი არ დაგწოლიათ, ერთ რამეს მოვეყვები, ამის დაწერის თავი არა მაქვს, თორემ...

მეც მოსასმენად განვეწყე, რომ ხალითს ხელი შევეუწყო.

— რის ძილი, ჩემო ხალით. თქვი, თქვი, ამაზე უკეთეს დროს სადღა ვიშოვით საუბრისათვის.

— თავისთავზე „ქარგ მთქმელს“ მე-

თქი ვერ ვიტყვი, მაგრამ შე მგონი გლახა მთქმელს უფროსი ვერატი გამგონე.

ერთი ხალხი და მისი ერთი სამშობლო რომ ორად გაყოფილია და ახლობლები ერთმანეთსაც რომ ვერ ნახულობენ, ეს ახლა ბევრს ადარდებს მსოფლიოში.

არც ჩვენთვისაა უცხო ასეთი უბედურებით გულისტკივილის განცდა, ზოგან ჩვენებური სოფელიც კი შუა გაყოფილია, სამუდამოდ. მთელი ქვეყნები უნდა შემოიაროს გაღმაუნებლმა, რომ გამოღმა უბანში გამოვიდეს. ყველა ხომ ამასაც ვერ მოახერხებს. ამიტომ ვართ ასე, „გამოღმა მე ვარ, გაღმა — შენ“... — ვლიინებთ და ჩვენი ტკივილისა მხოლოდ ჩვენ ვიცით, სხვას ამის ცოდნა არ აინტერესებს.

მართლაც ჩამაფიქრა ხალითის ნათქვამმა აქ, შორეულ, წყნარ, მაგრამ ამ წუთას უკვე აღელვებულ ოკეანეში, თვალწინ გადაიმშალა ჩვენი მშობლიური ზღვისპირეთი, საზღვრისპირეთი. ავღიე ჭოროხს აღმა, გავხედე შარადიდს, დავბრუნდი სარფთან, გავედი ციხისძირს, ქობულეთს, ვუცქირე სივრცეს, ვუსმინე ნიავს. იქ, გაღმა ჩემიანები არიან, გამოღმა — მათიანები ვართ.

მე ვგრძნობ მათ გულისძგერას, ისინი ალბათ — ჩემსას.

საზღვარი, როგორც მარად სისხლშეუშვარალი ჭრილობა, გადავლებია გულმკერდზე უძველესსა და უჯანსაღეს მამულს ჩემსას.

## ჭიბნიდან „მჭიფობისთვის“

### ჩემს წინ ბრძღვილებს ცხრა ვარდის ტოტი

ძველ კრილობაზე  
მარადიული  
მაისი  
სხივთა ხელებს შემომხვევს...  
შემოხველ, როგორც შუქი, ციური,  
ოთახშიც,

გულშიც,  
ლექსშიც შემოხველ  
და მოიტანე ტკბილმშობლიური  
მიწის სუნთქვა და ლაყვარდთა კრთომა  
ციცკრის ციაგი და სიოს ფრთონა —  
ვარდის ცხრა ტოტი,  
წითელი ვარდის

აკოყრებულნი ცხრა ნაკვერჩხალი  
და...  
თვითაც სიზმრის ყვავილსა ჰგავდი.

მკერდით შეასკდა ცის თაღს მერცხალი,  
ცეცხლად გაღვივდა სიტყვა  
ფერმცხრალი  
და შემომყვილა იმ სიტახუქემ

გზებს და ბლინდაყებს  
რომ შევატოვე —  
ძალმიძს კვლავ გავყვე ახალ ქარბუქებს  
ხვალის რიყრაყებს  
ფრთა შევატოლო.

რა თვალმომჭრელი სინათლე მოდის...  
ჩემს წინ ბრძღვილებს ცხრა ვარდის  
ტოტი,  
იმ დროშის ფერი, მე რომ ვატარე,  
მე რომ დავღვარე, იმ სისხლის ფერი...  
და ჯადოქარი მათი მხატვარი  
მაისი,  
ფერთა სიუხვით მღერის.

რა თვალმომჭრელი სინათლე მოდის,  
სხივები ჩანგის სიმებად ქლერენ.  
ჩემს წინ ბრძღვილებს ცხრა ვარდის  
ტოტი  
და შენ —  
იმ უკვდავ მაისის მერე  
ქვეყნად მოსული ზღაპრის ყვავილი.

### ცაზე მზე ჟინიანობდა

შლეგამორეულ ფერდობზე  
ყაყაჩო მოგოგმანობდა,  
მას შენი ხალი შევნოდა,  
შლეგა ჩემს დარღსა ჰგვანობდა.  
გზის პირზე წყარო მღეროდა,  
ცაზე მზე ჟინიანობდა.  
გზის სხვა მხარეზე ჯეჭილი

მუქმწვანედ ლერწმოვანობდა,  
სიმწვანის ზღვა ირწყეოდა,  
ნიავე იავნანობდა.  
უმწვანო ზოლი მიწისა  
ასფალტის ჩაცმას ნანობდა,  
მე წლების ტვირთსა ვჩიოდი,  
გული გასკდომის ლამობდა.



• • •

ჩემი მდინარე აღარ მდინარობს,  
ტივი არ ტივობს,  
აფრას არ ატოკებს  
ზურგის ქარი და  
სიცილი მზის...  
— რომელ უკაცრიელ კუნძულზე  
მარტვილობს

ჩემი სიყვარული —  
წინადადება გარეშე ზმნის?

• • •

რა ვუყო, თუ მიბინდდება,  
რა ვუყო, თუ მალე წავალ,  
ჩემი ჩრდილმორეული ცის  
მზეცა ვარ და მთვარეცა ვარ.  
ისევ ბრუნავს სიყვარულის  
კვერი გულის საღეწავად,  
ულვთოდ მბრუნავ დღეებისთვის

ძნაცა ვარ და კალოცა ვარ,  
წავალ, იქაც ერთი ღმერთი  
მეყოლება სალოცავად,  
მამულის ცა იჩახახებს,  
მხოლოდ ჩემი მთვარე ჩავა.  
მერე რა, რომ მიღამდება,  
მერე რა, რომ მალე წავალ...

• • •

არაუკარი, ხე, რომელზეც არ ჯდება ჩიტი,  
შორი ჩილედან აქ მოსული არაუკარი.  
შუაზამთარში რამ ჩაგაცვა აპრილის ჩიითი,  
მისგან მოწვდილ თასს რატომ ხელი არ აუკარი...  
გაზაფხულის დღეც არ ყოფილა შენთვის უქარო,  
ზამთრის დღეები რათ გექნება წყნარი და მშვიდი...  
სიზმრის ჩიტიც კი გაგფრენია უგზო-უკველოდ,  
ოცნების რტოებს რისთვის ზრდიდი, რისთვის შლიდი...  
კარს არ გაგიღებს სიყვარული — ბალი უკარო...  
მაშ ამ ზამთარში რამ ჩაგაცვა აპრილის ჩიითი,  
მაშ იმ მოწვდილ თასს რატომ ხელი არ აუკარი...  
არ დაგაჯდება ბებერ მხრებზე არცერთი ჩიტი...  
შავი ზღვის პირზე ეულად დგას არაუკარი.

## ცხოველთა ბაზარი

არა ვაშლებით, არა ყოლოთი,  
ანდა ამ მიწის სხვა რამ ბარაქით,  
არის ბაზრობა, ყეფით, კნაეილით  
ილეიძებს რუხი დედაქალაქი.  
ძალდიც პატრონს გაეს, კურდღელიც,

კატაც,  
მინდვრის თავუნაც და თუთიყუშიც,  
ყველას თვალებში კიაფობს სევდა  
და ღმერთმა იცის, რა უღვეთ გულში.  
გაუტანლობის სურათი დღემდე  
ამაზე ნაღდი არ შეგულება,  
აქ ჭიჭხ არყის ფასად ყოლიან  
შეჩვეულ ალერსს და ერთგულებას.

რა ქნან ამ ოქროს თევზებმაც, ნეტავ,  
როდესაც პირი წყლითა აქვთ საეხე,  
არ დაეუფასეთ სასწაულები  
და იმის შერე დადუმდნენ ასე.  
და როგორც ჩვენში, აქ, ცხოველებშიც,  
მეტი ფასი აქვს ძაღლებს ჩინიანს,  
ჩირად ფასობენ აქ უჩინონი,  
ვუცქერი, ვფიჭრობ და მეშინია,  
იქნებ შენც ასე გამყიდო გროშად  
მაშინ, როდესაც არ გეყვარები,  
ისმის მუსიკა, ვისოცკი, სევდა  
და არყის ხეზე სხედან ყვაეები.

## იმაღლი

ისეთი რამ დაწერე, რაც ჩვენს ღღეფანდელ  
ყოფასა და მომავლას იმედს ცოტათი მაინც  
გამოხატავდეს.

წერილი ავტორიდან

აქ დრო უფრო ნელა გადის,  
აქ მზე უფრო შორია,  
გარეთ ქარი აჩურჩულდა,  
შენი სუნთქვა მგონია,  
ამომეგოს ფიჭვის კოშკი  
უძძიძესი ლოდებით,  
აგისრულებ ყველა ნატვრას,  
თუ კი დამელოდები.  
ძველი გზების მიტოვება,  
მაინც გამიჭირდება,  
ახლა შენი ერთგულება  
წამალივით მჭირდება.

წინ გზებია, ისევ გზები,  
გზები საით მიდიან.  
მარტოსული მივდევი ბილიც,  
მხრებზე ცოცხა მკილია.  
თითქოს არც კი ვიმჩნევ დარდს და  
სული ბოლმით მეცხება,  
გადახობრილ თმაზე მხოლოდ  
მზე თუ მეალერსება.  
ო, ყველაფრის დავიწყება,  
ვიცი, გამიჭირდება,  
ახლა შენი ურთგულება,  
წამალივით მჭირდება.



ისევ აცეკვდა შემოდგომის ყვითელი ქარი,  
 სიმღერით ისევ დაიცალა, მოკვდა ჭრიჭინა,  
 ისევ იმედის კვერსა ვლოლნი ყოველ ცისმარე,  
 მარტო ვარ ისევ, სულიც ისევ კბილით მიჭირავს.  
 ვინ შემოაღებს ჩემი სახლის ნაცრისფერ კარებს.  
 ვინ შემომხედავს მოკრძალებით და ალტაცებით,  
 მე იმ ერთს ველი, თორემ, ღმერთო, ჭვეყნად ბევრია  
 ყულაბასავით მოჩხრიალე მამაკაცები.  
 ვერ შევიფერე მე პატივი, მათი თაყვანი,  
 ისე ვით კაბა უფროსი დის გამონაცვალი,  
 ყველა ტკივილი წავიდა და დატოვა ლექსი,  
 ყველა კოცონი ჩამიქრა და დარჩა ნაცარი.

## თეთრი ირმის სიზღარა

არავინ იცის ჩემზე უკეთ სიცოცხლის ფასი,  
 სიკვდილის წამთან შეხვედრის და გამოსალმების,  
 მაგრამ თუ მამულს დასჭირდება შესაწირავი,  
 მე თვითონ მივალ, ჩემივე ფეხით კართან სამების.  
 ხულისგულიდან მე ხბოსავით არ ვლოკავ მარილს,  
 მოწმედ ამისად ეს ბებერი ჩემი მთებია,  
 დამგეშე მგელო, მტერო ჩემო ვადამრჩენელო,  
 თორემ ორივეს მონადირე ჩაგვსაფრებია.

## შახველრა

მეკითხები — როგორ ხარ?  
 პასუხს არც კი დაუცდი,  
 ისე უცებ მცილდები,  
 ხალხში მიიმაღლები,  
 როგორა ვარ? რა მიჭირს...  
 თუმცა როგორ არ მიჭირს,  
 ვცხოვრობ, როგორც ცხოვრობენ  
 მეოცნებე ქალები.  
 მთელ დღეს მყოფნის იმედად  
 ერთი ქათინაური,  
 ისევ მწამს, რომ ფეხბურთზე  
 მეტად შეგიყვარდები,  
 ისევ შენს შეხედვაზე  
 უცნაურად ვიცვლები,  
 როგორც ქარის თრთოლვაზე



ირწევინ ფარდები,  
 ისევ ისე გულს მიკლავს  
 ორპირი და ორგული,  
 ისევ ისე ვფიცულობ  
 საქართველოს — სახატეს,  
 ისევ ვერვინ ვერ ამჩნევს  
 ჩემს სახეზე ნაოჭებს,  
 თუმცა ჩემი პორტრეტი  
 არაერთხელ დახატეს.  
 ვრჩები ისევ ერთგული.  
 ამ დაღლილი სიმათლის,  
 უდარდელი სიცრუის,  
 რა ვქნა, ისევ მტერი ვარ,  
 და საწუთრომ, ღმერთმანი,  
 თუმცა ბევრჯერ მიმუხთლა,  
 მაინც ბედს არ ვემდურია,  
 მაინც მადლიერი ვარ.  
 მეკითხები — როგორ ხარ?  
 პასუხს არც კი დაუცდი,  
 ისე უცებ მცილდები,  
 ხალხში მიიმალები.  
 როგორა ვარ? რა მიჭირს,  
 თუმცა როგორ არ მიჭირს,  
 ვცხოვრობ, როგორც ცხოვრობენ  
 მეოცნებე ქალები.

---

აქა. გორიაშვილი

## ხეავს

როგორ არავის ებრალეებით გაზაფხულისთვის,  
როგორ ადვილად გიმეტებენ გაზაფხულისთვის,  
მარტო ფოთოლცვენისას თანაგიგრძნობენ,  
რადგან ადვილია  
შიშველი ცრემლის დანახვა და მოფერება.  
გაზაფხულზე კი  
ალტაცებით ტაშს უკრავენ,  
რისთვისაც გუშინ  
    ღრმა სამძიმარს გეუბნებოდნენ.  
ველარ გამჩნევენ  
    არანაკლებ მძიმე ტკივილებს,  
მხოლოდ სხვაგვარად,  
ფოთლებად და ყვავილებად ამოკენესებულს.  
ვერ მიმხვდარან,  
ჯალათივით რომ დაგდგომიათ  
მწვალებელი აბრილი თავზე  
და ფესვებიდან გივლით კანკალი  
ყოველი კვირტის ამოტეხვისას.  
როგორ ადვილად გიმეტებენ გაზაფხულისთვის...  
არ იციან, რომ  
    შემოდგომის ბანგი გერჩიათ,  
    შემოდგომის დიდი სიმშვიდე.  
თორემ ფხიზლებს  
    უფრო მეტად დაგეზარებათ,  
რამდენი ყვავი ცას შეახეთქებს  
ძველისძველ ბოლმას,  
რამდენი ჭარი აიშლის ნერვებს  
თქვენი შტოების თავში სახლელად.  
...სიცოცხლე ჰქვია,  
მაგრამ მაინც ტვირთია  
    ჟამი  
გამწვანებიდან-ფოთოლცვენამდე.  
მარტო ფოთოლცვენისას თანაგიგრძნობენ...  
რატომ ჰგონიათ,  
რომ მიტყევა უფრო ძნელია,



ვიდრე  
 სიციცხლეატანილი სხეულის გაძლება,  
 ვიდრე დაბადება,  
 ვიდრე ყვავილობა,  
 ვიდრე სიყვარული.

• • •

დაბადებამდე დამიდეს ზღვარი,  
 დაბადებიდან ვაწვალეხ სათქმელს  
 და ბრმა ლეკვივით ვეფათურები  
 სულის ფსკერსა და  
 სხეულის სარქველს.  
 უნდა გაეცილდე და გავაღწიო,  
 უნდა ეიპოვო რაღაც  
 მესამე,  
 თორემ ვის უნდა სული და ხორცი,  
 ზამთრის მთვარესთან მონათესავე.  
 მე მაინც მომაქვს, რაც გამაჩნია,  
 მანდ მორჩეს ჩემი მიმქრალი სოლო.  
 სხვამ იქნებ კიდევ მონახოს რაშე,

მე კი  
 სული და ხორცი მაქვს მხოლოდ.  
 თუ მიშველიან,  
 გაფითრებული თქვენი ლექსები,  
 დალილნი ასე.  
 და თქვენი საბე,  
 ისიც დალილი,  
 რაღაცნაირი თვალებით სავსე.  
 მასწავლეთ,  
 როგორ ვიქცე ზვარაკად,  
 შესაწირავი რაა მესამე...  
 თორემ ვის უნდა სული და ხორცი,  
 დაფლეთილ ნისლთან მონათესავე.

— — —

კარლო კობარიძე

ორი მოთხროვა

## ნიჟარის საფერფლე

კოკი ბაიაშვილს სამი თვის შერთული ცოლი გაექცა — ქურდულად კი არ მოხვეტა თავისი ნამზითვი ტანსაცმელი, ბელგად მირთმეული ოჭროს ბეჭედ-საყურეები თუ საქორწილო საჩუქრები, საქმიანად, აუჩქარებლად ჩაალაგა ორ მოზრდილ ჩემოდანში, აივანზე გაიტანა და კიბეს ჩასასვლელად რომ ჩააყოლა თვალი, ქმარმა დაუძახა, მოიცა, მოვდივარო. ამ დროს დედამთილი სიმინდის ფქვილს ურევდა მოხარშულ, დაკეპილ ჭინჭარში და წყველა-კრულვით იგერიებდა შიმშილით აწრიალებულ, აცქვიტებულ ჭუკებს; მამამთილი — მეზობლის ბურჯას საძრომელა გაუკეთებიაო, ეზოს ბოლოში ჭარჯით ამაგრებდა ცოცხალ ღობეს, კოკი კი თალარს წამლავდა გოგირდმურეული შაბიამნით. თავდაპირველად მამამთილმა დაინახა აივანზე ჩემოდნებით გამოსული რძალი, სინანულით გააქნია თავი და შვილს უთხრა, უხერხულია, ვააცილეო. მაშინ იყო, კოკიმ რომ დაუძახა, მოიცა, მოვდივარო. ცოლმა თითქოს მორჩილად, მაშინვე დააწყო ჩემოდნები და ორღობეში ბოლებ-ბოლებით ჩავლილი, შექანებული მენახირე რომ დაინახა, ოთახში შებრუნდა — წიგნების თაროზე მიყუთული ნიჟარის საფერფლე აიღო. კოკიმ საჩხებში მოიხსნა აპარატი,

ფრთხილად შედგა კიბის ქვეშ, ხელპირი ჰაიპარად დაიბანა საპნით, ტანსაცმელი გამოიცვალა და აივანზე რომ ავიდა, ვიდრე ჩემოდნებს დასწვდებოდა, ნიჟარის საფერფლე მოხვდა თვალში:

— ვითომ ეგ რაღა წასაღები იყო? — თან ჩემოდანს ხსნიდა.

— ვერ დაეტოვებ, დეიდაშვილმა გამომიგზავნა სოხუმიდან.

— ქმარი წინა კვირას უნდა გამოსვლოდა ციხიდან, — საფერფლე ჩადო ჩემოდანში და ისევ დაკეტა, — რაო, გუშინ, დედაშენმა?

— დეპეშა მოსვლია, მოვდივარო.

— საიდანაო?

— აკი შორეულში იყო?

— ჰოო...

ეზოდან რომ გადიოდნენ, ადევნებულ ძალს უყვირა კოკიმ, კუტი კარი გაიხურა და გაჩერდა:

— არ დაემშვიდობები ჩვენებს?

— მეუხერხულემა.

— ის რატომ არ გეუხერხულემა, დედაშენის დიპლიტიტოზე რომ ცეკვაე?

ცოლს ხმა არ ამოუღია, სახლს შეხვდა:

— მგონი უთო დამრჩა ჩართული.

— ასე, — თქვა კოკიმ, — დამთავრდა: ეზოს გამოსვლი და უკვე ჩემი ნა-



ცოლარი გქვია... საღამომდე მოგეცადა, სამუშაოდან დაბრუნდებოდა ხალხი და მანქანით გაგზავნილი.

— ველარ მოვიციდი, ამომივარდება დედაჩემი და ქვეყანას შეიხედებებს... რა ვქნა, ალბათ ასე დამწყველა ღმერთმა.

— შენს სიბერეზე ღმერთს ნუ აბრალებ... თავის მდიდარ ნათესავებს რას უყურებს, ორ წელიწადში დავამთავრებდი ინსტიტუტს და იქნებ მეც გავმდიდრებულოყავ!

ორლობის თავში გავიდნენ — შარავნა გამოჩნდა: მანქანის ისეთი ბზირი მოძრაობა იყო, კარგა ხანს ვერ მოახერხეს მეორე მხარეს გადასვლა.

— ავტობუსით, — თქვა ქალმა და ჩემოდანზე დაჯდა.

— შენ ახლაც ჩქარობ, — უთხრა კოკიმ, — ადგილი, დაგინახავს ვინმე.

ქალი წამოდგა, კაბაზე ჩაისვა ხელი. ცრემლი მოადგა ნაცოლარს, გვერდზე მიაბრუნა თავი:

— თავმოყვარეობა დაკარგული აქვს და სიციცხლეს გაგვიმწარებს.

— ადრე მკოდნოდა!

— ვერ ვეტყვოდი.

ავტობუსი გამოჩნდა. კოკიმ ჩემოდნები აიღო:

— არც შენა ხარ მთლად დალაგებული.

— შეიძლება.

ავტობუსიდან ჩამოვიდა შოფერი — საბარგული გახსნა. კოკიმ დაუდევრად შეყარა ჩემოდნები, მერე სამმანეთიანი მიიწოდა შოფერს:

— ორივე მძიმეა და, თუ ძმა ხარ, ჩატანაში მიიხმარე.

ნაცნობი იყო შოფერი, ფულზე ხელი აუკრა და ზმადაბლა უთხრა:

— კიდეც კარგი, დამარიგე, თორემ შოფერი ვარ, მაგდენი მოფიქრება სადა მაქვს.

ავტობუსის კიბეზე შედგა კოკი, ორიოდ, უცნობ მგზავრს მოავლო თვალი:

— წავედი, — სიმწრის ღიმილით გადახედა ნაცოლარს, — კარგად იყავი.

განსაკუთრებით დედაშენი მომიკითხე.

ავტობუსისთვის თვალი არ გაუვლო ლებია. აჩქარებული დაბრუნდა ისევ სამუშაო ტანსაცმელი უკონკრეტოდ ისევ განაგრძო თალარის შეწამვლა, თითქოს არაფერი მომხდარაო. არც დედ-მამას უთქვამთ რამე, მარტო ეგ იყო, მომდევნო დღეებშიც მთლად დაიძვირეს სიტყვა, უცხო იფიქრებდა, დამღვრებულები არიანო.

კოკის სიყვარულით ჰყავდა ცოლი შერთული, ვიდრე ხელი არ მოაწერა, ფიქრადაც არ მოსვლია, მიეკითხ-მოეკითხა, გაეგო, მშობლები, შინაურები რა ზნე-ჩვეულებისა ჰყავდა. და როცა აშარი, ხეტი სიდედრი, დაბეჩავებული სიმამრი და შინიდან გაქცეული, ბათუმში ჩასიძებული, აკვარგიანი ცოლისძმა ვაიციო, რაკი ჭიშ-ჭილაგისა სწამდა, მიხვდა, ზაფანგში რომ გაეზა ორივე ფეხით. თვითონ პატრიოსანი, მიწას ჩაშტერებული ოჯახი ჰქონდა, თანაც ისეთ ფაქულტეტს ამთავრებდა, სამშობლოს სიყვარულის მეტს თითქმის არაფერს რომ არ შეატანინებდასაკუთარ ჭერქვეშ. ჰოდა, იცოდა კიდეც, დღეს თუ არა, ხვალ მაინც წაართმევდა ცოლს სიდედრი — მენა, გენაცვალე, სიღარიბეში გასაჯახირებლად არ გამოზრდია ეს ანგელოზივით გოგო. გოგოს, შეხედავდი, მართლაც არ დაედებოდა წუნი, თუმცა არც კოკია ისეთი, გზაზე რომ გაივლის, ჰკითხო, ასტამ შამფურს, ჭაჭვს, ზედადგარს ხომ არ ჰყიდიო.

კოკის დედ-მამა საგონებელში ჩავეიდნენ, დარღმა არ დაგვიავადმყოფოს ბიჭიო, თქმით კი ვერაფერს ეუბნებოდნენ, ოღონდ ჩუმ-ჩუმად ხმას აწვდენდნენ შვილის მეგობრებს, ასე და ასე დაგვემართა, საქმეც გაბრჩობდეთ, გაგვიწიეთ ანგარიში, გვინახულეთ, იქნებ ქეიფმა მაინც გაუქარგოს დარდიო. ისინიც დაუხარებლად შეაწვდნენ ხოლმე სიტყვას — ეს რაღა სავიცავლა-ხოა, ჭერ სადა ხარ, ცხოვრება უარეს ტყვილსაც მოგიშუშებსო. ჰა და ჰა, თითქმის მოუშუშდა კიდეცაც, მაგრამ რთვლობამ რომ ჩაიარა, ისევ გაეხსნა

კრილობა: თელავში ავიდა — თეატრი უყვარდა და პრემიერას ვერ გავაცდენო. ბილეთი რომ აიღო, მერე დაიხედა მაჯაზე — გაოცდა კაცი, დაწყებად მთელი სამი საათია დარჩენილი, ასე აღრე ნეტა რა მომარბენინებდაო. დროის მოსაკლავად ბაზარშიც შეიარა და ნაცოლარის ბიძაშვილს, ალის გადააწყდა — დაქაშებული, სამწნილე პამიდორი ამოეტანა გოდრებით და ისეთი რიგი დაეყენებინა, ხეთქი გადასდიოდა სასტერეოდ დაბეიკლ იფნის ლოპოსავით. თვალის არიდება უნდოდა, მაგრამ დაავიანა, აქეთ დაუძახა ალიმ, ჰაი, კოკი.

გაჩერდა კოკი, ღიმილით გახედა.

ალიმ მუშტარს მოუბოდიშა, გადაუდებელი საქმე მაქვს მაგასთან, ზუთი წუთი მაცადეთო — ასაწონად გამზადებული პამიდორით სავსე თასი ისევ გოდორში მოაპირქვავა და კოკისთან მივიდა, თან ხელებს იწმენდა საბაზრო ხალათზე.

— შენი ნახვა მინდოდა, — ხელი ჩამოართვა.

— მერე, გზა შეგეშალა და ვერ მომაგენი?

— სახვალიოდ ვაპირებდი... კაცო, ეგრე რათ გამოუშვი, ვერ დაფეყე მაინც?!

— რომელი, სიდედრი?

— ორივე. ეგეთი ნაგავი დედაკაცი, ძმაო, ეგეთი ოხერი? მთლად გადაჭამა, თავისიანებს ვინდა დაეძებს, მთელი სოფელი; დაუშავებ რამეს, არ დაუშავებ, სულ ერთია მაგისთვის!

— რაც იყო იყო, — ხელი ჩაიჭნია კოკიმ, — დმერთთანაც მართალი ვარ და სხვებთანაც.

— ახლა მოვიხდა ლაპარაკი! — ვილაც მუშტარმა გამოსძახა ალის.

— ჩქარა მოდიო, — კოკიმ უკან მიახედა ალი.

— მოიცდიან... იმ ჩემი ძალოსთვის მორღვეულე ვიტლავი რომ ამოგერტყა ერთხელ მაინც, ეგეთ სიბინძურეს აღარ მოგაკერებდა. ზო გაიცანი? გაიცანი.

შენ ის გაგივკვრდეს, რასაც ევარ/მოუშვებს პირიდან.

— მაინც რა მომაკვრებლნი მთქნა

— ვერ გეტყვი.

— აბა კარგად დაფიქრდი, — მოიღუშა კოკი.

ალიმ მიიხედ-მოიხედა და მერე რაღაც უთხრა ყურში.

კოკი აიღეწა:

— ხომ არ ამაღებ?

— კარგი ერთი! მარტო მე ვყოფილიყავ იქა, არც შენამდე მოვიტანდი.

ისე გაბრაზდა კოკი, არ დაშვილობებია ალის, გატრიალდა და ბაზრიდან გავარდა. რა უთხრა ალიმ, არ ვიცი — აკი იმითმ უჩურჩულა, სხვამ არავინ გაიგოსო. ის კი ზუსტად ვიცი, ამის შემდეგ რაც მოხდა: ტაქსი დაიჭირა კოკიმ, აქედან ორმოცი კილომეტრის გავლა მოგვიწევს, ამა და ამ სოფელში მივდივარ, ბევრი საქმე არაფერი მაქვს, მომიცდი, ხომ კარგი, არ მომიცდი და უკან დაბრუნებისასაც გიხდიო. შოფერი კარგად იცნობდა კოკის, უცბოც ყოფილიყო, ასეთ სარფიან გარიგებაზე რა ათქმევიებდა უარს! ერთი საათიც არ იყო გასული. კოკი უკვე ნაცოლარის ღია ჭიშკართან იდგა და ბოხი ხმით გასძახოდა სახლსა და ეზო-ყურეს, ოჯახიშვილებოო. ეძახა, ეძახა და რაკი არავინ გამოიხედა, ეზოში შევიდა: ახლახან გადაეკვერცხათ, გაელამაზებინათ აწლიოკებული, გაფარჩხულ-გამოფარჩხული ტრიფოლიატის ღობე; სათონესთან წალამი და ლობიოს ჭიგო დაეხვავებინათ; ფიცრის ნაკვერდლები ისევ მზეში ეყარა, კიბესთან. იქვე, დაგვალული ვეტექიმი რომ ცხოვრობდა, იმის დეკეულს დაჯახებოდა მანქანა, ორივე წინა ფეხი მოემტვრია, ის დაეკლათ და საპურმარილოდ აღერდილი მეზობლებით სავსე იყო იქაურობა, კაციან ბიჭიანად კინალამ ოცდაათს მოეყარა თავი. მოილაპარაკეს თუ როგორ იყო, ყველანი კოკისთან მივიდნენ, გატყავებულ დეკეულთან მარტო სამი კაცი დარჩა და, კიდევ, ორიოდ მოფუსფუსე დედაკაცი. აღრე,

კოკის რომ ნახავდნენ, არც კეთილი სა-  
ლაში ავიწყდებოდათ, არც დიდი მი-  
კითხ-მოკითხვა. ახლა კი ისე უყურებდ-  
ნენ, თითქოს უცნობი ვიღაც იყო. თით-  
ქოს პირველად მოხვდათ თვალში. თუმ-  
ცა უცხო, უცნობ კაცს ასე არ ხვდებ-  
იან — ისეთი რაღაცეები აკადრეს კო-  
კის, აშკარად ეტყობოდათ, ცემა-ტყეპის  
გუნებაზე რომ იყვნენ.

კობესთან იღვა კოკი და შუშბანდის  
მოლიაეებულ კარს უყურებდა, იცოდა,  
სადმე რომ წასულიყვნენ, კარს არამც  
და არამც არ დატოვებდნენ დაუეტავს.  
ისიც იცოდა, არც ყოფილი სიღედრი  
დაემალებოდა, არც ნაცოლარი, ალბათ  
ის ლუჩუნა კაცი ეგდო შინ და თავს  
იყრუებდა.

იმ უბანში ერთადერთი კრამიტით  
დახურული, ღია აივნისანი სახლი იღვა,  
ისიც უკვე თეთრ თუნუქს ალაპლაპებ-  
და საღამოს მზეზე. აივანზე ვიღაც  
ბერიკატი იჯდა და ისე საქმიანად ილუკ-  
მებოდა, კოკიმ იფიქრა, ალბათ ყრუა,  
თორემ ამ კოლტის ხმაური როგორ  
არ მოახედებდა აქეთო. მაგრამ ის უფ-  
რო უკვირდა, ისე შინაურულად იქცევა,  
პატრონს არ ვიცნობდე, დავიჭერებდი,  
ეგ სახლი მაგისიაო.

ვეტეკიმმა კოკის მაჯაში ჩაავლო ხე-  
ლი:

— მოიხედე! იმიტომ არ წაგართვეს  
ქალი, აქ აღარ ჩამოეთრიოო?

კოკიმ ღიმილით მოიქექა ქეჩო და  
საწყობის გამგეს უთხრა:

— ამა რაღა უნდა?

— მართალს გეუბნება! — საწყობის  
გამგემაც უგანა, სულ ახლახან კი ეძმა-  
კაცებოდა.

მოსული, ზორბა ბიჭია კოკი, ზანტი,  
უგერგილო სიარული იცის; რომ ლაპა-  
რაკობს, გეგონება, სიტყვები არ ემე-  
ტებაო, არადა, ისეთი დამრტყმელია,  
ვისაც ვადარეული უნახავს, როგორ  
გაიმეტებს თავს, როგორ გამოიყვანს  
წონასწორობიდან.

— მოკლედ, ჩხუბი გინდათ და ეგ  
არის! — ისევ გაეღიმა კოკის.

— ეგრეა, — თქვა ვეტეკიმმა, — ეილ-

რე პანდურს გიჭირებდე, წინტლი მო/  
იწმინდე და წათრეე აქედან!

— მელორეობის ფერმა ვაბნობ  
ისევ? — ხალხს თვალი მორატარა კოკიმ.

— შენ ვინ რასა გკითხავს, მე შენი! —  
შეუუკრთხა.

— ამათი იმედი არა გქონდეს, გაზი-  
თაც ვერ ამოგარიდებდი მაგ გაბრი-  
ყვებულ სიტყვებს!.. ახლა ასე შეგთან-  
ხმდეთ: ოთხ-ოთხნი ცოდვანი ხართ,  
ხუთ-ხუთი გამოდით. არ გაინტერე-  
სებთ, როგორ დაგვბეგვავთ?

ჩადგმულმა ბიჭმა გაიწია, მარტო მე  
ვეყოფიო, მაგრამ გააკავეს, ხელით  
ანიშნეს, ცოტაც მოიკადეო.

ტრუხის სუნი იყნოსა ტაქსის შო-  
ფერმა — ჩაქდა მანქანაში, დაქოქა და  
ხრჭილით მოსხლტა ადგილიდან — თე-  
ლავისკენ გავარდა.

— ერთი თვის წინ სიძე-ბატონს მე-  
ძახლით, სულ შაქარყინული ამოგდიო-  
დათ პირიდან, ისე ასრულებდით შეგ-  
ნებელი, მოსიყვარულე ხალხის როლს,  
რეყისორი არ მეგულემა თქვენი დამ-  
წუნებელი. ახლა საწყისი პოზიცია მი-  
იღეთ, საკუთარ თავს დაუბრუნდით  
და აკი რეგვენულადც მელაპარაკებით,  
თან საჩხუბრათა ხართ აღესილები, —  
ხელები მოიფშენიბთ კოკიმ, — კაცო,  
რატომ არ მეკითხებით, იქნებ შესარო-  
გებლად ვარ მოსული?.. რომ ვაგი-  
გიათ, წინგახედულმა კაცმა შინაურე-  
ბის, მეზობლების მხარი უნდა დაიჭი-  
როსო, ისიც ვაგეგოთ ბარემ, შინაური  
ნაგავი რომ უფრო ყარს.

— მორჩი? — ჰკითხა ვეტეკიმმა.

— მაცალე. მხედველობითი მეხსიე-  
რება ისეთი მაქვს, ოცი წლის შემდე-  
გაც ვიცნობთ. ჩხუბი გინდათ და ჩემი  
თავი გენაცვალოთ, — მშვიდად იღვა  
კოკი.

ვეტეკიმო გაუქანდა. კოკიმ ხელი  
ჰკრა და ხალხის ჯგროს მიაწყვიტა. მე-  
ორედ უარესი გინებით გაუქანდა; მაშინ  
კი წაატყა ხელი და ტრიფოლიატის  
ღობეში შეავდო თავით. ახლა კი ერთ-  
დროულად დაეტაკა ყველა.

— მოიკათ! — ხელი ასწია კოკიმ, —



ეგრე არაო. აკი წელანაც ვთქვი, ხუთ-ხუთნი გამოდით—მეთქი!

დაიბნენ თუ როგორ იყო, შედრკნენ, მაგრამ მალევე გამოერკვნენ და დოგადოგა ეცნენ. ვისაც მისწვდა და დაარტყა კოკიმ, რომც წამომდგარიყო, სადღა ჰქონდა ჩხუბის თავი! რაღაც სამ წუთს ვაგრძელდა ჩხუბი და ათზე მეტი ჩაყრიდა მუხლებში. მერე კი ვილაყამ სარი დაუშვა მხარში და ხელიც ჩამოუგდო. მარცხენათილა იგერიებდა გადარეულ ჭგროს. ახლა კიდე ფიცარი რომ დააღუწეს, ქალებმა მაშინლა ატუნეს წივილ-კივილი. წასაქცევად შექანდა კოკი, ძლივს შეიკავა თავი და ვილაყამ იყვირა კიდევაყ:

— თქვენი კაცობა და ნამუსი რა ვთქვა! — კოკის ჩამოეფარა, — გაბედეთ და მოდით, ერთი! სასაფლაოზე გადაგასახლებთ, თქვე დამკლებო! ახლოს არ მოხვიდეთ, თორემ ჩამოგაყფეთ! არ ჩამომკაფავის!..

კოკიმ დაინახა — ეს ის ბერიკაცი იყო, პურს რომ ჰქამდა აივანზე, ნაჭახი ეჭირა ხელში.

ისე იწვედნენ დასარტყმელად: ვის სარი დაეთრია, ვის — ჰიგო, ვის — ფიცარი... რაც ხელში მოხვედროდათ, არაფერზე ვთქვათ უარი.

— აგიცხადებთ, იცოდეთ! — ბერიკაცმა ვედლისკენ მიავლო კოკი.

— ერთი მარჯვენა არ მქონდეს გამოთიშული! — კოკიმ მარცხენა ხელი დაიკრა მკერდზე.

ვეტეკიმს ფიწალი ეპოვნა და იმით მობოდა თავისი ეზოდან.

— ეგეთი რამე ვაგონილა, ორმოცნი ესევით ერთსა — ცახცახებდა ბერიკაცი, — ახლო არ მოხვიდე იოსებ, — ვეტეკიმს უთხრა, — თორემ მოგკლავ! ულაპარაკოდ მოგკლავ! დღეს რომ გადაშიჩვ, ხეალ მაინც მოგკლავ! ხო იცი, რომ ვიტყვი, ავაცხადებ!

ქალებმა წივილ-კივილს მოუმატეს. იოსება კი გააკავეს, მაგრამ სხვები გადაირივნენ უარესად — ზოგმა ქვებს დაუწყო ძებნა.

— ამისთანა უჯიშო ხალხიც თუ არსე-

ბობდა, ნამდევილად არ მეგონა! — სიმწრით გაეღიმე კოკისკვდა, ბერიკაცს ჩამოეფარა, უნდა მისხუთი შენ არ დაგაზარალონ, ამ შობელძაღლებმა!

ამ დროს დუპლეტიც გავარდა გზაზე, თოფის სროლას გინებაყ მოჰყვა: — თქვენი სუყველაფერი!..

ადგილზე გაქვედნენ ყველანი — ეზოში პატრონტაშმემორტყმული, თოფ-მომარჯვებული კაცი შემოვარდა:

— არავინ გატოკდეს ადგილიდან! — მერე ბერიკაცს მიაჩერდა, — რა მოხდა, მამი!

ბერიკაცმა ნაჭახს ფხა გაუსინჯა და შეილისკენ წავიდა:

— კოკის წაესიენენ ეს არაკაცები!

— რომლები! — თოფი ასწია.

— დაუშვი თოფი! — გაუწყრა მამა.

კაცმა ახლა კოკიზე გადაიტანა მზერა:

— რას ერჩოდნენ?

— მაგათა ჰკითხე, სერგო, — მარჯვენა ჯიბიდან მარცხენა ხელით ძლივს ამოილო ცხვირსახოცი, ოფლი და სისხლი მოიწმინდა პირისახიდან, — არაფერია, გამოვიჭერ თითო-თითოს.

— თუ არ მოგკლა, კაცი არ ვიყო! — კოკის დაემუქრა ვეტეკიმი. ტრიფოლიატის ეკალს სისხლიანი ზახუბი გაეველო პირისახეზე.

— ვინ უნდა მოგკლა მიცვალებულს! — უყვირა ბერიკაცმა, — გოჭისა და ბურვაკების ნაცვლად ლორის ტილს ეზიდები ფერმიდან!

— გამერიდე! — უყვირა სერგომ, — ყველანი გადით ეზოდან! — თვითონ კოკისკენ წავიდა, — ერთი აქა ვყოფილიყავ! — ხელხ ჩამოართვა კოკის, — რაო, რას გერჩითო?

— ამათ გამოეხარჩლნენ, — სახლს ახედა კოკიმ.

— უპირებდი რამეს?

— შენც ისეთი კაცი მნახე, გიყების ჰკუთაზე ვიარო! რაღაც მქონდა გასარკვევი... სიტყვიერად.

ბერიკაცი საჩეკზე დაჭდა, მიწაზე დაგდებულ ნაჭახს დააჩერდა.

სამნილა იყენენ ეზოში.



— რა იყო, მამი რამ ჩაგაფიქრა? —  
ორივე ჩახმახი დაუშვა სერგომ, თოფი  
მხარზე გადაიკიდა და ნაჯახი აიღო.

— ცინდამ უკან მიმამბრუნეს!

— გავარჩევ მაგ საქმეს. წამოდი, —  
კოკის შეხედა, — მოწესრიგდი.

კოკის ხელებზეც ეცხო სისხლი, პი-  
რისახეზეც, პერანგი ჰქონდა დახეული.  
მარჯვენა ხელი ასწია, მხარს გაუპირის-  
პირა და გულზე მოეშვა — გატეხილი  
არ ჰქონდა ლაიწი.

— მადლობელი ვარ თქვენი, — ჭამა-  
რი შეიხსნა კოკიმ, პერანგი ჩაიტანა,  
ონკანთან მივიდა და მაშინლა გაახსენ-  
და, ერთხელ კოკიმ ამ ქვეყნიდან წა-  
სული მშობლების სადღეგრძელოში  
სერგოს მამაც რომ მოაყოლა, სერგომ  
ღიმილით უთხრა, მამაჩემი გამოტოვე,  
ცხენში ზისო, — როდის ჩამობრძანდით,  
ბატონო აბრამ?

— დღეის სწორს შესრულდება თვე.  
განა მაშინ კი დაეაქციე ქვეყანა! ავგრე,  
მოსაკლავად იმეტებდნენ ალაღ-მართალ  
კაცსა, გამოვესარჩლე, ძალდად არ ჩა-  
მაგდეს და, ყველაზე უფარგისი ვინც  
იყო, იმას წავაძალე კარტეჩით ის ცოდ-  
ვიანი მარჯვენა. ათი რთვლობა უნდა  
გამეტარებინა იქა, სამი მაჩუქეს.

— სერგოსგან ვიცოდი, — კოკიმ  
უსაპნოდ დაიბანა ხელ-პირი, ცხვირსა-  
ხოციტ შეიმშრალა და ჭიშკრისკენ წა-  
ვიდა.

— მოიცა, — შეაჩერა სერგომ, — ასე  
ვერ გავიშვებ — ჩემს პერანგს ჩაგაცმევ.

— არა, წავალ, არ მეუბერხულდება —  
რამოხდა, ბევრნი იყვნენ და მცემეს.

— ვინ ვინა სცემა, ისიც საკითხა-  
ვია! — ჩაეღიმა ბერიაკეს, — ხუთი მა-  
ინც ისეთ დღეშია, საშვილიშვილოდ  
ემახსოვრებთ თავიანთი უკეთურობა.

— რაკი არ დაგიშლია, მაძალე, —  
პატრონტაში შემოიხსნა და თოფიც მა-  
მას მიაწოდა სერგომ, გზაზე გავიდა.  
თითქოს ელოდაო, მაშინვე შემობრუნ-  
და ვილაყის „ჟიგულით“.

კოკი მამა-შვილს ხელის ჩამორთმე-  
ვით, მადლობით დაემშვიდობა და მან-  
ქანაში ჩაქდა.

— ამ უფარგისებს ნუ უქურცებ,  
კოკის ნაცოლარის სახლისკენ გაიქცა  
თავი სერგომ, — მოსიყვარულე ქრისტე  
ძლად მიგულე ყოველთვის, — მხარზე  
ხელი მოუთათუნა.

— თქვენც შეგხედებით და მაგათაც.

— გულში ღარღარად არ დაირჩინო,  
შვილო, — უთხრა ბერიაკემა, — ვალი  
არავისი მიგყვება, პირიქით. მაგარი  
დამრტყმელი ყოფილხარ — რამდენს  
ეცადნენ და ვერ წავაჩოქეს მაინც. ყო-  
ჩა! შენ თუ არ გვეწვევი, იცოდე,  
ჩვენ მოგადგებით კარზე. რომ დაგ-  
კვარგო, ძალიან გვეწყინება!

— დაკვარგოთ კი არა, ყოველ კვირა-  
ძალზე თაფლის სანთელს ავანთებ  
თქვენს ბედობაზე, სიკვდილს გადა-  
მარჩინეთ...

ორი კვირის შემდეგ ნაცოლარის  
გვერდითა სოფელში ბავშვობის მეგობ-  
რის სანახავად ჩავიდა კოკი — კარგა  
ხანია, თვალი არ მომიკრავს, რომ არ  
დავავიწყდე, დავენახებები მაინცო. მე-  
გობრის ახალგებუნებულ შვილთან  
ხელცარიელი ვერ მივლო, ავტობუსი-  
დან ჩავიდა და მალაზიისაკენ რომ გაბ-  
რუნდა, ვილაყ ორმოციოდე წლის კაც-  
მა გააჩერა:

— უკაცრავად, შენ ის არა ხარ, ამას  
წინათ რომ იჩხუბე იქა? — სოფელი  
დაუსახელა.

— დიახ, — გაოცებული დააჩერდა  
მომკრო ტანის, გახუხულ კაცს, — სა-  
დაური ბრძანდებით?

— მინდვრისციხელი.

— გეტყობათ.

— ღმერთმანი, მაგარი დამრტყმელი  
ყოფილხარ — კლდესავით დაუდექი იმ-  
დენ ხალხს! რა გული უნდა გქონდეს,  
ხედავდე, ერთზე ოცდაათნი მოდიან  
და უკან არ დაიხიო!

— მოიცა, კაცო, შენ არ წამოყვანე  
„ჟიგულით“?! — იცნო კოკიმ.

— მეგონა, დავავიწყდი-მეთქი.

— მერე უფრო გავბრახდი, ისე ავე-  
რია თვალები, ვეღარ მეცნე, აღარც გა-  
საკვირია.

— მე და სერგო მწყურზე სანადიროდ

ვიყავით ჩემი „ფიგულით“. ვინადირეთ, წამოვედით, მეძებარი მიეფუყვანეთ პატრონს, ამოვედით შარავნაზე და ეგრე, თავის სახლიდან ას მეტრზე ჩაეიდა სერგო — ერთი კაცი დაინახა, ჩემი ბიჭის მსწავლეებელია, საქმე მაქვს მაგასთანო. სერგოს სახლის ჩასახვევთან ისე იდგა ტაქსი, ვერ გავეტეოდი, ამიტომ გავაჩერე. საითაც ტაქსის შოფერი იყურებოდა, მეც იქით გავიხედე: ყველაფერიც გავიგონე, დავინახე კიდევაც. გიჟივით არ გავარდა ტაქსის შოფერი?! — გაიცინა, — შერე, კაცო, ძალიან რომ გამწვავდა საქმე, ვიფიქრე, აბრამა ძიამ ვინმეს ცოდვა არ დაიდოს-მეთქი, სტვენით მოვახედე სერგო, ხელი დავეჭინე, მოვარდა და ღუბღუბი გავუშვა.

— დაშლილი გქონდა თოფი? — თითქოს უადგილოდ დაინტერესდა კოკი.

— შალითა შინ დამჩა და აწურობილი მედო მანქანის უკან სკამზე. სერგოს არ მოესწრო, ნაღდად მოგვლავდნენ.

— სერგო რალათ გინდოდა, შენ იქ არა გქონდა თოფი, მე შენი ჩამოთესლებელის! — მარჯვენა გაუქანა კოკიმ და ისე დაარტყა, რომ დაეცა, არც გატოკებულა. თვითონ კი ზურგზე დაიწყო ხელები და მშვიდად წავიდა მეგობრის სახლისკენ.

სადალაქოდან უბნის ინსპექტორი გიგო ბუაძე გამოვიდა, წყნარად თბრილთან წაქცეულ კაცს დახედა და კოკის ჰკითხა:

— რათა ვლია?

— რას გაიგებ, ალბათ მთერალია! — ისეთი ოხერი ვინმეა ზოგიერთი, ავტომატით დაადგე, მაინც დაღვეს; მაგისთანებს იაენანასავით ესმით კანონის მუქარა, — მშვიდად განაგრძო გზა.

ინსპექტორი აჩქარებული შევიდა სასურსათო მაღაზიაში:

— წყალი არა გაქვს? — ჰკითხა დახლიდარს.

— დასაღვევად გინდა? — სკამიდან წამოღდა უსაქმობით მოთენთილი დახლიდარი.

— არა, ვიღაც კაცი გლია თბრილთან, იმას უნდა დავასხა და მოვასულეირო. დახლიდარი მშვიდად მიღგა-მოღგა.

— ჩქარა, ელიზბარ!

— ნეტა გულღონება ხო არ სჭირს?

— არა, კოკიმ დაუნიავა.

— აბა კოკი?

— კახას მეგობარი როა, ზემომზრელი, იმან.

— რათა, რა დამიშავაო?

— ალბათ ღირსი იყო, თორემ, ხო იცი, ეგ ისეთი კაცი არ არის, ტყუილუბრალოდ გაიმეტოს ვინმე.

## ჭანარი აზინლი

წიფელსა და ნაყავ მუხას წითლად შერჩენია ფოთოლი. დროდადრო წამოყინელსა ხოლმე და სევდისმომგვრელად აშმაშურებული ფოთოლი ბავშვობის წლებში მამბრუნებს, მანჯღრევს, მაფორიაქებს, თითქოს მახსენებს რაღაცას და ვერც მახსენებს. მინდა იმ გასაცოდავებულ წლებში მივიხედ-მოვიხედო, ვინ მაყლის! — ღუმელის ზომავზე დახერხილი მორი თითქოს მოულოდნელი, მკვეთრი ხმაურით ეცემა მანქანის ძარავზე. ისე ვკრთები, პანტის

ჩამოწეულ, ხავსიან ტოტს ვურტყამ თავს.

ტყისმცველი, ზია, ჭერ სულ არ იღებდა ხმას, ახლა კიდე ენად გაიკრიფა პირდაპირ. გოგიას ბიძას მისდგა და, როგორც თვითონ იტყვის ხოლმე, ისე ჩახადა, პერანგის ამხანაგიც აღარ შეარჩინა. გოგიას იმ ბიძას, ანდროს, სულ რაღაც ერთი წელიწადი ერქვა ხელმძღვანელი ამხანაგი, თუმცა მეტიც არ იყო საჭირო: ყუაზე დაიყვანა სოფელი და ნაცნობ-ნათესავ-მეზობლების დანა-

სისხლად გადაკიდებაც მოასწრო. განატყუის ზია — მავის შოფერ მამას გადაეკიდა, შენ გაიტანე ჩემი მეძებარო, არადა, იმ დილით, სიდერის ორმოცისთვის მინდაო, თვითონ გაგზავნა მინგრაურში სათალის ლოქოს, ჭანარის ჩამოსატანად. ეუბნება ზიას მამა, გუშინწინდელი წასული ახლახან დაებრუნდი, შენს მეძებარს როდისღა გავიტანდიო. მეორე დღეს წახველ, მანამდე კალაურის „ყოვლადწმინდაში“ სვირინგებიანი მღვდელის დაბადების დღეზე თამადაობდიო. ამაზეა ნათქვამი, შირო საიდან მოხვალო. მოკლედ, ზიას მამას მოუკრიფა ჩხიმლები და მოულოდნელად თვითონ არ აწეწოდა საქმე, ღმერთმა იცის, საით უკრავდა თავს: ანდრომ ცუდად დაადგა თვალი ლამაზ მოანგარიშეს. მისმა ძმამ მოპყრა ყური და ისე დაამტვრია თავისსავე კაბინეტში, იქაური უფრო ნაღლიაო — ბათუმიდან ჩამოუტანეს თურმანძის მალამო. ისე რატომ აიძულე კაცი, კაბინეტში რომ შემოგვარდნოდა და ხელით შეგვებოდაო — ის უბედური ამიტომ მოხსნეს, თორემ, ხალხის ქონებას შინ რატომ ეზიდებო, ასეთ უბრალო რამეზე სხვა ვინ გაუგლიათ სამსახურიდან. ანდრო რომ გაეგდოთ! დიდხანს არ გაგარძელებულა კვლევა-ძიება: ლამაზი მოანგარიშის ძმას ჭერ საში წელი მიართყეს, მერე ერთზე დაუყვანეს — ისაო, რაკი პირველი შემთხვევა იყო; ანდრო კიდევ, დამსახურებული, გამოცდილი ამხანაგია, უმუშევრად ვერ დავტოვებთო, მთავარ ეკონომისტად დანიშნეს ლენინს შესამე ქარხანაში. მოხსნილ კაცს, ისიც მეურნეობის დირექტორს, ასე უხმაურო სამსახურს რომ შეთავაზებენ, ნამდვილად უხერხულია, მაგრამ არც უარის თქმა ივარგებს, თუნდაც თავაზიანი უარისა...

ძარაზე ორნი აწყობენ შეშას — ზია და ვანო. ქვემოდან კი გოგია და ხუთი კიდევ სხვა აწვდის. ზიას გარდა ყველანი ჩემი მეზობლები არიან.

რამდენჯერ მითხრა ვანომ, ჩემი ჭაჭვახერხი, ჩემი დოღრილა ძმისაც —

შიოსიც, შენ მარტო ბილეთისა და ქანის საქმე მოაგვარე, ვიდრე იქცევა და გზებს მიანგრძობინებ, ბარემ ჩამოვიტანოთ შეშაო. ქართველი კაცის კვალობაზე მეც მედღეხვალიობის მოურჩენელი ავადმყოფობა მჭირს — მანამდე ვერ მოვიქევეთ თავი, ვიდრე ხეებმა ფოთოლი არ მიუმატეს ნეშოს. მერე შემოდგომაც ტალახად და გუბებზე გაება გზებზე, სიტუბო ჩაუდგა ცეცხლს. როდის-როდის მითხრეს, ტყეში უკვე შეისვლება მანქანითო. ახლა კიდევ სატყეომ გამოიჭრა საქმე, ახლა იმათ დაეხვიათ მედღეხვალიობის ბურნა — გუშინ, როგორც იქნა, გაიმეტეს ბილეთი: აქამდე იმიტომ დავაგვიანეთ, მანქანის მისადგომზე არ გვეკონდა ხეები დანომრილიო — გასაქცევ გზას ადვილად მიაგნეს.

სალამოთი გოგიას გავუარე, იცოდა, შეშა რომ მჭონდა ჩამოსატანი, ხვალ კვირაა, უფროსს შენს მანქანას გამოვაწერინებ-მეთქი. ნაწილებს ეგენი არ იმეტებენ და საბურავებს, მაგას ვინ კითხავს, საით შეეუბერავ კვირა დღესაო. მოკლედ, საქმე გაიჩარხა, მაგრამ კინალამ ისევ მშრალზე დავრჩი — ვილაც კაცი მომადგა კარზე, გადამეხვია — დიდად გაიხარა ჩემი ნახვით, მსურვალედ მომიკითხა ცოლ-შვილი, სტუდენტობაქელი ძმაკაცები ვართო. თავი ავიტყვი ფიქრით და ვერ გაიბსენე ვერაფრით, მერე კი შევატყე, მართო არ იყო, მაგრამ სტუმარი ერქვა მაინც — სუფრა გავუშალე; მეორე დღეს ტყეში რომ უნდა წამომყოლოდნენ, იმათაც დავეუძახე და წამოვშალეთ სიმღერა. იმ ჩემს სტუმარს მალე მოსწყდა ყინწი, აჩემა, ვანთაში უნდა ავიდეთო. გოგია არ სვამდა, ხვალ საქეს უნდა მიუჯღედ, გადავვარდე, ჩემი თავი ჭანდაბას, თქვენც გადაგიყოლებთ და ამდენი მკვდარი ერთ სოფელში ნამდვილად ბევრია, ომი იყოს, ცოტაც იქნებოდაო. სტუმრის ვანთაში აყვანა რომ ვთხოვე გოგიას, ცივი უარი მტკიცა, შენც თუ წამოხვალ, წაიყვანო. სტუმრებს ვერ მივატოვებდი და აქი

არც წაველ. ხევწნა-მუღარით გავაყოლე ამულელ მანქანას. გოგია დამყოლი, გაგებული ბიჭია და იმიტომაც გამიკვირდა, რა იყო, რა ვირზე შეჭექი-შეთქი. სხვა დროს გეტყვიო. მეტი არაფერი მითქვამს — საამისო არც დრო იყო, არც ადგილი.

გათენებისას, გოგიამ რომ გამაღვიძა, ტყეში წამსვლელები უკვე მანქანის ძარაზე ისხდნენ და ვილაცასა თუ რა-ლაცაზე იცნოდნენ. რალა თქმა უნდა, იცნოდნენ ჩვენებში, მეორე დღეს შეშაზე რომ მივიდიოდი, ამიტომ ამ დამსვე დაიჭირეს თადარიგი, საკმელ-სასმელი ჩააბარგეს და, ვაითუ ჩვენს გაღვიძებამდე წავიდესო, დაეკტილ კარზე მოედგათ ღვინის შტოფი, ორი მოზრდილი ჩანთა და წინა კვირას გამოკვერილი ნაჯახი. მართალია სტუმარი არა ხარ, მაგრამ ცოტათი მაინც გავხარო, კაბინაში ჩამსვეს. ამოვედი ტყეში და ნაჯახი წამგლიჯეს ხელიდან, აქ სიარული ქალაქის ასფალტზე სეირნობა არ გეგონოსო.

მართლაც ისეთ ადგილზე დაენომრათ საჩემო ხეები, მანქანაც თავისუფლად მიუდგა და ჭაჭვახერხი.

ორი გზობა შეშა უნდა ჩამომეტანა, ერთი ჩემთვის, ერთიც — ნათესავისთვის. ის ნათესავი ომის დროს ქერის ორმოში რომ ეგდო და მე მჭადიც მენატრებოდა, ნათესავად არ მთვლიდა, მაგრამ სილარიბემ ახლა იმას რომ მოუბოშა ქამარი და კომშიც მოაჭრევირა, მაშინღა გაახსენდა, ვისი სისხლი ედგა. სამაგიეროს გადახდა ფიქრადაც არ მომსვლია, ბოლო-ბოლო საკუთარი თავის გარდა სოფელიც უნდა გვახსოვდეს.

ბიჭებშია თქვეს, ამდენი ვართ, ორი მანქანა შეშის მოჭრა-დამზადებას რა უნდა, მოვრჩეთ ბარემ და მერე დავლიოთ ჩვენი ტყეების სადღეგრძელო და მოჭრილი ხეების შესანდობარიო — უსასმელოდ წავიხემსეთ. ჭერ შიომ აახმურა ჭაჭვახერხი. საათი დავნიშნე — ერთი მანქანა შეშა საათნახევარში მოჭრეს კიდევაც, ზომიანდაც დახერხეს და მანქანაზედაც შეყარეს. ისე

ლამაზად დააწყეს, გადმოყრა დაგენებოდა. მანამდე ცეცხლს წებუხეზოდი პანტის ქვეშ. ცალ მხარესსტრესს დაეჩახტა პანტა, კენწერომდე ასულიყო, გადმოეხარა და ისე მოექოხებინა, კაცის ნაფუსფუსარი გეგონებოდა. ესხა, ესხა ლიქს, პირველად რომ დავინახე, თვალების ზამზამი ავიტყეხე. ხომ არ მეჩვენება-მეთქი!

— წავედიო! — დამიძახა გოგიამ და კაბინის კარი გამოაღო.

— მოიცა, — შეაჩერა ზიამ, — რო მიდიხარ, სად მიდიხარ, დავამთავრე რო?

— ნეტა რალა დაგრჩა უთქმელი! — ელომება გოგიას და გასაღებს იღებს ჯიბიდან.

— დამრჩა, — დაქოქვას არ ანებებს ზია, ხელს უფარებს გასაღებზე, — იმ შენს უფარგის ბიძას, ანდროს, ყბები ჰქონდა დაღლილი სოფლის ჭამით. ხალხს კი ეგონა, გადიდაცა და სიტყვა დაიძვირაო. გაიგე?

— გაიგე, — თავს უქნევს გოგია, — კეტს მაინც ვერ წამომავლებინებ ხელს — ხო იცი, შენზე უფრო მე მეჯავრება, სამჯერ მომაწვა მანქანიდან გადმოსაგდებად.

— მაშინ რალათ ესალმებიო!

— მაინც ბიძაა!

— მაინც არაკაცია!

— შენთანა ვარ! — მხარზე ხელს ურტყამს გოგია. — ახლა, გაილე მოწყალება და, დამაკეტინე კარი!

ვანო ჭაჭვახერხს ლესავს, შიო — გასხეპილ წიფლის მორს ზომავს ჯოხით და ნაჭდევეს უკეთებს ნაჯახით. სხვა ბიჭები მიდგნენ-მოდგნენ, ხმელი შეშა უნდა მოაგროვონ ცეცხლთან, ზია კი წალდს უსინჯავს ფხას:

— თხილის საშამფურეებს მე მოვიტან, ოლონდ გათლით თქვენ უნდა გათალოთ!

— სულ მე გავთლი, კაცო, რა გულს შემოიყარე? — ფერდობზე ებლოტება ვალა.

— წამომელო რკინის შამფურები, რას აიჩემე, არ გვინდაო! — ვეუბნები ზიას.

— თხილის შამფურზე შემწვარი

მწვადი მინც სხვაა, — ღიჯიან პანტას გვერდს ევლის, წელან იქ შეიგულა თხილის ბუჩქი.

— აბა, ვახსენოთ ღმერთი! — მანქანას ძრავს გოგია.

— ვიდრე დაბრუნდებით, შესასაც დაეამზადებთ, მწვადსაც ავაგებთ, შეწვას რალა უნდა! დავიმშვიდოთ გული და ავტოქაქედით... აბა, ფრთხილად იარე, ანდროს დისწულო! — წალდს მაღლა სწევს ზია.

— რომც მოვიწადინო, ვითომ გაგაფრენ? — ამას უკვე ჩემს გასაგონად ამბობს გოგია.

ფეხებთან დავიხედე — ცული ეგდო:

— ამას რალას მოათრევედი?

— გიშლის რამეს?

— ისე გეუბნები.

— უიარაღოდ არ მივდივარ არსად — ჩვევა მაქვს ასეთი.

ისევე ქინელავს, თითქოს არ ემატებოდ, ორიოდე წვეთს ჩამოაგდებს და მიუჩრდება ერთხანს — წელან წიფლისა და ნაკაფი მუხის წითელი ფოთლის შრიალით ვამჩნევდი, საქარე მიწაზე კი უკეთესად ჩანს.

ტყეში შეჭრილი, სათრებით დაღარული ვიწრო გზიდან გაშლილ ხეებზე გავდივართ. ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეული გზა დევს ხეებზე. ვეება, მოდღღეზილი ბიჭი გოგია; თუმცა რალა ბიჭია, დილას მეუბნებოდა, დეკემბრის მეორე შაბათს ოცდათხუთმეტი წლისა ვბდები, მერე რომ არ დაიწყო ესაო და ისაო, ახლავე გეპატიეებო. პირველად იხდის დაბადების დღეს და მართლაც უხებრებულია მიუსვლელიობა. ჰო, მოდღღეზილი ბიჭია გოგია, მაგრამ დაძაბული რომ გაპყურებს გზას, ისე მეჩვენება, თითქოს ერთბაშად დაპატარავდა.

— ზომ არ ვიხარბეთ? — ვეკითხები და სიგარეტს ვუკიდებ.

— აქ რა არის, საბურავების იმედი რომ მქონდეს და ცოტა გზაც ვარგოდეს რამე! ჩემთვისაც მოუკიდე.

ხევის გასწვრივ, ორივე მხარეს, კო-

რომ-კორომ მიუყვება ქაცვი, ვის სარად მოუჭრია, ვის ნაყოფისთვის, დაუჭავავს, ისეა გასაცოდავებული, შტეროც უნდა იზამდა უარესს. ღიჯისა და მაცვლის ბარდებში ვერ მიდგომიან, იქ მაღალი ქაცვებიც დგას და ნაცრისფერი ნაყოფიც ბლომად უჩანს. გვერდით რომ ჩავუვლით, ჩიტები წამოფრინდებიან ხოლმე; გაცილებით მეტი ჩანს შაშვი, ალბათ სიშავის მიზეზია — ამ ნისლისფერ ფონზე მკვეთრად ისახება.

უფრო ქაცვებს ვუყურებ, მამჩნევს გოგია და მეუბნება:

— კაცი კაცითა და ღობე ქაცვითაო — ნაღდია! ტურიხევთან ძველი ვენახი რო მაქ, პაპაჩქმის ჩაყრილია ისა. ომის დაწყების წელს გაუმართავს სარ-მავთულით; მართო ქაცვის სარი უდგას. სამჯერ მამაჩემმა ჩაუნაცვლა, ერთხელ — მე. რკინა ცვდება და ეგ არა, იმიტომაც უტარეს დედა! აბა, გაიხედე, მაგასა ჰქვია ტყის დაცვა?

— უცნაური ხეა ქაცვი, როგორა ვთქვა... ჰო, ნიჭიერ კაცსა ჰგავს, ყველა ხისაგან განსხვავდება: ახალგაზრდაა გამძლე, თორემ ბებერი გინდ ეგ ჩაგიგდია სარად, გინდ მურყანი. მართლაც საოცარია — ბერდება და გულსა კარგავს! მინცდამინც არც სხმით იკლავს თავს, არადა, ხეებისა და ხეხილის კვლობაზე პირიქით უნდა იყოს.

— მაშინ არც ღირსი ყოფილა დაბერებისა.

სათარზე მინადენი ხალხი გვხვდებოდა, ცხენებზე ისხდნენ; რომ დაგვინახავდნენ, გვერდზე გადადგებოდნენ ხოლმე და თვალს გვაყოლებდნენ.

— არა, მინც ვანთაში რატომ არ წაიყვანე ჩემი სტუმარი?

— კვრინჩხივით ესხა, ხომ იცი!

— კვრინჩხივით ესხა თუ მწელეული ხემქეპურივით ცარიელი იყო, სტუმარი ერქვა მინცი!

— დავიჭერო ვერა?

— შენ როგორა ფიქრობ.

— ძალიან უბრალოდ: საცოდავი ჰამლეტ გონაშვილი რომ გაცოცხლდეს და ორივემ ერთად მოგიკაქუნოს კარ-

ზე, ერთნაირი სტუმარი ერქმევა ერთიმ?

— მაგას არაფერს გედავება! უნდა წაგეყვანა.

— მაგრამ არ წაიყვანე.

— რატომ მერე?

— სხვა დროს გეტყვი.

— წუხელაც ასე არ მითხარ?

— ჰოდა, ახლაც იმას არ გეუბნები?..

ტყე გამეჩხერდა, თანდათან დადაბლდა ხეები. ხევის ფერდობებზე ბუჩქნარმა იმატა. გზას უკეთესობა დაეტყუო, მანქანა კი ისევ ზოზონით მიჰყავს. გუბებს რომ მიადგება, ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ უშვებს წინა თვლებს; მაგრამ მერე ერთბაშად აპკრავს ხოლმე, ჰრი-ალოთ, რწვევა-რწვევით მიდის მანქანა.

— ჯერ თქვენსა უნდა ჩამოვეყოლოთ? — მეკითხება გოგია.

— არა, ნათესავთან.

— კარგი გამახსენე: მოიტა, ანდროში გამიცვალე.

— ვერ გავიმეტებ, ჩემი სადაცაა აიბარგება ამ ქვეყნიდან, შენი კიდეც... აჰ, ერთი მაგისი ჭანი მომცა!

გზამ წყალი გადაჭრა, ავიდა ხევიდან, გაიარა ტყეში და მკვეთრი მოსახვევი ხევისკენ დაეშვა ისევ. იმ მოსახვევს ჩამოვცდით და გოგიამ მერეღა ამოიღო ხმა:

— შენი ისეთი ნავაგია, ნახე, თუ ორივეს არ დაგვაბინავენს!... ჰო, რაკი ეგრეა, სართს ჩამოვდივარ.

— ჩამოდი!

— საბურავის კამერას გაძლეე. მართალია კამერად აღარ ვარგა, სამაგიეროდ საკენჭურის რეზინებად გამოდგება: დასჭრი, დაანატყუებ და საკენჭურის წყვილ რეზინს წყვილ კვერცხად გაყიდი. კვერცხებზე კრუხს დასვამ. კრუხი — წიწილებს დაჩეკავს. წიწილებს ვარიებად აქცევ, ახლა იმ ვარიებს გაყიდი და იყიდი გოკებს. გოკები ღორებად იქცევა. გაყიდი ღორებს და ძროხას იყიდი. მერე...

— ვიდრე „ტიგულს“ მაყიდინებდე, ახლაც გაფრთხილებ — არ მინდა ტარება არ ვიცი.

— ის მაინც გეცოდინება, აის კაცი რატომ ვარბის.

ისევ ხევე რომ გამოვვლით, ვარდ-გარდმო გაუყვა გზა და ერთბაშად გაბრუნდა თავქვე. მაშინ დავინახეთ: ფერდობიდან კაცი ჩამოხტა და გზისკენ გამოიქცა. ერთი კაცი კიდეც ფერდობის ძირში წამოწოლილიყო და ჩვენკენ იხედებოდა.

გზა გადაგვიჭრა კაცმა და ორივე ხელი ასწია, გააჩერეთო.

გოგიამ მანქანა გააჩერა და კაბინის კარი გააღო:

— რა გინდა!

— აიქ, ბიჭო რო წევს, იმას ცხენმა წიხლი მიარტყა, ზრამში გადაავლო და მგონი ფეხი მოიტეხა, — ქოშინებდა. შავი იყო, გახუხული, თანაც ისეთი გამხდარი, შემეშინდა, არ წაიქცეს-მეთქი.

— მერე, რომელი ქორტუაგი მე მნახე? — მოიღუშა გოგია.

— შარავზაზე ჩაიყვანე და ვინმე მადლიანი საავადმყოფოში...

— რა გინდოდათ აქა? — შეაწყვეტინა გოგიამ.

— ფიჩხზე წამოვვლით ტაჭკებოთ.

— დასვი თავის ტაჭკაზე და წაიყვანე! — მანქანა დაძრა.

— მოიცა! — გვერდზე გამოჰყვა გახუხული ბიჭი, — ამ ქვებზე ჭაყჭაყი უარესს დამართებს! თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი!

— სადმფრია?

— მინდვრისციხელები ვართ ორივენი.

— წადი, ერთი, თქვენი ორივესი! — შეუკრთხა გოგიამ და სიჩქარეს მოუმატა.

— რასაც შენ აკეთებ, გიხდება? — საჭეზე ვუტაცე ხელი, — კაცი ხარ თუ ნადირი!

— იცნობ მაგ ხალხს? — გვერდზე მიაყენა მანქანა, — იცნობ? შენ რო გაგიჭირდეს, რა გგონია, მოგხედავენ ეგენი?

— მე სხვას არ ვუყურებ! — კაბინიდან გადაველ და გახუხული ბიჭიც მოვარდა:



— წამოვიყვანო?

— ეგრე გამოდის, — წამოწოლილ ბიჭს გაეხედე.

— წამო, მომეხმარე.

— შენი ყველაყისამ. მეცხენე არ გეკადრება და ამას ავკიდებ! მოიცა, ბარემ გალსტუქსაც გავუყეთებ!.. არ გვეჩქარება, წადი და მოათრიე! — უყვირა გოგიამ.

წავიდა.

— რა გინდა, რას ერჩი? — ვეუბნებდი გოგიას, — თავისი გასაჭირიც ეყოფა, ვერა ხედავ, რა ფერი ადევს?

— მაგათ სულ ეგეთი ფერი აქვთ აჩემბული, რას გაიგებ, როდის შიში აწევებთ, როდის — სიხარული!.. დაიმაბსოვრე, ხათაბალაში გაგვაბამენ! კარგად დაიმაბსოვრე, რასაც გეუბნები!

— გაგვაბამენ და ჩემს კისერზე იყოს...

გახუხულმა ზურგზე აკიდებული მოიყვანა, ცხენს წიხლი რომ მიერთყა — ისა. ორი კაცი რად უნდოდა, გაემეტებინა, ერთი ნამუსიანი კატა გაათავებდა. მომყვანს რა უჭირდა, აბა, ის იყო, თუ იყო გახუხული, გახუხული და გამწლიკული. გოგიამ ზურგიდანვე აიყვანა აკენესებული კაცი, ბავშვივით აიყვანა ხელში:

— ჭერ შენ შედი შიგნით.

მაშინვე შევეარდი კაბინაში. გვერდით მომისვა და კარი დაკეტა. საჭეს რომ მოუჭდა, თავი გააქნია და მითხრა:

— მხარზე ხელი მოსდე, კარს არ წააწყდეს. ეგ ცული ცოტა აქეთ გადმოდე.

ის მეორე ბიჭი კი გოგიას ამოჰყურებს:

— ცხოვრებაა, ხალხნი ვართ, ჩვენც ვიცით სიკეთის ფასი, ცხენებსა და იმას რა ვუყო, თორემ წამოვეყვებოდი.

— ჰო, ადგილი ხო გვაქ კაბინაში!..

მანქანა ნელა, ფრთხილად მიჰყავს გოგიას. ხანდახან დაბლვერილი გადმოხედავს ხოლმე აკენესებულ მინდვრისციხელს.

— რა გქვია, — ვეკითხები.

— ნოშრევანი. ვაპ, ეგეთი მუროტალი ცხენი გაგონილა?!

— რამდენი ხანია, რატო იმეორებ?

— დღეს ჩათაედა თვე. უკვე მეოთხე ვარ, ვისაც წიხლი მიართყა.

— კვირაში ერთხელ იცის ეგეთი რამე? — მეცინება.

— ეგრე გამოდის. ვაიმე, მგონი მოტეხილი მაქ და, მთლად დავიღუპე! ერთი თვე რომ არ ვიმუშაო, ცოლ-შვილი დამეშშევა.

— რამდენი შვილი გყავს?

— ხუთი. ნაღდად მოტეხილი მაქ. თივას ვუყრიდი, გამომიქანა წიხლი და ეგრევე გადამიძახა ხრამში. პატრონს დავემსებ, იმკვირია გავყიდი, ვერ გავყიდი და თოფს დაეცემ.

— შენი გვარი მიბრძანე? — ეუბნება გოგია.

— ანდრონიკაშვილი. შენი?

— თქვენი ნაყმევი ვარ, ხიხანიშვილი! — ერთბაშად მოუმატა სიჩქარეს. ველარ შევიკავე თავი და ფეხაკენესებულს მივაწყდი. ისე გამწარდა, გული თუ არ წაუვიდოდა, არ მეგონა: საცოდავად მოიკენტა, მუხლებში ჩარგო თავი, ალბათ მთელი ძალით დააწვა მტკივან, გამეშებულ ფეხს.

— რას შერები, გაგოდი! — ვუყვირე გოგიას.

— ან აქამდე რომ არ გავგიედი, რატო ის არ გიკვირს! — სიჩქარეს არ უკლებს, — გვარის ამორჩევა როგორ იციან, კაცო! რა გვარებს დაეტაკენ, კაცო! რომ არც არავინ უშლის?!

— ნელა იარე! შენ ვინ გეკითხება?

— რომ არავინ მეკითხება, იმიტომ არ დამაწყდა ნერვები?

— არ გესმის რას გეუბნები?

ხმა აღარ ამოუღია, ისე მოუკლო სიჩქარეს. მინდვრისციხელიც გასუსულია, ცდილობს, მაგრამ თავს ვერ ერევა, ხანდახან ყრულ ამოიკენესებს ხოლმე... ერთ კილომეტრამდე გავიარეთ — სოფელი გამოჩნდა.

გოგია უგემურად არის აღერდილი, მინდა ფიქრს გავარიდო:

— ის მაინც მითხარი, რატომ გაყიდე

მანქანა. შენს მეტს არავის მოხდენია ავარია?

— სხვა დროს გეტყვი მაგასაც.

ცინცხალი „უიგული“ იყიდა გოგიამ, ბოლო გამოშვება, საიდან ჩამოიტანა, დაუჭერებელია. პირდაპირ — რვა დღე მოუნდა იქიდან ჩამოსვლას. ასფალტიდან არ გაუყვანია, ზედ დაჰკანკალებდა მთელი წელიწადი. ამ ერთი თვის წინ თვითმცლელს წააწყდა გომბორის გადასასვლელზე და გაყიდა კიდევაც. მხახველები ამბობენ, ბევრი არაფერი ჰქონდა სავაგლახო, თავი-ბოლო, ხუთასი მანეთი გააახლებდაო — გაყიდა კი! სად გოგია და სად ასეთი დაუკვირებლობა, დაუკვირებლობა თუ აჩქარება. ჰაი, აქედან მოუღარე, ჰაი — იქიდან, რამდენი არ ჩაეცივდი, ვინ აღარ დაეფიცე, მოკვდი, გავიგალე, ვერაფრით ვერ ვათქმევინე მიზეზი! სხვა დროს გეტყვიო — მარტო ეს აქვრია ენაზე...

სოფელში შევედით, ასფალტიანი გზა უკვე და მანქანამაც ამოსუნთქა. კიდევ ერთ სოფელს გავივლით და მერე შევალთ ჩვენსაში.

გუმბათმონგრეული ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის გვერდით სასურსათო მაღაზიაა, წინ — კლუბი. მათ შორის მოზრდილი მოედანია — აქაურების სალაყბო. გზის გადაღმა კიდევ ერთთაზიანი, სატყეოს აგურის შენობაა ვალაყანზე მიყუჩული — სამშაბათობით აქ ყიდიან დანომრილი ხეების, ფიჩხის, ნარიყისა თუ ნაყარის ბილეთს.

გოგიამ შარავზასთან გააჩერა მანქანა და მაღაზიის წინ შექუჩებულ ბიჭებს ხელი დაუქნია.

სამნი წამოვიდნენ.

მანქანას წინიდან მოუარა გოგიამ და ჩემკენ მოტრიალებულ მინდვრისციხელს მხრებში ამოსდო ხელები: გადაიყვანა კაბინიდან, ფრთხილად დასვა მიწაზე და უკვე მოახლოებულ ბიჭებს უთხრა:

— ან მანქანაიანი ნაცნობი ჩამოივლის, ან მაღლიანი ვინმე, სავადმყოფოში გაატანეთ — ცხენს მიურტყამს

წიხლი და, მოტეხილი თუ არა, ამოვარდნილი მაინც ექნებოდა. ფეხთუჯულები — ხედა — მიიხურე კარზე. *კარზე*

ჩადგმული ბიჭი დაიხარა და თვალეში ჩახედა მინდვრისციხელს:

— მართლა ცხენმა მოგარტყა წიხლი? მინდვრისციხელმა მარტო მტყივან ფეხზე აისვ-დაისვა ხელი, მხრები შეათამაშა — დაიღრჩა.

— აეს მანქანა ხო არ დაგეჯახა?

— ოღნავ, თითქოს ნაძალადევად დაუქნია თავი.

გავშრი. გოგიას შევხედე — სიმწრით გაელიმა და მანქანა აამუშავა. სიჩქარეში რომ ჩაავლო, ის ჩადგმული ბიჭი გადაგვიდგა წინ, კაპოტს დააბჯინა ხელები:

— კაცი სამარის კარზე მიყენეთ და, ვითომც არაფერიაო, არა?!

ამ მოულოდნელობამ ისე დამაბნია, ხმა ვეღარ ამოვიღე.

გოგიამ წამოიწია, მიწაზე მისვენებულ მინდვრისციხელს გადახედა:

— ატყობ, რა უცებ მოირღვა, ეს შობელძალი?!

ჩადგმულმა კაბინის კარი ხმაურით გააღო და უყვირა გოგიას:

— ჩამოეთრიე და შენ თვითონ მოუარე!

— ვისა? — გაეცინა გოგიას.

— ვისაც მანქანა დააჯახე!

— ამდენი ხნის შოფერი ვარ და ძალისთვის არ წამომიყარავს მსუბუქად. მოხურე კარი!

— ჩამო, რო გეუბნები! — ქამარში ჩაავლო ხელი და მთელი ძალით დაიქნია. გოგია შეტრიალდა და მკერდში ისე ჩასცა წიხლი, კუჭუხნაკით დააწყვიტა მიწაზე:

— უყურე ამ ვირიშვილს, რამდენს მიბედავს!

ჩადგმულის წამოხტომა იყო და მთელი ჯგროც გვეცა. გოგიამ ნაჯახი აიღო — კაბინიდან გადახტა: უცებ შემოეთანტენ ყველანი; მაგრამ უცებვე დაიბრუნეს გონი — ვიღაცამ ქვა გამოაქანა, თავი არ დაამედუნა, ის შეშა ჩემს ქელებში დაიწვებოდა. ლონივრად

გამოქანებული ქვა კაბინის მეორე, ღია კარიდან გასულა.

არ ვიცი, როდის გადაველ მანქანიდან, როდის მივიჩერდი თვალებში ბარმომარჯვებულ კაცს — მერეღა ვიგრძენი მარჯვენა ბეჭის ტყვილი, მერეღა მივხვდი, რაღაც რომ დამიშვეს მხარში.

ხალხის გინება მესმოდა და გოგიას მოგუღული ხენეშა. აღარც ის მახსოვს, ბარი როგორ ჩამივარდა ხელში: გოგისკენ გაქვანდი მისამველებლად — ვიცოდი ცოცხალს არ გავვიშვებდნენ და აქი არც მე ვაპირებდი ვინმეს დახვალეობას. იმ სოფელში ისეთი უჯიშო, უვარგისი ხალხია, ძმა ძმას არ ინდობს, ნათესავი — ნათესავს და მეზობელი — მეზობელს. ხან სასაფლაოს გზას ატალახებენ. ხანაც ციხისას.

ალაბედზე რომ დავუშვა ბარი, სულ ცოტა, ორს მაინც ავეუმღერებ წითლად თავს. გოგია ძარას მიყუღებია ზურგით და ნაჯახით იგერიებს სარებით მისეულ ხალხს. მაგრამ მოქნეული სარი უფრო ძარას ხედება. ერთი თალია გაშველება მოვინდომე, მალევე კი გადამაფიქრებინეს — ჭარმაგი კაცი მომიტრიალდა და გამეტებით დამიქნია სარი. ბარი კი შევაშველე, მაგრამ ისეთი ძალით იყო მოქნეული, მუხლში ჩამიკრიფა მამინ იყო, ვილაცამ იყვირა:

— ვისა კლავთ, თქვე შობელძალებო!

ხმა მეცნაურა, თუმცა უკან მიხედვის დრო აღარ იყო — წამოგვარდი და იმ ჭარმაგი კაცისკენ რომ გავიწიე, ბარში მიტაცეს ხელი. შევეტრიალდი — ჩვენი სატყეო მეურნეობის ინჟინერი იყო, პეტო ფანიაშვილი. უცებ წამგლიჯა ბარი, მაგრამ არ უხმარია — იმ ჩადგუმლს მთელი ძალით ამოარტყა წიხლი:

— რა ნაგავიც, არაკაცებიც თქვენა ხართ, ის სხვები გგონიათ, თქვე უჯიშოებო, თქვე მაწანწალებო!

ეტყობა, კარგად იცნობენ პეტოს — როგორც იტყვიან, გასულ-გამოსული კაცია — წილი აქვს ყველაფერში.

გოგისა რომ ჩამოიფარა პეტო და

ერთ გახუხულ ბიჭს ალიყური გასცხო, აღარაინ ცდილა არც სატყეო მოქნევადაც. არც ქვის მოძებნას.

გოგია იფლიან შუბლზე გაისვა ხელი, ნაჯახი კაბინაში შეავლო და ჩადგმულ ბიჭს უთხრა:

— მანქანის ნომერი დაიმახსოვრე და მიკითხე, გეტყვიან, ვინცა ვარ! გაგაგებინებ, როგორ უნდა შარის მოღება!

— რა მოხდა? — მომაჩერდა პეტო.

— მაგათ კითხე! მართლა ნაგავი ხალხი ყოფილა ამ სოფელში! — ახლდა ამივარდა კანკალი და კაბინის კიბეზე ჩამოვყექი.

პეტო ჩადგმულ ბიჭთან მივიდა:

— შენ აურევედი!

— მე რა შუაში ვარ, აგე, რო წიეცს, იმან თქვა აეს მანქანა დამეჯახაო.

— იფიქრე, ფულს გავაკეთებო — მე მასწაველი, რა ნეხვიცა ხარ? დავიჯერო, არ იცნობდი ამას, — ჩემზე უთხრა და დასარტყმელად მოუღერა მუშტი.

— პირველად ვხედავ, — უკან დაიწია ჩადგმულმა.

— გუშინწინ ვისზე გვეკონდა ლაპარაკი?

ჩადგმული შეერთა, ხან პეტოს უყურებს, ხან — მე.

— ჰოდა, ეს ის კაცია! განაკაწრიც რომ ჰკონდეს რომელიმეს, ესენი თუ არ გიცნობენ, მე ჩამოვეწერ სიას და კედელს ახალეთ მერე თავი, ვნახოთ, როგორ აიციდნენ სასამართლოს!

ეცდილობ, მაგრამ ვერ შემიჩერებია კანკალი.

— არა, მაინც რა მოხდა? — ჭარმაგი კაცს მიაჩერდა პეტო.

— წამოდი, — მანქანას გვერდი აუარა ჭარმაგმა და მოხრიოკებულ მიწაზე წამოწოლილ მინდვრისციხელთან მივიდა, — ამან თქვა, აეს მანქანა დამეჯახაო.

პეტომ ღიმილით გადმომხედდა:

— მართლა ასე თქვა?

— თქმით არ უთქვამს, თავი კი დაუქნია.

— მერე?

— დაუჯერეს.

პეტო ჩაიხარა, მინდერისციხელს ნი-  
კაშში ამოდო ხელი, თავი ააწევინა:

— ეს მანქანა დაგეჯახა, ხომ?

— არა, წიხლი მომარტყა ცხენმა.

— რატო წელანაც ეგრე არა თქვი?! —  
ჩადგმულმა ბიჭმა გვერდიდან შემოჰკრა  
ფეხი, გულაღმა გაშხლართა, — კინა-  
ლამ სისხლი დაგვადღერევენე ტყუილ-  
უბრალოდ, მე შენი! — ახლა კიდევ  
მტკივან ფეხში ჩააზილა წიხლი.

ჩადგმულს ხელი ჰკრა პეტომ, გვერ-  
დზე მიაგდო:

— ეყოფა!..

გოგია კაბინაში ზის, საჭეზე, ჩამო-  
უდვია თავი, ხელები უქანკალებს.

— ბილეთებს ვნომრავდი, — ამბობს  
პეტო, — აქ სულ ეგეთი ქოთქოთია და ყუ  
რადლება არ მიმოქცევია. კიდევ კარგი,  
მაღე ჩავათავე დანომრვა, თორემ მარ-  
თლა დაიდგებოდა სისხლი!

— კაცო, — თავი ასწია გოგიამ, — გა-  
ჭირვებულს არ მიეხმარები — ცუდი  
კაცი ხარ, მიეხმარები და იგე, კინალამ  
უბედურება დატრიალდა! რა გინდა  
რომ ქნა, ამ უბედურ ქვეყანაში!

— ესეც არაფერი, — ელიმება პეტოს.

— რაღა არაფერი, მთელი წლის სი-  
ცოცხლე დამაკლდა!

რამდენი დრო გავიდა, აღარ მახსოვს.  
მინდერისციხელი წამომჯდარიყო და ისე  
დაეღუნა თავი, იფიქრებდი, ძინავსო.  
მიიხებდ-მოვიხებდე: მოჩხუბრები აღარ  
ჩანდნენ. ეკლესიის გვერდით სარი  
ეყარა..

პეტომაც გაიხედა სარისკენ:

— თქვენს ჰირად წავართვი აქაურ  
კაცს, უნებართვოდ მოეჭრა.

— რაღას ვუყურებთ, წავიდეთ, —  
მითხრა გოგიამ და მანქანა აამუშავა.

— მოიცა, — წამოვუდგე, — ცოდვაა,  
ეს უბედური, ვინმეს გვატანოთ საა-  
ვადმყოფოში.

— ამას მე მივხედავ, — თქვა პეტომ  
და ისე დახედა მინდერისციხელს,  
აღარც ეს იყო გინებაზე ნაკლები...

მანქანა ნელა მიჰყავს გოგიას, ფიქ-  
რშია წასული არც მე ვიღებ ხმას. მე-  
რე დაბურღულ წყაროსთან ვჩერდებით,

ხელ-პირს ვიბანთ და ისევე კაბინაში რომ  
ვუბრუნდებით, მაშინ მეუბნება:

— რატომ გავვიღე მანქანა? რატომ  
კიდევ: რატომ არ წაიყვანე ვანთაში  
შენი შერეკილი სტუმარი, ახლა გეტ-  
ყვი. ერთი შეხედვით სხვადასხვა მიზე-  
ზია — სად მანქანის გაყიდვა და სად  
სტუმრის წაყვანა, მაგრამ ორივე ერთ  
წერტილში იყრის თავს, ის ორიც და  
აეს, მესამეც — მინდერისციხელიც.  
ფიქრს მოეშვი და კარგად მისმინე:  
ვარდისუბანში აველ დეიდაშვილთან —  
სამი დღის შემდეგ კვირა იყო, კაბალის  
ბაზრობაზე უნდა წავსულიყავით ლო-  
რების საყიდლად და, ემანდ, გულიდან  
არ გადაუვარდეს-მეთქი. რაღა თქმა  
უნდა, ვეღარ ვიყიდეთ ლორები. ჰო,  
აველ ვარდისუბანში, ვხედავ, ხალხით  
სავსეა ჩემი დეიდაშვილის სახლი —

— ექიმები ადგანან თავზე — გულს  
აურევნია. დიაგნოზი დასვეს, რე-  
ცეპტი გამოუწერეს და თქვეს, ამ  
წამალს მარტო თბილისში იშოვიეთო.  
მაშინვე გავვარდი ქალაქისაკენ, გომ-  
ბორზე გადავიარე. პირველსავე აფთი-  
აქში მომცეს წამალი და გამოვბრუნდი  
უკან. კახეთის გზატკეცილზე რომ გა-  
მოველ, პეტროსთან, ფიქრში არ ვი-  
ბოდილო და არ ამოვტრიალდე-მეთქი,  
ერთი შუახნის, წარმოსადგეი, ინტე-  
ლიგენტური შესახედაობის კაცი გამო-  
ვიყოლე — მოყვრებთან მივდივარ თე-  
ლავშიო. მაშინვე ვუთხარი, ფული არ  
შემამძლიო, თორემ მეწყინება, ხმის გამ-  
ციემი მინდოდა და მანქანის კარი იმი-  
ტომ გაგიღეთ-მეთქი. დიდი მადლობა,  
ჩემო ბატონოო. მართლაც კულტურუ-  
ლი კაცი ჩანდა. ამინდით დავიწყეთ,  
მერე ბაზრებს გადავწვდით, მერე მა-  
ლაზიებს, შემთხვევით გაუფროსებულ  
ხალხს, შემთხვევით გამდიდრებულებს  
და პოლიტიკაშიც ჩავიხედეთ ჩვენებუ-  
რად. ისე რა, საშუალოდ ავიწყენთ  
ნერვები. გომბორის გზით მივდივართ.  
მშვენიერი ამინდია, ბუნება ხომ ისეთია,  
ჰირ-ვარამს, ავადმყოფობას, სასაფ-  
ლაოს დაგავიწყებს. — ღმერთმანი, ნამ-  
დვილად ვერ ვიტყვი, როგორ მოხდა

და რანაირად — ვიდრე თელავისკენ და-  
ვეშვებოდით, თვითმცლელს დავეჯახე,  
ისიც — გაჩერებულ თვითმცლელს.  
ვტყუოდი. დროით დაემატებოდა და,  
მანძელშიაინც საზიანოდ არ წავეწყვეტე-  
ბივარ. თვითმცლელის შოფერი ბარ-  
დებში გადასულიყო, დაფეთებული  
მოვარდა, დახედა თავის მანქანას, ჩემ-  
სას და, რაღა აქ მომინდა ბარდებში გა-  
დასვლაო, ისე შეწუხდა, იქით ვამშვი-  
დებდი. ეს ჩემი მგზავრიც მამშვიდებს,  
რაკი ღმერთმა გადამოგვხედა და არა-  
ფერი დაგვშავებია, ჯანდაბას მანქანა —  
რკინაა, აიტანსო. წყენით როგორ არ  
მეწყინა, მაგრამ თავში არ შემომიკრავს  
ხელი, ეს რა დამემართა-მეთქი. თვით-  
მცლელს დაჯახებისა სულ არაფერი  
ეტყობოდა და აკი არც ხმა ამოუღო:  
შოფერს. ის-ის იყო მანქანაში ჩასხდო-  
მას ვაპირებდით, ავტონისპექტორიც  
წამოგვადგა თავზე. თითქოს მიწიდან  
ამოძვრნენო, მანქანები აკოცებენ ერთ-  
მანეთს და ისინიც იქ გაჩნდებიან ხოლ-  
მე მაშინვე. როცა მართლა საჭირონი  
არიან, ან მიწა ჩაყლაპავთ, ანდა მიწის  
მგელი. რა ამბავიაო, იკითხა ავტო-  
ნისპექტორმა და ვიდრე ვეტყუოდი, გაჩე-  
რებულ მანქანას დავეჯახე-მეთქი, ის  
ჩემი კულტურული მგზავრი არ გადა-  
ვარდა თბრილში?! გადავარდა და თვა-  
ლებიც მილულა სასიკვდილოდ. ხან  
ლოყებზე ვერტყით მსუბუქად, ხან ყუ-  
რები დაუფსრისეთ, თერმოსით მჭონდა  
წყალი და ისიც დაეასბით — ძლივს მო-  
ვარდუნეთ. რა მოხდაო, ეკითხება ავტო-  
ნისპექტორი ჟიგული რომ დააჯახა თვით-  
მცლელს, რაღაცა ჩამწყდა მკერდშიო.  
ვიდრე ჭირის ოფლი დამასხამდეს, ახ-  
ლა მე მეკითხება ავტონისპექტორი,  
შენი რა არის ეს კაციო? არაფერი, ისე  
წამოვიყვანე-მეთქი. თავის კანტურით  
ამომხედა იმ უცხო კაცმა, არა გრცხვე-  
ნია, რას კადრულობ, თუმნად არ მოე-  
რიგდითო. შენ მაინც იცი, ჩემი «ჟი-  
გულითა» და ამ სატვირთოთი ხალხიც  
წამიყვანია, ტვირთიც წამიღია, მაგრამ  
არავისგან არ ამიღია ფული. ქონება  
თავზე არ გადამდის, ხალტურაზე კი

უარს ვამბობ — არ შემიძლია. და რა  
ექნა ზოგ-ზოგები ჭირქილით მტყუვნიან  
ხოლმე, ცხოვრებას კარგად ვაფასობ  
და იმისი ბრალიაო. იმის ბრალი კი არ  
არის, ჩემი საწყალი მამა-პაპის, მშობ-  
ლების ბრალია, ცოდვა-მადლი რომ  
მასწავლეს. იმას ვამბობდი: ავტონისპექ-  
ტორმა შემიყენა აქტი და ვიდრე არ  
მოვრიგდით, არ დახია არაფრით. ის  
ავტონისპექტორი იმდენი არაფერი,  
იცოდა, ჩემი მგზავრი რომ ტყუოდა  
და იქვე გავიკითხე — იმ მგზავრმა გა-  
მატყავა უბედურად. რაო?! რამდენიც  
მივეცი, მივეცი. მოკლედ, ის კაცი თბი-  
ლისის საავადმყოფოში დაწვა. ერთი  
კვირის შემდეგ ჩავუტანე ფული და მი-  
ვაკითხე საავადმყოფოში. ოთხი დღეა,  
გაწერესო. მისამართი ვიცოდი — გარე-  
უბანში ცხოვრობდა. მიველ. ვხედავ,  
ურო მოუმარჯვებია, სოლებიც და ისეთ  
კუნძებს ჩეხავს, მე გამიძნელდებოდა  
იქით გახედვა. არა გრცხვენია-მეთქი?  
ცხოვრება ეგრეთაო, შვილსა, წადი და  
სადაც გინდა, იქ მიჩილეო. ხედავ,  
კაცო? — ოღონდ ფული იშოვნონ, რას  
აღარ კადრულობენ.. გაგიუდა ქვეყანა,  
გადაირია, მართო წიგნებშიღაა ნამუსი,  
ისიც, ძველ წიგნებში. პო, ჩემს თავზე  
მომივიდა ჯავრი და იმიტომ გავყიდე  
«ჟიგული». ვიდრე პირში სული მიდგას  
და საჭეს ვუზივარ, ისეთ ვინმეს არ ჩა-  
ვისვამ მანქანაში, ვის კაი-კაცობაშიც  
ეჭვი მეპარება. იმაზე მეტი ცოდობა  
რაღაა, შენს სიკეთეს ბოროტად რომ  
გამოიყენებენ — ისევე შენ დაგადებენ  
ბრალს. მაგრამ, ვიღას ეყურება, თუ ძმა  
ხარ, საღლაა ცოდვა-მადლის განმკით-  
ხავი! ვაი, ჩვენს პატრონს!.. ის შენი  
შერეკილი სტუმარი ამიტომ არ წავიყ-  
ვანე ვანთაში. გამემტყუნება ვითომ?  
ეგე, მინდვრისიციხელმა რა გვიყო, შენ  
რომ არ ეცნე იმას — პეტო ჰქვია მგო-  
ნი — სისხლი დაიღვრებოდა ულაპარა-  
კოდ.

მოკლედ, გაგაბოროტეს.  
— შენ როგორც გინდა, ისე იფიქრე.  
ვიფიქრებ-მეთქი, თუმცა საფიქრალი  
აღარაფერია.

ირაკლი არაბული

• • •

ჩემს სულს  
ყოფნა არ სურს მყუდროდ,  
შორითა ჰერეტს  
თვალი სისხამს,  
ბევრი მწყველა  
ამ საწუთრომ,  
ბედიც ბევრჯერ  
დამინისლა...  
თუმც არ ძალუძს  
ქართლის ჳირით  
აღმახნული  
დაღმა ფარცხოს, —  
დამიკარგოს  
თვალის ჩინი,  
დამამცროს  
და დამამარცხოს!..

• • •

უკანასკნელი რომ დაპყრავს წამი  
და ჩათავდება ცხოვრების კიბე, —  
მიწავ, მიბოძე ფოთოლი ბრძამის,  
რომლითაც ოდენ ჳრილობებს ვიფეც...  
ეგ კარგად ვუწყვი, დადგება ჳერი,  
უნდა ვემიჯნო ტოლს და თანატოლს,—  
მიწავ, მიბოძე სურნელი შენი,  
იმ ჩემს ბოლოთქმას რომ დაეანათლო...  
მერმე განახვენ კარნი აღსავლის  
და შზე დამამზე საესე ჳიქნებად...  
მე უკეთ ვიცი, სხვა რას მასწავლის, —  
ასე იყო და ასე იქნება...  
გენუკავ, ოდეს შენგან განვილტო,  
შენვე მიბოძე, შენვე ეგ მაღლი...  
პატიებას გთხოვ მხოლოდ იმიტომ,  
რომ ლექსის მეტი ვერრა შეგმატე!..

• • •

წერონისი, წერონისი,  
 უთეთრესი ზამთარი,  
 შემოხედვა შენ რომ იცი,  
 იმისთანა სად არი?..  
 წერონისის წეროები  
 ჩრდილს ესვრიან სათიბებს...  
 წამწამების ჩეროები  
 ლოყებს ისე გადირბენს,  
 თითქოს დაფრთხნენ და ყორნები  
 საბუღრიდან აფრინდნენ...  
 სად დაეშენენ დაყოვნებით,  
 ვისი გზები დაბინდეს? —  
 ვისი მზერა? ვისი თოლი?  
 ვისი კეთილმყოფელის? —  
 გული იყო ვისი ტოლიც,  
 ვისიც იყო სწორფერი...  
 თმები ქარში გაშლილები...  
 თვალი იქით გამირბის...  
 ვინ შეძახის დაყინებით:  
 „მოდო, მზარი ამიბი?“...  
 წეროს მწკრივის ჩეროები  
 გადაუვლის წერონისს... —  
 სად წავიდნენ წეროები? —  
 გადაფრინდნენ წერონი...

— — —



## გიორგი გიგაური

### მაციხოვნი

არტემ ნინუას

აღმართები შხეფის ციხის  
აეიარეთ ადრე დილას,  
გალაუანთან შეგვეგება  
მეციხოვნე ღმერთისკბილა.

შეგვეგება შემართებით,  
შვილს რომ ზედება მამა ისე,  
შებლს ეფინა სიჩაუქის  
შუქი შშვილს და დარბაისელს.

ღიმილი სხივს მოუგავდა,  
სიტყვა ზარს და მზერა არწივს,  
დახავესებულ ბურჯებს შორის  
გოდოლივით იდგა კაცი.

არ იმჩნევდა წელთა წყებას,  
ლოდებს ჯიქურ აბიჯებდა,

ჩვენთან ისე მოიღვინა,  
ვით საკუთარ ძმებიკებთან.

ბაგეს სობრძნე მოწვეთავდა,  
...პაროცენების კულტის დროინდელ პოე-  
ზიაზე ერთ-ერთი უბედურება ის ვახლდათ,  
რომ ზოგიერთი მწერალი უფრო გატყვეული  
იყო მილიქენობით, ფარისევლობათ, უადგილო  
ადგილას „გაუმარქოს!“ უყრილით, ვიდრე  
გულწრფელი გულშემატკივრობით საბჭოთა  
ხელისუფლების, ლიტერატურის გრანდიოზული  
მშენებლობით. იმ უბადრუე მქალაქებებს

აღარ ახსოვდათ ხალხის შეთვარებული ძალა, ცხოვრების საღებურად და ხედვად. რამდენ ახალგაზრდა მწერალს და საუკარელ შემოქმედს მოუღეს ბოლო სწორედ ამ ლიტერატურულმა გაიყვარებმა.

ახლა კი საბჭოთა მწერლობის წესა კარგად მოწმენდილია...“ („ლიტერატურის მატაინე“, 7-8, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1982, გვ. 807-808).

ნაყო სამადაშვილის ეს სიტყვები უდავოდ ცხადყოფს, რომ მწერალს საქმოდ კარგად ესმოდა თავისი ეპოქისათვის ნიშნდობლივი ზოგიერთი ასპექტი და თავის შემოქმედებაში შეტანებულად უცდილობდა გამოეხატა უამრავი იდეა სინამდვილის მანკიერი მხარდებით, რამაც ძირითადად განაპირობა გარემოს ასახვის სამადაშვილისეული მხატვრული მანერა.

ამოლომაც ვერ დავეთანხმებით გაიოზ იმედაშვილის მეორე პირველი ნახუდეგმუღვე, თვალსაზრისსაც — პოეტმა „ვერ შექმულ ვაეხედა ცხოვრების ბნელი მხარების მიღმა“. როგორც ნაყო სამადაშვილის კრიტიკული წერილის დასასრულად იტყვება, მწერალი თავისი ეპოქის ნათელ ფერებსაც ამჩნევდა და ახალ ტენდენციებსაც მივსაღებოდა, მაგრამ, როგორც ნაყო სამადაშვილის უკანასკნელი ლექსებიდან ჩანს, შემოქმედი უღმობრემა სინამდვილემ მალე დაარწმუნა, რომ დაშინებულმა სიახლეებს სუბიექტივინისა და ვოლუნტარისმის ხანაში მძლავრად ვერ გაშლიდა ფრთებს... მაგრამ აღნიშნული მხოლოდ ერთი ასპექტია პოეტის შემოქმედებითი მარჯანისა და ლიტერატურული მემკვიდრეობისა.

საოგადოდ, დროისადმი ხელოვანის დამოკიდებულებას მესამე განზომილებაც ახასიათებს. დრო ასეთ შემთხვევაში კოსმოსური, მარადიული მანსტახებით გააზრება. მარადისი დრო, თავის მხრივ, დაუსაზღვრელ სივრცეს გულისხმობს. ამგვარი დრო-სივრცე განსაყუთრებულ როლს ასრულებდა ნაყო სამადაშვილის მსოფლგანცდისა და შემოქმედების თავისუბრებათა ფორმირებისას. პოეტის მემკვიდრეობისათვის ნიშნდობლივი ეს სპეციფიკა, ვიქტორთ, ანათემავეებს ნაყო სამადაშვილის შემოქმედებას ტერენტი ვრანელის პოეზიასთან, რასაც აღსატრებს ამ ირი ხელოვანის მემკვიდრეობის შედარებით — სახანტატყველობით ანალიზიც.

დრო-სივრცისადმი მწერლის დამოკიდებულება კარგად ჩანს ვახტანგ კოტეტიშვილისადმი მიწერილი ერთი ბარათიდან (26/IX. 1927 წ.):

...არა ვარ დიდი მასაქისა, მაგრამ ისე ვიტანება უსაზღვრობის საშინელებით და დეამოწი: „უნეტეო სტეალო“, რომ ასე მგონია, თითქოს მე ვარ წერტილი, სადაც თავდება საშაროს უმედობა.

...პლანეტების გაუვალი ნახარი ხომ მათეტიებს და შენით ტანში მავაკალებს ვიკარგები ხანდახან სადაც, თითქოს სხვა მსოფლიოში დავდავარ და სანამ არ შევკრთები სადმე, ვეღარ ვბრუნდები...“

ხან თითქოს დედამიწა ფტებიდან მუცლიდან...“ („მნათობი“, 1986, № 2, გვ. 80).

ახლა ლექსების სათაურებიც გავიხსენოთ: „მარადისობა და მესაფლავე“, „დაუსაზამობის ზოგვა“, „წუთოსოფლიდან უწყდავებაში“, „რეში ფტის ხმა შევარისკენ“, „გამორბენა საშაროსკენ“...

ლექსთა ფრაგმენტები: „...მე... მოვრბოდი დედამიწისკენ...“ („მე მოვგომა და ფლტვების სიყვითლემ“); „...დედამიწაზე

ნეტავი რისთვის შემოვებტე?“ („წაშლილი კვალი“);

„უსაზღვრობას ვავტყუროვარ, მივებტებო, ღამე ზრილებს, კარიშლები ემატებიან. რა ამბავია — ქვებზე დამქარა კარს ვეკითხები, —

რო გუგუნებენ? — მიმაგალი პლანეტებია... კიდევ გონებადაკარგული მივებტებო, ფტის ხმა ესმით, კარიშლები მემატებიან. რა ამბავია — ზემს საყუთარ ჩრდილს ვეკითხები, —

რო ვიძახიან? — შებინდული პლანეტებია“ („ზემი ფტის ხმა შევარისკენ“); „პლანეტებს გაღმა ვილაც ნანობდა...“ („გამორბენა საშაროსკენ“);

„...მე, მსოფლიოში, მზე ჩადიოდა, მე იქ, კამარზემ თვალს ვაფარებდი...“ („დაუსაზამობის ხილვა“); „...დედამიწა რად ჩარბოდა მთებში შეესავით...“ („ბინდი“).

ამგვარი, ასე ვთქვათ, პლანეტარული ხედვა გახლავთ ნაყო სამადაშვილის, როგორც პოეტის, განსაყუთრებულობის ერთ-ერთი მონეზა.

დროისა და მწერლის ურთიერთდამოკიდებულებას მეოთხე განზომილებაც ახასიათებს. ამჭრად ეს მიმართება გულისხმობს ხელოვანის ცხოვრებისეულ ბიოგრაფიას.

ორიოდე ფრაგმენტი ნაყო სამადაშვილის ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატებიდან:

პოეტი „სიყვდილამდე რევიორ-ხუდადრად მუშაობდა, რათა შეენახა თავისი დიდი ოქანი და, — ვიყით პირდაპირნი, — ამ პოეტისასთან დეკავშირებული ბევრი უსამოგნება იწუნა. იყო მის ცხოვრებასა თუ ხედში რაღაც ფრანსუა ვიონისებური; რაღაცნაირი, თითქოს ერთმანეთის გამოჩრცხველი საწყისების ფანტასტიკური თავმყარა, რომელთა მწვავე და-



პირსპირება და შეჯახება უცნაურად მტკიცე-  
ულ ექოს გამოცემება მის ლექსებში. შე ვერ  
ვიტყვო, რომ მისი ცხოვრების ეს უსოფითი მხა-  
რე უოკეიდოების უმწიველო ან შეუსრული უო-  
ფილდო... მაგრამ იმ აპარტის მსგავსად, რა-  
მელსაც, ერთი ძველი პოეტის თქმით, ტალახში  
ქედლავენ გამოვლდები, ნიკო სამადაშვილს,  
როგორც ადამიანსა და პოეტს შენარჩუნებუ-  
და მქონდა გულის სოხობლავი სინქრონი და  
წრფელი უშუალოება, რომელსაც იგი პოეზიაში  
და თავის უახლოეს მეგობრებთან ავლენდა...  
(თამაზ ჩხენკელი, კაცი და პოეტი, წიგნი: პო-  
ეზია — სიბრძნის დარბა, თბ.: საბჭოთა საქა-  
რთველი, 1978, გვ. 264).

...სამადაშვილის პირველი მე... არა მგა-  
ვდა მის პოეტურ „მეს“, — მართლაც რა-  
გორ დიდი იყო ზღვარი მის შემოქმედებაში  
„მესა“ და მოქალაქეობის შორის, რამდენი  
ანაღლებული და წერტილმანი იყო ერთად მო-  
თავებულნი მის ცნობიერებაში. ამიტომ ქვეყ-  
ნის ორმოტრიალით შეწუხებული მისი „მეს“  
წარმოსადგენად მინდა მოვახერხო და შესაძ-  
ლებლობამდე გულწრფელი ვიყო — კარგოცა  
და ვიყო მოურთიდელოდ ვთქვა, რომ ბოლომდე  
იღის გასაგები და გაშართლებული მისი ტრა-  
გედიის უველაზე მტკადა ის სახეობისწორი გაუ-  
გებრობა, თუ მის პიროვნებაში მარადობაზე  
ჩაფიქრებულ პოეტს როგორ დაუნდობლად  
ებრძოდა მისივე სულში ჩაბუდული ფილისტერ-  
ი და მერკანტილიზტი... ეს ფული იყო მისი  
უბროტები ბედისწერა და პიროვნული დირ-  
სების უღმობილო მტერა...“ (გაიოზ იმედაშვი-  
თი, დასაბ. წერილი, გვ. 164).

თამაზ ჩხენკელს მწერლის, როგორც მოქა-  
ლაქის, გამართლების მიზნით დამოწმებული  
აქვს თაჯობის სიტყვები: „მე ჩემს ცხოვრე-  
ბაში, ნებისთ თუ უნებლით, შეიძლება ბევრი  
ცუდი საქციელი ჩამიდენია, მაგრამ ჩემს პო-  
ეტურ შემოქმედებაში არასოდეს მითქვამს  
უშართლო სიტყვა. იგი წმიდათა წმიდაა, სა-  
დაც ივანებენ უღრმეს კვეშარიტებანი ჩემი  
სულისა“.

თუკი აღნიშნულს გაეთვალისწინებ, ვფი-  
ქრობო, უნდა დავასკვნათ, რომ ნიკო სამადა-  
შვილმა შევსებ უღდად არ აპირია პროფე-  
სიონალი პოეტის გზა, თორემ მისი ტალა-  
ნის პატრონს როდი გაუჭირდებოდა ლიტე-  
რატურული შრომით ცხოვრება. სამადაშვილის  
შემოქმედებითი მრწამსი უკომპრომისობის მო-  
თხოვდა პოეტურა მუშის მსახურებისას. პო-  
ეტს, როგორც ჩანს, ერთიგვა საბუღალტრო  
დაფორცისა და საანგარიშის ამარა ერთიან  
თავისი ოჯახი, ვინემ უალბი სქიარი დაეწერა  
და ამ გზით მოეპოვებინა სიცოცხლის სახსარი.  
მწერალმა შემოქმედებითი თავისუფლება ამ-  
ქობინა „დაიარების“ ოქროს პირკიდლებს, თა-  
ვის თავს არ უღალატა და თავისი პოეტური

სულის უტყუარა სურათი დაგვტოვა, ამ მომ-  
წიდელო სურათის ცქერა კი პოეზიის კემ-  
მარტ მოყვარულს არასდროს შესწუენდებოდა.

3. პოეტის სხისსმეტაშვილისსათვის

„საგანგებოდ უნდა ითქვას, — აღნიშნავს ზუ-  
რაბ კიენაძე, — რომ სამადაშვილი უპირატე-  
სად პოეტი-მხატვარია...“ (ზურაბ კიენაძე, მუ-  
დამ სინათლისკენ გამოცემაი ძაბილი, აღმანახი  
„პოეზია — 1988“, თბ.: შირანი, 1988, გვ. 69),  
ჩენენ ფიქრი კი „უკანასკნელი ქრისტიანების“  
ავტორი იმდენადვე პოეტი-მხატვარი, რამდენ-  
ნადაც პოეტი-მოაზროვნე, ფიქრის პოეტი. ნი-  
კო სამადაშვილის შემოქმედებაში მარშონიუ-  
ლადაა ერთურთს შერწყმული გრძნობა და აზ-  
რი, ხატი და ფიქრი — აი, რაა უველა კემმა-  
რტი პოეტის, მათ შორის „ბუნების“ ავტორის  
მეკეიდერობის მიწიდედლობის საიდუმლო,  
პოეტის უკვადეების საწინდარი.

ნიკო სამადაშვილის, როგორც პოეტი-მხატ-  
ვრის, უალბის უოველი მოძარბა ემსახურება  
მისი, როგორც პოეტი-მოაზროვნის, ფიქრათა  
ნიუანსების უტეო გამოშვადევენას. აღნიშნულს  
ადატურებს ხელოვანის მთელი მეკეიდერობა,  
ერთადერთ გამოწყლის წარმოადგენს ლექსი  
„ჩემი სოფელი“, რასაც ემუარება სწორედ ზუ-  
რაბ კიენაძე თავისი შეხედულების დასაბუთე-  
ბისა.

კაცო და მისი სული მარადიულ დრო-სივრ-  
ცეში (იგულისხმება ორივე სოფლის ერთი-  
ნობა), ადამიანის ძე დაუსაღვერელი კოსმოსის  
წინაშე, უსოფიერებისა და ცნობიერების არსი  
— აი, რა გვესაბება ნიკო სამადაშვილის პო-  
ეტის ლიტერატოვად. ამ მოაზარი ტრედენციის  
დასასურათობატებლად მოხმობალია ხელოვანის  
მთელი შემოქმედებითი უნარი, უველა პოეტურ-  
ი ხერხი, რაც კი „წაშლილი კვადის“ ავ-  
ტორს ხელეწიფებოდა.

ვახუშტი კოტეტიშვილი პოეტის ნაწარმოებ-  
თა ერთ-ერთი პუბლიკაციის წინათქმასში ხაზ-  
განსით აღნიშნავს, რომ სამადაშვილის „ლექ-  
სებში ექსპრესიონისტული თუ სიურეალისტურ-  
ი ხატების გაელებამ შესაძლოა ვინმე შეც-  
დომაში შეიყვანოს და ევროპის ლიტერატურ-  
რულ მიმდინარეობებში დააწებინოს მათი  
ანალოგიების ძებნა, მაგრამ მის ფუჭი ვარა იქ-  
ნება, ვინაიდან ქართლის სოფლიდან ახლადრ-  
მოსულ ყმაწვილს არაფერი შეეძლო სკოლნო-  
და ევროპული ხელოვანების უწოდებენებულ მი-  
მართულებათა შესახებ“ („მთაბი“, 1988, № 2,  
გვ. 81).

ამ მოაზრების უარყოფა ანდა გაზიარება  
ტიბის, ჭერ ერთი, პოეტის ბიოგრაფიული ფა-  
ქტების ზუსტად არცოდნისა და, მეორეს,  
სამადაშვილის ლექსების დაუთარბებლობის  
გამო. უოველ შემთხვევაში, ვატანჯ კოტეტიშ-

შვილსა და ერთდროულად ტატიშვილთან გაცნობა-  
დაშეგობრების (ეს იყო, ალბათ, ოციანი წლე-  
ვის მეორე ნახევარი) შემდეგვე შექმნილ ნა-  
წარმოებებს კი უდავოდ უნდა დასტუბოდა  
სამადაშვილის მოძღვარ-შეგობართა ერთდროის  
კვალი. სწორედ ამ ნიშნით შეიძლება დავასკუ-  
ნათ, რომ ლექსები „უკანასკნელი ქრისტიან-  
ების“, „...ქვეყნიერებას უტყვიროდ ათასნი-  
რად...“ (ეძღვნება ერთდრო ტატიშვილს), „ბა-  
სეირნება“ ოციანი წლების ბოლოს ან შერწყმა  
დაწერილი.

ასეა თუ ისე, როცა ვეცხებით ნიკო სამადა-  
შვილის პოეზიაში გადღეუბულ „ექსპრესიონი-  
სტულ თუ სიურრეალისტურ ხატებს“, ვფიქრობთ,  
დამაჩრებლად შეიძლება ვიშსკელოთ აღნიშ-  
ნულ მიმდინარეობებთან პოეტის მხატვრული  
მანერის მხოლოდ ტიპოლოგიური მსგავსების  
(და არა უშუალო გავლენის) თაობაზე.

სწორედ ამიტომ მართებულად გვეჩვენება  
თამაზ ჩხენკელის შეხედულება, რომ სამადაშ-  
ვილის „პოეზიის ფორმისმიერი მასალა ან გა-  
რჩედი ფესველად ეროვნული (ერთიეროც  
კი) უმტყობის დეტალებამდე, და იგი სათავეს  
ხალხური აზროვნების წიაღიდან იღებს, რო-  
მელშიც ორგანულად იყო შერწყმულა წარმა-  
რთული კოსმოზმის წარმოდგენები და ქრისტი-  
ანული დღესასწაულებისა და წმინდვეულებე-  
ბის პათეტიკური სილამაზე, ხოლო შინაარსი  
უნივერსალური, ამავე დროს, უაღრესად თა-  
ნადროულია და ზოგად ხაზებში დასავლეთის  
ახალ პოეზიას ენათესავება“ (თამაზ ჩხენკელი,  
დასაბ. წერილი, გვ. 272).

როგორც თამაზ ჩხენკელმა დასაბუთა, ერო-  
ვნული პოეზიის ხაზით ნიკო სამადაშვილის  
შემოქმედების მასწარდოებელ ფესვებს ვაუ-

ფშავილას მხატვრულ სამუაროსთანაც მიუყა-  
ვართ (თამაზ ჩხენკელი, დასაბ. წერილი, გვ.  
288), ჩვენის მხრით კი დავუშვებთ, რომ  
ტიპოლოგიური მსგავსების — თვალსაზრისით  
ბევრი საერთო აკავშირებთ ერთმანეთთან გრამა-  
ტიკისა და სამადაშვილის ლექსებსაც. რაღაც  
შინაგანი, სისბლზორცეული კავშირები იგრძნო-  
ბა სამადაშვილისა და შოთა ჩანტლაძის მემკ-  
ვიდრობას (რომ აღარაფერია ვთქვათ შემოქ-  
მედებითი ბედ-იზბლის მსგავსების გამო) შო-  
რის.

პოეტის ერთ-ერთი ახლობლის გადმოცემის  
თანხმად, ერთდრო ტატიშვილი „დაბეჭოთებით“  
ამტყიცებდა, „რომ სამადაშვილი არის დიდი  
პოეტი და საყურადღებოა არა მხოლოდ ხა-  
ქართველს მასშტაბით...“ (გაიოზ იმედაშვილი,  
დასაბ. წერილი, გვ. 147). თვით გალაკიონის  
მოწონებაც კი დაუმსახურებია „უკანასკნელი  
ქრისტიანების“ ავტორის ლექსებს, რასაც დი-  
დი პოეტის მინაწერი მოწმობს სამადაშვილის  
ნაწარმოებთა ზედწარწეზე (იქვე, გვ. 148).

და თუცა ნიკო სამადაშვილის პოეზიას დღემ-  
დე აქვია ღირსეული, საყოველთაო აღიარება,  
ეს იმ გარემოების ბრალაა, რომ დღემდე ვერ  
მობრახებულა მწერლის მემკვიდრეობის სრუ-  
ლად გამოქვეყნება (თუმცა, თუ არ ვცდებით,  
ამგვარი კრებული უკვე მოამზადეს დასაბეჭ-  
დად თამაზ ჩხენკელმა და როსტომ ჩხეიძემ)...  
პოეტის ნაწარმოებთა ამა თუ იმ პერიოდულ  
გამოცემაში გაფანტულმა პუბლიკაციებმა, ლექ-  
სთა ადრინდელ პატარა წიგნთან ერთად, ძნე-  
ლია, სრულყოფილად შეაფასებინოს მკითხველს  
ნიკო სამადაშვილის ტალანტის კრებარტი სი-  
დიდე...

## ისტორიის პოეტური გზავნიანი

„დაბანძობული წვეს ივერია“  
გიორგი ლეონიძე

გიორგი ლეონიძე უაღრესად ეროვნული პოეტია, ამიტომ მხატვრულ სამუაროშიც ჩვენი ისტორიისადმი მიმართება უმთავრესად ამ წინაშით გამოვლინდა.

ქართული რომანტიკოსებისათვის, როგორც ვიცით, წარსული დაკარგულ სამოთხეებს, ბედნიერების დამსხვრეულ სამყვადროს და მშფოთვარე ფაქტთა თავშესაფარს, თერგდაღუღულ-თათვის კი მოღუწეული ეროვნული ენერჯიის მასტიმულირებელ და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის შთამაგონებელ წყაროს წარმოადგენდა.

ქართულ საბჭოთა პოეზიაში წარსულის თემის აქტიუზაციის პროცესი ძირითადად სამამულლო ომის შრისხანე წლებს დაუკავშირდა. ამ პროცესს აქტიურად აუმა მხარი გიორგი ლეონიძემაც, მაგრამ გარდასულის მხატვრული აღდგენის ძლიერმა ტინდენტმა მასში გააღლიბით ადრე, შემოქმედებითი ზრის დასაწყისიდანვე იჩინა თავი. (საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქართველმა მკითხველმა ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტია გაიცნო ლექსით „შებეთა“).

ჩვენი ისტორიის იდუმალ სამუაროში გიორგი ლეონიძე მარტო „ლექსების ბანალით“ არ მოგზაურობდა. მისი უველა პროზაული თხზულებმა „თუ გამოკვლევა ამ სამუაროს სრულყოფილი შეცნობისა და ჩვენამდე მოტანის ძლიერი სურვილითაა აღბეჭდილი.

წარსულის თემაზე დაწერილი გიორგი ლეონიძის უოველი სტრიქონიდან გამოსტყვივს უმათრესი ტკივილი არა მხოლოდ გარდასულის, არამედ მოსალოდნელის მიმართაც: „გამოვყარებო, ხარ თუ აღარა?!“ — ეს არის სისხლბორცული დამოკიდებულება თავისი ეპოქის მწვევე საკითხებთან, ის მნიშვნელოვანი

მომენტი, როცა ისტორია მთელი დატეორთიო მუშაობს თანამედროვეობის საკეთილდღეოდ.

ისტორია არ მეროდებაო, — ეს ცნობილი გამოთქმა თითქოს ძალას კარგავს ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში, რადგან ჩვენს ეროვნულ ეოლსაში მარადიულად არსებობს ის ძალა, რაც ისტორიად არასოდეს იქცევა, იგო არც მარტო წარსულს გამოხატავს და არც მარტო აწმუოსა თუ მომავალს, — სამივე დროის კუთვნილება, რადგან მისი შემწეობით მარცხილდება ერის ისტორიული ზვედრი და ამ ზვედრთან მისი დამოკიდებულება. ეს არის შეუშუსრავი სასიცოცხლო ძალა, არსებობის მაგიური უნარი, ასე რომ ზიხლავს და ატყვევებს პოეტს.

წარსული გიორგი ლეონიძისათვის არც უბრალოდ, გამოსახვის ობიექტია, არც მხატვრული საშუალება, ის თითქოს პოეტის შემოქმედების მთავარი პერსონაჟია, რომელიც სუნთქავს, მოქმედებს, ფიქრობს და ზრუნავს ჩვენს აწმუოსა და მომავალზე.

პოეტის თვალსაწიერზე ხან უმაკრესი ბრძოლის ველი გადისდება, ხან დაღუღული აკლდამები ამიტყვედლებიან საქვერო სვედით, ხან მებრძოლ თუ მელექსე წინაპართა შარავნიდიანი ნათელი გაიფლებს, ხანაც „ქართლის ცხოვრების“ „ეოლადის ნაყარი“ გადაუტრება მის დაძებულ წარმოსახვას.

მართებულად და მოზღინილად შენიშნავს ვერონტა ქიქოძე:

„საქართველოს ისტორიას ის არ უცქერის, როგორც გენეალოგიური ტაბულების და შშრალი თარიღების კრებულს; მის თვალში ჩვენი ისტორიული პრონაიების ზელნაწერები ცოცხლდებათ, ასოები ქარქაშიდან ამოდებულ სატყვრებსა და შუბებს ენსგავსებიან, ხოლო ახა-

ლი სტრუქტურის აღმნიშვნელი საგინა — ადამიანის სისხლს. და მას თითქმის მონგრელების დაუქედელი ცხენების თქარათურსა და უფრადების ველურ უფინასთან ერთად, ვახტანგ გორგასალის და ვახტანგ მეექვსის, სულხან-სახან ორბელიანის, იოსებ თბილელის და ანთიმოზ ივერიელის გულისცემა ესმის“.

მართლაც, გიორგი ლეონიძეს ჩვენს ისტორიაში არ უძებნია ცალკეული თარიღები, მოვლენები და ფაქტები. მაშინაც კი, როცა კონკრეტულ მომენტებს იშველიებს, სრულიადაც არ ცდილობს, ისინი გარკვეული ეპოქის ჩარჩოში ჩატიოს ან დოკუმენტურ მასალას დაუკვემდებაროს. იგი ისტორიის საერთო სულს გამოხატავს, უფრო ეპოქისათვის, მთელი წარსულისათვის. ნიშანდობლივსა და დამახასიათებელს, ამიტომაც აწერს ეპარგება მის პოეზიაში ისტორიული ანალების ძეგლს, წერილობით წყაროებთან შედარებას. ჩვენი წერილიც, უმთავრესად ამ შთაბეჭდილებათა უკუფენაა, გ. ლეონიძის ისტორიულ თემაზე დაწერილი ლექსები რომ აღძრავს.

„ქართლის ცხოვრების“ ციკლი საქმოდ ვრცლად არის წარმოდგენილი გიორგი ლეონიძის პოეზიაში. ეს წიგნი ჩვენი ერის მწუხარე შატანია, რომელიც სასოებით ითვლის, აღწუხავს და ინახავს საუცუნეთა მანძილზე დაღვრილი წმინდა სისხლის უკველ წვეთს. ამ სისხლის ნაკვალევზე „წითელი უაჯარო“ ამოდს როგორც სიმბოლო ქართლის ცხოვრების ტრაგიკული, მაგრამ სასაბულო დღეებისა.

კენესის და გმინავს წიგნის უკველი ფურცელი და პოეტის გულისუფრს გამოდმებით სწვდება წინაპართა ხმა გარდასული.

თითქმის ციხე კახადონსაც შემოუნახავს ციხის კედლებში ურუ გუფონი, სამიჩკველზე გადბარებული გუთნის ქვანთი, „წარღვის შხაპი“, სამართი გადბუფული მინდვრების მტკიცევი მდღეობა... ეს შემწარავი ხმები შხაპიანი ისტების წივილით გაიბნევა მაერში და შეძარწუნებული აფარებ უტრებზე ხედებს, რომ წარსულიაყენ მიუტრობილი ხმენა დაიხურო და უსასოოდ აბუტნუბდებო:

ძველ კედლების ხმა მეუტრებოდა და წინაპართა ხმა გადასული, წარღვნების შხაპი მეუტრებოდა, ბუკი, შრაილი, ზარი წარსულის. როგორ მტანჯავდა, როგორ მესმოდა, რა უტრმახვილად მეუტრებოდა; ჩემი სამშობლო როგორ კენესოდა, ლომის ძახილი მეუტრებოდა...

გიორგი ლეონიძეს თვადი არახდროს გაქცევა არაპართულიაყენ, გულისუფრი არახდროს მოუშორებაა ღრმადეროვნულია და ღრმადმშობლიურისათვის, მაგრამ ამის გამო

მის ლექსს არც ეპოქალური ედერადობა დაუკარგავს და არც საკაცობრობა მნიშვნელობა, ქართლის ცხოვრების ეს პოეტური შემტანერ ჩვენი საუცუნის უადრესად მტკუნადურა არა: ბლუშათა სინაღლიდან ებნიაწებოდა წინაპარ მებისტორიეთა წარწელ აღსაზრებას:

დაეწერე წიგნი და ვადიდე ჩემი უფალი, შესაფრთხინავი, მშვენიერი და სატურფალი. დაეწერე წიგნი, წიგნმა თავი გაიმნათობა... და მსურს, თქვენს გულშიც ავლავ მღეროდეს ჩემი ბლუბული, ჩემი ოცნება, სიუფარულში გააღადმუღლი...

პოეტს სულისშემტკევი სტრუქტურით მისდევს ამ რომანტიულ შეროცნებთა ნაკვალევს. ეს სტრუქტურები თითქმის „ქართლის ცხოვრების“ პოეტური კომენტარებია, ამ შთაბეჭდილებათა მშატრული უკუფენაა, ეს სასწაუღებრავი წიგნი რომ აღძრავს უფრო გულმხურვალე მამულიშვილში. პოეტს თითქმის ებნია, არაფერი დააკლდეს ამ მწუხარე ქრონიკების ღრმადეროცობა ძალა; იგი თითქმის ამის შევსებას ცდილობს, რაც მშემატიანებს დაჩაბს სათქმელი, რაც სამარეში ჩაიყოღებს, როგორც ტკუვილი...

გაშალე, უწეა ფურცელი არის ფოლადის ნაცარი, დამსხვრეულ ხმალი ეღრიალი, დეკაცთა ნამამაკარი! გაშალე, უწეა ფურცელი გულზე ნაწოლი ლოდა, დოღბანდიანი ყარები სიკედლის პირით მოღინა...

ბოლისფერ ნისლში ატორტანადება სამშობლო, „როგორც სასაწოდ გაჩადებული“, განადგურების ქარიშხალი რომ უახლოვდება სიკვდილის მსახვრალი ხელი შხაპიანი გველივით გაიკვდება ქერქებგახდილ ხედებსა და დამწვარ ნასახლარებზე, ციხე-გალავნის თხრილები ქაღლებისა და ბავშვების საფლავად გაეშაადება, კვამლი დაფრთებული ნახირი ახდავლდება და სეტყვისაგან დარეგვილი უმწიფარი ნა. ურფვიით ჩამოცვივა მკედარი თარიღები ენთა სიავში წამებით განვლილ საუცუნეთა... და გაოცდები, რომ ამ საწინელების მომსწერი და მონაწილე წინაპრებმა

ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს უწოდეს ქართლის ცხოვრება!

პოეზიაში ნამდვილი აღმოჩენაა სხვისაგან სათქმელი ჩვენი სათქმელი, რომელიც, თურმე, იდუმალად ბორცვად სულში და ვერ კი გამოკვეთივა.



ქართული პოეზია ძალზე მდიდარია ამგვარი აღმოჩენებით. თუნდაც მარტო „მწუხარე გრძობა ცივი სისოფლის და სიუყვარულს ასე მომეწა“ რად ღირს!

ასეთვე აღმოჩენა ის, რომ ქართლის ჰელდელოზის ძველ ამბებს ნაინცა და მაინც „ქართლის ცხოვრება“ უწოდეს. ეს აღმოჩენა ცუთუნის მასაც, ვინც ასე უწოდა და მასაც, ვინც პირველმა შენიშნა ეს უაღრესად პოეტური მომენტი.

ერთი შეხედვით, რა უბრალოდ და მარტივადაა ნათქვამი, მაგრამ რაოდენ ზუსტად არის მონახული ემოციური რეაქციის შესაფერისი ფორმა და ინტონაცია, მხატვრულ სახეში რა ზუსტად არის ჩადებული ის ძლიერი მუხტა, რომელზედაც მოდის უმთავრესი შენაარსობრივი დატვირთვა!

მაშ, ეს იყო ცხოვრება ქართლის? ასე გაძლო ამ სისხლნაწივარმა მიწამ დასახამიდან დღემდე? ასე ებრძოდნენ, ასე სწავდნენ, ასე თელავდნენ? ასე ეცირა სული კბილით, ასე იბრძოდა? ნეტავ რამ მასაც ძალა სიცოცხლის ამ ნაწამებ, ნაოხარ, ნახისხლარ და ნაყერმლარ აღაგეს? ან იქნებ მხოლოდ გვერდებმა, იქნებ მარტოდენ ჩვენს სურვილში ცოცხლობს და სუნთქავს? ეს მტანჯველი ეტვი მთელი დამე მქალაქუნასავით გაწევა სულზე და ამ ზიზით სულმეგობრული შლი „ქართლის ცხოვრებას“... ვანთიადის თმს კი, როცა ხოხბის უღელს მოიდერებს ნაწი ცისკარა, როცა მთის მწვერვალს მწეთუნსავთის შექვივით მოადგება ამო. მავალი შრის ნათელი.

გამოვეარდები, ხარ თუ აღირა,  
ისევე ვანძვის ქუჩებში ჩებვა?  
ცხედავ შენს სახლებს, ცხედავ შენს  
აბრებს  
და მიხარია, რომ ისევე დგებარ!

ეს „მიხარია“ აქ შეუღლებლად მტია, ვიდრე ის, რაც, საერთოდ, ამ სიტყვაში იგულისხმება. ეს არის ძლივის, სიცოცხლისა და გადარჩენის ზეიმი... ახლა შენს წინაშე „დახანძრებული წვეს ივრია“, როგორც უმძიმესი სენისაგან ძლივდახსნილი უსაყვარლები არსება და სულში იბუდებს „მომბლერი, ტკბილი, მოწყვლდე“ გრძობა, რომ თითქოს შენ კი არა ხარ ამ ნაწამები მიწის შვილი, არამედ თავად ის არის შენი სანუყვარი პირწო, ახლა შენა ხარ მისი პატრონი და ეს გრძობა უსაშველოდ ზეგარს გავადებს, როგორც მის ქირისუფალსა და გულშემოტკივარს.

წარსულით აძრული ყველაზე უფრო ღრმა ტრაველი ვლინდება ლექსში „მეცამეტე საუკუნე“. აქ მხოლოდლი საგნებისა და მოვლენების მხატვრულ-აზრობრივი ფუნქცია ერის ღრუნდარულ სასიცოცხლო ენერჯიას გულისხ-

მობს. სახეთა სიუხვე და დინამიურობა ქმნიან გარდასული დროის უაღრესად ხელშეწყობილ წარმოდგენას.

ლექსის პირველსავე სტრიქონებში „მეცამეტე საუკუნე“ მოკრძობა დაუნდავ ცხენებზე ამბედრებული უვითელი ურდო, სიკვდილის ცვლით რომ მოცუდავს ელდით გათანგულ გარემოს. უცებ მოქალაქეულ გუთვალ ზურუსში თათრის ჩაღმა გაგიდევებს, ყურთან წვივლით გაგეშხუთილებს ჩვენი მამულის მოსახსენად მოქვეუღი ხმალი და ზოგ გულისგულში ჩნდება გუძლისი ტრაველი... დათალბული მთების მიღწიდან ჰვედრის მზე ამოაწვერება და მისი მჭრქალო, აღმოსტერი სხივების ფონზე ატოტმანდება „მარჯვნივ ჩვენება“:

მოქპრის ურა ცხენი  
მონგოლური დალით,  
ზედ შავი თარქვამა  
ვერ უსწორებს აღვირს  
უდა კალაა მუამელი  
უკან სვეტად მისდევს  
მუზარადის მტვერით  
დაბნელებულ მინდვრებს.

სიკვდილის ამ ტრიუმფალური სკლის საში. ნელი შედგებიც წინასწარაა განკვერტილი:

ხვალ ნაზავთ კალიებს, —  
მინდვრის დალაქებს,  
გაშანთულ მიწის ქერქს,  
დათხრილ ქალაქებს,  
მდინარეს შემწყვარს,  
მდღლარე გიშერს,  
შანშას, შარვანშას,  
მხარდაყრულს, შიშველს...

ეს „შემწყვარი მიწარე“ და „მდღლარე გიშერი“ ნამდვილი კოჭონების ატრბუტებია, დამდნარ გალავენებს გოგარდის ზურს რომ გადააურის, ელდით გათანგულ კარ.მიდამოს ზუზა და დრინაქებს რომ შეუსევს, მოედრებზე აჩიბილი ფალავნების თმახა და ტვინს რომ დაახავებს, ნაფტერებს თეთრი ძვლით მოთეხავს, ვენახში სამარეს დაამკვიდრებს და უზანგში დახუნძლული ვაწის ქარკისფერ ნაყოფს ჩაურთავს.

შეუძლებელია სიცოცხლის იავარუფის უფრო შეშარავად ცხადი სურათის დახატვა, ვიდრე უზანგში ჩარჩენილი მტევანი და ვენახში გათხრილი სამარეა. ამა, ამ ერთს რა უნდა აქ და ან — მეორეს? ეს სურათები ჩვენს თვალწინ ღრმა ეროვნულ ტრაველიას გადაშლის და ჩვენც სტალიური სიჭიქით ვუძქვართ თანდათან გამოუტებულ კოშმარულ ჩვენებას



ხვალ ნახავთ, სისხლით აივსება  
 წყაროზე ტაგანი  
 და ვერცხლით ნაქედი  
 იატაკიანი, —  
 კეთრით,  
 ბუგრით ივლის  
 მხარგრძელი ანგელოზი,  
 მონგოლური ანგელოზი  
 დაადგება თბილისს.  
 ქალაქის გულს დაბეჭდავს,  
 გულში სიკვდილს დათესს...

და ჩაღამდება მშობლიური ზეცის თვანი.  
 ცეცხლით გადაბუფულ ფიქრის ჰორიზონტზე  
 ნოტიო ფერფლად ჩამოადვენთება დათაღბუ-  
 ლი იმედი და გეტყვენება, რომ ამ წყევლიაღში  
 სინათლე ვეღარასოდეს შემოაღწევს. დაიშრი-  
 ტება იმედის წყარო, უმწერო მსხვერპლთა გვა-  
 მებით ჩაიხრება გზა მომავლისა. „ნუთუ გა-  
 თავდა?“ — ეს წყევლა-კრულვანი კითხვა  
 გაბურღავს გაოგნებულ გონებას და სწორედ  
 ამ დროს, უსახოობის ამ წყევლიაღში, ცეცხლო-  
 ვანი მშაღვით გაივლდებიან გადარჩენისაკენ გა-  
 კლავნილი ერთადერთი ბილაყი. სულს მოვათ-  
 ქმევინებს მისწერი უბრალოებით ნათქვამი  
 სტრიქონები, ნუგეშის სიოდ რომ ჩამოგვიქ-  
 როლებს და ისეთ შეებას მოგვეგვირბს, ძლიერი  
 ტყვილის გაუტრებამ რომ იყოს, საგანთაილო  
 ზარივით გაიწვრიადებს ლექსის ფინალის წუნა-  
 რი მელოდია: (რბეც, ჰემჰარიტად, პოეტური  
 აღმოჩენა):

და ქართლი, განკევართული,  
 ნაბრალუბში,  
 მღვიმეებში  
 ჩაიფუნებს ნათელს!

და გაჩნდება აღტაცება:

— გადარჩა, გადარჩა, გადარჩა!  
 ისევ არსებობს, ისევ ცოცხლობს, ისევ  
 სულდგმულობს.

რამ იხსნა, რამ გადარჩინა. განუწყვეტებლად,  
 საშინელ დიდგმასა და მებთაბეზში? — სუ-  
 ლის ხაზადღემ, მაღალმა მოქალაქეობრივმა  
 წინებამ, ინტელიტზე ორიენტირებულმა ბუ-  
 ნებამ.

აჲ, ამ მღვიმეებში გაბიზნული, ის მარტო-  
 რედნ გატანჯულ, ნაგებმ სბუელს როდი აფა-  
 რებდა მამულის ხატს ისუტებდა, ეროვნული  
 ტყვილის კვესზე აფიცებდა მომავლის რწმე-  
 ნის აბედს და წმინდა სანთლის შუქზე კმნიდა  
 მხატვრული სიტყვის სასწაულებს, გულის  
 კრძალვიდან მოწანწყარე სისხლით წერდა ერის  
 მწუხარე მატაანეს, რომ შეუპოვრობისა და გა-  
 მძღობისა ანდერძად მოეწოდინა ჩვენთვის ხმა  
 სინდისისა, შემდგომი თაობებისათვის ვლად  
 დაედო ენის, ერისა და ქვეყნის შენახვა.

ერის არსებობისა და შემოქმედებითი გენის  
 გაგრძელების სწორედ ეს ჯილბედი და დაუთრ-  
 გუნავი წყურთილი ატაცებს, სისხლად და აჭა-  
 დობებს „ქართლის ცხოვრებაში... ქართლად  
 წინაპართა საბებში გაიგროვ ლეონიძეს. მას  
 ეპიგრაფად ხშირად მოაქვს ამონაწერი ამ დიდი  
 წიგნიდან და მერე ლექსად აგრძელებს თავის  
 შტკივრულ შთაბეჭდილებას:

„აჲ დაბნეულა მზე ისე, რომე წერად აღარ  
 იცებოდა და კალატონი აღარ ხედვიდეს საქმე-  
 სა. თვე იყო ივლისი, დღე პარასკევი, ქორო-  
 ნიკონი რ მ, (1460). თუ რაი მოხდების ღმე-  
 რთმან უწყის!“ (XV საუკუნის მინაწერი).

მზე დაგვიღალთ, მზემ გილაღატათ,  
 მზემაჲ ინდომა ერთებელ შაბაში...

ცხენის კიბვიწმა დაადღუა კრიტიკობლების  
 კრული. გაიღურსა გარემო. შეწყდა შრომა  
 და გარჯა ვეღარ წერდნენ... ან რა ეწერათ?!  
 შიშით გაფრთხილებული თვალნი ცას წიშტე-  
 რებოდა. გული იკუმშებოდა ძრწოლით და ზა-  
 რით და მხოლოდ ერთი, სულნიშებტყველი კი-  
 თხვა ბურღავდა გონებას: რა მოხდება?! —  
 მაგრამ ბურუსი გადადურა მოქურთრულ ზეცას,  
 კვლავ გაბრწყინდა შუის ათინათი, კადრების  
 ჩრდილში ისევე აფთოფოთდა სიცოცხლე, ისევე  
 გაგრძელდა საუკუნე, მაგრამ დიდი ხნით?  
 „მშვიდობით, ძველო ქართლო ენავ, და  
 მშვიდობით, სრულად საქართველოს მდგომა-  
 რეობაში!“ — ასე მოთქვამს სასიკეთისა და იმე-  
 დისაგან დაცლილი ფანასკერტელი.

მაშ, გაქტრა ქართლიც, მძიი ენაცა,

პირტვე დეშხო წმინდა ტაძარი?  
 გული დიდ სეფდას ამონეცტრა,  
 — მშვიდობით, გახდი მტრის ნატაყარი!  
 სხვა რაღა იყოს მწარე ამაზე,  
 რა შეედრება ასეთ ღილაღისს?  
 შენს დედენას, მის სიღამაზეს  
 გამოეთხოვო, უთხრა: ნახვამდის!  
 და მერე დაღვე გაქვავებული  
 უიმედობის დიდი იმედით,  
 რომ აღარ მოვა ქართლს გაზაფხული,  
 რომ სამუდამოდ გაიფივნებთ!

ამქვეყნად ბევრნაირი სევდა და ელდაა, და-  
 წყურთელი მსოფლიო წარღვნის მოლოდინითა  
 და დამთარტეული პირადი უბედურების ში-  
 შით, მაგრამ არა მგონია, ამ გრძნობას რამე  
 შეედრებოდა, — ქვეყნად უკველი ჩვეულებ-  
 ბრივ განაგრძობდეს არსებობას და მხოლოდ  
 შენიც ერი, შენი მამული, შენი ენა აღიგოს პი-  
 რისიგან მიწისა, დავტანონ, დავტარგუნონ, და-  
 გაცენ, გაგფელონ, შელაზონ შენი წმიდათაწმი-  
 და და საყუთარი თვალთ უცქირდე შენს არა-  
 რად ჰმასა...

ეს წარი, ეს შიში სდევდათ ჩვენს წინაპრებს, ანტიომ ფიზიკად დარაჯობდნენ ერთსა და ერთს სიწმინდეს, რადგან სწამდათ, რომ ენა სუღია ერთსა, ზოლო სუღისაგან დაკლილი სხუელ მკვდარია. ამიტომაც არ დაუშობიათ იგი, არ გაუფლიათ და პურობლის ენაზე, შეიღებეს დედა-ქართულის უბედდნენ თვალებს, შთა-აგონებდნენ, რომ უკველ ღირსეულ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური საშობის უნდა ეცვას საიმედო აბჭარად.

სწორედ ეროვნულზე ორიენტირებით იძენს უადრესად აქტუალურ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიული წარსულისადმი გიორგი ლეონიძის მიახრებდა.

პოეტის „გულის ძაღვები“ გვაკუთმობს მშობელი ქვეყნის წარსულთან და ამ ლტენდარულ სამუაროში თავად მიგვიძღვის მეჭუტადად, გვიხსნის, გვიამბობს, რათა კიდევ ერთხელ გვეტყინოს საქართველოს ძველი წუღული, თრთოლვით გაეიაროთ გარდასულ გმირთა ძვლებით მოფენილი გზა. პოეტის ზან კამითსკენ გავხვებდეს და შეგვახსენებს, რომ აქ წარსულს დარჩა ზავის და ზალბა და კიდევ — სისხლით შეღებილი დროშის ნაკრები; ზან ძველ ტრატებს გადგვიშლის იდუმალი თრთოლვით... გასრიალდებდა სისხლით ნაწერი ფურცლები და მ-ედ სხუელში ცაგ ერთანტლად დაიხუდებს ზმა გაზნარულად:

„ესე ქვეშა სრულიად უსქლოთაგან ამოწვეტილი და ახხრებული არს... არა თუ სუღიერი კაცო იპოვებოდეს, ყოველივე შენებულბა არ იპოვნების“ (1448 წლის სიგელი თუა ზედგენიისა).

„გებრძანებინათ, კახსა შენობას ვაპირბთო... კახელი კაცი სადღა არის, სულ ამოწვეტილია“, (წერილი ანთაზურისადმი, 1740 წელს დაწერილი).

გიორგი ლეონიძეს არც ეს დოკუმენტები მოაქვს კონკრეტულად ფაქტების აღსადგენად. აქაც საქართველოს მთლიან წარსულს დისტორის, როგორც ტრაგიკულ მოვლენათა ერთობლიობას. კითხულობ ამ მინაწერებს და პოეტთან ერთად ცრუებით დაბინდულ მწერას ქართლისაყენ გაპარებს და კირისუფალივით შესტირებს მშობლიურ მიწას:

ვინ დაგაღამა, ვინ დაგასისხლა და შენს აკლებს, ცემის გვემათა, ამოწვეტილო, გავერნებულო, ვისი რა ტანჯვა გადაემატა?!

ეს არც მოქმეა, არც გოდება, არც წუთისოფლის სამდურავი, არც დახვეწილი, რაფინირებული სევდა, ვფაქიზებული რომანტიკული წუზბილი, ღამაზად დაწყობილი ფრაზებით რომ განიოთქმის. ეს გამძინვარებული ღიმილის ბედდენვაა, „ათათასი ჩანჭერის ბდავლია“.

ცრემლის ღვართქაფად რომ უნდა გადმოყდეს გავლეთი დამსყდარ დედა-მამაზე.

მერე დაცხრება ეს გაშმაგება და დაწყარგის ჩუმე წუთილით იდუმლად ანდება სევდიანი თავმოწონება:

ქვეყნებელი ლოდები, ნამტერები, ნანგრევები, აქ ცხოვრობდნენ ოდესღაც მორკინალი ღვევები, ქველ ზნარობდნენ ზურგის ძეგლს, სისხლს — საძირკვლის წებოდა, მათი ზმლის ნაკრავით რაზმი იღწეებოდა. დარჩათ ტუე და სიჩუტე, ხეუ მღერის შროშანი, ხის ქვეშ დამაწებულან ლაშქარნი და დროშანი...

ლაშქრებს და დროშებს სძინავთ... გულზე ნაცარი გადაყრათ, პირზე — ნათელი მიუჩნებულა მათი ტყვიადი, მავრამ არ დამცხრა... ღა ქვეყნის ვარაში. მათი წილი მზე ჩავსვენა, სამაგიეროდ, შემდგომ თაობებს უადრეტებს მზეც და სიყვებუც. სწორედ მათმა სააყენ მიწამ შეისრუტა დვრტიად თავისუფლებისათვის დადვრელი სისხლი, და თუ ამ მიწაზე ითეე ზმინდებდა ქართული კაცის ნახიფის ქჩაში, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მებრძოლ წინარებს მონური სული არა სდგმიათ:

ჩემო მიწავ და წილო, მე ვარ წიბო შენი თიხის, შენს ამაყ სულს გაუმარჯოს, რომ არვის წინ ქედს არ იხრის!

ქვეყნის სასიცოცხლო ენერგია მხოლოდ აქ ილტვა, სადაც მონური მორჩილება და შტარის ინტერესების მიღება იწყება. ეს რწმენა მწარე ისტორიული გამოცდილების საფუძველზე შემუშავდა ქართველ ხალხს. აქედან საზრდოობს ეროვნულ ტრადიციად ქცეული მისი ღენდარული გამძლეობის ძალაც და შეუპოვრობის სულისკვეთებაც.

გიორგი ლეონიძე, როგორც შემოქმედი, მოქალაქე და მამულიშვილი, სასობით ეთაყენება ამ ტრადიციას. ეს ჩანს პოემა „სამგორის“ საექსპოზიციო ნაწილიდანაც, რომელსაც ღირსაზე საუბრისას მხოლოდ ამ უფლებით ვთენებ, რომ პოეტს ამ ნაწარმოების რამდენიმე შესავალი დაუწერია, ზოლო ერთი მათგანი, სათაური — „პოემა სამგორის პარლოგი“ — „ქართლის ცხოვრების“ ციკლში დამოუკიდებელ ღექსადაც შეუტანია. ისევე როგორც გიორგი ლეონიძის პოეტური მემკვიდრეობის დიდ ნაწილში, აქაც ჩვენს ქვეყნის წარსული მოჩანს მომხდურთა სათარეშო ას-

პარტიადა, მაგრამ ვაი, რომ ამ ასპარეზზე ჩვენს წინააღმდეგ მარტოოდენ ხმალი და მახვილი არ არის მოპურობილი იმ, რაც პირდაპირ მოხდის შენს წასაღებად, უფრო იოლი მოხატვარი იქნებოდა. ვაკიდებთ საშინელია სიკეთის საზურგელით შენიღბული ბოროტება, სენივით რომ შეიფურება კვეთანას და ჩემად, შეუმჩნევლად წაქვს და ისრუტავს მის თავისთავადობას.

ამიტომაც დგას მეფე ვახტანგი კვეთნის დამოუკიდებლობის სადარაჯოზე. გამახვილებული მამულიშვილური გუნდნი მას დაღინებით კარნახობს იმ აზრს, რომ კვეთნის ღირსებულმა გამგებელმა ძლიერი მოკავშირის დიდმპყრობელური ინტერესების სამსხვერპლოზე არ უნდა მიიტანოს თავის ერის მომავალი.

წუთელიც იუს მეთის ტახტიც, კვერთხიც, გვირგვინიც, თუ მტრის წინაშე ქველი მოჩხილად უნდა მოიხარო, მისი უღაბხო უხვად მოარწყა, ხოლო შენი მამული ამწურვალო, მტრის ციხადელს ჩაუდუღაბო შენი ციხე-სიმაგრის საძირკვილიდან ამოგლეჯილი თუნდაც უმცირესი კენჭი ახა, რას აქნევ ძალაუფლებას, თუ მას შენი ერის კეთილდღეობას არ მოაზმარ? შთავარია, „მოამის“ განუსკვლ ნისახტიცესა და რიცხვით მრავლობას არ შეუშინდე, თორემ შენი დანებებას ნიშნავს, ხოლო დანებება — ერის სიკვდილს და ამ საშინელ ბოროტებაში უპირველესი ბრალი შენ დაგედება, რადგან სწორედ შენ გენდო შენი ზრუნვის მოიმედე ხალხი. ამ დალატს კი შთამომავლობა არასოდეს გაატიებს. იუდას ტვირთი აღბეჭდილი შენი სახელი თაობადას თაობას გადაეცემა, როგორც წყველა და შერვენება. ამ რწმენით შთავარებულნი მოუწოდებს თავის ლაშქარს მეფე ვახტანგი:

ლომნი იყავით, — მიმართავს ლაშქარს, ნუ შეგაშინებთ სპარსთა მრავლობა, რომ ჩვენი ძელები არ ამოხერცყოს მიწიდან ჩვენმა შთამომავლობამ!

აქ ერის ისტორიის, მისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ფართო პლანი იგულისხმება. მეფემ იცის, რომ დალატისა და მოწურის მოჩილიების გარდა, სხვა ძალა ვერ მოეცემა კვეთანას. იმ კვეთნად არავის არაფერი მიაქვს: არც სიამიღვრე, არც სახელი. ამიტომ დაიოცე ვიწრო-პირადული ეგონისტური ინტერესები, შენს კვეთანას შესწირე თავი და მამული დაიდგე უკვადავების ძეგლად;

გვერდებს, რომ სახოლოდ მხოლოდ მაშინ მოკვდები, როცა შენი მამული დატარებებს, თორემ ვიდრე ის ცუტსდღობს უკვდები. შენი საფლავის გულით ისრუტავს შშის მცხუნვარე სხივებს, შენი შეურცხვენელი სახელის აფრას მიაფრიალებს ამ უკიდვანო სამყაროში.

თუ არა ეს რწმენა, რა იხსნიდა მამულს, სადაც „მტაცებელთა იყო სადოდე და სარბიელი მათი ხმალია“. შიწა შუბის წვერებმა გადახვნეს, კვეთანა სისხლის ღვარსიტყვამ დარეგვა. შემოღამებას მიჩვეული ეს წამებააღუწურელი მხარე უველას ცილობის სავანი იყო — შეზობლასა თუ გადამთიების, ამიტომაც არ ასვენებდა გულში ანდერძად დასახული წყურავილი თავისუფლებისა:

დასაბამიდან ხმალშემართული დღეზარ და მტერი უამრავია, შენი მარჯვენა და შენი ღროშა ათიათას წლის ნომარია!

სიკვდილის თაღით მოდიოდა „არაბი, თურქი, სპარსი, ხაზარი, ლეკი, მონგოლი, ბიზანტიელი“. წარსულის წყვილიაღს ცხენის ნალიდან ასხტილი ციცილოვანი წერტილები ესხა, როგორც ზამთრის ჩაუპარულ ზეცას ცივად მოკიდე შორეული ვარსკვლავები. შინც გადაჩა, თუმცა სისხლის წარდენამ და ნაღვაჩა გადაუარა, მაგრამ მისი დაღწევას მოსურნენი თვით დაიღწვენ.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში ძველი საქართველოს ერთიანი სახე პოეტურ სიმბოლოდ უაღიბდება და ერის სულიერ თუ მატერიალურ ხატს განასაზიერებს. ეს სიმბოლო წარმოგვიდგება, როგორც ცისფერ ნისლში აღმადული ტაძარი. ტაძარში ახტარიანი მლოცველის შარავანდედიანი ღანდი ეცეცება, როგორც საკმლიდან შემოჭრილი მშის მოცახცახე ამინათი. სვედა და გაუძლიბი ტყვლიო ჩუმნი კვითინით ხმანდება დაბურულ თაღქვეშ. ეს სიმბოლური სახე ეროვნული უოფის ტრადიციის განასახიერებს:

ეს ეკლესია  
ერეკლესია, —  
ამბობს წარწერა ზედ ამოჭრილი,  
არ ჩანს არაფერ ეკლესიაში,  
არც დაჩოქილი მოსჩანს მორჩილი.  
გადაბობილა თლი შუაზე  
და ხვესს კედელზე გააქვს ბიბინი,  
შულამისას ისმის უეცრივ

ტან-აბჯრინი კაცის ქვითინი.

გიორგი ლეონიძე წარსულს ბურუსიდან გამოიხშობს და მწვენიერების სასუფრეველში ამკვიდრებს ერის წინაშე პირნათლად ვალმოხდილ გეორგიანობასა თუ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს, მტკვეული ნიუანსებით გამოხატავს მათ დიდ ღვაწლსა და დამსახურებას:

ქვეყნის ძლიერების ბურჯა დავით აღმაშენებელი, ერთიან საქართველოს ზერხემალი რომ გაუსაღლდევია, დაჩაღს რკინის კარი რომ შეება და საქართველოს საყოთარო შუქით გამოუწარდა დიდი ზღვინდელი. უფადავების სხვი ანათებს თამარ დედოფლის სახეცაც, ის იყო ხსნა და იმედი ერის. საქართველოს დღესაც არ ვასცვეთია მისგან ნაქედი ხმალი.

ცაზე ელვის შუქად კრთება წამებულ ღანდი ქეთევან დედოფლისა, პეტის წინაშე ბევრისმთქმელი დუშაილი გაჩინდელა დედოფლის ნაქროს ლოცვაში, ზედ ცრემლის ლაქები და სისხლის ნაწვეთარი რომ აჩნა. იქნებ ეს, უბრალოდ, წვიმის კვალია და სხვა არაფერი? მაგრამ ცა ამდენი როდის აწვიმავ ვინ დააფრქვია ცხელი ცრემლის მარგალიტებო? რა მტკვეულია ეს ცრემლები, რა ბევრისმთქმელი, სულის სიღრმეში რა გაუძლის სევდად აბუღებს ის, რაც კალამმა ვერ დაწერა, ამ ცრემლებმა თქვენს.

პეტის სულს სრულად სხვაგვარი სევდით აფორიაქებს სახელოვანი წინაპარი სოლომონ ლეონიძე, ბრძენი, ენაშუ, დიდი მოღვაწე და უფრო დიდი მამულიწვილი, გულის ჭრადობაში ხსლის ნატეხი რომ ჩარჩენია და ერის ქობისუფლის პოზიციიდან დასტორის ერთგულს ცხედარს, — ერთდურს ეტხო ეტხოთა საქართველოსი. შორიდან ისმის მისი გოდება, — ვაი, ვერდაწახული მომავალი!

ამ ქართული რომანტიზმის მოტივები ხშიანდება, როგორც ჩვენი კლასიკური ლიტერატურის მძაფრა ექო და ეს ტრადიციული თემა ახალ აზრობრივ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოს ტრაგეული წარსულის საერთო სურათის თავისებური მიკროასლია თბილისის თავგადასავალიც, ამიტომ ეს უძველესი ქალაქი, საქართველოს უმთავრესი გზაჯვარედინი და მომხდურთა საქაილდო ქვა, საყოთარ მტერდურ გადაბტანი ქვეყნის ჭირ-ვარაშისა, მუდამ იყო გიორგი ლეონიძის ტკივილიანი შთაგონება.

თბილისს არასდროს დაჰკლდებია ენაშუ მენოტებეში. ამ პოეტების ქალაქში თავისებური მონოპოლია მოიპოვა იოსებ გიორგაშვილმა, თითქოს სათქმელი აღარაფერი დაუტოვა სხვა მგოსნებს, მაგრამ გიორგი ლეონიძემ სულ სხვა საშუაროდან დაიწაბა დედაქალაქი — ეს არ არის გრიშაშვილის თბილისი, — სირაქანის, ხარღუხისა და ორთაქაილის ბოქშია, ახარობი, დადიანდელი ლეკსები, დამარტული მუხამ-

ბაზები და მოქარგული სადღეგრძელოები, დარხანდელი უარაჩობლები და თაღლითი კრწტობები, პატროსანი ხელოსნები და თბილისელ მოქალაქეთა თავისებური მადლითა და მარბილით შეწავებული ცხოვრების პირობიული ფილოსოფია. გიორგი ლეონიძეს, პირაქით, გულისწუდება, რომ ამ ადოდებდენ ავუა კანტოს, უარაჩობებს, ახანოს პრიზას, თათრულ მუხამბაზს, შუაბაზრის აყალ-მყალს და რატომაც ივიწუებდენ ფაროსმანის მზიან მუხამბაზს, ბეჟა ოპირის მისწერ ჩუქურთმებს და ოქროსივლიანი მგოსნებს, ვისი შთაგანდითა ბრწყინავს თბილისი. მათი შუქი მთაწმინდაზე სანთლად ანთია, რომ სატაბტოს უველა ჩრდელი გაფანტოს.

ერთგული ტენდენცია, რა თქმა უნდა, არც გრიშაშვილისათვის უყოფიდა უცხო (სო, დააჩუქეთ, რას კვიის მოლა!), მაგრამ ეს მისთვის თბილისის უყოფი ერთი შტრახი იყო მხოლოდ, ლეონიძისათვის კი — მთავარი სასიცოცხლო ძარღვი. თბილისი გ. ლეონიძისათვის — ესაა ვარსკვლავის შუქზე გამოხარი ქაშუეთი „და ნარბუჯის ზღუდის ნანგრევი, შიგ მოქცეული ქართლის საფლავით“. თბილისური ღამის მღუმარებაში მას მუდამ ესმის ნარბუჯიდან ჩამოვარდნილი ქვეს ურუ გრუნები, წარსულის შემწარავ სურათებს რომ გამოიხშობს მრუშე ნისლიდან, თემურ ლენგის გაღწეული კალოდან ჩველ ბავშვთა დნავილი ახშის. ტკივილით იმხურევა ლერწმადქცეული ძველები. სულის შემწვრელად კენსის ძველი მიწა. ეს კენესა ისეთი შემწარავი სიცხადით ახშის, გვგონება, თვალს სულ ახლანის მიფეგარა მომხდურთა ურდო, მისი ფეხისშმა კი ჩერ არ მიწყდარა. ეს არის წარსულის ტკივილის თითქმის ფიზიკური შეგრძნება, ცივი ფრუანტდელი რომ ათროლებს გასავათებულ სხეულს:

მთავრე კამკაშებს მტრედისფერ ბურში, თამარის სახის დასადარელო, მთებში... სიბრემე... როგორც ბნელ ქურში, ფოთლის არხევის არსად არ ელი. უცხად მყენოსა სენი დამწერისა, თემურის ხანძრის ნატრისალი, თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა და ერთი ფეხით ვერ მოვესწარი.

იყლებო მოლანდება და ცოცხლდება უფრო ახლო წარსული: უახაბი, გაქენებული ცხენები, სიერის მუქურებელი ცისფერთვალა ღამაშხანება, ხახარდიანი კაბების შრიალი, დაირის ევვნების ეღარუნი და იადონს გაშორებული უარაღბაში მომდერალი. ეს სურათი მთავრის ჩამქრალ ზოლში ილანდება. ვანთაილისს კი, ზეცას კალმბის წაოელი ხალივით რომ აჩნდება მწე, მტირალი თარის ხმა თავს აქლავს ქაშუეთს, მაგრამ ვაი, რომ ღრმა ძალით სწი-



ნათ ვრავოლ ორბელიანსაც და წინადადების ვარდაც, „მთა, ვისაც ეს ხმა ეძახდა! საიდანაც უნდა მოპქროდეს შთაგონების ქა- რი, ვიორგი ლეონიძის გულის აფრა ლექვის ხომალდს მაინც პატრიოტიზმის, ქვეყნისათვის თავგანწირვის თენისაყენ მიმართავს. ძველი თბილისის ზატის სრულყოფასაც პოეტი სწო- რედ ამ კუთხიდან უდღილობს აი, როგორი კონ- ტრუტებით მოჩანს თბილისი მის თვალსაწიერ- რზე:

გოგოთის მთაზე შეტეხი,  
ქართლის ჭვარციშების ტაძარი,  
და ნარცყალა დაჭრილი,  
ძველი სიზმრებით დამწერარი.

ამიტომ შევი ზღაპრ წვეფა იმ დვართან შე- დარებით, რა სისხლაც მარტო ხმლის ტარიდან დაღია თბილისის მიწამ.

ამ მიწის სიუყარულმა შეიწირა არა მარტო მებრძოლი მოქალაქენი, არამედ ბევრი პოეტი და მომღერალიც. ჭერ მარტო საიათნოვას ცხოვრების ტრაგიკული ფინალი რად ღირს! რა გადამდები სვედით ვდერს პოეტური სუ- ლის უკვდავების ეს ტრიუმფალური რეკვიემი:

საიათნოვას ანაფორის უბეში  
ჩარჩენილთა ჭიანჭურის სიმები.

საიათნოვას, ძველი თბილისის ამ ტრუბადუ- რის გულისნადებს სხვა ლექსშიც ეხასუებება პოეტი: „ეს საწუალი საიათნოვა სიუყარულმა გაათავა“...

მაგრამ აქ უკვე აღარ ჩანს ლეონიძისათვის ეგზეშ დამახასიათებელი კლასიკური ლექსის სიმკვრივე, სიღარბისა და მონუმენტურობა, ტაძრის თაღებქვეშ მოგუგუნე საგალობლების მუარო ემოცია აქ ყარარობული მოტივებია იღ- ვიძებს ეპოტაკური ზმორებით, სახანდრების თბილისი ფართოდ ახელს ვიწრო ფოლორცზე გაშავილი ფანჩრების ბღვერიალა თვალებს და ჩისტაკაპიანი ტურფება კვალსუ დიშოლს მაი- სის ვარდებივით ვსერაან მათი ეშხით დადა- გულ, ლექსად დამდნარ აშულ პოეტებს. აქ ლეონიძის ლექსი ორგანულად ათვისებს და იტეზობს საიათნოვას სიმღერის მუღოდაიას და იქმნება გულისამართოლღებელი მუსიკა, თბი- ლისის კოლორიტის მავნიტურ არეში რომ იმ- წყვედებს გრძნობით ატაცებულ სულს.

ამ კოლორიტის სრულყოფის მიწინით, კი- დევ ორ სახეს აშველაებს პოეტი. ერთია „ღვენიშო ჩაწიბილი ფირისმანას ფუნქი“ და მეორე — მეტივეები. ფირისმანის სახეს იგი უსხვად იმ ემოციური რეაქციის შესატყვისი პლასტიტ ძერწავს, ჩვენს ხილვათა რეალობას რომ განაპარობებს:

და ფირისმანი ღუქანში ხატავს  
ქიკა არაუზე ფრინეულს გავრეწილს.

ამ მხატვრული სახის საგნწარმეტი/სტეტიურე, ისევე, როგორც ველზე ამოსული წითელი ყა- ყარო, როგორც გმირთა წმინდა სისხლის სიმ- ბოლო, იმდენად ზელშესახები და შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ ის გუნებით აიტაცა ჩვენი მშ- იანი ისე უზღებთან თბილისს, როგორც პატარაძალს — ნიშნობის ბეჭედი. ამ გარემოში მათ რა- დაცნაირი ხილადე და სიციხესავე შემოაკვთ

ძველი თბილისის მხატვრულ სილღეტს სა- ოყარ ზიბლს მატებენ მეტივეები, ქალაქური ყოფის ეს კოლორიტული პერსონაჟები. ისინი ისე უზღებთან თბილისს, როგორც პატარაძალს — ნიშნობის ბეჭედი. ამ გარემოში მათ რა- დაცნაირი ხილადე და სიციხესავე შემოაკვთ

მე გავიგონე, მთვარეში  
როგორ ყოილა მეტივე:  
— თბილისისაყენ დავეწვი,  
ველარ კი შემოვეტივე!

მტკვრის ქაფიან ჩქერს მოაპობენ მეტივეები და ისე დანჭად, ისე გულდაგულ მოპყავთ მო- რებისაყენ მეტიველი ეს უცნაური ხომალდი, თითქოს ქვეყნის საუეს მართავდნენ. შორს აღანდება ბეჭკრული ნაცხარები, ღურჭი ყა- ნები და ფიჭვნარის ტყე. რაყა ბოლისღერ ნისილი ზით წაგება ქალაქი ჩნდება, ერთმანეთს ისე უღვიძან, თითქოს საშოთხის კარი გახსნო- დეთ.

წაწანდობღვი იერით ცოცხლდება გიორგი ლეონიძის პოეზიაში ძველი თბილისის დიდა:

გადეყარა ნარცყალას  
ნაციკიანი ბურო,  
ხაში, ხილი და თონიდან  
ამოყრილი პური,  
ყაბაბი და სახანდარი,  
მზე შინა და ვარეთ...

ეს სტრაქონებიც ღრმა ეროვნული ფესვე- ბიდან არის აღმოყენებული და თავისი უბრა- ლობისა და სისადავის წყალობით პირველი აღმოჩნენის სიხარულით განიცდებთ:

მაგრამ გული გადღერჩება  
ამ ძველ ნაწრდილარს?  
სახეღარზე წითელ ბოლოყს  
და ჭიანჭურს მტირალს,  
მეტივეს და თივის ურემს,  
წყნეთურ მიწენის ქილას...

ეს ნათელი ტონი და მოქნილი დინამიზმი სხვა იღუმალ მნიშვნელობათა წვედომისათვის განგვაწყობს. ეს არის შემოქმედლის მოვადეო- ბის შეგნება და ეპოქის აქტუალური მოვდე- ნებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა:



განა ლექსი ლექსი არის,  
თუ დარჩება მდენი?  
პოეტებო, გულსაც უნდა  
ბერტყვა, როგორც ხერცხის.

შემოქმედ წინაპართა გახსენებას წინ უძღვის ვრცელი ლექსი სათაურით „ქართული ოსტატებს“:

დიდება მიწას, რომ გვაყვანათ,  
თქვენი მაღლი რომ დაუფენია,  
ნეტავ რა ძალამ ამოაქანა  
შექმანსხივარი თქვენი გენია?!

პოეტი მართლ ის როდია, ვინც ლექსებს წერს (ამის თაობაზე უფრო მაღალპოეტურად არის ნათქვამი „ნატურის ხის“ შესავალში). ისიც ნამდვილი პოეტი, ვინც დაგვიტოვა სისხლით ნაღები ეს უძველესი ციხე-კოშკები, ოცნებასავით აჭრიალი ცაზე, ლეთაურ ჩუქურთმით დაშვენებული ეს დიდებული ტაძრები. ისიც პოეტი, ვინც ამ ტაძრებზე ერთი ვაჟისაგან გამოიღოლი კარი ადკილა, ვინც დაწერა და გააწერა ძველი წიგნები და შიგ თავისი სული ჩაეჭა, როგორც დევის ძალა — ოქროს კვერცხში. ქვაზე დამუწავლი მათი აზრი ვაჟის რტობად აუვაგებულა. მათი ოცნება არწივის გასატოლებლად შეიდა ფრთებს. მათი წიგნები ღამის წვედიაღს ეტოქობდნენ, თავად კი უწყობის შევდომის გამო მოკრძალებით ითხოვდნენ ბოდის, პატიებასა და შენდობას. არადა, ამ წიგნებს ისეთი ღეთაებრივი სხვი ახლავს, ალბათ, ეს სულმნათი მოღაწენი ღამეში გამართად ელვის შექვე წერდნენ. ასე მოიტანეს ჩვენამდე თვითნათი სულის ნათელი, ჩვენში საეთის სათლელად აენთნენ, რომ მომავლისთვის ბრძოლა გვასწავდონ, სული წკრილმანებისაგან განგვიწმინდონ, შთაშებუდავად შთაგვაგონონ, რომ წუთისოფელი დასანაწა მხოლოდ პირადულზე დასახარჯად, გავახსენონ, ვინ ვართ, რანი ვართ, საიდან მოვდივართ, რატომ ვართ მანცდამანც ასეთები, როგორები უნდა ვიყუენთ დღეს ან ხვალ გულისგულში ამოგვიტვიფრონ ის ღირებული მრწამსი, რომ ჩვენ მხოლოდ წვალი ვართ, წვალით და წამოვადი, საქართველი კი ქვიშახვით დარჩება წუთისოფლის სრბოლაში. ჩვენი სულის ფსკერზე სწორედ მისი ხატება უნდა დააღებოს, თორემ ამის შეუარებლობა ნამდვილი ერთვნილი თვითშეუღელბაა!

ასე აგვიგებს წინაპრებმა რწმენის ციტადელი, ამიტომაც მიმართავს პოეტი მათ არბდალებს ასეთი სახობებით:

რამდენი მოდგმის ბართ საჩუქარი  
გურამიშვილი, შოთა, შეთელი...

ვინც გვიბოზა სიტყვა გულით მდებრივით,  
საშლერა გულის ამომწანთელი,  
ვინც მზის მწერვალთა წყაროსს გვიწმინდა,  
შესსიფრობის იყო მთოველი,  
მთაშინდელიები, პეტრიწი, საბა,  
ოზბარი და ივალთელი.  
კიდევ რამდენი სხვა უსახელო,  
ვის თითქმშეუ შევადოთ ვარდი,  
ვინც დაბზია მღერით საყვლო  
და ჩამოზიდა მიწად ლაყვარდი!

მათი ტაძრები ბევრჯერ აქციეს შტვრად, ქარს გაატანეს მათი ეტრატის ფურცლები, მაგრამ ვერ მოსპეს, ვერ იავაყვეს. ისინი მღეროდნენ, როგორც დიდი წაიშები, როგორც ათასწიანი ფრინველები. მათი სიმღერა ვერ ჩაქლა ხმალი, ხანძარმა, კირმა და დღეღამე სამშობლო ლექსის მდინარით მოკრწეეს, გაცვიოთეს ენა ქვეყნის დიდებით, ამიტომაც ვადასდით შუღლზე ნათელი, ამიტომაც ვერ ახშობს მათ ხმას ღრმა საფლავი:

მიანც ეღვიან დედამწოდან,  
არ გათავდება მათი ნეტეში  
და სამუღამოდ ჩაბუღებულან  
სიმებისაგან დაწნულ ბუღეში.

როგორც აღორძინების ხანის მწერლები ითხოვდნენ რუსთველისაგან ლექსის თქმის ნებას, გიორგი ლეონიძეც ისე ვეადრება წინამორბედ თანამოკლმებებს:

გთხოვთ, წინაპრებო მიშველოთ,  
სათქმელი გამოილომგულოთ!

პოეტს სიამაყის გრძნობით აკებებს წინაპართა აზრებთან და ვანწყობალებებთან თანხედრბა, მათი შემოქმედებითი მრწამსისადმი ერთგულბა:

ხელუერთობელი როდია ვარ,  
სიტყვა მაქვს გამოკვანძილი,  
თქვენს ნაგზაურზე მოვდივარ,  
გრძელი გქონიათ მანძილი!

წინაპართა ნაცვალეზე სიარული, საქვედრო საქმისადმი მათებური ერთგულბა მიაჩნია გიორგი ლეონიძეს ქართველი პოეტის უმოთარებს და უწმინდეს მოვალეობად, სწორედ ამიტომ კიცხავს აგი „ნაცრიან მწერლების დასტას“, ამ „ლირიკულ ქარიელაიებს“ სიტყვაში მაღლი აკლდათ და ხმამა მარბილი. მათ ვერ შეულოდათ ხატის ფრთა და რითმის ქირიოი, სპარსული მუხამბაზების შოვარბის დარაყები იყენენ მხოლოდ, არ გააჩნდათ ერთვნილი ძალმოსილბა, ამიტომაც მათმა სიტყვამ ვერ გაუძლო დროის გამოცდას და დღესაც ვერ-

მის მათი ზურგის ძვლის ქვაში. ვერცერთი მათგანი ვერ გამოდგება საიმისოდ.

რომ დაძვრას ლექსი ცხენოანივით, ავირდეს ბუქი უკან ამტყდარა, ხელდროშინა გაგვიძღვეს წინა გამაპობელი ბაირახტარი!

ეს მხატვრული ლიტერატურის უტილიტარული პრინციპია, ხშირად უყიდურესი ტენდენციით რომ ვლინდებოდა თერგდალეულთა შემოქმედებაში, მაგრამ ამ უყიდურესობას ხამ მამულიწვილეური ვალის აქტიური შეგნება ასაზრდოვებდა!

ის, რაც ზემოთ პოეტის მოვალეობის შესახებ ითქვა, პატრიოტული უყერტიურაა ქართული კლასიკოსთა ინდივიდუალური სახეების, მათი დევიზისა და დამსახურების გამოხმატველი ციკლისა.

ამ ციკლს პოეტი აწევებს იმ უსახელო ბედნიერების ქებათაქებით, „ვინც თქვა ქართული ლექსი პირველმა“, ვინც ხულისჩამგზაველი ხიტაუა სტივის მიანდო და ეს ღვთაებრივი საკრავი სამშობლოს სვედით ააკვინა. ამ უჩინარ სახეს იგი დაეტებს ვეღღარ და ვეუდაფერში, სადაც კი ეროვნული სული ეგულება: მცხეთის სამარხსა თუ ზედაზნის დღის გამოხედვაში, ლერწმის ედლსა თუ სედიცხოვლის ჩუქურთმაში.

იქნება შტეკარზე მდგარი ნისლი ხარ, გვერდი რომ გაქრა ახლა ფრინველსა? არ ვიცი, მაგრამ ვუელგან მიცუნინხარ, ვინც სთქვი ქართული ლექსი პირველმა!

მისგან დაძვრული დიდი ტყვილა გამოქცევა ქართულ ლექსს და დიდი შრის ნაწილებად ჩაშორიგდა ვუელა ჭეშმარიტ შემოქმედს. ამ შრის სისხოველი ვეღღაზე უხვად დიდმა რუსთველმა შეისრუტა, ამიტომაც ირგუნა ნეტარებით ბედი წამებულისა.

გოლგოთასავით ძნელი და მძიმე იყო იმ უხადლო პოეტის სულიერი ცხოვრების გზა, მაგრამ სწორად ამ სიძნელესთან ბრძოლაში იჭედებოდა მისი სიდიადე და უცვლადება. ხალხმა მისი საბელი მარადიულ სიცოცხლეს შეუერთა და მძიმე ბრძოლებში წინ წაიძვდარა. ამიტომ შენც, თუ მართლა პოეტი ხარ და არა, უბრალოდ, ლექსის მწერალი, გულში ადობედე ამ ლეგენდის საბრძნე და შენი სიცოცხლის აზრი და მიზანი ხალხის სამსახურში ეძიე:

დაძვარი შენი ლექსის ხანძარი და სხვა დიდებმა ნულარ დაეძებ, ოღონდაც ერთი ცრემლის მარცვალი ხალხის გულიდან შენს გულს დაეცეს. ძა წმინდა ცრემლი ფერშეუცვლელი

ამოაწუნებს ხეს რტომრავალსა, ის ხე დაბურავს ვარდის ფერცულაშით და უცვდავ სუნთქვით შენს შრისძვალსა!

ამ უცვდავი სუნთქვით შოვიდა ჩვენამდე ხულხან-სახაც, დიდი მოხუცი, თავგანწირვით რომ იბრძოდა ქვეყნის გადარჩენისთვის, რადგან მუდამ ეტყვენებოდა, რომ მისი მამული დამსხვრეული ზომალდით აძირებოდა მძიმე ცხოვრების მღვრიე მორცევი.

და როს ღრუბელი გულს გიბნელებდა, სამშობლოს ცაზე გამოხლართულ, შენ სამკურნალო ბალახებივით მოგიკერეთა სიტყვა ქართული.

შან სიტყვის კონა ამიტომ შეყრა, რომ იავარქმინდ მამულის ნაშთად სიტყვები მაინც გადაერჩინა.

